ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

7

1977

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსკო

242

გამოცემის მეოცე წელი

7

ივლისი.

1977

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

4. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პროზა, პოეზია

5. ოთარ ჩხეიძე — ორი ეპიზოდი
15. ჯანსულ ჩარკვიანი — გამოეყო ნათელი ყვავილს. თბილისური ქრონიკები
29. გაფრი ბოხოლეიძე — ძმა. მოთხრობა
63. გიორგი ჩორგუაშვილი — სანდრო ბერგაკელი. მოთხრობა

ჰაშნიკი

78. ბოდერაძე ჩოხელი — მოთხრობები

ახალი თარგმანები

94. ანგელუს სილეზიუსი — ლექსები. გერმანულიდან თარგმნა ოთარ ჯინორიამ. (ბოლოსიტყვაობა გიორგი გაჩეჩილაძისა)

ოქტომბრის დროშით!

101. სპარტაკ რეხვიაშვილი — იპაჭები ჭალხის ვეგობარი
112. ბეთრგი ხეჩუაშვილი — სამოც რთველობას გაუმარჯოს!
118. 50 — ნოდარ გურეშიძე — 50

წერილები

119. ვალერიან ღამარაძე — მოსკოვის ... ტის დაარსებაში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის
124. ლერი ალიმონაკი — მზე. მზე. მზე
130. ნონა კუპრეშვილი — მშვენიერი ხილი

კუშკინის დღეები საქართველოში

136. ბრიგოლ იარალოვი — ძმები კუშკინები. ...ში. დასაწყისი

ბიბლიოგრაფია

150. გურამ თევზაძე — „მსოფლიოდელოგრაფი პროგლემები ვეფხისტყაოსანში“
155. გიორგი შუთეკაური — დაღაცათუ არ იქნა ძლეულ

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ჰაგუა ამბრეიშვილი,
ვალერიან ბაძრაძე,
გურამ გვეტრიშვილი,
ბეჟან ვეფხვაძორი,
რისმაგ გოგოლეშვილი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მინასაზე,
ო�ia კაკაბორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ბარიან ბანტარია,
რაზო ჰეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ამხანაგი

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ამხანაგო დეპუტატებო!

უწინარეს ყოვლისა, მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, დიდი ნდობისათვის: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ხელმეორედ არჩევისათვის.

ამასთან დაკავშირებული მადლი და პასუხსაგები სახელმწიფო მოვალეობის შესრულება, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოვალეობასთან ერთად, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ პარტიის ნება, საბჭოთა ხალხის ნება, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ინტერესები ჩემთვის მუდამ იყო უმაღლესი კანონი, რომელსაც მე ვუმორჩილებდი და ვუმორჩილებ მთელ ჩემს ცხოვრებას (ხანგრძლივი ტაში).

და ახლა, ვიღებ რა სამშობლოს ამ ახალ დავალებას, მინდა აღგითქვათ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ შევეცდები ვიყო ხალხის ნდობის ღირსი (ხანგრძლივი ტაში). გარწმუნებთ, რომ მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ იმ დიადი მიზნების მიღწევას, რომლებიც დაისახეს პარტიამ და ხალხმა კომუნიზმისაკენ მიმავალ ისტორიულ გზაზე (ხანგრძლივი ტაში). ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი საყვარელი ქვეყანა, სულ უფრო გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. ქვეყნად განმტკიცდეს მშვიდობა და განვითარდეს ხალხთა შორის კეთილი თანამშრომლობა (ხანგრძლივი ტაში).

ერთხელ კიდევ დიდი მადლობა, ამხანაგებო! (მეუხარე, ხანგრძლივი ტაში, (ყველანი ფეხზე დგებიან).

ოთარ ჩხეიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ეტიუდი

მოცვი

Vaccinium aretostaphyles.

ახირდა და აწირდა ღვლიპაი (ვინ შეარქვა, იმ მამაცხონებულმა!...), ვინ ბიჭი და, — მოცვი რა არისო. ახირდა და ვედარ ჩააღებინეს ხმაი;

არა და არ უნდოდათ, ახირება არ უნდოდათ არავისი, მით უფრო ღვლიპასი:

ათი წლისთავზე შეკრებილიყვნენ, ათი წლის წინათ დაემთავრებინათ ინსტიტუტი და ინსტიტუტშივე შეკრებილიყვნენ. ამოექექათ ჟურნალიცა არქივიდანა და სიაც აგრეთვე ამოეკითხათ იმ პირველივე აუდიტორიაში, პირველადვე რომ შეერგვევინებინათ თავი, ამოეკითხვინებინათ პირველივე ლექტორისთვისა; ლექციაც მოესმინათ ისევე, იგი პირველი, არა იგივე პირველი თრთოლვითა, რაღა თქმა უნდა, მოესმინათ და ვერც მოესმინათ, რაღა თქმა უნდა, სუფრა ელოდათ, ნამზადი ელოდათ, იქით ეწყოდათ სული და გული, იქ ერჩივნათ და იქ. მიიწევდნენ, იქაც აღმოჩნდნენ, მალე აღმოჩდნენ, — ისე მალე გაგიწყდეთ დუშმანი, — ოღონდ და რაო, შერჩნენ მეტ ხანსა, შუადღიდან შუაღამემდისა, თუმცა და რაო, ესეც და რაო, ძილიც მოესწროთ, გამოფხიზლებაცა, განავარდებაც მოენდომებინათ, ველად ესურვათ ახალი სუფრაი, უკეთუ იგივე, ნამცეცობაი, ესურვათ და ისხდნენ ველადა, უკეთუ ჩრდილში ისხდნენ

წნორებისა, ჩრდილში წნორებისა, წყაროს რო ადგა, — წყაროს ადგა და ამათაც ადგა ჩრდილი წნორებისა;

და არ უნდოდათ, ახირება არ უნდოდათ არავისი, მით უფრო ღვლიპასი;

პროფესორებიც გამოჰყოლოდნენ, — არ უნდოდათ, ცხადია;

პროფესორებიც რო გამოჰყოლოდნენ, დოცენტებიცა, რაღა თქმა უნდა, ასისტენტებიცა, ლაბორანტებიცა, მითუმეტესო, რაღა თქმა უნდა, ცხადია და რაღა თქმა უნდა, გამოჰყოლოდნენ და გასტოლებოდნენ, ლამის ზოგი პროფესორიცა, დოცენტები ჰო — რაღა თქმა უნდა, სხვებიცა, ცხადია, რაღა სათქმელია, გასტოლებოდნენ და გაჰხასებოდნენ, ხუმრობდნენ და ანეგდოტობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, — ლამის ზოგი პროფესორიცაო, — ლაღობდნენ, ხარობდნენ, დავიწყებოდათ უშმი და ცუდი, ფიქრს თუ ზრუნვას განრიდებოდნენ და ახირება არავის უნდოდა, არც ახირება არავისი უნდოდათ, — არც პროფესორისა, მით უფრო ღვლიპასი, — არა, არ უნდოდათ, არა და არა;

და მაინც ახირდა!..

ეს ჰო დღესაო, წყაროს თავზედა;

გუშინვე ახირდა, ვეება დარბაზში ინტურისტისა, გუშინვე ახირდა და გუშინ ჩააჩუმეს, — ე ბიჭო, გვაცალე, ერთმანეთი აღარ გვინახავს რამდენი ხანია, ე ბიჭო, გვაცალე, მოვიკითხოთ მაინცა ერთმანეთთაო, გუშინ ჩააჩუმეს და დღეს ვეღარაო, რითი ვერ მოიკითხეთ ერთმანეთთაო, — ახირდა და ახირდა ღვლიპაი. ვერ იქნა და ვეღარ ჩაალებინეს ხმაი, ვერა, ვეღარა;

გუშინ კიდევ ხათრი მოიდო, დღეს აღარაო;

გუშინაც ისევ მოცცზე ახირდა, მოცვი რა არისო, მოცვს გაიძახოდა, მოცვს გაჰყვიროდა, მოცვი არ იყო მაინცა მთავარი, მთავარი ის გახლდა, ისევ სტუდენტებად რო გაიხადეს პროფესორებმა, ვითომდა რაო, არაფერიაო, ათი წელიც არაფერიაო, ასი წელიც არაფერიაო, — ანაღლეკ!... — ისევ სტუდენტებად რო დასხეს და დადგეხეს... ისევ პროფესორებადა, ინსტიტუტში ჰოო და ჰოოო, ინტურისტის დარბაზშიც ისევე, წნორებშიც ისევე, და წაუკითხეს ოგივე ლექციები, ათი წლის წინანდელი, ორმოცდათისაცა, ვინ უწყის, ასისაცა, — ათი და ასი ჰო სულერთიაო, მთავარი ეს იყო, ეს გახლდა მთავარი; რა წლები გავიდა, რა ათი წელიო, ჯერ იქვე ახლოსა ბდღვინავდა ღვლიპაი, რამდენი რამ აღმა წავიდა, რამდენი რამ დადმა დაეშვა, რამდენი ვინმეც დადმა დაეშვა, ამათ არაფერი გაუგიათო, არცთუ ყური შეუბერტყიათო, შეჰხეთ, ყურიც არ შეუბერტყიათო, — ეს იყო, რაც იყო, თორემ ის რაო, მოცვი რა არისო!..

და მაინც მოცვიო, მოცვი რა არისო;

მოცვი არავის არც უხსენებია, არცა თუ მინამგვანი, — არა, არავისა, უეცრად წამოეყარდა, უეცრად იყვირა, მოცვი რა არისო, — გუშინ ვეღარა, გუშინ ჰო, ჩააჩუმეს, — იყვირა დღესა, წნორების ქვეშა, წყაროს თავზედა, იყვირა ისე, დადუმდა წნორიანი, გაჰკვირდა წნორიანი, მართლა და მართლა, მოცვი რა არისო; დამაცადეო, შესცინა პროფესორმა; როდემდეო უნდა დგაცადოო, შეჰღრინა ღვლიპამ; პროფესორი სადღეგრძელოს ამბობდა, რო არ აცლდა ღვლიპაი?! — ეგ შენი ესთეტიკაო, ესთეტიკის საგანი თუ მეთოდიო, გამოიკარი და შეინახე შენთვისაო, მე არას მარგია და ჯანიც გავარდნიაო, მოცვმა ამაშენა და მოცვმა დამაქცია, მოცვისა მითხარი თუ რამე იცი, ახირდა და ახირდა, ვეღარ ჩაალებინეს ხმაი;

სადაური რა გამოდიოდა, ჰა?!

ეგება თუ არცა ტყუოდა, ჰა?! ჰა?..

შენ როგორაო, როგორა გგონია? აბა ცოტაც დამიგდე ყური:

გუშინაც ის გახლდა, ოგივე დაიბრი-

ყვა, — ესთეტიკაო, ესთეტიკის საგანი თუ მეთოდიო, — უკეთუ მოთმინება მანამდის ეყო, ეყო აბა, ვინ ღვლიპაი და ვინ ამდენი მოთმინებაი!... მანამდე ეთიკის საგანი გაურკვიეს, ისტორიისაცა, საგანიცა და მეთოდიცა ცხადია და ცხადზე ცხადია, ყველანაირი ისტორიისა, პოლიტეკონომიისაცა ყველანაირისა, სხვისა და სხვათაცა, გაურკვიეს და გაურკვიეს, ჩაუჭედეს და ჩაუჭედეს; სადღეგრძელოს ითხოვდნენ და ლექციებს უკითხავდნენ, ვითარც წაეკითხათ, ისევე უკითხავდნენ სიტყვასიტყვითა და თვალის დაუხამხამებლადა და ვეღარ გაეგო, ღვლიპასა, ცხადია, სუფრას უჯდა თუ დაჰბრუნებოდა ისევე მერხსა, ვეღარ გაეგო, ვერა, ვეღარა, და ამიტომაც აყვირებულიყო, — მოცვი რა არისო, — ჯერ თუ გუშინა, რო ჩაჩუმეს, — ახლა დღესაცა, ოღონდ და რაო, ვეღარ ჩააჩუმეს, თუმცა პროფესორებმაც გამოიდეს თავი: მაცალეო, ჰო შეევედრა პროფესორი ესთეტიკისა, აცალეო, მოიღეშა ათეიზმის პროფესორიცა, აბა, აცალეო: მერე ეს იყო, მერე ამას უნდა დაეფრქვია საგანი და მეთოდი ათეიზმისა, ელოდა, ცმუკავდა, ნემსებზე იჯდა, რა დროს მოცვიაო, ამიტომ გაჭკვირდა; მაშ ის მიბრძანე, რა დროისაა, — ღვლიპამ შეუძახა პროფესორსაცა ათეიზმის, — თუ იცი, ბრძანეო, გამირკვეო, რა დროისაა, როგორი რა არი, სად მოდის თუ როგორ მოდის, ვის რად უნდა და ვის რაში არგაიო, რა ფერი და რა ჯურიაო, შეუძახა და შეუძახა, შეედოყა და შეეყალეა, ვეღარც თუ დასვეს, ვეღარც საითმე გაინაპირეს, ხმა ჰო ვერა, ვერ ჩაალეშინეს, ჰყვიროდა, ხაოდა, ჭყიოდა, წეოდა, ზმეოდა, ჩხაოდა, ჩხაოდა ღვლიპაი, იმტვრევდა კბილებსა, აკრაჭუნებდა და ვითომ იმტვრევსო, — ვინ ბიჭეო, და მოცვი რა არისო, მეყოო ეგეები, მაშინაც ეგრე გამომიტენეთ თავიო, გამომიტენეთ და ძლივას გამოვიბერტყეო, მეყო, მეყოფაო, ახლა მოცვისაც გამაგებინეთ, თუ იცით რამე, ამიხსენითო;

ასე შეპბედა თვით პროფესორსაცა;

გაგიგონია?

თავს წაუვიდაო, იტყვიან ხშირადა, — გაგიგონება რაღა თქმა უნდა;

ატეხილი და თავგატეხილიო, ამასაც იტყვიან;

ოღონდ არ იყო იქ თავის გამტეხი, სხვა ახირებული არავინ გამოჩნდა, და თავს წამოაჯდა ღვლიპაი ყველასა, პროფესორებსაცა, დოკენტებისა ან რაღა გითხრა, ასისტენტებისა თუ ლაბორანტებისა ან რაო, რაღაი, — გაამტყუნეს, რადა თქმა უნდა; ამტყუნებდნენ ამხანაგებიცა, ნუ ჩაგვამზარეო, სალხინოდ შევყრილვართო, ნუ გაგვიბრაზებ პროფესორებსაო, ნურც დოკენტებსაო, ნურც ასისტენტებსა, ლაბორანტებსაც ნუო, ძვირფას სტუმრებსაო, ესე იგი, — ნუ გაგვიბრაზებ, ნუ გვიწყენინებო; არაო და არიცაო, ჭყიოდა ღვლიპაი, ვინც მაგათ აწყენინებს, მე მაწყენინებსო, ვინც მე მაწყენინებს, ძვირად დავუსვამო, მხოლოდ ესაა, მოცვისა მითხარით და გავისუსები ძუძუს გოჭივითაო, მოცვისა მითხარით, ადარ მინდა ათეიზმიო, გავიგე, მეყოო, ღმერთი რო არ არის, გავიგე და მეყოო, ვოლტერს რო უთქვამს, არ არის და უნდა იყოსო, ეგეც გავიგე, ეგეც მეყოო, სახარებაშიც რო ეგრე წერებულა, ვისაც თუ კარგად წაუკითხავსო, ეგეც მეყო, ეგეც გავიგეო, ახლა ეს მიბრძანეთ, მოცვი რა არისო;

გაგეცინებს;

კედელს ცერცვი შეაყარეო...

შენი არ ვიცი, შორიდან-ზოგჯერ განსჯა ძნელია, განცდაც ძნელია, ხოლო იქ ზოგი მწარედაც იცინოდა, — ზოგი პროფესორიცა, — ამითღა იოკებდა თავსა;

გაამტყუნეს, გაამტყუნებ, რაღა თქმა უნდა, ამხანაგებიც ამტყუნებდნენ-მეთქი, მაგრამ და რაო, წასვლოდა თავსა,

---

ოთარ ჩხეიძე
ოჩი ეტიუდი

წყაროს თავზედა, წნორების ჩრდილში, ჩამოწეწილი წნორებისაა;

ეგება წნორი მოვიშველიოთო, იცი, — ასეც იყო:

— მოიცათ, მოიცათ, შეჰხედეთ წნორებსა, — ამოიძახა პროფესორმა ეთნოგრაფიისა...

— შეჰხედეთ!.. — ღვლიპამ წაართვა მაშინვე სიტყვაი, წაართვა და გაუტრიზაკა, — შეჰხედეთ და ზღაპრებსაც მოგიყვებათ მტირალი ქალისა, თმაგაწეწილი მტირალი ქალისა... რაღა დროს ეგაა, ბატონო პროფესორო, მოცვი რა არის, აბა თუ იცი?..

— ვიცი!.. — მოუპრა უცებ პროფესორმა, იმედით აღავსო თანამომძენი, — წვრილი მარცვლებია, მოშავოა თუ მოყავისფერო...

— ბიჭოს!.. — დაატანა ღვლიპამაც იმედითა, — მიდი... მიდი... არ შეგეშალოს...

— ჩაიში ხმარობდნენ, — მივიდა და მივიდა პროფესორიცა ეთნოგრაფიისა, — წამლადა ხმარობდნენ... ახმობდნენ თუ... როგორღაც იყო... — მეტს ვეღარ მივიდა, — იცი, რა გითხრა, მაგ საკითხზე სპეციალურად არ მიმუშავნია...

აგრეთვე ჩვენცაო, შესძახეს უმალო, შესძახა ყველამ, პროფესორებმაცა, დოცენტებმაცა, ასისტენტებმაცა, რაღა თქმა უნდა, ლაბორანტებმაცა, რაღა თქმა უნდა, „სპეციალურად მაგ საკითხზე არ გვიმუშავიაო“, ხოლო მეცნიერების ასეთი პროგრესის საუკუნეში, XX საუკუნე რომ არისო.... და სხვა... და სხვაო... შესძახეს და შესძახეს ერთი სიტყვითა, შესძახეს და ლექციაც წაუკითხეს, განა თუ ერთი, განა თუ ორიო, ათი მაინცა, ათი თუ თორმეტი წაუკითხეს ერთბაშადა, ერთდროულადა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაიჯერეს, ვერც ვერაფერი გადაათქმევინეს, უკეთუ არიეს უფრო მეტადა, უფრო გაახელეს, უფრო გააშმაგეს, — მოცვი რა არისო, მოცვი რა არისო;

სად გაგონილა!..

იმათაც, რა იყო, ი ლექციები მოეშალათ როგორმე, ველად მაინცა, წყაროს თავზედა, წნორების ქვეშა, სუფრის გარშემო მოეშალათ მაინცა...

ეს სადღა გაგონილა!..

გინდა გაამტყუნე და გინდა არა;

გაამტყუნებ თუ არ გაამტყუნებ, გაგონილა თუ არ გაგონილა, ბოლოს იქამდეც მივიდა ღვლიპანი, აქაც რო ნიშნები იწერებოდეს, ყველა ერთიანს მიიღებდითო, ლაბორანტებიც ჰოოო და ჰოოო, ასისტენტებიც ჰოოო და ჰოოო, დოცენტებიცაო, პროფესორებიცაო, დიახ, დიახაც, პროფესორებიცაო, აქამდეც მივიდა და ასეც განაცხადა, ცოტა ესაა, ეთნოგრაფიის პროფესორი გამოირჩევა და ესეც რაო, ორიანი თუ ეკუთვნის ამასაცა, მეტი არაო, არაო და არაო;

იცინოდა პროფესორი ეთნოგრაფიისა, იცინოდა და ალეწილიყო, გულმოსულიყო და ალეწილიყო, — იცინოდა, მაინც იცინოდა;

გამშრალიყვნენ სხვები, ლაბორანტებიცა. — ერთი ამათაც დამიხედეთო;

ეს სტუმრებიო, მასპინძელნიცა, — გამშრალიყვნენ და გათანგულიყვნენ;

ღვლიპა თავისას მიერეკებოდა:

მოცვი თუ არ იცით, მაშ რა იცითო, მერე ასე მიერეკებოდა, ესეც და რაო, მარცვლებაო, შავიაო თუ ყავისფერიო, ახმობდნენ თუ როგორღაცაო, — ეს რაღაა, რა ცოდნაა, მე ჩემდათავად ეგეც არ ვიცი, მარცვალია თუ ვეება რამეა, ქლიავია თუ საზამთროაო, ოღონდ ის ვიცი, რაც თუა, რაც არის, ვიცი და გავიგე ამ ათ წელშიო, თქვენ რო მოგცილდით, მერედა გავიგე, კარგადაც გავიგე, კარგადაც ვისწავლე, ხუთიც მივიღე, ბევრჯერაც მივიღე, და ერთი კარგადაც ჩავიჭერიო;

ახლა აქ რო ვარ, ჩაჭრილი ვარო, ოღონდ ისე ვიმეცადინე, ისევ და ისევ ხუთებზე ბევარო;

გადმოიყარა მეჩხერი კბილები და ამნაირად მიერეკებოდა.

მოცვიც ესაა, რომ ჩაიჭრები და ისევ და ისევ ხუთებზე გახვალო, — ოღონდ ესაა, არ წაგეძინოს, თუ წაგეძინა, თვა-

ლღინა გეძინოს, ესაა და ესა, მეტი არაფერი, ფესვიც ესაა ი შენი მოცვისა, ყლორტიც ესაა, ნაყოფიცაო; თუმცა არც ვიცი, რა ნაყოფია, ანთუ რა ფესვი აქვს, ანთუ რა ყლორტიო, ანთუ სად მოდის, ანთუ როგორაო, არც ვიცი და არც მიკითხავსო, თუ უთქვამთ, ყურიც არ მიმიგდია,—ეს იქ ვისწავლე, თქვენს ლექციებზეო; ეს ათი წელი ასე გავატარე, მოცვს ვამზადებდი, თქვენი დიპლომი აღარც მახსოვდაო, სიმთვრალეში თუ გამახსენდებოდით, ის მენანებოდა, ის ხუთი წელი, თქვენთან რო დავკარგე, — ორჯერ ხუთში თუ რაც ვიშოვნე, მეტს ვიშოვნიდი სამჯერ ხუთშია, ის მენანებოდაო; ესეც და მხოლოდ სიმთვრალეშია, თორემ და რაო, ისიც არ ვიცოდი, ის სად წამეღო, ორჯერ ხუთში თუ რაც ვიშოვნეო: მოცვთან ვიშოვნე და არც ვიცოდი, მოცვი რა იყო, ან რად მინდოდა მაგისი ცოდნაო, ფული ცვივოდა, ვითარცა მანანა, წყალობა ღვთიური, მეტი რა მინდოდა, რა ცოდნა მინდოდაო;

მიერეკებოდა და მიერეკებოდა:

შენ ფულს აბნევ და ფულსავე ჰკრეფო, ქაღალდებში მოცვი ჰქვიანო, უკეთუ მოცვის დამზადებაო, — მეტს ამზადებ და მეტსაც იგებო, გეგმას ამეტებ და ჯილოსაც ილებო, კაცსაც გარქმევენ და ქებასაც არ მოგაკლებენო;

— მოიცა, მოიცა, — ეთნოგრაფიის პროფესორმა შეჰბედა ისევა, — ეს ვერ გავიგე...

— ეგება გინდათ, ხელობაც შეიცვალოთ, — აცმუკდა ღვლიპაი, — მოდით, მობრძანდით, გეგმა მატულობს და ხალხიც საჭიროა...

— ეგრეც იცოდი... როგორღაც გიძახდნენ...

— ღვლიპას მიძახდნენ... ეგრე ვარ ცნობილი...

— მე ნამდვილი სახელით მოგმართავდით...

— თქვენ დიდად თავაზიანი ბრძანდებით, ბატონო პროფესორო...

— თქვენც ეგრე გმართებთ...

— ბოდიშს მოვიხდი, ბატონო პროფესორო...

— კეთილი, კეთილი, ახლა ... ხეთ: მოცვს ამზადებდით...

— ქაღალდებში, ბატონო პროფესორო, სიებში, დავთრებში, ქვითრებში და ასე, ასე, ქაღალდებში-მეთქი...

— ეს ჰო სიცრუეა!

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო პროფესორო!

— უსინდისობაა!

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო პროფესორო!

— როგორ იკადრეთ?!

— ადვილადა, ბატონო პროფესორო!

— დანაშაულია!

— და კიდევაც ჩავჯექი, ბატონო პროფესორო, ჩავიჭერი-მეთქი აკი მოგახსენეთ!... ჩაჭრაც ესაა ამ ჩვენს საქმეში, ჩავჯექი, ჩამსვეს, ანთუ ჯერ ჩამსვეს და მერე ჩავჯექი, გამასამართლეს, მომისაჯეს, ზედ გადავაგე ყველაფერი, რაც ამოვიგე, ზედ გადავაგე, და აგერა ვარ ათი წლისთავზე, ჩაჭრილი ვარ და ჩაჭრილი ვლაპარაკობ, მოცვიც ესაა, აი ესაა, ხან ჩაიჭრები და ხან ხუთზე გახვალ, ზოგმა არც იცის ჩაჭრა რა არის,— აი რა არის მოცვი, ბატონო, ნათელცაა და გამოცანაც, მეც თუ გავიგე, რაღა თქმა უნდა, რამეს თუ მივუხვდი ამ ჩემი ჭკუითა...

— ამას გერჩიენა...

— მირჩიეთ, ბატონო!

— მართლაც მოცვი დაგემზადებინა;

— მერჩიენა, ცხადია...

— დაგემზადებინა!

— სად არის მერე?

— ტყეში, ტყისაა, ასე მგონია...

— კიდევ არ ჩაიჭრათ, ბატონო პროფესორო...

— არა, ყმაწვილო!... ტყისაა, ტყეშია!

— კეთილი, ოღონდ...

— ოღონდ და რაო?!

— ტყე სადღა არის?

ოთარ ჩხეიძე
ფარი ეტიუდი

— როგორ თუ სადა?!

— აბა თუ სადა?! ჰკითხეთ აბა ნიკო კეცხოველსა, ტყე სადღა არის, ანთუ მოცვი, მოცვი სადღაა, — მთელი დღე რო იფხოტიალო, აღმა-დაღმა იფხოტიალო, მუხლჩოქა იფხოტიალო, ვერ მოაგროვებ ერთ კალანჩხასა, ორ-სამ მუჭასაც ვერ მოაგროვებ, ჰკითხევით აბა, აბა ჰკითხეეთ! მერე ტონები?! რას უზამთ ტონებსა?! ვაგონებსა?! რითი აავსებთ ვაგონებსა?!

— ეტყვით, ავუხსნით...

— ო, რასა ბრძანებთ!

— ეტყვით, რაც არის...

— გმირი ყოფილხართ, ბატონო პროფესორო!

— სიმართლე ეთიკის ანაბანაა... — ჩაება ეთიკის პროფესორიცა;

— მართლა, რო?! — იმასაც შეება ღვლიპაი, — თქვენს კათედრაზე რო დაგეტოვეთ, ეგება ეგრე მელაპარაკა მეცა, თქვენ ხელი მკარით და ამიყვანეს სხვა კათედრაზეი, მოცვის კათედრაზე... იქ სხვაგვარადაა, სულ სხვაგვარადა, შუა უდევს დიდი მზღვარიი...

შეება და შეება, მიერეკებოდა და მიერეკებოდა, ვეღარ შეპპედა ვეღარავინა თუ აღარ დააცდიდა აღარავისა, აღარცათუ პროფესორებსაო, აღარცათუ დოცენტებსაო. ასისტენტებისა რაღა მოგახსენო, ლაბორანტებისა ანთუ რაღაო, მიერეკებოდა და მიერეკებოდა, თქვენ რაო, რა ხართო მერხებისა ხართო, მერხების იქით არ იხედებითო, ცხოვრება მერეა, მერხების მერეა, შუა უდევს დიდი მზღვარიი, თქვენ იქითა ხართ და ცხოვრება იქეთაო, ცხოვრება მიდის და თქვენ აბიხართ ერთ ადგილასაო, დიახ, აბიხართო, არას ვუმტყბე, ეს ათი წელი არც გაგიგია, არც სხვა ათი და არც სხვა ათიო, სიტყვაც არ შეგშლიათ, არც კილო სიტყვისა, არცა მახვილიო, გაგიზუთხიათ და იმეორებთ, იმეორებთ და იმეორებთო, იცვლება ყველაფერი, თქვენ არ იცვლებითო, ჩვენ დავეცემით და აღვდგებთო, თქვენ არ დაეცემით და არც აღდგებითო, ვაგლახ და ვაი, არც აღდგებითო. მოცვსაც ვერ გაიგებთ თუ რა არისო, ვერასოდესაო... მიერეკებოდა და მიერეკებოდა წყაროს თავზედა, წნორების ქვეშა, მიერეკებოდა და მიერეკებოდა;

შრიალებდა წნორი, იჯალჯებოდა, იღვედებოდა, გაიშლებოდა, გაიწეებოდა;

ეს ასე იყო, ასე ახირდა, ვერა და ვერ ჩაადებინეს ხმაი;

ის დღე ჩამწარდათ პროფესორებსა, დოცენტებსაცა, რაღა თქმა უნდა, ასისტენტებსაცა, ლაბორანტებსაცა, ცხადია, და რაღა თქმა უნდა, უზრდელიაო, თავხედია, კადნიერიო, იმეორებდნენ და ბუზღუნებდნენ, იმეორებდნენ და თავს იმშვიდებდნენ, ოღონდ თუ რად იყო ნეტავი ასეთი, — არ იკითხავდნენ, მეტად აღარ შეიწუხებდნენ თავსა, არა, აღარა, ის ეყოფოდათ, ის მწარე დღეი წყაროს თავზედა, წნორების ჩრდილში...

ისევ დაღლარაი

ლექსი შეიძლება უსათაუროც იყოს, ნოველა — არა, თუნდაც ეტიუდი, პროზის ჟანრისა რაც უნდა იყოს, უსათაუროდ ვერ გამოდგება; ვერ გამოდგება და ზოგჯერ არც იცი თუ რა უწოდო, ზოგჯერ მოიწევს სათაური რამოდენიმე, მოიწევს და ვერც გაგირჩევია თუ რომელი რომელსა სჯობიან; ახლაც ასეა და, რაც უნდა იყოს, ეს ვამჯობინე, ვამჯობინე, ვამჯობინე ისევ დაღლარაი, თორემ ის რაო: დიდი ეშმაკი და პატარა ეშმაკიო, ანთუ როგორ აჯობა პატარა ეშმაკმა დიდ ეშმაკსაო, — ვითომ და რაო, რა გამოვიდოდა?! ბევრიც არაფერი!... და ესეც არ იყოს, სად ეშმაკიო და სად დაღლარაო, როცა ღმერ-

თისა, ღმერთის წილია, და ეშმაკს იმასთან ხელი არა აქვს;

სიალალეა და ღმერთის წილია.

ოღონდ...

თუ თუმცა?

ერთიც იყოს და მეორეცა:

ისასაც გაჰკრა ერთმა ცოდომა, ფრთა გაჰკრა გაფარჩხული, გაჰკრა ოდნავა, სულ ოდნავა, და ისე ინანა, ინანა ისე ალალგულადა, ვეღარ მიუდგა ვერსაითა ეშმაკი, ისე ინანა, ისე, ისე ალალგულადა!...

ღმერთი რო ღმერთია, არ უნანია თვით იმასაცა, ნუგბარი ხელი რომ ახარა სამოთხეში, დარგო, ახარა, მაცდურად დარგო, აკრძალა რამეთუ, — არ უნანია, მაინც არა, არ უნანია. დაღლარამ ინანა, დარგო და ინანა, თვითონვე ინანა, ინანა მწარედ, ინანა და მიხვდა თუ რახან დარგო, არ უნდა აეკრძალა, თუ აკრძალავდა, არ უნდა დეერგო, — დაღლარა მიხვდა, ღმერთიც ვერაო, ვერ მიხვედა ამდენსა, მიხვდა და ინანა, მერე როგორი, როგორი გულითა?..

ჰმ!..

ეგმანდ არ იფიქროთ თუ რაღაც უცნაური რამ დაერგოს, გაუგონარი რამ დაერგოს, — არა, არ იფიქროთ: მბალი დარგო, მბალი, უკეთუ ამყნო თავის ბაღშია, გაწეული, დაკბილულსა თუ დაგლეჯილ ბაღშია, ისედაც ხილით სავსე ბაღშია, დაჩრდილულ ბაღშია,— ეს არის და ესა, მეტი არაფერი, მბალია, მბალი, ქართული მბალი, გარდაგებული და მიგნებული, მეტი არაფერი, — მბალია-მეთქი, ოღონდ და რა მბალიო, საკითხავიც აი ეს არისო: ყვავილს უეცრად გადაიძრობდა, გადაადგებდა ნაბადივითა, თეთრი, თეთრი ნაბადივითა, რაღა თქმა უნდა, გადაადგებდა და გამოაშექებდა წითელი კუნწულება, გამოაშექებდა და ღუოდა, ღუოდა, სითეთრეში ღუოდა, ღუოდა სიმწვანეში, რამეთუ ჰყვაოდა ისეე ყველაფერი, ანთუ ენა თუ წაეყარა კვრატებსა, ენა გამოეყო, მწვანე ენაი, — ის უკვე ღუოდა, ის უკვე თრთოდა, თამთამებდა და მოიწევდა, მოიწევდა, თითქოს პირწმინდა საცვენადა; ასე თრფოდა და ასე მოიწევდა, მოიწევდა ასე მაცდურადა ჯერ ისევ მკვახე, ჟიმატი, უგემური, ანთუ ალბათ კოწახურის გემოსი, ფერით მაინც გაბადრულიყო, ღუოდა ასე, ასე მაცდურადა, ღუოდა და ღუოდა, ღუოდა კარგახანსა, ჩამწიფებას აგვიანებდა და ამიტებდა მაცდურებასა; და ცდებოდნენ ყმაწვილნიცა, ცდებოდნენ ცხადია დამწიფებამდისა, — გასხვლეპდნენ, გაშვლეპდნენ, დაღრღნიდნენ, დაჯგვლეთდნენ, ალარც შეარჩენდნენ ზედ არაფერსა.

ალარ შეარჩენდნენ...

დაღლარა ტოტებს გამოზიდავდა, იმა დალეწილ-დასხვეპილ ტოტებსა, დაჰყრიდა გზაზედა, იცინოდა და გაძახოდა ზევით-ქვევითა, ე რა გიქნიათ, თქვე ოჯახჭირებოო, ასე გასძახოდა, თან იცინოდა და თან გასძახოდა, ცოტა მაინც მოგეცადთო, ნეტა რა გემო ჩაატანეთო, ჩამწიფებულიყო, ჩამბალიყო, ჩატკბილებულიყო, ისე რა გემო ჩაატანეთო, იცინოდა და აფურთხებდა. აფურთხებდა და იცინოდა, მუცელს როგორ ვერ მოერიეთო, ჩაგისკდათ მუცელიო, თქვენს ქვევითაა, თქვენს ზევით ჰო არაო, როგორ ვერ მოერიეთ, ჩაგისკდათ მუცელიო, — შეჰხედეთ ხალხო, ერთი შეჰხედეთო; შეჰხედავდნენ, რაღა თქმა უნდა, შემოეხვევოდნენ ტოტების ბულულსა, შემოეხვევოდნენ და იცინოდნენ, გააქილიკებდნენ ავის ჩამდენსა, მოსაჩრქვებიც გამოუჩნდებოდნენ: ხილი ისაა, ადამიც აცდუნაო, ხილი ისაა, თავის თავი თვითონ ზოიპარაო; მაშ ეგრეა და თვითონ მოიპარაო?... მეტიც რა უნდოდა დაღლარასა, — იცინოდა და გაბადრულიყო, მზეს უცინოდა, ცას უცინოდა, ყელი დადაეგდო და ულვაშები აუხტებოდა, დაუხტებოდა, კბილებიც უელავდა ეარევე მზიანზედა, ღრძილებზე გადაგლესილი კბილები, თითქოს პირწმინდად ჩაუხერხიათო; მაგ-

ოთარ ჩხეიძე
ორი ეტიუდი

რამ არაო, ეგრეეე დასცვეთოდა, ეგრეეე გალეოდა, უმტკივნეულოდ, უდავიდარაბოდა, — ჰოდა, იცინოდა, ჰოდა, ტრაბახობდა, — იმუქრებოდაო, ვიეთნი იტყვიან, მე მაინც ტრაბახად ჩამომორთმევია, — აი და ნახავთო, ზედ შევისწრებო, მბლის ბაწარს წავაბამ, ეგრე დავიორეე, შემოვტარებ სოფელ-სოფელაო, ქურდსაო ცხდაია და რაღა თქმა უნდა, ტრაბახობდა, რაღა თქმა უნდა: ხოლო და რაო, ხილმა თავი მოიპარაო, — ვის წაასწრებდა, რას წაასწრებდა?..

მაინც ეგონა და თავისას ეცადა, ოღონდ და რაო, ვითომ რას ეცადა, იცინოდა მთელი სოფელი, დაღლარაც იცინოდა, უარობდა და იცინოდა, უარობდა და ეეშეებოდა, ვინ იცის და მართალიაო; ალბათ და მართლაც მართალიაო, ისე იფიცებოდა ღვიტაი, დედას იფიცებდა, ალალი და მართალიაო, მბლის ძირას ეძინა დაღლარასაო, ეძინა თუ ეგდო ბელასავითაო, კარგადაც ეგდო, მარჯვედაც ეგდო, ზედ შევდექი და ეგრე ავცოცდი, ჩამოვცოცდი და ფეხი ზედვე მოვიკიდეო, ტოტებიც ზედვე გადავათრიე, გადავუნიავე მარაოსავითაო, — ყელყელაობდა და თავს გამოიდებდა, მამასაც იფიცებდა ეგ არაფერია, იფიცებდა თვით დაღლარასა, როგორცთ თუ ბიძასა მამისა, აღმზრდელ ბიძასა, როგორცთუ პაპასა, საყვარელ პაპასა: და იცინოდა სოფელი-მეთქი. — დაღლარაცა, დაღარაცა, — ბეეეები ემტვრეოდა, უყრიალებდა და ემტვრეოდა, ისე იცინოდა, ისე იცინოდა; თუმცა და რაო, ისევე ემტვრეოდა თუ უყრიალებდა, მბლის ძირას რომ გამოეღვიძა, მართლაც მბალი რო გაეკრიფთ, ვერაფერი რო ვერ გაეგო, ტოტებიც რო ეყარა ზედა, ნაღეეი მბალიცა, კუნე მბალი რაღა თქმა უნდა, ნაღეეი და ნაფურთხი, ეყარა და აღარცა დგებოდა, იცინოდა და ისრესდა თვალებსა, ცისკარიც იცინოდა, ამოეხია კაბადონი და იფხრიწებოდა სიცილითა, მაშაო და ღვიტა ყოფილაო, ჰაი დედასაო, და ეგი ღვიტასაო, შეგისწრებ ზედვე, მბალზე შეგისწრებო, არც ჩამოვაგდებ და არც თოკს წავაბამო, მბალს ამოვაგდებ ძირიანადაო, სოფელ-სოფელ ჩამოვიგლეო მბლიანადა და ქურდიანადაო, — ტრაბახობდა და ჯანიც ერჩოდა, კიდევ თუ ერჩოდა, მბალიც ეგრე დანაკულიყო ამდენი სხეეეთა, ამდენი მტვრევითა.

დაიჯერებდი...

ჯერ კიდევ ისეთ ჯავარზე იყო, რასაც იტყოდა, დაიჯერებდი. ჩვენ დაგვაჯერა: მხრებზე შეედგა მბალი დაღლარასა, ეგრე შეედგა ძირფესვიანადა, ეგრე მოდიოდა ბუქნა-ბუქნითა, მოდიოდა და იცინოდა, შეეხედეთ ერთი შეეხეთო; შეეხედავდით და ღვიტა ქანაობდა კეწწეროზედა, ქანაობდა მუცელგაბერილი კუნე მბალითა, ეგრე გაბერილი, ლამის არის ზედ შემოასკდესო, ქანაობდა და ლამის არის გადმოვარდესო, ლამის დაენარცხოს, გასკდეს ლამის კვაზივითაო; ასეც დაგვაჯერა და მბალიც იდგა თავის ადგილასა, იდგა და ღუოდა, ღუოდა ადრე გაზაფხულზედა, ძველი ხილი რო აღარსად იყო, ანთუ უკვე მოგზრებოდაო, ღუოდა ისე ის შეჩვენებული, ღუოდა ისე, ისე მაცდურადა, ე ღვიტა რაო თუ ღვიტასნაირნი, — ნერწყვსა ყლაპავდნენ დარბაისელნიცა, სიტყვასაც გადაჰკრავდნენ, ეძალებოდნენ, ეტანებოდნენ; ეტანებოდნენ და ხიდვინეს გამოდგამდა დაღლარაი, ფიალას გამოდგამდა, დაილოცებოდა, დაალოცებდა, მბალი ჯერ არაო, ნწ, არაო, ჯერ კუნეაო, კოწაურნიაო, მოიცათ, ხალხო, ცოტა მოიცათო, მოთბეს ცოტაცა, ჩახურდეს მზეიო, ჩახურდეს და ჩაახოროსო, ჩაადემოს და ჩაგვადემოსო, ცოტაც მოიცათო, ცოტაც მოიცათო. ისინი მოიცდიდნენ, რაღა თქმა უნდა, დარბაისელნი თუ მოდარბაისელნი, ესენი ეგრა, — ღვიტასნაირნი.

ჰოდა, მოიცათო, რაც იყო, იყო, წელს თქვენ ოგემეშეთო, უსათუოდაო.

ტრაბახობდა.

ვიეთნი იტყვიან, იმუქრებოდაო, მაგ-

რამ და რაო, პატარა ეშმაკმა მაინც აჯობაო. პატარა ღვიტია, რაღა თქმა უნდა, დიდი ეშმაკი დაღლარა გამოდის. ეშმაკს რა ხელი აქვს დაღლარასთანაო, მაინც როგორღაც ისეთი განეზრახა, როგორღაც ისეთი მახე დაეგო, ალბათ დაეგო, ისე იცინოდა, ისე იცინოდა, ისე უხტოდა თუ უცმუკავდა ულვაშები. ღვიტას და რაო, ვითომცაო. და არაფერიო, ვითომც მბალი აღარც ახსოვსო, ვითომც და რაო, მოიზარდაო, ჭკუაში ჩავარდაო, დანამუსდაო, აღარ იკადრებს, რაღას იკადრებსო, — და მბალი ისევ ისე ღუღადა, ივსებოდა, ითენებოდა, ეფიცხებოდა ანკარა მზესა, იბრაწებოდა, იხრუკებოდა, იზმორებოდა, იზმორებოდა, — ჰოდა, ცოტაცაო, ჰოდა, ეიგეგმებთო; ღელვამ და რაო, არც არაფერიო, რა მბალიო და რი მბალიო, მამაჩემმაო, სტუმრები მყვანანო, გადმოდიო და დამამშვენეო. გადავიდა და დაამშვენა, — დაღლარაი, რაღა თქმა უნდა, არც დაფიქრებულა, ეგრეგე გაჰყვა, ოღონდ ესაა, ცოტა ჩაიცინა, ქვემშქვეშ ჩაიცინა, ისიც ვითომაო, სუფრა ეამაო, იქვე ჩაიცინა და მერეც იცინოდა, ღვინოს რო ხუხავდა, შაგ ღვინოსა, შავადვე რო ედებოდა ტუჩებსა, დაღლარას ტუჩებსა, რაღა თქმა უნდა, შავ წინწკლებად რო მოსწყდებოდა ნიკაპიდანა, დაღლარას ნიკაპიდანა, რაღა თქმა უნდა, შავი მუჭითვე რო მოიწმენდდა, უკეთუ მოწესფერი მუჭითა, ნიკაპიც შავადვე რო უპარპალებდა, უკანკალებდა და უცაცხებდა, ანთუ უეცრად გაუშეშდებოდა, ან ავარდებოდა თუ დავარდებოდა, წაეწვეტებოდა თუ გაეფუყებოდა, ანთუ ჟრკოლა მოებეოდა, ისე თუ იმგვარადა, რას თუ მოერეოდა დაღლარაი, ოროველსა თუ ულასა, კალოურსა თუ მკისასა თუ სხვასა თუ მსგავსსა, წასულსა და გარდაგებულსა, ხმით რო აცოცხლებდა, ცოტა ჩახლეჩილი, ცოტა ნაღელიანი, ცოტა ჟრკოლიანი, კანკალა ხმითა.

კანკალებდა ღვიტი, თრთოდა ღვიტია, სმენადგცეულიყო.

დაღლარა მღეროდა და ოწერდა ღვიტაი, ჩამწერი მიედგა, ოწერდა და ოწერდა, — მართლაც და ჭკუაში ჩავარდნილიყო; მაინც თვალები უცმცმეშებდა დაღლარასა, მღეროდა და უციმცმებდა თვალები: ჰაი და გაძვრებიო, მე აქ დამბაბამ და შენ იქ გაძვრებიო, კეთილიო და პატიოსანიო, მიდი და გაძვრარიო, აჰა, დავბმულვარო. და გაძვრა მართლაცა. მანამდის სათითური ასწავლა დაღლარასა, აქ დაოწვებიო და შენვე მოისმენ, რაც გიმღერიაო. აჰაო და დავაწვებიო, აჰაო და მევე მოვისმენო, შენ შენსას მიჰხედე, აბა შენ იცინო; იცინო და იცინოდა, იცინოდა და გაძვრა ღვიტაი, — შენ თქვი ჭკუაში ჩავარდაო, — გაძვრა, იხელთა დროი თუ არა, გაჰქრა, ითუესა; დაღლარა ისევ ისე მღეროდა, თუმცა უკვე აპარატთა, ეშმაკეული მანქანითა მღეროდა, ეშმაკისა მაინც არ იყო, ეშმაკეული თუ განეზრახა, მაინც უხაროდა, მაინცა ტკბებოდა, გაახარებდა შეძახილიცა სტუმრებისა, ოღონდ ის უფრო გაახარებდა, — ის განაზრახი, ის სალოდნელი, ის უფრო, უფრო გაახარებდა: იქ ძაღლი დაბდღვნიდა იქაობასა, ერთი მისულიყო, ერთი ახლოს გაჰკარებოდა, ერთი ოღონდა, ოღონდაც ერთი, ძაღლი დაბდღვნიდა, ნაგეში ძაღლი, ნაგეში სწორედ საამისოდა, — ამას ელოდა, ეს გაახარებდა, ყველაზე მეტად ეს გაახარებდა. ცოდოდ ეს იყო დაღლარასიო, დარგო ხელი და მიუბა ძაღლი, ნაგეში ძაღლი, აგი ქოფაკი, მაგრამ და რაო, დამწიფება ენება მბლისა, განა აეკრძალა?.. — რა სათქმელია, დამწიფება ენება, და გამისპინძლება ენება დარბაისელთა, კბილები რო გადასცვეფოდათ, ანთუ პრტოეზი ეგრე ამოგარდნოდათ და დაპბრუნებოდათ პირის უბეში, დიდი ლუკმა ვეგონებოდათ, დიდი ,უხარშელი, გაუღეკავი. ეშმაკობა რა სათქმელია, სად ეშმაკი და სად დაღლარაო, — დარგო ღმერთიკითა და არ აუკრძალავს ღმერთიკითა, არა, არა, არ აუკრძალავს.

ოთარ ჩხეიძე
ოჯრ ეტიუდი

და არ ივარგებდა ის სათაური, — ეიდი ეშმაკი და პატარ ეშმაკიო, — აი, ჰო ჰნეადავ, არ ივარგებდა; და ვარჩიე — ისევ დაღლარაი, „ისევ“ იმიტომა, ერთხელ რო უკვე დავწერე დაღლარაი; მაშინ შემომწყრა, აღარ მიცინოდა, რო შემომხვდებოდა, თვალსაც მარიდებდა, გაგიმარჯოსო, მომიგდებდა ძაღლუმადურადა თუ არ მოვეშვებოდი, რაღა თქმა უნდა, თუ არადა, სალამიც აღარ ემეტებოდა ჩემთვისა, — ვიდაცა ალბათ ცუდად მოუყვა, ცუდად აუხსნა. რა ჩემი ბრალია!.. მერე შევრიგდით. ახლა არ ვიცი თუ რა იქნება, კვლავ თუ შავი კატა გაირბენს ჩვენს შორისა, ანთუ მერცხალი იპიკჩიკებს, — არ ვიცი, რა იქნება!...

ჰოდა, რაც იყო თუ რაც იქნებაო, რა ვუყოთ, მიეყვებით ბეღისწერასა:

ეს აქ იცინოდა-მეთქი, იცინოდა სიცილითა მოლოდინისა: აი და ალბა, მოიჭრეგიან, მოდი, მოგვეხედეო, ესეც მიჰხედავდა, რაღა თქმა უნდა, მივიდოდა და მიჰხედავდა: — ქოფაკს ააგლეჯდა, ღვიტას ააგლეჯდა ქოფაკსა, დაფლეთილსა და დალოდნილ ღვიტასა, ააგლეჯდა და აიტაცებდა ცალი ხელითა, აიტაცებდა ქეჩოთი ქოფაკსა, მეორე ხელით ღვიტას ასწვედა, აიტაცებდა ქეჩოთი იმასაცა, აიტაცებდა და შეატყუპებდა, გაუგანებდა და შეახლიდა ისევ ერთმანეთსა, — აი სერი ეს იქნებოდა, აი და ალბა, აი და ალბა... მაგრამ ბრალ, არ გამოვიდა სერი იგი, სხვა რამ სერი მაინც გამოვიდა: ისევ გასხვიბა მბალი ღვიტამა, ბრტალი მიუყარა ი ნაგეშ ძაღლსა, მბალს შემოექნა და ზედ ასრიალდა; ძაღლი მანამდე დაიძმობილა, ეფერებოდა, ეწერუპუნებდა, მიჰქონდა პური დოში ჩამბალი, ჩამბალი და გაფუებული, — დაიძმობილა და დაიმეგობრა, საბედისწერო იმა წუთებში ბრტალა ბრჩია, საღრღნელი ამჯობინა, საწუნი ამჯობინა, ამჯობინა და არც მოტყუვდა, — გასხვიბა, გაშვლიბა, შემობდღვნა მბალი... დაღლარა მეტრიდა თავგადაგდებული, მეტრიდა და ელოდა, იცინოდა და ელოდა.

იქით გოგონები ტკრიაცობდნენ, ტკრიაცობდნენ დამკრახული გოგონები, დამკრახული იმა მბალივითა, მბლის კუნწულები ეკიდათ ყურებზედა, თმაშიც გაებნიათ მბლის კუნწულება, თმაშიცა ლუოდა, ლუოდა, ლუოდა მბალი, შავ თმაშიაცა, წაბლისფერშიცა, ოქროსფერშიცა, ლუოდა, ლუოდა სხვადასხვაგვარადა, ერთიმეორეზედ უფრო ლამაზადა, ერთიმეორეზე მიმზიდველადა. დაიფხორებოდა იქვე ღვიტაი და მერე როგორ დაიფხორებოდა! იტყოდი, ესაა, სწორედ ესაა, ცა ქუდად ვისაც არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო. ცერსაც გადაიგდებდა მხარზედა ღვიტაი, მოიცათ, მოიცათ, გაუგონეთ დაღლარასაცაო, გაუგონებდნენ ორიველასა და ტკრიაცებდნენ და ტკრიაცებდნენ იგი კუნწულა, კუნწულ-კუნწულა, ჯაზზე გაზრდილი თუ გაწაფული გოგონები, ტკრიაცებდნენ და ტკრიაცებდნენ.

მერე და რაო, იცინოდა დაღლარაცა-მეთქი.

მერეც იცინოდა, მერეცა, ცხადია, იცინოდა და ისე მეუბნებოდა: ძაღლიც სანღო აღარ არისო; და თუ დარგავ, უნდა დარგო იმდენი მაინცა, სოფელს რო ეყოსო, თუ არაო და, წაახდენ სოფელსაო, — ამასაც დაღლარა მეუბნებოდა.

ღმერთიც ვერ იტყოდა ასე • კარგადა, ვერა, ვერ იტყოდა, დაღლარა მაინც ღმერთისა გახლავთ, უფრო ღმერთისა, ეშმაკს ამასთან ხელი არა აქვს.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეყო ნათელი ყვავიადს. თბილისური ქრონიკები

შესავალი

ჩემი ჩუქურთმის სათავე,
შენი ჭალა და ველია,
ყანები მოვათავთავე,
ხვალ სათიბები მელიან.
ცხრა სალამური გავთალე,
ცხრანივ თავისით მღერიან,
მეორე ცხრა რომ დავთვალე,
ლერწმის და ლერწის ღერია.
ცხრაი ძმაი მყავს, ცხრათავე
მთესველია და მხვნელია,
ჩემი თოვლი და ზამთარი
არვისთვის გამიმხელია.
ძაღლივით ვწევარ კართანა,
მწოლიარესაც მდევნიან,
ვაი, ქვეყანა გამთბარა,
მე გულში სისხლი მდენია.

გახსენება შორიდან

ახლა შორსა ვარ,
უცხო ფრინველს ვუახლოვდები,
ვუახლოვდები, ესე იგი
უმალ ვცხონდები.

ვინ მოესწრება
არვინ უწყის
გამოზამთრებას,
მხოლოდ შორიდან,
გახსენებაც და მონატრებაც.

გამახსენდები,
ლისის ტბიდან გამახსენდები,
ნენ ჩემთანა ხარ,
წვიმა მოდის,
არა ვსველდები.

მომენატრები,
შინდისიდან მომენატრები,
და შინდისიდან
კრწანისისკენ მოვემართები.

მომაგონდები,
კრწანისიდან მომაგონდები,
ორთაჭალისკენ სიმღერები
მომაქვს გოდრებით.

მომენატრები,
ორთაჭალით მომენატრები,
ბურუსში ჩანან
ბროდვეები და მონმარტრები.

შორით რომ მოსჩანს,
ნათელია, ცეცხლი კი არა,
ათასი ციცკრით ანთებულა
ვერცხლის ფიალა.

II

სანამ გნახავდი
ჩემს საკუთარ
სხეულს ვტიროდი,
ღმერთი კი, ღმერთი, —
იმღერეო, მეხვეწებოდა.
მე, უმამულო,
შენს გაყიდულ
ბელტებს ვტიროდი,
ღმერთი, კი ღმერთი, —
იმღერეო, მეხვეწებოდა.
არც ვიყავ გლეხი,
არცა მონა,
არც ფეოდალი,
არ მქონდა მიწა,
რაც არ მქონდა
იმას ვტიროდი,
ვიყავ იაფეტ,
ვიყავ ლუკა,
ვიყავ იროდი,

ღმერთი კი, ღმერთი,
იმღერეო, მეხვეწებოდა.

II

ო, ღმერთო ჩემო,
რა სიამეს მოგგვრი
სიმღერით,
სასოწარკვეთილ უდაბნოში
შემკრთალი ღამე,
ვით მარმარილო
ისე მაწვეს
უსუსურ მხრებზე...
— ღმერთი კი ღმერთი.
იმღერეო,
კვლავ მეხვეწება.
ო, ღმერთო ჩემო,
რა ვიმღერო
გაუვალ ტყეში,
რა ჰქვია ამ წყალს
ან ამ ყვავილს,
ცისფერს, მთრთოლვარეს?
იქნებ, სურვილი,
იქნებ, სევდა,
იქნებ, სიმთვრალე?
სამარესავით უსულთგმულო
არის შენი ტყე.
ან მე ვინა ვარ
ლურჯო მთებო,
ელვარე წყალო,
რა სასწაულით
ან რა ჟინით
დამიმახსოვრეთ?
უზენაესო მწვერვალებო
და ქარიშხლებო,
მითხარით ვინ ვარ,
ვარ სიზმარი
თუ სატკივარი?
ღმერთი კი, ღმერთი,
იმღერეო,
კვლავ მეხვეწება.

III

ამაღლდი ზეცად,
დაიფარე ბრწყინვალე ღრუბლით,
მე თაყვანსა გცემ
შენ, ამაღლებულს...
ვ დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბ.
ჩვენ გამოვყარეთ
ურწმუნონი
შენი ტაძრიდან,
სულით მოვაკრე ავაზაკნი
მტკვარს გავატანეთ,
ვ დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბ თ —
გ ა მ ო ე ყ ო ნ ა თ ე ლ ი წ ყ ვ დ ი ა დ ს.

IV

არამქვეყნიურ, შორეულ და
ზეციურ ეშხით,
მთლად დამავიწყე
ვინც მიყვარს და
ვინც მყვარებია.
მიბრძანებია,
ამ წალკოტში,
ამ სამოთხეში,
ცხე-ქალაქის გაშენება
მიბრძანებია!

V

შენ სიხარული არ გაცალეს,
მარადის გდევდნენ,
გშლიდნენ, განგრევდნენ,
უფსკრულში გჩეხდნენ,
რწმენისა გამო,
სიმღერის გამო,
მქუხარებით აშენებულო.
არაბი გცემდა,
ელვის მათრახით
გცემდა არაბი,
წერდი „შუშანიკს“
სისხლით, ცრემლით,
დავიდარაბით.
ძველ ბუხარს ჰგავდი
როცა გწვავდნენ,
გამომქრალ ბუხარს.
მტკვარმა წაიღო,
ვინც იდეღლა,
ვინც ჩაიმუხლა.
შხამსაც გასმევდნენ,
სამსალასაც,
გწირავდნენ მსხვერპლად.
ვახ, რა რტოები
უნუგეშოდ
ჩამოისხვეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

თითქოს, ო თითქოს
ბეწვზე ვკიდივართ,
ვიწირებით და
არც ვიწირებით...
შეხედე შორით,
შემფოთებით როგორ მიდიან
შურისძიების ნათელი გზები...
ვინ გააქცია ნუკარდინის
მზერა ბოროტი?
— ვინ და თამარმა.
— ან ვინ გაჰფინა
ვეფხვის ტყავი
გრძნეულ მიწაზე?
— ვინ და რუსთველმა.
თამარის თბილისს,
რუსთველის თბილისს,
აუსია ფარსკვლავებით
ლამაზი უბე
და დაფრინავენ
ნაზი ფრთებით ანგელოსები.

VII

ამაღლდი ზეცად,
დაიფარე ბრწყინვალე ღრუბლით,
მე თაყვანსა გცემ
შენ, ამაღლებულს,
ვდღესასწაულობ,
გამოეყო ნათელი წყვდიადს.

VIII

ჰოი, მთაწმინდავ,
სადღეგრძელოვ
და გამარჯვებავ!
შენა ხარ იგი,
რაც კი ცხოვლად
სულს დააჩნდება.
შენი მზის სხივებს
ჩუმად ვკოცნი,
— სხივებს თიბათვის
და ვევედრები
ცაში ღმერთებს,
მონა იმათი —
რათა მიცოცხლონ
ჩემი კერა,
ჩემი მორევი,
ჩემი ქურციკნი
და ყელყელა ნიამორები.
სიცოცხლე ჩემი
და წისქვილი
წყალდაწრეტილი,
წარსული ჩემი,
ჩემი ბოლო,
ჩემი წერტილი.

IX

ათასხუთასი წელიწადი,
ათასხუთასი,
ისე ვით სხივი
დღეს მოსული
ატანს გუთანში.
გაჟღენთილია იგი ცრემლით,
სევდით, ოცნებით.
სიძულვილით და
სიყვარულით
ძველი მგოსნების.
მზის ყოველ ლერწამს
ბულბულები დაუხუნძლია,
მაგრამ სიმღერას
შენი მიწა ვერ გაუძღია.
კვდებოდი,
შენივ უკვდავების
წყაროს გასხამდი,
ახლა მეტეხთან მტკვარი გდია,
ვით გორგასლის წამოსასხამი.
მე ჯერ შენსავით
არც არავინ არ მყვარებია,
ამპარტავანო,
მეოცნებე შენი თვალები
მტკვარში ჩაყრილი ვარსკვლავებია.
ხოლო ზეცაზე ბროწეულები
ყვავიან ყვითლად,
კრწანისის ველზე
მილიონი ყაყაჩო ყვინთავს.
ჰოი, მთაწმინდავ,
დაუხლეჩიათ ბროწეულები,
თბილისისათვის მოუპნეავთ
მილიარდი ბროწეულის
ყვითელი მძივი,
ათასი აცმა,
ათასი ბალა,
ასიათასი გაბმული მძივი,
ასიათასი ქარვისფერი
კრიალოსანი...
და ჰგავს ნაძვისხეს,
სამშობაოდ მორთულ ნაძვისხეს,
ღამით თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

სალამი რუსთველს,
პროსპექტს რუსთველის,
მე ვცხოვრობ შენი
ლოცვა-კურთხევით.
ბოლნისის ტუფი მზისფერია,
გუგუნებს ტუფი...
ლოცვა-კურთხევა გამოსჭვივის
გუგუნში უფლის.
ქართული ტუფი
ხოხბის ფრთებზე
უფრო ნაზია,
უფრო მსუბუქი
და მხურვალე,
ვით ფანტაზია.

XI

ვარაზის ხევით...
სიჩუმეა, დიდო ტაძარო!
ვარაზის ხევით...
გევედრები,
თეთრო ტაძარო,
„ტანო, ტატანო, თვალწამტანო"
და პატარძალო.
შენი გუმბათით
სივრცეებში მივექანები,
შენი სახელით,
შენი ხატით,
შენი მირონით,
ახლადშობილი
განთიადის
სანაპირონით.
თეთრო ტაძარო,
გამაგონე, შენი გუგუნი,
რადგან შენა ხარ
ენერგიის ჩვენის გვირგვინი.
შენს ძვირფას მამას
დარდი წაპყვა შენი კედლების,
შენი ნერგების,
შენთა ლეკვთა შემოქმედების.
ს უ ლ ა გ ე რ, ა ხ ლ ო ს,
წ ი წ ა მ ურ თ ან ი ქ უ ხ ა თ ო ფ მ ა,
სულ აგერ, ახლოს,
საქართველოს ეტრია ყოფა.
ის წიწამური დღესაც ასე
გვემდუღარება,
მაგრამ ილია
ნათელსა ჰფენს
შენს მწუხარებას.
ვარაზის ხევით...
გაუმართავთ სტვენა ჩიტუნებს,
ვარაზის ხევით,
მორიდებით დადის სიჩუმე.

XII

ო, ნელა მოდის,
ღრუბელივით ტაატით მოდის,
დიდი ქართული ხელოვნება
ფასადებიდან...
სრულყოფილი და შერწყმულია
მშვენიერება
შენი, თბილისო.
ჰოი, კაზმული ფასადებიდან
ღრუბელივით ტაატით მოდის
მშვენიერება.
ოპერის ბაღში
გულგაღეღილი ბულბული მღერის, —
— მხოლოდ შენს მიწას მიმაბარე
დედაშვილობამ...
წყნარი სიმღერა
აღტაცებით ეფინება
ხეებს, შადრევნებს,
ჩიტებს, სართულებს,
ადამიანებს,
იარუსებს და
სევდით სავსე ოპერის გამზირს.
ჩვენ აგაშენებთ,
ანგელოზების ფრთით მოტანილს
დაემსგავსები.
კვლავ აჟღერდები
სიყვარულის ფერად მინდვრებზე.

XIII

დროშაჩამოხსნილ
ძველი შტაბის
ნაცრისფერ თაღებს
ზედ დასცემია
ლურჯი ჩრდილი
უნივერმაღის,
პატარა სკვერებს,
პატარა ბაღებს,
კვიპაროსებზე
აუნთიათ
გული მებაღის.

„მირბის, მიმაფრენს
უგზო-უკვლოდ
ჩემი მერანი“,
მე გყავდე გვერდით,
ღვინოს ჩემი
ხელით გისხამდე,
ქართველის დედაო,
შენი მზე და
ოქროს ჩქერალი,
აწ და მარადის,
ბებერ თბილისს, —
უკუნისამდე.

XIV

შეხეთ? ლამაზი ამბებივით
მოსდებიან ძეგლები თბილისს.
ცისფრად ღამდება,
ვარდისფერად თენდება დილა
და გათენებულ აზროვნებას
მოუხმობს კაცი,
რათა ამენდეს
უწმინდესი ქალაქი ჩემი.
ხმაურობს ქუჩა,
„ასე ხმაურობს პოეზია,
ვეფხვი და ქარი“...
გალაკტიონი მობრძანდება,
„დროშები ჩქარა“, —
გამოეყო ნათელი წყვდიადს!

XV

მოვვლე ფლანდრია,
ვენეცია,
მოვვლე ავსტრია,
ხეობა ვნახე
სამარყანდში —
ზარაფშანისა.
ტარკვინიუმის სამარხეშში
მღერენ ეტრუსკნი,
ვეიეს ტაძარს
შესევიან ქანდაკებები.
მაინც ცალკეა
ჩემი თბილისი,
საკუთარ თავს ჰგავს,
იგი ყოველდღე იბადება,
დიახ, უმზირეთ?
გამოცსადებას ჰგავს თბილისი,
გამოცსადებას,
რომელსაც მოაქვს
რწმენა, იმედი,
დიახ, უმზირეთ?
გამოეყო ნათელი წყვდიადს.

XVI

კარგა ხანია
მთვარეს გაჰყვა
ოქრო და ვერცხლი,
სამი მერცხალი
ამოფრინდა
ბუდიდან მერცხლის.
რიბი-რაბოზე
ლურჯად ჩანან
თეთრი ჭადრები,
ქურთის ლამაზებს
შვენით ჩადრები.
გამოჩნდა
ჩვენი რწმუნებულიც,
ძველი ნაგანით,
ეზოებიდან
წუხანდელი
გააქვთ ნაგავი.
რიტას ნაგვისა
ვერ გამხდარა
მენაგვე ღირსი,
რიტა პირდაპირ
ზევიდან ისვრის.
დანარჩენები
გამოსულან
პენუარებით,
ერთი მათგანი
ავტორია
მმუარების.
ხოლო მეორე,
ჩვენ რომ ვიცით
ისეთი „ძველი“,
მოდის და დასთრევს
კოჭებამდე
პერანგი გრძელი.
სულ ერთ საათში
დაგვადგება
ნათელი ზეცის,
სულ ერთ საათში
კოსმეტიკა
ყველაფერს შეცვლის.

სულ ერთ საათში
გაიხსნება
მათეს ჯიხური,
დაიქუფება მერე ერთად
ათი „ჟიგული“.

XVII

წმინდა მიწიდან ჩამოგიბრძანე
ძვირფასი ნეშტი შინმოუსვლელის,
უფრო იმძლავრებს,
უფრო იმძლავრებს,
სახელოვანი სიტყვა რუსთველის.
ზურაბი ჰქვია,
ირაკლი ჰქვია,
ვახტანგი ჰქვია,
ჰქვია იაკობ,
ვერცერთ სახელში
ვერ გასჭრა ტყვიამ,
უფალმა თვისი
ყველას მიაგო,
სასწაული,
გამოეყო ნათელი წყვდიადს.

XVIII

ირგვლივ სიმწვანე...
გწყალობს ქრისტე,
გწყალობს ალაჰი,
ახალ გაზაფხულს
ბატკანივით მისდევს ბალახი,
ბალახს მისდევენ ბატკნები და
მღერის თბილისი
და ღაწვებს უშენდს ანგელოსებს
ძუძუ ირმისი.

XIX

ესეც დიდუბე,
მძინარე და დაუძლეველი,
აქ მწუხარებას
მშვენიერი ფარჩა აცვია.
მიუწვდომელი მოტივივით
მაწვალებს მუდამ
მიახლოება საფლავის ლოდთან.
სალამი გულდას,
სიყმაწვილეს
და ფოთოლცვენას,
სალამი გულდას,
მოგონებას
და ფანტაზიას.
აქ სძინავთ სიზმრებს
გამეტებულთ
და გულგაპობილთ,
აი, სადაა
ერთობა და
თანასწორობა.
თავდავიწყებით ვიგალობე
27 აპრილს,
ვაშა გაზაფხულს,
სიმძაფრეს და
მშვენიერებას...
ვერ ვაპატიებ
საკუთარ თავს,
არ გამახსენდით,
გუნებაშიაც
ვერ ვსთქვი თქვენი
შესანდობარი.
ეგ არაფერი,
როცა მოვალ გამისწორდებით...
მიუწვდომელი მოტივივით
მაწვალებს მუდამ,
მიახლოება საფლავის ლოდთან.

XX

აი, ქაშვეთი,
სამთავისის უმცროსი ძმაი,
რა რიგად შვენის
ქაშუეთის ბაღს შემოდგომა,
ქარმა მოხვეტა ფოთლები და
მიაჩუქურთმა ყვითლად ქაშუეთს.
ეს შემოდგომაც არასოდეს
განმეორდება.
სულ სხვანაირი შემოდგომა
იცის თბილისში,
ყმაწვილის სიზმარს
უფრო ჰგავს იგი
ვიდრე ოქტომბერს.
სულ არ იგრძნობა
განწირულება,
თუმც მწუხარება
გასდევს ზოლივით
და ეფიქრობ ზოლზე,
ზოლზე, რომელზეც
ახლადშობილის საფენლებივით
გაფენილან სველი ფოთლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI

ავჭალასთან ჩამოვმხტარვარ,
მარცხნივ გავალ პლატფორმის,
ტირიფები ჩამომსხდარან,
როგორც ძველი სატრფონი.

ყველაფერი მარცვალ-მარცვალ,
ავჭალიდან იწყება,
გამოსულა ბერიკაცი
მზის სხივებს ეფიცხება.

გამოსულა თეთრი გოგო,
თმები დასთრევს ბალახებს,
ეს თუ ღობეს გადავევლო,
კაბის კალთას დაახევს.

ლოცვასავით ძვირფასი ხარ,
მაგრამ მაინც მტრები ვართ,
თითქოს სადღაც მინახიხარ,
თვალში ჩაგშტერებივარ.

კვლავ მივყვები მატარებელს,
თბილისისკენ მივყვები,
ო, ძვირფასო, თუმც ვიყრებით,
ვერასდროს გავიყრებით.

როგორ გელოლიავები,
როგორ გემშვიდობები,
გაქცეულან ქლიავები,
გაქცეულან სოფლები.

XXII

საბურთალოზე
ჰყავიან ბლები,
ბლებში ცხოვრობენ
ქართველი ძმები,
თვითონ ამბობენ, ერთმანეთის
მტრები ვართო, დაუძინარი,
საბურთალოდან
ვარსკვლავივით
მოსჩანს მყინვარი...
ეზოს გადაღმა
ყოველ დილით
ჩხუბობენ ქურთნი —
მურაზას ცნობენ,
პაპამისის,
აზიზას კურტნით.
მეშვიდე შვილი
მოუნათლა
მურაზას ნინომ,
მურაზამ
ნინოს ქმარს მოართვა
ცხვარი და ღვინო.
ქურთი მურაზა
ჩვენი უბნის
საძმოს წევრია,
დღეს მისი შვილი
ციცაშვილის
გვარზე სწერია.

XXIII

ეზოს გადაღმა
კაცი ცხოვრობს,
პატარა კაცი,
ისეთი ჭინჭყლი,
რომ არც ერთ კაცს
არ ეკადრება,
ლოთს მითუმეტეს.
ლოთ კაცს,
საწყალ კაცს,
ჭინჭყლის თავი
არ უნდა ქონდეს.
„ავტორიტეტით
ვერ სარგებლობსო“, —
ამ კაცზე ამბობს
ბატონი ვანო,
პროფესორი,
ძველი მარქსისტი...
ეგ ჩემი ქმარი არ იყოსო,
ისემც რა ვუთხარ,
მეხიმეკი მაგას დავაყარე —
ამბობს ვარდუა
და მატყლსა ჩეჩავს,
ამის ბეწვათო არა ღირსო
ეგ უბედური,
ხოლო ზურია,
ამ ლოთის შვილი,
ხატივით ბიჭი,
ოცდაორი წლის
პირმშვენიერი არის ჭაბუკი.
არწივის ფრთებს შლის,
როდესაც მიდის,
მეოცნებე კაცის თვალებით
უყურებს ზეცას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატავს ღვთიშობელს,
ლურჯა ცხენებს,
მეწამულ დროშებს,
მთებს, ნაკადულებს,
მთვარესა და
ვარსკვლავებს ხატავს.
„—სასწაულია,
რა გენებით გამოგვეცხადა“...
ამ ბიჭზე ამბობს
ბატონი ვანო,
პროფესორი,
ძველი მარქსისტი.
საბურთალოზე
ჰყვავიან ბლები,
საბურთალოდან
ვარსკვლავივით
მოსჩანს მყინვარი.

XXIV

თაბორიდან შენიღბული
ნისლში მოსჩანს სამგორი,
ვაიმე, სიმონ, ჩემი გული,
სიმონ, ჩემი ჟარგონი.
სადღაც ბნელში დუქანი ჩანს,
როგორც თაგვის ხაფანგი,
მართლა მღერის,
თუ გაგიჟდა —
„რეელ როუდ გრანდ ფანგი“,
მეედანში თელიანით
ჭიქასავით ვივსები,
ბაცი ზეცა ფერი არის
გახეხილი ჯინსების.

XXV

გულის ხმისყოფით ვეუბნები
საკუთარ თავსა:
უფსკრულსა შინა აღმადგინე,
მაშორე ავსა.
ნუ განრისხდები
უძღებსა და ცოდვიელსა ზედა,
ჩადი მთვარედ და
ამოდი მზედა.
იყავ მფარველი
სულთა ჩვენთა
და ხორცთა ჩვენთა,
ქაშუეთიდან, დიღმის გავლით
წასულხარ მცხეთას.

უშფოთველობა მომანიჭე
სულს უმოძღვარე,
რამეთუ შენ ხარ
მრავალმოწყალე.
გამოლევია ძველი სიმხნე
მამაო, შიოს,
მაინც და მაინც
არც აღდგომა
ატყვია სიონს.
გვერდზე კი სკვერში
გააქვთ ჩხრიალი
იუდას გროშებს...
სასაცილოა,
ოქროს ჯვრებს ყიდის
თიმთიმა მოშე.

XXVI

ნატას სახლში, კუკიასთან,
ძმაკაცური „პოკერია“,
იგონებენ ტუპიას და
იგონებენ ბოკერიას.

ტუპია ღმერთს კარგადა ყავს,
დგას მაიაკოვსკივით,
ცხრას ჩვენნაირს გადაყლაპავს,
მღერის გულამოსკვნილი.

წკრიალებენ სტრიქონები,
წკრიალებენ მონეტები,
მდიდრულ სუფრებს იგონებენ,
გაღლეტილი პოეტები:

რა ვნებით და რა სიმღერით
ჩაახვევდნენ ქართულებს, —
„ბიჭო, იქეთ გასწი ხელი,
ხელებს ნუ მიფათურებ“.

სადღეგრძელო ჩაითქმება,
ფეხზე დგება თამადა,
„სიყვარული არ იქნება,
არ იქნება ძალადა“.

„მხოლოდ შენ, ერის,
რაც რომ ჩემთვის“,
ჩემისთანა მწირისთვის,
მერე ერთი იტყვის „ჩეთვრით“,
სადღეგრძელოს თბილისის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წკრიალებენ სტრიქონები,
წკრიალებენ მონეტები,
მდიდრულ სუფრებს იგონებენ,
გაღლეტილი პოეტები.

ღამე ძველი ნიაღვრებით
ჩავხერგეთ და ჩავყორეთ,
თურქულ ყავას გიასლებით,
ზედ „ვარციხეს“ ვაყოლებთ.

XXVII

ღვინით და თაფლით
გავსებულან შენი ბაზრები,
ღვინის და თაფლის
სუნი ასდის
შენს შემოდგომას.
ბაზარში მუქთად იყიდება
ხალხის ყაყანი,
სამაგიეროდ, ცვცხლის ფასად
ყიდიან ყვავილს.
მთავარ ჭიშკართან
შიბაქებს და აკვნებს ყიდიან...
ვვება კასრთან ჩაცუცქული
კარდენახელი
წითელი გახლავთ,
თვალებიანა გახლავთ წითელი,
ხოლო ცხვირი,
ინდაურის კუჭის ფერი აქვს.
ნუნუას წითელს,
ყლუნწავს და ყლუნწავს,
აქაო და ჩემი არისო...

●

გუგუნებს ჩარხი,
სარალიძის გუგუნებს ჩარხი...
მაჩაბლის ქუჩით მობრძანდება
დიდი პოეტი...
ეტრფიან თეატრს,
ხოლო თეატრში,
გავკასიური ფეთქავს
ცარცის წრე.
მხოლოდ გრიგალში შეიძლება
ერის შენება,
მძულს გარინდება,
გარინდული
ზურგი ვეშაპის.
მთავრდება დღეი,
ნერვიული და დაძაბული,
დაღლილ თბილისელს
ეწქარება წმინდა ტაძარში,
სადაც დახვდება
სიმშვიდე და მშვენიერება.

XXVIII

ახლა რას ნიშნავს
აღარც კი მახსოვს,
რადგან ის სიტყვა
ისე არ ფასობს,
როგორც ფასობდა
მაშინ, ოდესღაც,
ოდეს, ციური
წყალი მოგვესხა,
ოდეს თხუთმეტი
წლისა ვიყავით,
ოდეს ვიტირეთ
და დავიპყარით...
ახლა ის სიტყვა
ჩემთვის სიტყვაა,
რომელსაც ვიცნობ,
რომელიც მიყვარს,
მე ახლაც
დიდი ტრფობით მიყვარან,
მაგრამ ვერ ვამბობ
იმ ლამაზ სიტყვას.
იმ სიტყვას დღესაც
ვერავინ ამბობს
და მორიდებით
სწერენ კედლებზე,
მეც ანკესივით
გასროლილ ამბორს,
ვზიავარ და ვუცდი,
როგორც მეთევზე.
კედელს ამშვენებს
თეთრი ყვავილი,
ის სიტყვაც სულში
უცვბ ჩამესმის
და ბავშვის ხელით
გამოყვანილი,
ზეიმობს სიტყვა
უზენაესი.
გოგო და ბიჭი,
გუნდი და გუნდი,
რა გული იტკივს
კედლის სიხარულს,
მაიკო+მამუკა უდრის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულს,
განუწყვეტელ სიყვარულს...
ვეღარ იტანენ
უკვე საზომებს
ჩვენ „განუწყვეტელს“
არასდროს ვწერდით,
მსოფლიოს ყველა
სადარბაზოებს
შეშურდებოდა
ამ კედლის ბედი.

XXIX

ისე ვით ბაღში
გაყინული
ცისფერი სკამი,
დგას 1943.
იმ დღეზე ვფიქრობ
და არ ვიცი
დღეს რას იტყვიან,
მე რასაც ვიტყვი
ნაღდია და
ჭეშმარიტია.
რა დროც არ დადგეს,
რა დროც უნდა
გამოიჭედოს,
კვლავ თქვენზე ვფიქრობ,
ძველო ძმებო,
ძველო ბიჭებო.
შენ ვერ გაგყევი,
ვერც შენ გაგყევი,
არადა მსურდა
რომ გაგყოლოდით.
გადაჭრილ ნერვზე
თქვენი ნამყნევი,
გინდა არ გინდა
გამყვა ბოლომდი.
არცა ოჯახში,
არცა სკოლაში,
არც „ელერზეში“,
არცა „დეპოში“,
მხოლოდ ძრწოლაში,
მხოლოდ წყრომაში,
მხოლოდ ჩხუბში და
მხოლოდ დებოშში.
დიახ, მე მსურდა
და ვერ გაგყევით,
მე თქვენი „მასტი“
არა ვყოფილვარ,
მაგრამ გადაჭრილ
ნერვზე ნამყნევით,
მეც თქვენი ქუჩის
მტვერში მოგფრინავ.
თუ ყურს დაუგდებთ
წუთით ურბანიზმს,
თუ დაუჯერებთ
ფესვსა და მერქანს,
თქვენ შეინახეთ
ჩემი უბანი,
ჩემს უბანს
თქვენი სახელი ერქვა.

XXX

ფიქრის გორაზე პატარა გოგო
აძოვებს ხბოსა,
დახრიგინებს კასრიან ცხენს
მენავთე ქოსა...
დღეს, როცა სახლში
მუშა-კაცი
ღამეს ვერ ათევს,
ყველაზე კარგად
ცხოვრობს მენავთე.
ფასი არა აქვს
ქაღალდის ფულსა,
მეპურეც ბლომად
იპარავს პურსა.
ბევრი აქვს თბილისს
გასაძლისი, გასაჭირისი,
მაგრამ მშვიდობის
მოლოდინში
ცხოვრობს თბილისი.
არ სძინავს თბილისს,
მტკვარსაც ერთი
ძილი სწყურია,
ეს გახსენებაც
ძველია და
თბილისურია.

XXXI

აი დადამდა,
თვალზე რული
გადგა მძივებად,
შენც დაიღალე,
შენც გეძინება.
ჩაეხუტება ისარი ისარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეკავს თორმეტს
და ცხელ თონეში
ჩაეკიდება თეთრი რაჭველი...
ნუ მოგიშალოს პურის მადლი,
ჩემო ბებერო.
წყალს წაუღია
სხვა დანარჩენი.

XXXII

გაგვაღვიძებენ ალიონზე
დიდი ქარხნები,
ლურჯი სინათლით
შეფერილი ჭადრისხეები
გაადვიძებენ ოქროს ჩიტუნებს...
დილაადრიან, მაჩაბელზე
პატარა წუმპე
უჩოქავ ხაშს გავს,
სწორედ ისეთს — —
ავლაბარში რომ აკეთებენ.
ეჰ, აღარც ჩლიქი,
არც უღელი
და არცა ფაშვი,
დახურეს ყველგან,
ევტუშენკოს
ლექსს შერჩა „ხაში“.

XXXIII

მოიკრიალა,
მოსჩანს ყაზბეგი —
ძმა იალბუზის,
თბილისის ზღვა
გადარჩენილ ტალღებით მღერის,
რაც ლამაზია
იმაზე მღერის.
გადაუქროლა ტუ-ასოთხმა
ზღვას განწირულად,
კვალი დასტოვა,
ცოტა ხანში ის კვალიც გაჰქრა...
გ ა მ ო ე ყ ო ნ ა თ ე ლ ი წ ყ ვ დ ი ა დ ს.

XXXIV

ქემერტელიძის აფთიაქთან
კვირა დღე იწვის,
თავისუფალი,
ფერმკრთალი და
ეშხით ნაძერწი.
სალამი ვერას,
დათოს და მერაბს,
კოკას და თენგიზს,
გლდანიდან მოჰქრის
ნიავი თემქის.
სოლოლაკიდან
ნიავი კოჯრის.
ყმაწვილი მოდის,
თმები აქვს პიპის,
ყადრი არ იცის
ნამდვილი ქოჩრის.
პეტრიაშვილით მოდის ოთარი,
მოაქვს ღადარი ცხელი მკათათვის,
ნახინკლავები და ნაღოთარი,
თვლემს ტანც-გეურქას ძველი სარდაფი.
კუთხეში ყრია „სტალინჩის“ ტარა,
ჩვენს ლიტრიანშიც თეთრი ასხია,
აქ სამსონაძის გაყოფილ არაყს,
სულ სხვა ეშხი და
სულ სხვა ფასი აქვს.
დაგუბდა, მერე ერთად აღზევდა,
სმით, სიყვარულით,
კითხვით და წერით
და სხვათაშორის, მე გამახსენდა
ცხრაასორმოცდათერთმეტი წელი...
მე რომ სიყვარულს
მისას ვუმღერდი —
თბილისისათვის არ მიმღერია.
იმ გაუმხელელს,
მას რომ ვუმხელდი,
არავისთვის არ გამიმხელია.
სოლოლაკიდან წამოსულ ქარებს,
მოჰქონდა მისი სუნთქვის ნიავი,
ეზოში ბალი ხარობდა მწარე
და ერთადერთი შავი ქლიავი.

XXXV

გაღმა ნაპირზე
გადამიხტა
ხიდი ცხენივით,
მე აქეთ დავრჩი
უჩინარი
და მოწყენილი.
სულში მეზრდება
შენზე ფიქრი
როგორც მცენარე
და ტალღებს მისდევს
ჩემი სული
მოუსვენარი.

ტალღებთან შებმას
ანგელოსო,
მე არ ვაპირებ,
ჰოდ, ნაპირნო,
ვეწაცვალე
მე შენს აპრილებს.
დაგემშვიდობო,
გავყვე ტალღებს,
იქნებ დროც არის.
იქნებ ქვეყანა
მელის უფრო
გასაოცარი.
აფსუს, მეტეხო,
ვერა ვსთქვი და
გულში გავიოლე,
პროჟექტორებით ანათებენ
ჩამქრალ აივნებს.

XXXVI

აქაც შევჩერდეთ,
მუსიკოსთა მყუდრო ქუჩაზე
თითქოს ხმაურობს
გაზაფხულის ლურჯი სიზმარი.
მოცარტი,
ფიქრი იდუმალი,
სიყრმის სონატა...
ო, ადაჟიო,
ნელი გახლავთ და მგრძნობიარე.
აი, პირველი მენუეტი,
ცეკვა კოპწია და გაპრანჭული,
ცერემონიალს რომ უხდება
სწორედ ისეთი.
შემდეგ, სწრაფია და ცოცხალი
ღელვა მუსიკის...
ბოლოს „ალეგრო“,
აღგზნებული
და ცეცხლოვანი,
გამჭვირვალება უყვარს მოცარტს,
თავშეკავება,
მთვარის სხივებით
უნაზესი არის ნაქსოვი.
ლიონის მაქმანს ადარებენ
მოცარტის მდელოს,
მოცარტის მდელოს,
ხავერდოვანს
და გამოუცნობს...
მე შენზე ვფიქრობ თამუნია,
მოცარტის ფიფქო,
ჯვარს ეცვი ჩვენთვის,
განაახლე ბუნება ჩვენჩი.

XXXVII

სოლოლაკის „ბოლო აღმართს,“
კვირა დილით ვეახლე,
ზედ აღმართზე ცხოვრობს პაპა,
ალე-პაპა, მეარღნე.
ალე-პაპა წრუპავს შამპანს
და თავისთვის იგაღობს,
გამარჯობა ალე-პაპა,
სამსი წლის ჯიგარო.
— გაგიმარჯოს თითლიბაზო,
მაიყარე ჩემხელა,
ასისა ვარ, სიგარეტი
მამაწოდე, შენ ლხენას.
— ალე-პაპა, შენებური
გამოცანით მომნათლე,
სიგარეტსაც მოგიტან და
შამპანურსაც მოგართმევ.
მაშ, შენ იცი, თუ გაურევ
მწუთხესა და მწარესა,
ალე-პაპა აივნიდან
ამბობს გამოცანებსა:
— წიწაკასებრ წითელია,
თავით ჩხუბობს ლამაზად,
— გამოვიცან, ალე-პაპა,
ჩვენი „რიჟა-თამაზა“.
— ხუთი ცოლი გადაყლაპა,
მეექვსეზედ ფიქრდება,
— ეგ ნამდვილად, ალე-პაპა,
ჩვენი რეზო იქნება.
— თვალები აქვს თევზისა,
სვამს ნავთსა და ბეწზინსა.
„ზეითა“ სწერს წერილებს,
— გამოვიცან ალე-პაპა,
სახელს ნუ მათქმევინებ.
— ტყუპი და ტყუპი დაჰყარა
და ქვირითითვით იმრავლა,
— ეგ ან აზიზა იქნება,
ან და თათარი იმრანა.
— ნასესხები თუმნიანით
დაბრძანდება ტაქსითა,
ცხოვრობს ქვეყნის ამბებითა,
ენგელსითა, მარქსითა,
თუ რამე აქვს, დღეს დახარჯავს,
ხვალინდელ დღეს არ ჩივის,
— კმარა, მეტი აღარ გინდა,

ეგ იქნება არჩილი.
— ფული აქვს და პა, პა, პა, პა,
შამპანსა სვამს სადილად...
— ეგ შენა ხარ ალე-პაპა,
ეგ შენა ხარ, ნამდვილად.
— ვაჰ, სუყველა გამაიცან,
პირდაპირ და შაპარვით,
ჩემს უნცრუა კამოს ვფიცავ,
შენზედ არის შამპანი.
ყველაფერი როგორც ზღაპრად,
რჩება ბოლო სამკელი,
პურს ვჭამთ მე და ალე-პაპა,
ალე, სოლოლაკელი.

XXXVIII

მხოლოდ გრიგალში შეიძლება
ერის შენება,
მძულს გარინდება,
გარინდული
ზურგი ვეშაპის,
ვერა, ბოროტი
კეთილს ვერ ჯაბნის.
ცოტაც გვაცალე,
მატარებელი მიაკივლებს
ვერეს ხეობას,
ბეთანიამდე მიაკივლებს
მატარებელი,
მერე იწყება
გზა და ღრეობა.
იქ სასახლეებს ავუშენებთ
ავაზას ლეკვებს,
დაღესტანიდან მოვიტაცებთ
პიონერ ლეკებს.
გაგახსენდება,
ძველი ვერე გაგახსენდება,
ჩემო ბებერო,
მერე კარებთან გაგიწვებით
რომ გიცერბეროთ.
ათასხუთასი წლისა ბრძანდები,
შენს ვარდისუბანს კი ვენაცვალე,
ათასი გითხარ გულში ნადები,
სასწაულია, რით ვერ დავცალე,
შენს დიდუბეს და
დარცხვენილ დიღომს,
შენს შემოგარენს კი ვენაცვალე.
საბურთალოდან მობრძანდება
დიდი ფშაველი...
ჩვენ გზაზე ვხვდებით
როგორც დიდი დამნაშავენი.
ს ა ლ ა მ ი ვ ა ჯ ა ს,
გ ა ა ხ ა რ ე ყ ვ ე ლ ა პ ი რ ი მ ზ ე
ა ვ ი გ ვ ა შ ო რ ე,
გ ა ა ხ ა რ ე ყ ვ ე ლ ა პ ი რ ი მ ზ ე
მე გეძებ შენ და
ფშავლის მთებში
შენცა მყვირალობ,
არწივი მართვეს
ფრთას უსინჯავს
და აწიაწებს.
აგერ, გაფრინდნენ,
ცის სიღრმეში
შეკრეს ირაო,
ნუ გეშინია,
უსათუოდ
შენი მიასწრებს.
მობრძანდებიან თბილისელები,
მანქანით, ფეხით.
გრილა მეტროში,
ჩემო ბებერო,
ნ უ დ ა გ ი ლ ი ო ს
მ ზ ე დ ა მ ე დ რ ო შ ე.

XXXIX

მე ჩემი დარდი
სადღაც დავტოვე,
სადღაც კი არა,
მშვენივრად მახსოვს:
საათის ისარს
მივანდე იგი,
უთავბოლო
ბრუნვას მივანდე,
მზეს რომ გავს
ისეთ აბლაბუდას
მივანდე იგი.
მწუხრის გამოელვებს
გავატანე,
ასე მეგონა...
ახლა დაღლილი
ვბრუნდები სახლში,
ვარაზის ხევით
ვბრუნდები სახლში,
ვერეს ხეობით...
სასაცილოა,
ბაყაყები ყიყინებენ
ჩემს ძვირფას დარდებს
ჩემს ძვირფას დარდებს

ხავსი ფარავს
ჭაობის ხავსი...
მოკლე კაბა აცვია ვერეს,
მუხლი მოუჩანს...
მიდის თავისთვის,
რათა
მყუდროებასა შინა მისისა
დაწყნარებული
ცხოვრება მქონდეს...
ბაყაყები კი
ყიყინებენ
ღამის წყვდიადში,
მხოლოდ ჩემს დარდებს
ყიყინებენ
ღამის წყვდიადში.
საათის ისარს
რომ მივანდე —
სწორედ იმ დარდებს,
მზეს რომ გავს —
ისეთ აბლაბუდას
მივანდე იგი.
ახლა ბაყაყებს
გაუხდიათ
ნაცნობ მოტივად.
გამომეცხადენ
ღამესა ამას,
რათა მასმინონ
უცოდველი
დარდები ჩემი.
ჰოი, ისწრაფე
გათენებავ
შეწევნად ჩემდა.

XXXX

„აწ აღსადგენად
მოვა სხვა ძალა“...
მოვიდა იგი,
სულ სხვა ძალა,
სხვა ბრწყინვალება,
მოვიდა იგი,
მრისხანე და
ძალგამოვლილი.
ფარული ცრემლით
ნატანჯი და
ალექვებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა იგი,
და გაპფანტა
შავი ღრუბელი
შენ, შემოქმედო
გულუხვობის
და ვაჟკაცობის,
თვალი მიაპყარ
სვლას ‘ერიგალისას,
მძაფრი არის და
მშფოთვარეა
გრძნობა ლოდინის,
ერთგულების და სიყვარულის
გრძნობაც მძაფრია.
ველური სისხლით
თუ გიბედავ
ძმას და ფალავანს,
საბრალო კაცი
ვერ შეგბედავს
ქმპას ძვირფასო.
და თუ ოდესმე
შენი ცხენ
გატყდა შიგნიდან,
მე დამაბრალე,
მეციხოვნე
მე ვარ, რადგანაც.
მეც შენმა მზემ და
მთვარემ დამოალა,
მკერდზე მაყრია
შენი მიწები,
შენ გენაცვალე,
როგორც ჭაღარა,
შენც ჩემი
საფეთქლიდან იწყები.

XXXXI

ამაღლდი ზეცად,
დაიფარე
ბრწყინვალე ღრუბლით,
შენი მხარი ვარ,
შენი თვალი
და შენი შუბლი.
ვდღესასწაულობთ,
გამოეყო ნათელი წყვდიადს,
ალგეთს ლეკვებსა
ისევე წრთვნიან!

1975-1977 წელი

ბადრი ბოსტონელიძე

ქ ო ჯ ა

მოთხრობა

I.

საბანში გაწვეულ ვაჟას არათუ ძილი, თვალის დახუჭვაც ვერ მოეხერხებინა. ახლა, ამ წუთას ბიჭისთვის დედის ფასი არავინ იყო და არც მასზე საცოდავი, უმწეო ეგულებოდა ვინმე. დიდი ხნის წინანდელად ეჩვენებოდა თხუთმეტი წლის ბიჭს ის შიში, რომელიც ხშირად, ძალიან ხშირად ეუფლებოდა, ვაითუ ნაშვილები ვარო და მაშინაც არავინ, არავინ ებრალებოდა ისე (არც საკუთარი თავი), როგორც დედა, რომელიც ყველაფერ ცუდსა და გულის სატკენს შიშით უმალავდა შვილებს და, რა თქმა უნდა, ამის გამხელა, ამის გაგებინება ვაჟისათვის თვით დედის ტრაგედია იქნებოდა. ეს, ახლა ღამილისმომგვრელი ჯავრი, ღამით ესტუმრებოდა ხოლმე ვაჟას. გათენებისთანავე კი ქრებოდა ეჭვი, გათენებისთანავე აგონდებოდა, რა ხშირად აღნიშნავდნენ ნათესავები თუ ნაცნობები ბიჭისა და მამის საოცარ მსგავსებას.

•

დიდი ხნის წინანდელად ეჩვენებოდა ვაჟას ეს ღამეული ფიქრი, თუმცა არც ისე აღრეული იყო. ახლა ერთიანად დაბაბული, საბანში შეკიებულივით გახვეული ქუჩაში გაიშვიათებული მანქანების ხმას მოლოდინით აღვენებდა სმენას. საღამო იყო ეჭვი ნაშვილობაზე, ან რა უკვალოდ გამქრალიყო ყოველი ბავშვისათვის გამოვლილი პერიოდი დარდით სავსე, ესეც უმთავრესად ღამეუ-

ლი დარდით, როდესაც მოზარდში შემოდის იმის გაგება, რომ მუდმივი არაფერია და მშობლებიც ადრე თუ გვიან აღარ იქნებიან.

ვაჟა მამას უცდიდა. ისე აგვიანებდა, აშკარად ნასვამი დაბრუნდებოდა. მერე ვაჟასა და დედამისს უნდა კარგა ხანს ეცადთ, როდის დაიძინებდა, უფრო სწორედ, როდის დაწვებოდა ყოველთვის გაჭინჭყლებული, ყოველთვის უხასიათოდ აფორიაქებული კაცი.

მანქანა ჭრიალით შეჩერდა მათ სახლთან. ვაჟა მოეშვა და სადღაც უნიათო, მაგრამ მაინც იმედიანმა აზრმა გაუელვა, იქნებ კრება გაგრძელდა გვიანამდე და მამაც დაღლილიაო. მშობლის შეცოდებით ერთგვარად ბრაზი, ნერვიული მოლოდინი უამდებოდა, მაგრამ ეს სულ რაღაც წამებს გრძელდებოდა. მით უმეტეს, გაჩერებული მანქანის მიხურული კარის ხმაც გაისმა და ქალი დაამშვიდობა მომცილებელს.

ვაჟა დედ-მამის საძინებელში იწვა ტახტზე. გვერდითა მოზრდილ ოთახში კი მისი უფროსი და ნანა იძინებდა. ბიჭმა იცოდა უდარდელად ფშვინავდა ახლა ნანა. ეს მხოლოდ ოდნავი იზოლაციით და მშობლებისაგან მცირე ტერიტორიული მოშორებით არ იყო გამოწვეული. ნანას არასოდეს აღელვებდა დედ-მამის ჩხუბი, იგი არ ერეოდა ოჯახურ საქმეებში. არა, ზარმაცი ნამდვილად არ იყო, ეხმარებოდა კიდეც დედას, მაგრამ მისთვის არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა, ვინ სად მიდიოდა, როდის ბრუნდებოდა. ვაჟას არ ახსოვს, ნანას ყურადღება მიექციოს დედის ნამტირალევი თვალებისთვის.

ბიჭს ისევ დედა შეეცოდა. ხშირად ისმოდა მისი საწოლის ხმა, ვერც ქალი ისვენებდა და სუნთქვითაც ადვილი მოსახვედრი იყო, რომ არ ეძინა.

— დედა, — ჩურჩულით გასძახა ვაჟამ, — დედა.

ქალს ხმა არ გაუღია. ვაჟა ხვდებოდა, ეგრძნობდა, რომ ამ უპასუხობით, ვითომ ძილით შვილს უფრთხილდებოდა, ამშვიდებდა დედა.

ისევ ჭრიალით გაჩერდა მანქანა, რამდენიმე კარი გაიღო.

— ახლა სძინავთ ჩემებს, თორემ გავაგრძელებდით, — ნამდვილად მამა ბოდიშობდა.

დედა იმწამს, ხმის გაგონებისთანავე, წამოიწია. ეტყობა, ფეხით ფლოსტები მოიძია და ამან დააკარგვინა მზადყოფნისათვის დრო. მერე გზაზეკე სწრაფად წამოიხურა ხალათი და კარის გასაღებად წავიდა.

ქუჩიდან კოცნის უსიამოვნო წრუპუნი ჭრიდა ყურს. აბა, კარგად, კარგადაო, დაემშვიდობა მამა და მალე სადარბაზოში გაისმა ფეხის ხმა. ეს თითქოს ძალად ხმაურიანი ნაბიჯები იმედს აძლევდა ბიჭს, იმის იმედს მაინც, რომ რაც ადრე დაბრუნდებოდა მამა, მით მალე გაათავებდა ჩხუბს, მით მალე მოისვენებდა დედა-შვილი.

— მაგარი ვიღაცაა ეს ვასიკო, — გაისმა ქუჩიდან ქირქილა ხმა.

— გადაეშენე ერთი.

— კარგი რა, რაც არის ეს არის, — გამოესარჩლა ქირქილა.

მერე მანქანა დაიძრა. ეტყობა, კარი კარგად ვერ დაიკეტა და ისევ გაისმა ჯახუნი. ამასობაში მამა დერეფანში პალტოს იხდიდა და ავისმომასწავებლად დუმდა. იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევები ნასვამი თავდადნე ხუმრობით შემოდიოდა სახლში. ვაჟა ამ ხუმრობებს უფრო ვერ იტანდა, რადგან მართლაც ისე იშვიათი იყო, რომ სათითაოდ ახსოვდა, ხოლო ეს სიჩუმიდან, დუმილიდან უმიზეზო ჩხუბზე გადასვლა თითქმის ყოველდღე ხდებოდა და ბიჭს ერთ შემთხვევად, როგორც მამის ბუნების, ხასიათის ერთ მთლიანობად ესახებოდა და ამას უკვე შეგუებული იყო. თუმცა ისედაც, ის ხუმრობებით სახლში შემობიჯებაც ყოველთვის კეთილად არ მთავრდებოდა.

დერეფანში ისევ სიჩუმე იდგა. ვაჟა უცდიდა, როდის აიჩემებდა კაცი რა-

ღაც უცნაურს, არამართალს. თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ ამ ამოჩემებულს ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეტყობა, სწორედ ეს აცოფებდა და რაც თვითონ არ სჯეროდა, სხვა უნდოდა ყვირილით, უხეშობით დაეწუმნებინა იმაში.

— სად იყავი დღეს?! — ჩუჩრჩულით ეკითხა კაცმა.

— დაიწყო, — ვაჟას ერუანტელმა დაუარა. მოლოდინის, გამოცდილი, თითქმის ზეპირად შესწავლილი ფრაზებისა და მოქმედების, მაგრამ მაინც მოლოდინისა იყო, რომელიც განსხვავდებოდა ამ ერუანტელისაგან, როცა ვიღაც კაცმა რამდენიმე წუთის წინ დამამცირებლად, აგდებით მოიხსენია მამა-მისი.

დერეფნიდან ისევ ისმოდა ლაპარაკი. ვაჟა ცდილობდა სიტყვებისათვის ყური არ მეგდო. თითქოს ეს ოდნავ აშორებდა ამ უსიამოვნო გარემოს. მაინც რატომ ხდებოდა ასე, რა უნდოდა მამას? ნუთუ ვერ ხვდებოდა კაცი, რომ ესმოდა, ესმოდა და იტანჯებოდა ვაჟა. თუ ხვდებოდა და მაინც აკეთებდა, ეს კიდევ უარესი. ბიჭი გრძნობდა რომ ერთნაირად აღიზიანებდა, გინდა მიუხვედრებლობა რქმეოდა ამას და გინდა შეილის არაფრად ჩაგდება. ისევ ისმოდა კაცის ბუბუნი და შიგადაშიგ ქალის მოკლე პასუხებიც. ამ ხმაში კი, დაძაბულობასთან ერთად, ისიც იგრძნობოდა, რომ სიცივეს აეტანა დედა გრილ დერეფანში.

ქუჩაში კატები აჩხავლდნენ. როგორ გავდა ბავშვის ტირილს. ვაჟა თითქოს ხედავდა კიდეც სიბნელეში ამ აღნავლებული კატების მწვანედ მოელვარე თვალებს. მაშინ ძველ სახლში ცხოვრობდნენ. ერთმა მოზრდილმა მეზობლის ბიჭმა კნუტებიან კატასთან მიუშვა, მიდი, მოეფერეო. თვითონაც ძალიან მოეწონა ვაჟას კნუტები. ერთს დას წაეუყვანო, გაიფერქრა. ნანა ხშირად იჯდა საერთო იავნაზე კალთაში კნუტით და ნაზად ეფერებოდა ფაფუკ ბეწვზე. არასოდეს დაუხედავს კატისთვის ნანას, ყოველ შემთხვევაში მნახველს ასეთი აზრი გაუჩნდებოდა, რადგან გოგონა ჯლიბებული იყურებოდა სადღაც შორს, ... ხელს კი ფისოს უთათუნებდა. წაიწია ვაჟა კნუტის ასაყვანად და უცებ ჩხაველით ეცა დედა კატა. ბიჭმაც ყოჩაღად მოასწრო გამოხტომა. ცხვირზე მაინც კარგა ხანს აჩნდა ნაკაწრი.

მშობლები ოთახში შემოვიდნენ. მამამ რაღაც ჩაიბუტბუტა და ვაჟა მიხვდა, სიმთვრალემ შეუშალა ხელი, თორემ უფრო გარკვევით შეიგინებოდა კაცი. მერე კარგა ხანს ესმოდა, როგორ ჭრიალებდა სკამი მამის სიმძიმით, გაზეთების შრიალი და ფშვიათი, მაგრამ ენერგიული სლოკინი, ამას კაცი აუცილებლად მიაყოლებდა გინებას, რომელიც ცოლ-შვილის მისამართით იყო ნათქვამი. ვაჟას სკოლა მოაგონდა. ხვალ ორ საათზე პედსაბჭოზე გაყავდათ. ეს სრულებით არ აღელვებდა. სხვა თუ არაფერი, იცოდა უდანაშაული იყო. სლოკინი და მას მიყოლილი აუცილებელი გინება გახშირდა და ბიჭი ისევ მთლიანად მოიცვა ერთმა სურვილმა, მალე დაწოლილიყო მამა. მართლაც და, არაფრად ეჩვენებოდა ხვალინდელ პედსაბჭოზე ფიქრი. რა უნდა ექნათ, რით უნდა დაესაჯათ, რომ ასე დამცირებულიყო, გალახულიყო, როგორც ეს გინება, ეს უაზრო შრიალი სპობდა. დაადგა საშველი და დაწვა კაცი. ერთ ხანს იწრიალა საწოლში. დედამ დრო იხელთა და შუქი ჩაქრო. აქამდე კედელთან ატუზული ელოდა ქმრის დაწოლას.

— რას მიამუნობ, — მთქნარებით თქვა კაცმა,— იქნებ კითხვა მინდა.

ქალმა აღარ აანთო. ალბათ ზედმიწევნით იცოდა ქმრის ჩვევები. მთქნარებით გაწეული პროტესტი ბეერს არაფერს ნიშნავდა. თვითონაც საწოლისაკენ წავიდა.

— მოდი ჩემთან, — ვაჟამ მამის ჩურჩული გაიგო.

ბადრი ჭოჭონელიძე
ძმა

ბიჭმა წაიფარა საბანი და ყურებში თითები მაგრად დაიცო ელვისუსწრაფესად ეხატებოდა ძალით, ძთელი დაძაბვით გამოწვეული მოგონებები, მოგონებების ფრაგმენტები. ისე სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რომ ვაჟა ვერც გაიაზრებდა, რომელ პერიოდს ან რომელ განვლილ ამბავს ეკუთვნოდა ესა თუ ის არამიწიერად აფერადებული სურათი. ერთი კი იყო ყველგან, ყველგან, სადაც თავის თავს ხედავდა. იქვე ნანაც ჩამოიქნებოდა, იქვე დის სიახლოვეს გრძნობდა და ამით უფრო მიმზიდველი, უფრო თბილი ხდებოდა ნაძალადევი, გონებით ნაჭყლეტი მოშორება, გაცლა სინამდვილისაგან.

როგორც იქნა დაწყნარდა, დამშვიდდა. ყურების ტკივილმა დაიბარუნა და თითები გამოიძრო. ნელ-ნელა მოეშვა, თითქოს მხოლოდ ახლა შეიგრძნო ლოკვინის ნეტარი სითბო და ძილის სურვილი. მერე უპაერობამ შეაწუხა და საბანიც გადაიხადა. იმდენად მოკიდებოდა ძილი, რომ ალარაფერი ესმოდა, მით უმეტეს, ალარც უნერხულობის თავი ქონდა. ჩვეულებისამებრ, ცალი ხელი ბალიშქვეშ შეყო და გათენებამდე გვერდი არ უცვლია.

რვა საათისთვის გაალვიძა დედამ, მე პურზე მივდივარ, საუზმე მაგიდაზეაო.

— ეგენი ვერ წავლენ პურზე! — მამის ხმაზე მიხვდა ვაჟა, რომ კაცი თვალს ვერ ახელდა. იქით გახედვაც არ უნდოდა, — თქვენხელა ყველაფერში ვეხმარებოდი ოჯახს, ყველაფერში.

სამზარეულოში დაუხვდა ნანა. იგი მაგიდას მიჯდომოდა. გრძელ, თითქმის გამქვირვალე ღამის პერანგისამარა იყო ფოფო. პურის თხელ ნაჭერზე ქარვისფერი თაფლი სქლად ეცხო და მიირთმევდა ნელა, აუჩქარებლად. ასევე ზანტი მზერა სადღაც ჭერისა და მოპირდაპირე კედლის შორის მიეჯინა. ძმის შემოსვლაზე არც განძრეულა. ჩუმად დაიწყო ლაპარაკი:— შენხელა ბიჭმა თავს მეტად უნდა მიხედო. გარეგნობა კარგი გაქვს და ცოტა უნდა შეიფერო. კაკუჩამ მითხრა, მზესუმზირას ეგმილა ქუჩაში.

ვაჟა ერთ წამს დაეჭვდა კედეკ მე მეუბნება თუ სხვასო. თვითონაც ახედა კედელს. საინტერესო ვერაფერი შენიშნა.

ვინ არის კაკუჩა, საბაზანო ოთახში გასულ ბიჭს, ეს კითხვა დაებადა, მერე უცებ გაახსენდა სკოლის წინ აყუდებული მაღალი, ყოველთვის სუფთად ჩაცმული და ვულდაგულ თმადავარცხნილი.

ისე ისაუზმეს, და-ძმას ხმა არ გაუცია ერთმანეთისთვის. სკოლაში წასასვლელად გამზადებულს, უკვე ჩანთაამოღლილავებულს დაუხვდა დერეფანში ნანა. გოგოს ხელში სავარცხელი ეჭირა. მართალია, ვაჟას დიდი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დაუხარა დას თავი. ისიც მონდომებით შეუდგა ჯიუტი თმის ვარცხნას. ისევ ნელა დაიწყო ნანამ ტკეპნა: — მეტი ყურადღება მგმართებს შენი გარეგნობისადმი, მეტი. როგორც გავიგე, სკოლაში ბევრ გოგონას მოსწონხარ... შენც უნდა დაუფიქრდე, რა ჩაიცვა, როგორ. აბა ამათ ჭკუაზე ჩემმა მტერმა იარა, — თავი მშობლების საწოლისკენ გაიქნია ნანამ.

ვაჟამ სავარცხლიან მარჯვენაში ფრთხილად მოკიდა ხელი, მოიშორა და სადარბაზოს კარი გააღო.

ქუჩის სუსხი ესიამოვნა კიდეც. ხალხი ისე ენერგიულად და მონდომებით მიდი-მოდიოდა, რომ ცოტა ხანს ვაჟა მხოლოდ ამ მოძრაობით გაერთო. რძის მაღაზიასთან გრძელი რიგი შენიშნა. უმთავრესად ქალებით იყო სავსე მაღაზიაც და კარსაგარე რიგიც. აკა-იქ შეიმჩნეოდა მოხუცი კაცები. თეთრ გამქვირვალე ბარეკებში მოთავსებული ბოთლებიც ზამთრის სუსხს აერაფკუნებია. ვერ ჩერდებოდნენ სიცივეში ერთ ადგილზე რძის მსურველები. ზამთარს მართლაც უხდებოდა შუშის რაწკარუწკის ხმა და ვიტრინებში თეთრად გატიკნილი მოზრდილი ბოთლები. უცებ რაღაც თბილი ჩაეღვარა ვაჟას სხეულში. რიგში დედა იდგა. ბიჭი შორიახლოს გაჩერდა და

ოქედან დაუწყო ცქერა მშობელს. ისე დახვეწილად მოქმედებდა გამიდველს მიახლოებული ქალი, რომ ვაჟამ ერთგვარი სიამოვნება იგრძნო, მოეწონა დედის მანერები. აი, ამოალაგა ცარიელი ბოთლები, სან

სულ ვაკას რალაც დაუშახა. ბიჭმა ვერ გაიგო. შოფერმა გაუღიმა და ბაბერილი კამერა გადაუგდო. ვაკასაც გაეღიმა. მისწვდა კამერას და შიგ ჩაჯდა. ასე ყოფნა ბევრად სასიამოვნო იყო. გული რომ ფეცერა, მერე პატრონს მიუცურა. შენი იყოსო, ღიმილი სახეზე არ მოშორებია ჩექმებიანს. ვაკამაც გააგორა კამერა სახლისკენ.

ეზოში, დიდ ხეებშუა ნანას ჰამაკი გაება და მასში ჩაწოლილი კითხულობდა. ვაკამ ვაშლის მაღალ ხეს ახედა. რატომღაც აცოცება მოუნდა. ვაშლი ჯერ არც შეწითლებულიყო და ბიჭსაც არ უყვარდა ხილი, მაგრამ ძალიან მოუნდა თითქმის კენწერაზე წამოსკუპებულიყო და მწვანე ვაშლი მოეწყვიტა. ბევრი არც უფიქრია და აცოცება დაიწყო ასასვლელად მოხერხებულ ტოტებიან ხეზე. ჭიშკარმა გაიჭრიალა. ვაკამ ხიდან დაინახა, როგორ შემოაბიჯა ჩექმებიანმა შოფერმა. არაფისთვის არ მიუქცევია ყურადღება. ვერავინ დაინახა, ეტყობა. კამერისკენ წავდა. ხელში აიღო და ის იყო ეზოს ტოვებდა, ნანას ხმა გაისმა: — ე, სად მიგაქვთ?

ჩექმებიანი ბიჭი ჯერ დაიბნა. მიიხედ-მოიხედა. ჰამაკიდან არ გადმოსულიყო ნანა. წოგნი გვერდით გადაედო. უფრო წაწოლილიყო და ისე, თითქოს თვითონ არ ლაპარაკობსო კიდევ იკითხა: — ეს ჩემი ძმისაა. სად მიგაქვთ?

ჩექმებიანი დაიბნა. ერთ ადგილზე გაჩერდა. ნანას ხალათი გახსნილი ჰქონდა ოდნავ კი არ გახსნოდა, ყველა ღილზე გაეხსნა და ვაკას შერცხვა დის მაგივრად. ნანა არ ინძრეოდა, მხოლოდ ჰამაკს აქანავებდა ხეზე ფეხის მიჭერით. შოფერი წავიდა ნანასკენ ნელა. ვაკას ესმოდა, როგორი ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა წყლიან რეზინის ჩექმებს. მიუახლოვდა ნანას და ის-ის იყო ვაკამ იფიქრა, ჩავხტება, ყვირილით ყელში ვეცემი, რომ მისდა გასაოცრად ვაკემ ხალათი გადააფარა შიშველ ბარძაყებზე და გამომშრალი ხმით თქვა, — ეს ჩემი კამერაა. უამისოდ ვერ წავიყვან მანქანას.

— მე ვიცრავ ხალათს? — გაუღიმა ნანამ და ჩაჰხსნილ პერანგზე შეავლო ხელი, — გეკითხები, გიკრავ? — გოგომ საჩვენებელი თითი მიუთუთუნა შიშველ ადგილზე.

— ხვალ გამოგვილი საღამოთი, კლუბში წავიდეთ, — დაბნეული, უნიათო ხმით შესთავაზა ვაკამ.

ნანამ ჩაიცინა, მერე ღონივრად მიაბჯინა ფეხი ხეს და ჰამაკიც მაგრად გაქანდა. კამერაგადაკიდებულმა ეზოდან გაიარა. ჭიშკართან შეჩერდა და ერთი კიდევ მიიხედა ნანასკენ. გოგოს წოგნი აეღო და სქელი ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა, თითქოს სრულიად არაფერი მომხდარიყოს ორიოდე წუთის წინ. ჩექმებიანი დაღმართს დაუყვა.

ვაკამ ცოტა ხანს შეიცადა ხეზე. ერთიანად სველი იყო ბიჭი. ეცადა უხმაუროდ ჩამოეცალებულიყო, მაგრამ ბოლოს უმტყუნა გაოფლიანებულმა ხელმა და სულ ქვედა ტოტზე გაუცურდა. ნანამ მიიხედა.

— შენ აქ იყავი? — მერე ვაშლის ხეს ახედა, — ხომ გითხრა ბებიამ, ჯერ მეკვეა, გაწყენსო, — სხვათაშორის დაუმატა; — იმათთან არაფერი წამოგცდეს, თორემ ხომ იცი, რაღაც ეგონებათ.

მაშინ მიხვდა ვაკა, რომ ნანასთვის „ისენი“, „ესენი“, „იმათთან“, „იმათთან“ მშობლები იყო და გოგო სახელებით მოხსენიების ღირსად არც თვლიდა მათ.

ამ ამბის გახსენებასაც ვერ ბედავდა ვაკა, თავისთვისაც ეზარებოდა მოგონება. რცხვენოდაო ცოტაა, რაღაც აუტანელი ეუფლებოდა. დის მიმართ არც ზიზღი და მითუმეტეს გაბრაზებაც არ უგრძვნია, პირიქით, სიმარალული დაეუფლა და იმ დღის შემდეგ უფრო მზრუნველად თვლიდა თავს, უფრო მეტ ყურადღებას ივალებდა. ეს ყურადღება მხოლოდ გაფაციცებული თვალყურის დევნებით და ხშირი შეკითხვებით იფარგლებოდა. სად მიდიხარ, ვინ დაგირეკა და ბევრი ასეთი. გრძნობდა ვაკა, როგორ აბეზრებდა თავს ნანას და მის

ირონიულ ღიმილსაც იწვევდა. ერთი კია, არასოდეს წასაღებია ბოგოს, შენ ვინ გეკითხებიან. ამ პასუხით, ერთხელ მაინც ასე რომ ეპასუხა დას, გულის დაწყვეტა მოგონილი იქნებოდა, შეიძლება მერე მარილაც არაფერში ჩარეოდა. ეს ნაძალადევი არ იქნებოდა. ალბათ ნანაც დაახლოებით გრძნობდა, რომ მსგავსი პასუხით ჩამოიშორებდა ძმას და მოაკლდებოდა დიდი ყურადღება, წარმოუდგენლად თბილი და უთქმელი სიყვარული.

ბოლო გაკვეთილამდე არც მოგონებია ვაჟას პედსაბჭო. დამრიგებელმა შეახსენა. რა უნდა მითხრან, რით უნდა დამსაჯონო, ფიქრობდა ბიჭი, თვითონაც ხომ იცოან, რომ ისეთი არაფერი მიქნია, წავედი გაკვეთილებიდან და ეს იყოო.

რამდენიმე დღის წინ უძილო მივიდა ვაჟა სკოლაში. ისევ იმ მიზეზით, ისევ მამა დაბრუნდა გვიან, ოღონდ უფრო დიდხანს ოუზნეურა. ვაჟას თავი რომ არ მოემძინარებინა, ალბათ გაილახებოდა კიდეც. როგორც მამა ამბობდა, დღეს ამის მასწავლებელი შემხვდა და არაფერს აკეთებსო. არასოდეს აკონკრეტებდა კაცი, ვის მიჰქონდა მასთან ენა შვილებისა და ცოლის უსაქციელობაზე.

დილით დედა გაურბოდა შვილებთან ლაპარაკს. თუმცა ნანას არც გაუგია და ვერც ვერაფერს ხვდებოდა.

— დედა, — წამოიწყო ნანამ, — მოდი, ლეკვი ვიშოვნოთ სადმე, ან თევზები.

ქალს ამ სრულიად მოულოდნელ და უადგილო წინადადებაზე გაეღიმა.

სამზარეულოდან გასვლისას ონკანთან მდგომ დედას გახედა ვაჟამ. ქალს თხელი მხრები უთრთოდა, ამასაც ისე ფრთხილად, ფარულად აკეთებდა, რომ ვაჟამ ვერ მოითმინა, მიუახლოვდა და ბიჭზე აკოცა. გაღიმებულმა მშობელმა გამოხედა, სველი ხელი ამოისვა თვალში, ამით სახეც გაიწყლიანა და თქვა:— შენ რომ არ მყავდე, რა მეშველება.

პირველსავე გაკვეთილზე გაიძახა მასწავლებელმა ვაჟა. გასვლისას ფიქრობდა, ვიტყვი, არ ვიცი, ასე ადვილებსა ნამდვილად არ ეგონა, რაიმე თუ ასოციაციები, არა თუ ქმიმის გაკვეთილი, საერთოდ რაიმე. მისდა გასაკვირად უპასუხა. უპასუხა ისე, რომ მასწავლებელმა გულდაწყვეტით უთხრა, სიზარმაცე რომ არა, ფრიადოსანი იქნებოდიო. მერხთან მიბრუნებულმა დღიური კი შედო, მერე ისღა მოახერხა, რომ ხელებში ჩარგო თავი და კლასის ზუზუნში ჩაძინა. ცოტა ხანში გააღვიძა მასწავლებელმა. გული ძალუმად უძგერდა, თითქოს ამოვარდება საცაო, თვალებიც ეწვოდა უძილობით და ითხოვა ვაჟამ:

— თუ შეიძლება, წავალ სახლში.

— ახლა უნდა ავხსნა, — უპასუხა მასწავლებელმა.

— მაინც დამეძინება, პატივცემულო, — ვაჟამ ჩანთა აიღო და კლასიდან გავიდა.

ქმიის მასწავლებელი ერთ ხანს დაიბნა. კი ხვდებოდა, რომ უმიზეზოდ არ მოიქცეოდა ასე ბიჭი, მაგრამ მაინც შეშინდა, ყველამ თუ თავის ნებაზე იარა სად წავალთო და უფრო სხვების გასაფრთხილებლად ვაჟას პედსაბჭოზე გაკვეთნა მოითხოვა.

2.

მალე, ძალიან მალე გაიარა ზამთრის სუსხმა. ერთი კვირითაც ვერ გაძლო ქალაქში სიცივემ. ის იყო თბილისელები ეგუებოდნენ ყინვას, რომ ჯერ მოულოდნელმა წვიმამ. შემდეგ კი მზიანმა დღეებმა სულ მოსპეს მისი ნასახი. ამინდის ასეთმა უეცარმა ცვალებადობამ ბევრი დააავადა, ბევრს აუცილებლად გაუხადა ლოგინი. ვაჟასაც რამდენიმე დღე ჭატარა სიცხე ჰქონდა. მართალია, დაწოლილი ვერ ძლებდა, მაგრამ სახლში რჩებოდა და იყო თავისთვის წყნარად. დილაადრიანივე გადიოდნენ მშობლები, ნანაც თერმომეტ საათამდე თუ მოიცდიდა და მერე მთელი დღე შეეძლო ბიჭს ეკით-

ნა, შეზიდად ექეკა უჯრები (ეს ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა) და ს

კითხავდა მეზობლის ქალი (მთელი სახლის ტატიანა დეიდა) მამამენმა დარეკა, რას შვრება, რამე ხომ არ ჭირდებაო. ამ მოკითხვაზეც მამის შებრალებასთან ერთად, საკუთარ თავზე ბრაზი ეროდა, როგორ ვიმეტებ თუნდაც მოჩხუბარს, თუნდაც დამნაშავეს.

ფანჯარასთან დგომა უყვარდა ვაჟას. აქედან მისი ქალაქი მოჩანდა. ძველ სახლშიც მიადგებოდა ვიწრო სარკმელს და დიდხანს, დიდხანს უყურებდა მოპირდაპირე შენობას, აწოწილ, შუდამ კენწერომოცახცახე ნაძვს. ქუჩის ცალფეხა საათს. უამრავი გოგო-ბიჭი ირეოდა ამ საათთან. იმ ფანჯრიდან თითქმის ყველაფერს ამჩნევდა, ყველას ცნობდა სახეზე და იცოდა კიდეც, ვინ ვის შუმდეგ ჩაივლიდა. საათთან საღამოხანს ატუზული ბიჭებიდან რომელთან რომელი გოგონა მიირბენდა. როგორ უყვარდა, ზაფხულშოფლილი აგარაკიდან რომ დაბრუნდებოდა, გაიხედავდა და თითქოს უახლოესსა და უსაყვარლეს, დიდი ხნის უნახავ ვინმეს ესალმებოდა. ახლაც სიამოვნებდა ქუჩაში ცქერა, მაგრამ ვიღაცის მიერ ფერდობზე გაშენებული ციცქნა ბოსტანი სუფთა ქალაქურ სურათს ხელს უშლიდა. ვაჟასთვის ხეები, მინდორი, ამშვანებული თუ გაყვითლებული ბუნება კარგი რეპროდუქციასავით საცქერი იყო, მხოლოდ დიდხანს არა, დიდხანს ვერ უძლებდა. ქავილთან ერთად მონატრება ეუფლებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა ქალაქს, იგრძნობდა ტრანსპორტის ხუნს და ხმაურიც, ზოგიერთთათვის აუტანელი ხმაურიც უყვარდა.

მეზობლის კარი გაიღო და ტატიანა დეიდას ფეხის ხმაზე მიხვდა ბიჭი, მათთან მოარეკავდა ქალი (მოხუც შინაბერას მთელი სახლი ტატიანა დეიდას ეძახდა). ვაჟამ აღარ დაუცადა და გაღება დაასწრო. ქალს ის-ის იყო თითი უნდა მიეჭირა ღილაკისთვის. ჩქარა, ტელეფონთანო, უთხრა ტატიანა დეიდამ და ცივად გაბრუნდა. ეს ცოტა არ იყოს გაუკვირდა ბიჭს. მუდამ ყურადღებიანი, ოდნავ გაპრანჭული, მაგრამ თბილად მოლაპარაკე მეზობლისგან ასეთი ... ცივი უცხო იყო. ვაჟაც მიყვა, რაღაც ... ნიაო, ეს კი უჩურჩული ქალმა. ვაჟას სოფლიდან მამის ბიძაშვილი რეკავდა.

— ვაჟა ხარ?.. მომისმინე ახლა, ბიძია, ბებიაშენი... არ შეშნდე, ბიძია, ბებიაშენი მოკვდა... გეგიე ხომ?... ჰოდა, დოფრეკე, შეატყობინე მამაშენს ჩქარა... ასე, ბიძია, ასე... ტირი ხო? გიყვარდა ხო ბებიე?..

ვაჟა არ ტიროდა. მეზობლის ქალს უყურებდა, რომელიც თავს აქნევდა და ქვედა ტუჩს კბილებით აწკალებდა. ვაჟამ რომ ყურმილი დადო, მე ვიცოდი, მაგრამ ვერ ვთქვიო, გამოტყდა ქალი.

— იქნებ თქვენ ელაპარაკოთ მამას,— მამა უფრო ეცოდებოდა, რომელსაც დედის სიკვდილი უნდა გაეგო, ვიდრე ბეჭია.

— არა, შენი ჭირიმე, — იუარა ტატიანამ, — შენ ვერ გითხარი და ახლა ვასიკოს როგორ ვეტყვი ამას.

— უბრალოდ, ნუ აუხსნით ნურაფერს, სასწრაფოდ მოდი-თქო, — ვაჟამ ჩქარა დაწერა მამის ტელეფონის ნომერი ქაღალდის ნახევზე და ასევე ჩქარა დატოვა ოთახი.

— არ დავრეკავ, ვერ დავრეკავ, იცოდე, — დაიწია ქალმა, მაგრამ ვაჟას გასვლისა და კარის გაბრახუნების ხმაზე ყურმილი აიღო, ქაღალდის ნახევი ერთხანს თვალებთან ახლოს დაიჭირა, მერე ფრთხილად დადო და ნომერი აკრიფა.

სახლში შებრუნებული ვაჟა საწერ მაგიდასთან დაჯდა, თავისი უჯრა გამოსწია და იქიდან ალბომი ამოიღო. ვაჟამ ერთი წლის წინ სურათების საკუთარი ალბომი გაიჩინა. ბევრი ფოტო სხვადასხვა ადგილებიდან ამოგლიჯა, ამიტომ მიუხედავად ალბომის სიახლისა და ხასხასა ფერისა, სურათები კი იყო შელანძღული. ბებიას ფოტოს ეძებდა ბიჭი. სიმართლე რომ ითქვას, იცოდა არ ჰქონდა, მაგრამ მაინც იმ იმედით,

---

ბადრი ბოსტონელიძე
ქ. მ. ა

იქნებ არ მახსოვსო, თავიდან დაიწყო ალბომის თვალიერება. აგერ ვაჟა სამი თვის. გაეღიმა, ტანი თავზე ცოტათი დიდი ჰქონდა ამ ასაკში. მერე უფროსი მოსწონდა სურათები, საიდანაც ლამაზი, მრგვალთვალება ბიჭუნა იცქირებოდა. ნანას პატარაობა. მოწკურული თვალები და ცხვირთან გაქეთილი ფეხსაცმელები. აგურის კედელთან ატუზულიყო გოგო. მშობლები. სკოლა. უამრავი სურათი პირველი კლასიდან. ნელ-ნელა ფურცლავდა ვაჟა, ფურცლავდა სიამოვნებით. ისევ მამა. მამის პორტრეტზე ბებია გაახსენდა. ნეტავი ვინმე მობრუნდებოდეს მამის მოსვლამდეო. როგორ ეთქვა, როგორ მოება თავი. ყველაფერზე თანახმა იყო, ყველაფერს აიტანდა, ოღონდ ეს არ ჰქონოდა ახლა შესატყობინებელი. იქნებ ტელეფონშივე უთხრა ტატიანა დეიდამ. ხომ შეიძლება ჩაციებოდა მამა, რა არის ასეთი სასწრაფოო და ეთქვა ქალს. უცებ დაიმედა ამან, დაამშვიდა. ქუჩაში მანქანის მკვეთრი დამუხრუჭების ხმა გაისმა. ვაჟამ ფანჯარა გამოაღო და თავი გარეთ გაყო. ტროტუართან ხალხი შეგროვილიყო. რაც პირველი მოხვდა ვაჟას თვალში, ეს ასფალტზე დამსკდარი და ყვითლად აციმციმებული რამდენიმე კვერცხი იყო. მანქანის პატრონი მთელი ხმით იგინებოდა. მანქანასთან თავჩაღუნული იდგა ვაჟას თანაკლასელი და მეზობელი ნიკა, რომელსაც კვერცხებიანი თასი ეჭირა. ერთი ორჯერ გაიწია კიდეც მძღოლი, ბიჭისთვის თუ უნდოდა წაერტყა, მაგრამ არ დაანებებს. უცებ ნიკამ წრე გაარღვია და კისრისტეხით შევარდა სადარბაზოში. ამან სულ გადარია ისედაც გაეცეხლებული კაცი, მაგრამ აზრი არ ქონდა გამოკიდებას და ერთი ისე შეიგინა, რომ მარტო ნიკას მისამართით არ იყო ნათქვამი. ყველაფრით უკმაყოფილო კაცის გულის მოსაფხანი გინება იყო.

ზარის ხმაზე კარის გასაღებად წასულ ვაჟას ეშვიც არ შეპარვია, ნიკა იქნებოდა. იმდენად იყო დარწმუნებული, რომ უცებ მამამისი ვერც კი იცნო, ეუცხოვა. ვასიკო გაფითრებული და აღელვებული ჩანდა.

— რა იყო, ბიჭო, — პალტოთი ჩამოჯდა მაგიდასთან, — მოდი აქ.

ვაჟა მიუახლოვდა. ვასიკომ ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა ბიჭი.

— ამ ოხერმა ისეთი ხმათ დამირეკა, — ხმა უკანკალებდა კაცს, — ისეთი ხმით, რომ ვიფიქრე, რაღაც უბედურება ჩემს თავ-მეთქი.

ვაჟას ნამიანი პალტო სახეს უორთქლავდა. მამის სუნი სცემდა და მთლიანად ისე გათბა, რომ რაღაც წამებში კინაღამ ჩაეძინა. ესმოდა ჩურჩულით რომ ეფერებოდა მამა. თავზე ხელს უსვამდა. კაცის გულის გამალებული ხმა თენთავდა ბიჭს. სულ არაფერზე, არაფერზე ფიქრი არ უნდოდა. მთლიანად მოეშვა, მიეკრა მშობელს. ისევ ჩურჩულით ნათქვამი გაიგო, გული არ გამიხეთქა ამ ოხერმა ქალმაო.

ქალის, ტატიანას ხსენებაზე დაიძაბა ბიჭი. ამოტივტივდა უსიამოვნო სათქმელი, პირზეც მოადგა, მაგრამ დუმდა, ხმას ვერ იღებდა. უკვე ამის დასაფარავად აღარ წუვდა თავს. ზარის ხმამ უშველა. მამის თვალებში ცრემლი შენიშნა და მზერა აარიდა. მერე ზურგი შეაქცია და კარისკენ მიმავალმა გამომშრალი ხმით თქვა, — მამა, სიმონა ბიძიამ დარეკა, ბებია მოკვდაო.

ჩქარი ნაბიჯით გავიდა დერეფანში. ნიკა მოსულიყო. იქვე დაიწყო მოყოლა, როგორ გადაუჯრა მანქანას და რა ამბავი დაწია მძღოლმა.

— მეც შევაგინე, ბიჭო და დავეთესე... ისე ორი კვერცხი გამიტყდა, — ნიკა უკვე ოთახის კართან იდგა, საიდანაც აშკარა ტირილის, დაგუდული ზლუქუნის ხმა ისმოდა.

— ბებიაჩემი მოკვდა სოფელში, — ამ სიტყვებით სტუმრის შეჩერება გადწყვიტა ვაჟამ.

ნიკა არ შემდგარა. შეაღო კარი. მაგიდაზე დამხობილმა ვასიკომ ერთი კი

ახედა ბიჭს, მერე ისევ ჩაღუნა თავი. ნიკამ ხელი გაუწოდა და ნანამ კაცი წამოიმართებოდა, ისე ხელგაშვერილი იდგა. მერე ჩამოართვა და რაღაც ჩაიბუტბუტა. ნიკა ისევ დერეფანში გაბრუნდა, კარში გასვლისას თავი მოიქექა და ვაჟას დამნაშავეს ავით შეხედა. — დღეს ჩემი დაბადების დღეა და იმიტომ შემოგიარე.

საღამოს, როცა მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი, გადაწყდა ღამის მატარებელს გაყოლოდნენ. ნანამ, მე ვერ წამოვალო. ლილის სიწითლემ გადაკრა და ვასიკოს გახედა. კაცმა ერთხანს უცნაურად უყურა ქალიშვილს და ჩაიდუდუნა, — ტატიანა მოდის, შე კაი ადამიანო, და...

ვაჟამაც სთხოვა, როგორც კი მარტო დაიხელთა და, შენიშვნისმაგვარად სთხოვა, უხერხულია, წამოდიო.

— არ მცალია, ვერ გაიგეთ, არ მცალია, — ნანამ ისე ხმამაღლა და ისეთ კილოზე თქვა ეს, რომ ვაჟამ თვითონ იგრძნო უხერხულობა, თავად მოერიდა არავის გაეგო და დაუყვავა, — კარგი რა, ჩუმად.

— ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ მეც შეიძლება საქმე მქონდეს, მეც მაქვს ჩემი ცხოვრება, — არ ისევნებდა ნანა.

სადარბაზოში, უკვე გზაზე დამდგარებს ჩასძახა ნანამ, ნუ გეშინიათ, ყველაფერს კარგად დაგახვედრებთო.

მატარებელში დაწოლამდე არავის ამოუღია ხმა.

— სიმონა გულნარასაც გააგებინებდა, — თქვა ვასიკომ.

გულნარა, ვაჟას მამიდა ყოველთვის თეთრად გადაფთქიალებული ქალი ულამაზესად ითვლებოდა სოფელში. ხუთი წელი იქნებოდა, რაც დაბაში გადასახლდა და მისი ყოველ სტუმრობა დედასთან დიდ ზეიმად იქცევა ხოლმე. გულნარას ქმარი, დევნილი უზარმაზარი კაცი დაკლავს ხბოს, აუცილებლად ცხვარს სიმაცრის საფლავზე, უამრავ საჩუქრებს დაურიგებს მეზობლებს, ბავშვებს. ყველა პატივისცემით იხსენიებს სოფელში გულნარასა და მის მეუღლეს. ახლა ბიჭები, ვაჟას მამიდაშვილები?

ბებია მათ მეტად, თვალშისაცემად მეტად ეფერებოდა. ვაჟა ამას ამჩნევდა. ერთხელ უფროსმა მამიდაშვილმა უთხრა კიდეც, ბებიას თურმე მე ვუყვარვარ ყველაზე უფრო და ამიტომ სახლს მე მიტოვებსო. ბებიას რომ არც რძალი, ვაჟას დედა ეხატებოდა გულზე, ამასაც ამჩნევდა ბიჭი. ახლა, უკვე დაწოლილს გაახსენდა, გაახსენდა ისიც, როგორ წყინდა ეს. გულნარა მამიდა ღიმილით კი ეთანხმებოდა ბებიას, თან ვითომ დიდი მონდომებით ანიშნებდა, ჩუ, არ გაიგოსო. ეს გამოსარჩლება უფრო ეჩოთირებოდა და ნერვებს უშლიდა ბიჭს. მეც არ უნდა წამოვსულიყავიო, გაიფიქრა გაჯავრებულმა. მამიდისა და მისი ოჯახის ნახვა არ უნდოდა. ერთი კი იყო, გულნარა მამიდას ნანა ძალიან მოსწონდა და ხშირად აღნიშნავდა, ჩემი ფერხორცი აქვსო, ან ჩემს ბაღინობას მაგონებსო. ეს არასოდეს მომხდარა ნანას თანდასწრებით, შეიძლება არც ამბობდა ქალი ძმისშვილის გასაგონად, თორემ... ვაჟას გაეღიმა, გაახსენდა ნანას უკმეხი პასუხები და რანაირად ამბობდა გოგო ვინმე დასაცინზე, სუფთა გულნარაააო, ახლა ის წარმოიდგინა ვაჟამ, მამიდა რა გუნებაზე დადგებოდა, რომ გაეგო, რა ხალხს ადარებდნენ, უტოლებდნენ ამ სადედოფლო ქალს. ბებიაც ხშირად აღნიშნავდნენ მის „სადედოფლობას“.

— არა, არა, ვასიკო ბატონო, არ უნდა დაგეტოვებინათ ის გოგო მარტო და წამოსვლაც უდაოდ ეკუთვნოდა,

— სიბნელეში გაისმა ტატიანას ხმა. ვაჟას უსიამოვნოდ მოაგონდა დის სიმარტოვე და შიში იგრძნო, მოუსვენარი შიში.

— ეტყვი რამეს და გაიგებს რომელიმე, ტატიანა დეიდა, ან ცოლი ან შვილი?

— ლილიზე ამბობთ მაგას? .. აჰ, თქვენისთანა ოჯახობა...

ბაღრი ბოხორნელიძე
ძმა

— აბა, აბა, —ვითომ ხუმრობით ჩაილაპარაკა ვასიკომ...

დილით სუსხმა გამოაღვიძა ვაჟა. ფანჯრიდან უკვე იმდენი შუქი შემოდიოდა რომ სახეების გარჩევა შესაძლებელი იყო. ვასიკოს სხივი ხან შუბლზე ეცემოდა, ხან თვალებზე. წამით განათებული შუბლი თითქოს მძინარისა იყო, მაგრამ სხივის მოხვედრისთანავე იელვებდნენ თვალები და ვაჟა გრძნობდა, რომ არ ძინებია საერთოდ კაცს. ბიჭს უნდოდა რამე ისეთი, თანავრძნობისნაირი ეთქვა. მიახვედრიაყო მამა, ვაჟასაც სტკიოდა გული ბებიას სიკვდილით.

გამყოლმა მოაბრახუნა კარზე, თქვენი სადგურიაო.

ვასიკომ სწრაფად ჩაიცვა. დანარჩენებსაც არ დასჭირვებიათ ჩაცმა-მომზადებაზე დიდი დრო.

სადგურის შენობაში ციოდა. მანქანას ვიშვნები და მოვალო, ვასიკო გარეთ გავიდა. ვაჟა ვერა და ვერ გათბა. რადიატორიან ფანჯარასთან მიდგა და გარეთ დაიწყო ყურება. უცებ მეტად აიტანა სიცივემ. ქუჩაში, რკალად მოხრილი წამოზრდილი ლეკვი იწვა. დრუნჩი უკანა ფეხებში ჩაერგო და რიტმულად კანკალებდა. ამის დანახვამ, სიცივით აძაგძაგებული ძაღლის დანახვამ იმოქმედა ბიჭზე და ნელთბილ რადიატორს მიეკრა ხელებიც ზედ დაიწყო. რაღაც სისველე იგრძნო და ზიზღით კინაღამ გული აერია. სასწრაფოდ საპირფარეშოსაკენ წავიდა. იქ მყრალი სუნი და ნესტიანი სიცივე იდგა. მოშლილი ონკანიდან მოწურწურე წყლით გადაბიბანა ხელი. ცხვირსახოცი, რომლითაც გაიმშრალა, ჯიბეში აღარ ჩაუდევს. იქვე ხელსაბანზე დადო და გარეთ გამოსული ოდნავ დამშვიდდა. თითქოს იმ ცხვირსახოცს გაატანა, მოიშორა სადგურის მთელი ჭუჭყი და უსიამოვნო განწყობილება.

ფოსტა-ტელეგრაფის ოთახი ღია იყო. ნიკას მიეულოცავო, გაიფიქრა ვაჟამ და შევიდა. სამსიტყვიანი დეპეშა გაუგზავნა: „გილოცავ. გკოცნი. ვაჟა“.

თვალები ეწვოდა. დედამისი და ტატიანა ერთად ისხდნენ და ტატიანა რაღაცას ელაპარაკებოდა. დედა თავისწინ-ევით, დიმილით უსმენდა. ვაჟა მათთან ჩამოჯდა.

ეროვნული

როგორც იქნა, მოვიდა ბესიკო. მანქანეთ ბიჭი გზაში გათბა და ჩაქინა. ცოტა ხანში შეწუხებულს გამოეღვიძა. კისერი ექავებოდა და ამან გამოაფხიზლა. მერე ხელი მოექავა, მოგვიანებით ლოყა და გაახსენდა თავი, დაეწყო გამოყრა. მანქანა სოფელს უახლოვდებოდა. ეზოს რომ მოადგნენ, ბხოლოდ ახლა მოაგონდა სულ მოფუსფუსე ბებია და ცრემლიც მოაწვა. სახლში მხოლოდ ერთგან ენთო სინათლე. იქით წავიდნენ. დაცალილ ოთახში ტახტზე ესვენა სუდარაგადაფარებული მიცვალებული. იქვე, ოთხმხრივ შემორაგულ სკამებიდან ერთ-ერთზე მიკუნტული თვლემდა ვაჟას ბაბუდა, გარდაცვლილის მული. კარის გადებისთანავე შეიშმუშნა მოხუცი, ვაჟამ იფიქრა, ახლა იტირებს, მოვგაკვალებსო, მაგრამ ქალმა ვასიკოს საწყლად, მოფერებით ჰკითხა, — ჩამოხვედი, მამიდა?

მერე ყველა გადაკოცნა და ჩუმად ჩიფჩიფით დაიწყო ტირილი.

მოხუცი ქალი მიცვალებულს მიუახლოვდა და სახეზე გადახადა. ამ გადახდამდე ვაჟას მხოლოდ სიცივე და უსიამოვნო გრძნობა აწუხებდა, მაგრამ ნაცნობი სახის გაყვითლებულმა ფერმა შეაკრთო ბიჭი. სიცივე კიდევ უფრო მოეძალა. ვასიკო მიუახლოვდა დედის ცხედარს და აკანკალებული ხელი ჯერ შუბლზე, მერე თავზე გადაუსვა. დამნაშავესავით, შერცხვენილი ბავშვივით ოთახს ნამიანი თვალები მოავლო. ლილიმ მზერა აარიდა ქმარს. მასაც ეტირებოდა. ეტყობოდა ეს ათრთოლებულ ნესტოებზე და ოდნავ აკანკალებულ ნიკაზე. ტატიანას ხელი გამოსცო და ფანჯრისკენ მიატრიალა. ახლა ვაჟას უყურებდა მამა, ხელი არ აეღო მიცვალებულის თავიდან. ბიჭი მიხვდა, რატომ შეტრიალდა დედა და თვითონაც ძველ კარადას დაუწყო თვალიერება. ვასიკოს განმარტოება მშობლის ცხედართან მაინც არ მოხერხდა, თუმცა სულ ერთი წა-

მით მეორე ხელიც შეახო და ღრმად ამოიოხრა. მოხუცი ქალი მისჩერებოდა ძმისშვილს და გამხმარ მკერდში მჯიღს იცემდა. არც უშლიდა მისი მზერა ვასკოს სიმარტოვეს. დაჩიავებული დედაბერი უბედურების, ამ სახლში გამჯდარი უბედურების აუცილებელ დეტალს წარმოადგენდა, როგორც სუდარა, კუბი, ტახტი და ცხედარიც კი. კარის უეცარ ჭრიალზე ყველა შებრუნდა. ზღუბრბზე გულნარას ქმრის უზარმაზარი სხეული გამოიკვეთა. თავის დაკვრით მიესალმა ყველას. მერე ცოლისძმას მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა. ვაჟა ბებიას ასე უთავსაფროდ პირველად ხედავდა, პირველად ახლა შენიშნა რა თეთრი თმა ჰქონია ბებიას.

— რამდენი ხანია არ მინახავს, — თქვა გულნარას ქმარმა. კაცი ვაჟას ათვალიერებდა, — რა ხნისაა ახლა აგი?

— თხუთმეტის, მეთექვსმეტეშია, — ვასიკომ ფაქიზად გადაატარა მიცვალებულს სუდარა.

— პატარეა ხომ იცი, — ისევ ათვალიერა ვაჟა, — ტანდაადა პატარე, — მერე ვასიკოს მკლავში გამოსდო ხელი, — არაფერზე იფიქრო, ყოლიფერი გაკეთებულია.

ეს ვითომ ჩუმად განდობილი ამბავი ყველამ გაიგო.

— ვაი, ჩემო კარგო რძალო, — მოულოდნელად წამოიწყო ტირილი მოხუცმა ქალმა, — შენ უნდა დაგეტირებე შენ...ვაი, ჩემო საყვარელო რძალო, ჩამევდა შენი ბიჭი, ხომ ჩამეკიდა? რავალი ტკბილი იყავი ჩემზა. გეკიდებოდი, მივლიდი...ჩემო ანგელოზო რძალო, შენ უნდა გეტირა, შენ. აბა, სხვაი ვინაა ჩემი შემბრალებელი.

— კაი მამიდა, — ცრემლმორეულმა ვასიკომ ხელი გადახვია მოხუცს.

— გეყოფა ახლა, ფედოსი, — გულნარას ქმარიც გვერდში ამოუდგა. იმხელა განსხვავება იყო მათ სიმაღლეში, რომ ვაჟას გაეღიმა კიდეც, — რას ქვია პატრონი არ მყავს, შემბრალებელიო? იმფერი ოთახი მოგიმზადეთ, იმფერი... ჰოდა, წაგიყვანთ ჩვენსა, — კაცმა ვასკოს გახედა, რა აზრისაა ცოლისძმა ამაზეთ და ვერაფერი რომ ვერ შეაჭმნინა, გაბედულად განაგრძო, — ზაზუტულ-შვ მოდგომას აქანე ვიქნებით, ზამთარში იქნე და აგია უპატრონობა, ფედოსი?

გულნარაც მალე გამოვედი. კიდევ უფრო გასუქებულიყო. ყველა ჩაყოცნა. რძალო დიდხანს, ხაზგასმით ეფერა. მერე დაჯდა და რაღაცეების ბუტბუტი დაიწყო, ცოტა ხანში ბუტბუტი ენის მოჩლექვაში გადავიდა. ეს ალბათ დაბაში რომელიმე სამაგალითო მანდილოსანს შენიშნა გულნარამ და ახლა იმეორებდა, ვიღაცის მიბაძვით უჩლექდა ენას მიცვალებულს. ამას ისე ხელოვნურად და უგულოდ აკეთებდა, რომ ვაჟას ისევ გაეღიმა. ლილიმ მკაცრად გაუქნია თავი, სირცხვილიაო.

— ლავალი საკალელი იკავი, ლავალი კალქი კველაზე და ცუგლუმელა...

ვაჟამ მკლავზე იგრძნო ქავილი და სხვა ოთახისაკენ წავიდა. ჯემპრის ზემოდან არ უშველიდა მოფხანა, უნდა გაეხადა სასწრაფოდ, თორემ აუტანლად აწუხებდა.

იმ პატარა ოთახში, სადაც შარშან ნანასა და ვაჟას ეძინათ, ახლა გულნარას ბიჭები ჯერ კიდევ მშვიდად ფშვინავდნენ. ვაჟას შესვლაზე უფროსმა ცალი თვალი გაახილა და იმხელა იყვირა, ვაჟშე ძველოო, რომ ვაჟა შეხტა კიდეც მოულოდნელობისაგან. უმცროსმა, ვაჟას კბილამაც გამოიღვიძა.

— ხომ სწავლობ კარგად, — წამოიწია უფროსი.

— ისე რა.

— ფერზე გეტყობა ხუთოსანი იქნები, — არ დაუჯერა უმცროსმა.

— არა, არა ვარ ხუთოსანი.

ვაჟას ოთახი ეუცხოვა. ავეჯი ალბათ მამიდამისს ჩამოეტანა. სარკესთან უამრავი პატარა ბოთლი იდგა. ვაჟას გაახსენდა შარშან ეს ყველაფერი ნანამ დატოვა. ბოთლები ცარიელი იყო, სამაგიეროდ ფერადი. ვაჟას ისე მოეძალა ქავი-

ლი, რომ აღარც ერიდებოდა ბიჭებს, გადაიძრო ჯემპრე, პერანგი.

კედელზე მამიდაშვილების სურათები ეკიდა.

— უბანში იცნობ ბიჭებს?—ისევ უმცროსი ეკითხებოდა.

ვაჟას რაც შეეძლო ბევრი ბიჭის სახელი უნდა ეთქვა, ასე აჯობებდა, ასე უფრო მოიგებდა მამიდაშვილის გულს. თანაკლასელების გარდა, ვინც სკოლიდან, ეზოდან გაახსენდა, ყველა ჩამოთვალა და ბოლოს დაუმატა კაკუჩა.

— ჩემი ძმაია კაკუჩე, — უფროსს სახე გაუნათდა, — შარშან ქობულეთში დავცხეთ ზოგიერთებს.

ვაჟას ყოველთვის უმართლებდა მსგავს ხალხთან, როდესაც ძალიან ფეხებზე მკიდია სახეს მიიღებდა, თან ვითომ არც არაფერი აინტერესებდა და ყველაფერს აგდებით იხსენიებდა.

— კაკუჩას ბევრი ურტყამს თავში, — სადღაც გაგონილი ფრაზა მამიდაშვილებისათვის ზედგამოჭრილად ჩათვალა.

— მაი სხვა კაკუჩე იქნება, — იუარა უფროსმა.

საუზმეზე თავიდან ყველა ჩუმად იყო. გულნარამ ჭიქები შეავსო და ქმარს ანიშნა, თქვიო. ქმარმა ვასიკოზე მიუთითა. ქალმა არ დაიმო და თვალები დაუქაჩა.

— აბა გაუმარჯოს ჩემი სიდედრის ხსოვნას, — ასწია ჭიქა უზარმაზარი ტორით, — მოგონება იყოს.

— ხსოვნა იყოს, — ვასიკო სიძის პირველი სიტყვებიდანვე შეეჩვია, შეეგუა, რომ თვითონ სტუმარი იყო.

— ვასიკო, —წამოიწყო გულნარამ შესანდობარის ჩამოთავვების მერე, — გაკეთდა შენი გოგო?

— მაგის დროა ახლა... იმას რატომ არ მეკითხები, სად არისო.

— ლილიმ მითხრა, არ გამოუშვესო, ენაცვალოს მამიდა, მაი კი გამოგივიდათ ჯიშიანი.

— ლილიმ გითხრა, — ცოლს გადახედა ვასიკომ ის ერთი ჭიქა ემჩნეოდა უკვე გამოხედვაში, — კაი რამესაც გეტყოდა ლილი.

ვაჟას ყოველთვის უკვირდა მამის, მეზობელს რომ ეწყინებინა, ცოლზე გადატეხავდა. რას ეერჩოდა, რა უნდოდა? ალბათ ყველაზე ერთგულ და მორჩილ ადამიანად თვლიდა და მისი ხასიათიც, მამის ბუნებაც აქ მეღავნდებოდა. სხვას ვერავის უბედავდა სიტყვის შებრუნებას, ხმის აწევას, ამიტომ უთქმელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ნანა აქ უნდა ყოფილიყო, — ტატანამ ლილის უთხრა ეს, მაგრამ ვაჟამაც გაიგონა და ისევ არ ესიამოვნა, ისევ შეეშინდა ნანას სიმარტოვის. გაახსენდა, როგორი ოდნავ დარეტიანებული სიარული იცოდა დამ. ნანას გაშტერებული ცქერა და უცვი იმ ვაშლის ხესაც გახედა ფანჯრიდან. ცივად მოაშორა თვალი.

მეზობლის ქალმა რძე შემოიტანა ქოთნით. ტკბილი ორთქლი დადგა სუფრაზე. ვაჟამ ჭიქაში გადმოისხა და სიამოვნებით მოხვრიპა.

— შეხედე, — ქმარს უჩურჩულა გულნარამ, მაგრამ უჩურჩულა ისე, რომ ყველას გაეგო, — შეხედე რა ჭკვიანი ბიჭია, — მერე რძალს გადახედა, — ყოჩაღ ლილი, ყოჩაღ. აბა ჩემები თუ მქავე და ცხარე არ იქნა, პირს არ დაკარებენ. ყოჩაღ ლილი, რომ მიგიჩვევია ბადანე დაჯერებას.

ვაჟა ვერ ხვდებოდა ან საქმები ან დასაჯერებელი რა ჩაიდინა. ნელ-ნელა სვამდა ცხელ რძეს.

— რეიზა ხართ ამფერი დოუჯერებლები, ამფერი თქვენის გამტანები და ამაყები, — ახლა შვილებს მიმართავდა გულნარა, — მიბაძეთ თქვენს ბიძაშვილს.

— რა არის ამაში, გულნარა, მისაბაძი, — ლილის ეღიმებოდა კიდეც მულის პრიმიტიულ დიპლომატიაზე, — უყვარს რძე და სვამს.

ვაჟაც ხვდებოდა მამიდა თავის შვილების დაუჯერებლობას სიამაყესთან რომ ატოლებდა (რა შუაში იყო სიამაყე) ამით ძმაშვილს ამცირებდა, სულ გადავრევო, ვაჟასაც გაეღიმა. კიდევ ჩამოისხა ქოთნიდან და სხვათაშორის თქვა, — ნანასაც ძალიან უყვარს რძე.

— ახლა ოჯახის უფროსიც მოვიგონოთ, — გულნარას ქმარმა ასწია ჭიქა. ვასიკომ უხმოდ დალია. მალე სიმონაც მოემატათ. ვაჟას თმები შეუქანჩალა და გადაკოცნა. რამხელა გამხდარა აი მამაძაღლიო. ყოველთვის სვანურქუდიანი სიმონა ბავშვივით ეშმაკ თვალებს აბრიალებდა.

— რას შობა, ლილი, ჩემი გოგო? — ნანათი დაინტერესდა ისევ გულნარა.

— არა უშავს, წელსაც ცდის.

— ცდის, — გამოაჯავრა ვასიკომ ცოლს, — არ მაქვს მე საცდელი ბაზა სასწლში... შენ რომ ვარგებულიყავი, აქ იქნებოდა ახლა, — ორი ჭიქა საგრძნობლად ეტყობოდა კაცს. ვაჟამ დიაჭირა ნასვამი მშობლის ჭინჭყული, ჩხუბისწინა კილო, იმ იმედით, რომ ამდენ ხალხში შერიხვება და არ იკადრებსო, თვითონაც სითამამე მოემატა, — რა შუაშია ღედა?

ვასიკომ ისე გადახედა ბიჭს, რომ ვაჟამ კიდევ ინატრა, ნეტავი არც მე წამოვსულიყავიო. ბიძამისის „პატარე“, მამიდის „უჯიშობა“, მამიდაშვილების ფერხე გადაკვრას არ მოუწურავს გული ისე ბიჭისათვის, არ შეურაცხვია, როგორც ამ გადმოხედვამ. „დავრჩენილიყავი ნანასთან თბილისში, რა მინდოდა აქ“.

— არა, გოგოა ტყვილია, —არ ათავებდა გულნარა ნანას ქებას, — ახლა ალბათ რას დარდობს, რას ტირის, მაგრამ ვერ მეიცალა და აგიც აანერვიანებს.

სკამის ზურგს მაგრად მიეკრა ვაჟა და გაეხახუნა. ახლა ბეჭებსა და ფერდებზე მოედო ქავილი. უკნიდან სიმონა ამოდგომოდა და რაღაცას ეუბნებოდა ბიჭს. ვაჟა ისე იტანჯებოდა, ისე ეწვოდა უკვე ზურგიც, რომ არც ესმოდა, რას ლაპარაკობდა სიმონა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მოჰკრა ყური და იგრძნო, ნამდვილად იგრძნო, ისევ სოფლის ამბებს ეუბნებოდა კაცი. ყოველ ჩასვლაზე დაუჯდებოდა სიმონა ნანას და ვაჟას, სანამ პატარები იყენენ, მუხლებზე ისვამდა, მოეთხრობდა სოფლის წარსულზე, ამ კუთხის ვმირებზე. ხშირად შინმოუსვლელთა სტენდთანაც მიუყვანია და თვითეულ დაღუბულზე ცალ-ცალკე მათ ვაჟაკაცობაზე კაკალ-კაკალ "ყველაფერი მოუყოლია. ვაჟა აჰყავდა ხოლმე სასაფლაოზე და წინაპრების საფლავებს (ამობურცულ მიწას) ამახსოვრებინებდა, გულდაწყვეტილი ამბობდა, შესჩიოდა ბიჭს, რატომ არ უნდა იყოს ბაბუაშენის საფლავზე ტირიფი. ახლაც „ტირიფის“ ხსენებაზე, ყურის მოკვრაზე მიხვდა ბიჭი ისევ სოფელზე, მის სოფლისადმი მოვალეობაზე, საფლავის პატრონობაზე ესაუბრებოდა, არიგებდა მუდამ თვალებბრიალა კაცი. ვაჟას ყოველთვის მოსწონდა ის, რასაც სიმონა უყვებოდა, მაგრამ ახლა ნამდვილად არ ქონდა არაფრის თავი.

ვასიკო ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ გულნარას ბიჭებში ერთგვარი პატივისცემა და მორიდება გამოიწვია.

— მამა, სირცხვილია, — ჩუმად უთხრა ვაჟამ.

— შენი ჭკუის სწავლება მაკლია.

ვაჟა დედას ხანდახან გადახედავდა. ისიც წამით, დიდხანს ვერ უყურებდა ქალის დაბნეულ და შერცხვენილ სახეს. ბიჭს გული ჩაეწვა და ისევ ჩუმად თქვა, მამა, კარგი რაო.

— გაჩუმდი, ვასილა, — მოხუცი მამიდა მიუახლოვდა უაზროდ მოშზირალსა და ახმაურებულ კაცს, — სირცხვილია.

ვაჟამ ვეღარ გაუძლო დედის მზერას, წამოდგა, მუშტით ცრემლი მოიწმინდა და ის იყო გაცლას აპირებდა, ვიღაცამ ხელი შეახო. ქვემოდან მისჩერებოდა ბაბუდა. უცებ მარჯვენაზე ეამბორა მოხუცი. მერე თვალებში რისხვა ჩაუდგა და ძმისშვილს მიმართა, — აგი ბიღანე მაინც შეიცოდე, შე უღმერთო, კვტარი დედის თუ არ გეხათრება... გაი ახლავე და დაიძინე!

ვასიკო უხმოდ გაბორძიკდა.

გულნარამ რძალი და ტატიანა თავის საძინებელში გაიყვანა და დიდი პატივით დაუთმო. ვაჟა უხმოდ, კუდში დაყ-

---

ბადრი ოზოზოველიძე
ძმა

ებოდა დედას. გულნარამ თბილისში რაც და ვინც იცოდა, მოიკითხა. ეიღაცამ კარზე მოაბრახუნა და ვაჟას გაკაწრა გულზე. უცებე მოეშვა. სიმონა და მამადამისს ქმარი იყენენ. სიმონა ქუდის ქვემოდან აქეთ-იქეთ ატარებდა თვალებს, ყველას უყურა ერთხანს. ეტყობა რაღაცის თქმას აპირებდა და დაწყება უჭირდა. უცებ მოიხადა ქუდი, მუხლზე დაიდო და ჩაახვალა.

— ვასიკოსთან ახლა ლაპარაკს არა აქვს აზრი, — ლილის და ვაჟას მიაჩერდა მხოლოდ, — არც ხვალ და არც ზეგმაი ამ სახლის მოვმლელი არაა. შარშან და მის უკან რამდენიც ჩამეკიდა, აქანე საქათმე უნდა ჩავდგაო, — კაცს გაეღიმა, — საქათმიზა ზომავდა ადგილს, სახლი ქე ენგრეოდა თავზე... ახლა ატყობთ გამაგრებულია და გადახურული, — გულნარას ქმარს გადახედა სიმონამ, — აგი ხალხი კი არ იმადლება, მარა...

— ისე იჩქმეტდა საწყალი დედა ჩემს უფროს ბიჭზე, მიყვარს შვილშვილებში ყველაზე უფროო, რომ ჩვენს უჩუმრად დაუტოვებია მისთვის სახლი, — უკმაყოფილო სახე მიიღო გულნარამ.

— არაა მაი საჭირო, — თავი გაუქნია ქმარმა და კედელზე დაკიდებულ თავის ფოტოს მიაჩერდა.

— თქვენი სტუმრობით ყოველთვის მოხარული ვიქნებით აგენიც და მეც, თუ მიკადრებთ, — სიმონა წამოდგა და ვაჟას თავზე გადაუსვა ხელი, — საქათმით დაწყება არ გამიგია. უტოპისტია მამაშენი, ბიძია უტოპისტი.

ტატიანას პატარა გოგოსავით ფხუკუნით გაეღიმა და ლილისაც გაკრა მხარი.

— რა გითხრაო, — წყნარად წამოიწყო ლილიმ, — როგორც ბრძანეთ, რასაც გვთავაზობთ, მაინც ასეა და ასე დარჩება... ვასიკოს ნუ ეტყვით, ცოდოა, — ქალმა ქვედა ტუჩზე იკბინა, — ცოდოა, უყვარს აქაურობა და სულ დაკარგვა, რა თქმა უნდა, ატკენს გულს.

გულნარა და მისი ქმარი გავიდნენ. სიმონამ ცოტა ხანი იარა ოთახში, ისიც სურათებს უყურებდა, გულნარას ფერად სურათებს.

— შენ ჩამოი, ვაჟა ხუნერად ჩამოი, — ახლა თავზე აყოცა ბიჭს, რომელ ნაბიჯსა უსტრეა ქალებს და დატოვა იქაურობა.

გვერდითა ოთახიდან, სადაც ცხედარი ესვენა ზუზუნა ტირილი გამოდიოდა. გამოკვეთილად მხოლოდ, ჩემი ტკბილო რძალო, ისმოდა. იყო კი ტკბილი ან ანგელოზი მულისთვის? ეს არავინ, იცის. ვერც მოხუცი, რძალს შებერებული ქალი იტყოდა მართალს. არც ბებიას ექნებოდა ამის პასუხი სამარადისოდ წაღებული.

ვაჟა კი ვერა და ვერ იძინებდა. არა, ეს ტირილი, მიცვალებულის სიახლოვე, არ აწუხებდა, არც ახსოვდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა უნდა მომხდარიყო, რომ ისა და ნანა ასე უცხოები გამხდარიყვნენ ერთმანეთისთვის. ნუთუ შეიძლებოდა დიდი, თუნდაც ძალიან დიდი ხნის მერე ასე დაშორებოდნენ ერთმანეთს, როგორც მამამისი და გულნარაა. ვაჟა დარწმუნებული იყო, მამა აწი აღარც შეხვდებოდა დას და გულნარაც ისე ჩავიდოდა თბილისში, ალბათ, ძმის ნანგის არავითარი სურვილი და მოთხოვნილება არ შეაწუხებდა... მოენატრა ნანა, მისი ჭკუის დარიგებები, ტკბენია საუბარი და სასაცილო, სრულიად არაპრაქტიკული წინადადებები.

3

ეს პატარა საპარიკმახერო არაფრით გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, ისეთს მაინც რას წარმოადგენდა, რომ ვაჟა კარგა მოზრდილ მანძილს გამოივლდა სახლიდან და თმის შესასწორებლად აქ მოდიოდა. არა და ვერ წარმოედგინა ბიჭს აქაურობასთან კავშირის მთლიანად გაწყვეტა. ეს მისი ძველი უბანი იყო. ხშირად აქ ქუჩაშიც ურბენია და უთამაშია. მერე დაანგრიეს მათი სახლი. მოკლედ ამ საპარიკმახეროში ძველი უბნის სიყვარული ეწვიოდა ბიჭს. ვაჟას რაც ახსოვს, მოხუცი ხელოსანი ჰამო და მისი ახალგაზრდა კოლეგა ყოველთვის საქმიანად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. იწყებდა ჰამო და ახალგაზრდა ხანდახან ჩაერეოდა ხოლმე. ახლა

ბიჭს თავი წაღუნული ჰქონდა. აი, ეს კი არ უყვარდა — კისრის გასუფთავება. თმის ანაკრეჭიც უსიამოვნოდ ჩხვლეტდა.

— კარგი, ბიჭო, გააჩერე თავი, —ჰამო ღონივრად დაიწვა ვაჟას, თან შეწუკვეტილი საუბარი განაგრძო, — უყიდნია სახლი, ეზო რამე ორად.

— ვაა. გაიკვირვა, ახალგაზრდამ.

— ორად მაშ, — სუნამოიანი ბოთლი აიღო ჰამომ, — მოქმედი ორად.

— არ დამისველო, — იუარა ვაჟამ.

— ეგ სადა? — დაინტერესდა ახალგაზრდა.

— ჭიაფურა რაა, არა, მარგანეცი რამე, ომის ზემოთ.

— შენც რო აგიღო იქ ერთი სახლი, მეც ვიყიდდი დაჩას, კანეშნა ეგეთ ფასში.

— ეკითხამ, — ჰამომ სავარცხელი ბამბას დაუსვა, — დაგვარცხნო?...

— ეგეთი რა, — ახალგაზრდა პარიკმახერს არ უნდოდა დაწყებული საუბრის შეწყვეტა, — ეგეთი მაღალი სოფელი აქ ახლოსაცაა. ჰოდა, ერთი ორი სული კაცი რომ შევიკრათ. ნაპრიმერ, მე შენ, შენი ძმა...

— ჩემი ძმა სოხუმთან იყიდა, მორე რამე რა, — ამაყად თქვა ჰამომ.

— კარგი, მე, შენა, — ახალგაზრდა ჩაფიქრდა, — ჩემ ნათლიასაც ვეტყვი, ლოგიკასაც. მშვენიერი დაჩები გვექნება, კანეშნა, შენ რო ამბობ ეგეთ ფასში თუ იქნა... მერე მოდნიც გახდება.

— რატომ ახლა, ვითომ?! — ჩაერია საუბარში ახალგაზრდა პარიკმახერის კლიენტი. უცებ მოიხსნა თეთრი წინსაფარი, გაუპარსავ, ქაფიან ლოყაზე მოისვა. წამოდგა და სავარძელში ჩაეფერთხა, — რაბომ ვითომ?! ეს, შენ და ლოგიკა გახდით სოფელს მოდნის?! — კაცი ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ვაჟამ სარკეში გააყოლა თვალი. სარკიდან საპარიკმახეროს შემოსასვლელი და ქუჩის ნაწილიც მოჩანდა, ვაჟასთვის საყვარელი, ნაცნობი ქუჩის ნაკვერი. მოჩანდნენ გამვლელებიც.

— გაგიქდა ეგ შობელძაღლი, — თქვა ჰამომ და როგორც იქნა მოაშორა ვაჟას თმის სავარცხელი.

ბიჭმა მაინც თავისებურად თოფება შეიყო თმაში, სარკისკენ წაიხარა და გაშეშდა. პირდაპირ მისკენ მომავალი გოგონა გამოჩნდა. ნანა! სარკეში ნამდვილად ასე ჩანდა, რომ ვაჟას ეჯახებოდა და, ბიჭს უსიამოვნოდ დაუარა რაღაცამ ტანში. ასე შეღებილი და ამგვარი ვარცხნილობით არასოდეს გამოსულა ნანა სახლიდან. კიდევ უფრო მოეღუშა სახე. და მარტო არ იყო, მას კაკუჩა ახლდა. ისე იქცეოდნენ, ისე ჩმამაღლა ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, რომ ვაჟას შერცხვა კიდეც. ნანა კართან გაჩერდა. კაკუჩა საპარიკმახეროში შემოვიდა. ერთ წუთითო, ჰამოს სავარცხელი აიღო და თმის მონდომებით ვარცხნას შეუდგა. ვაჟასთვის არ შეუხედავს. ვაჟა ცდილობდა არც ნანას შეემჩნია იგი. გოგო ქუჩაში იდგა და ძმისთვის სრულიად უცხო მზერით აქეთ-იქეთ იყურებოდა. როგორც იქნა მორჩა კაკუჩა თმის დაწყობას. მადლობთ, ბიძაჩემო და გავიდა. ვაჟამ შვებით ამოისუნთქა, ფული გადაუხადა ჰამოს და მანაც დასტოვა იქაურობა.

ქუჩაში გაზაფხულის თბილი საღამო იდგა. ეს ისეთიც მშვენიერი დრო ბევრად უფრო სასიამოვნოა, თუ საყვარელი ქალაქის საყვარელ ქუჩაზე შემოგვიდგება. ნელა გაუყვა ვაჟა. უცებ შეჩერდა. რომ არ შეჩერებულიყო, ნანასა და კაკუჩას გვერდით აღმოჩნდებოდა. კაკუჩას გოგოსთვის ხელი გადაეხვია და ისე მაბიჯებდნენ. ვაჟაც გაჰყვა. გრძნობდა, არ იყო კარგი საქციელი, რასაც შერებოდა, მაგრამ რაც.მეტად ერცხვინებოდა, უფრო და უფრო შედიოდა დევნის აზარტში. ახლა თვითონ მარჯვნივ უნდა გაეხვია, მაგრამ არა. საითაც ნანა და კაკუჩა წავიდნენ, იქით, პირდაპირ იქით წავიდა ბიჭიც. ეს ქუჩა უფრო ვიწრო და ჩაბნელებული იყო. ამ ქუჩის ბოლოს პატარა პარკი იყო, პარკი დი-

ლით სავსე იყო ბავშვებით, დედებით, შინამოსამსახურეებით, საღამოს კი ბევრი გვერდს უვლიდა, ბევრი ზიზღით იხსენიებდა, შიშნარევი ზიზღით. ერთხელ მამამ ისიც თქვა, რამდენი ჩავიარე, ჩვენი სოფლელი ცაცა დავინახე ბიჭებთანო. საიდან გაახსენდა ვაჟას ეს, საიდან, ან ცაცა და ან მამის სიტყვები. არა და კარგა ხნის ამბავია. წელს კი როგორ იტირა ცაცამ ბებია. ყველა აგდებით უყურებდა სახელგატეხილ ქალს. ცაცა კი ტიროდა, შენ გესმოდა ჩემი. ვაჟა შეჩერდა, საიდან გამახსენდა ცაცაო. რაც უფრო უნდოდა ცაცაზე არ ეფიქრა, მით უფრო ხშირად უდგებოდა თვალწინ. ახსენდებოდა ყველაფერი, რაც.კი ქალს უთქვამს, გაუკეთებია. ნანა და კაკუჩა ბაღში შევიდნენ. ვაჟას ალარ გაუგრძელებია გზა. შემობრუნდა და სახლისკენ სირბილით წავიდა. ისევ შეჩერდა, დაგბრუნდები და შეგალ პარკში, ვითომ შემთხვევით მოგხვდი იქო. ამას კი ფიქრობდა, თითქმის გადაწყვიტა კიდეც, მაგრამ სახლისკენ მირბოდა, მირბოდა სწრაფად. კიბესთან სული მოითქვა და ორ-ორი საფეხურის გამოტოვებით დაიწყო ხტუნვა. ისევ ცაცა გაახსენდა. როგორ შეხედა გულნარას უფროს ვაჟს, როდესაც ბიჭმა იხუმრა, დასცინა ქალს. ვაჟას გული შეეკუმშა. სახლის კართან იდგა. ქალიშვილი ქალის რედიკულის ნახვა რა წესიაო, გაიკრიჭა მამიდაშვილი და უმცროს ძმას თითი დაუქნია. უმცროსი გაბუსუნებული იდგა, ვერც მიხვდა, რა რედიკულზე იყო საუბარი. უფროსმა ცაცას ხელჩანთაზე ანიშნა და გაიმეორა, ქალიშვილი ქალის რედიკულიაო... ბიჭმა ჩაიფხუკუნა, გაეღიმა მამამისსაც, ენა კი არა, სამართებელი აქვსო:

— რა მოხდა, რა ამბავია?! — კარი დედამ გაუღო ბიჭს, — რა მოხდა ვაჟა?!

ახლადა მიხვდა, ზარს ღილაკიდან თითუდებლად, გაუთავებლად რომ რეკავდა და სწორედ ამან შეაშფოთა, შეაშინა დედა.

— არაფერი, — მერე სხვათაშორის იკითხა, — ნანა სახლშია?

ისედაც იცოდა, რას უპასუხებდა ქალი და ოთახში შევიდა.

— რა მოგვიგიდა, ვაჟა? — შეუყვა ლილიც და გვერდით ჩამოუჯდა ტახტზე. გაოფლილ შუბლზე ხელი გადაუსვა, — ირბინე?

ვაჟამ თავი დაუქნია და უცებ ისე თქვა, ისე აღმოაჩინა ახალი რაღაც, რომ თვითონაც გაუკვირდა, — დედა, გული მტკივა.

— რაა?

— გული მტკივა, აი აქ, მარცხნივ,— დედის ხელი მკერდზე მიიდო.

— რა დროს შენი გულია, — გაეღიმა ლილის და მეორე ხელი მხარზე გადახვია.

— მწოწკნის ზუსტად აი აქ, სადაც გულია, — ბიჭი წამოწვა. დედას კალთაში ჩაუდო თავი, თვალები მილულა.

— დაიღლებოდი, შვილო, აბა რა დროს შენი გულია.

ცოტა ხანში ისე გამოეცალა ლილი, რომ ვაჟას არც გაუგია. მთლიანად ძილს მოეცვა ბიჭი, ღრმა ძილს. ხანდახან ელიმებოდა კიდეც. ხედავდა დიდ სარკეს და ამ სარკეში თანაკლასელი გოგონები გამოჩნდნენ. ყველაზე წინ თიკა მოდიოდა. ისევ ისე, ზუსტად ისე, როგორც სპარიკმახეროში, ოღონდ სარკე იყო დიდი.

უცებ გამოეღვიძა ვაჟას. დედა საწოლებს შლიდა. მამა პატარა სავარძელში ჩამჯდარი კითხულობდა გაზეთს.

— არ მოსულა ნანა? — თვალისგახელისთანავე იკითხა.

— ტატიანასთან დაურეკავს, კინოში შევდივარო, — ლილი მიუახლოვდა ვაჟას, — კიდევ გაწუხებს გული? — ისეთი დიმილით ჰკითხა დედამ, ვაჟას მარცხენა რომ ტკენოდა, უარს ეტყოდა. ახლა მითუმეტეს, აღარც კი ახსოვდა ჩხვლეტები და უარის ნიშნად თავი გაუქნია. ქალმაც ბიჭზე ხელი მოუთათუნა, — ადექი, შენც დაგვგო.

გვიანამდე ვერა და ვერ დაიძინა ვაჟამ. ნეტავ ისევ მამა იგვიანებდესო. მამაზე ყველაფერი გულმოსასვლელი და

სწყენი გაიხსენა, იქნებ ნანაზე ოღარ ეიფიქროო, თუმცა უფრო ხშირად დღეგანდელი შეხვედრის მერე კაკუჩა აგონდებოდა. მისი მოძრაობები სავარცხლით, დაზე გადაგვეული ხელი. მერე მამას მიუბრუნდა. როგორი შიში გაუჩნდა ბებიის ქალებს. მისდა გასაოცრად და გასახარად ვასიკომ წვეთი არ გიკიარა. ეტყობა არ ქონდა არაფრის თავი, იმდენად იმოქმედა დედის საფლავში ჩასვენებამ. პირველად იქ გაიგო ვაჟამაც, იქ მოესმა კუბოზე ბელტების დაცვენის ყრუ და საშინელი ხმა. ნეტავი მამა იგვიანებდესო, ისევ ეს ფიქრი მოეძალა. ეტყობა შეგუებული მოლოდინის, შეჩვეული ღამისტეხვის უფრო არ ეშინოდა, უფრო არ უმძიმდა. კაკუჩა პირველი დანახვისთანავე არ მოეწონა. თუმცა ნანა ყველაფერს კაკუჩისაგან იგებს ძმაზე, მაგრამ ვაჟას ჯერ არ ახსოვს მისლმებოდეს, შეემჩნიოს იგი კაკუჩის. რომ გათხოვდეს? გაიღიმა ვაჟას. ახლა გაიაზრა, ნანას გათხოვებას რა მოყვებოდა. ოჯახის ზეიმი, ქორწილი, სიძე (აქ უკვე ვეღარ ფიქრობდა ბიჭი სიძის ვინაობაზე. ეს სიტყვა რაღაც ახლის მაუწყებელი, შეუცნობის სიმბოლო იყო). რაც მთავარია, ნანას შვილი, მისი დისშვილი. ღიმილი არ შორდებოდა ვაჟას. პატარა ბავშვის სახე ედგა თვალწინ: იცინის, ტირის, დაბაჯბაჯებს, წაიქცა. ოთახში თითქოს კისკისიც მოესმა, ბავშვის კისკისიც, ვაჟას ასევე გაღიმებულს ჩაეძინა.

დილით საძინებელი ოთახის ორივე ფანჯრიდან სვეტებად დაეშვა მზის სხივები, ოთახში ჩაიღვარა და სასიამოვნო, ლამაზი გახდა ყველაფერი. ვაჟას ადრევე გამოეღვიძა, წამოდგა და ისე რომ არავის გაეგო, მისაღებ ოთახში გაიპარტა. ნანას მშვიდად ეძინა. სკამზე ფაქიზად ეწყო დის ტანსაცმელი. მერე ისევ ჩაწვა ბიჭი და დილის ძილმა თავი წაართვა. მზემ მიანთო და ამან გამოაფხიზლა. მშობლები ამდგარიყვნენ. ვაჟა ტრუსების ამარა გავიდა. სამზარეულოს კარი მიკეტილი დაუხვდა. არასოდეს ახსოვდა ეს კარი მიხურული. და ის იყო უნდა შეეღო, რომ თეთრეულის ჩურჩულით ნათქვამს მოკრა ყური. ეკი ჩვენი ბრალი, ესღა გვაკლდაო. მამის შეშფოთებულმა ხმამ გაყინა ბიჭი. მერე დედის ტირილით ნათქვამიც მოესმა, ოღონდ ვერ გაარჩია, რას ამბობდა, რა იყო სატირალი. კარგი, კარგი, რამე უნდა ვიღონოთ, ისევ ვასიკომ დაამშვიდა ცოლი და უფრო თავის თავის გასამხნევებლად დაუმატა, უნდა ვიღონოთ ამა რა, უნდა ვუშველოთოო.

— თავი მაქვს მოსაკლავი, თავი მაქვს მოსაკლავი, — დედის ჩუმმა, მაგრამ ნერვიულმა წამოტირებამ კარი შეაღებინა ვაჟას.

— ნანა როდის მოვიდა გუშინ? — შესვლისთანავე იკითხა ბიჭმა. იკითხა ისე, რომ მშობლები ოდნავ შეკრთნენ კედეც, — როდის მოვიდა?! — ხმას აუწია ვაჟამ.

— არ დაუგვიანია, — თქვა ლილიმ.

— არც ისე გვიანი იყო, — ვასიკომ თავისმართლებასავით წამოისროლა ეს სიტყვები.

— სად ვიყავით?!

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს და უხერხულად აიჩეჩეს მხრები.

ამ დროს შემოვიდა ნანაც.

— სად იყავი გუშინ და ვისთან ერთად?! — იმავე მკაცრ კილოზე იკითხა ვაჟამ.

— შენ მაკლიხარ კიდევ, —ნანამ გასვლა დაუპირა.

— სად იყავი გუშინ?! — უფრო აუწია ხმას ბიჭმა და უკნიდან ღაპის პერანგში წვდა დას. პრიწინით ჩამოიხა პერანგი. ნანა უცაბ შეტრიალდა ძმისკენ, ვაჟას დაბალბულ სახესა და მზერაზე შეშინდა და ამოილუღლუღა, ამხანაგთან ერთად ვიყავი კინოშიო.

დის მორჩილ, დამფრთხალ გამოხედვაზე მოეშვა ბიჭი. ცრემლი, სიბრალულის ცრემლიც კი მოაწვა და აკანკალებული, რიხს მოკლებული ხმით იკით-

ბადრი ჭოხონელიძე
ქუთაისი

ხა, — როდის დაბრუნდი, ნანა, როდის დაბრუნდი?

ნანა უხმოდ იდგა. ძმის უეცარმა შეცვლამ ჩამოხსნა სიმორცხვე, დაბნეცა და ახლა ამაყად მიაჩერდა ბიჭს.

— ნანა! — წამოიკივლა უცებ ვაჟამ. ლილი და ვასიკო შეეკრთო ამ კივილმა, — მითხარი სად იყავი, მართალი მითხარი და ვისთან ერთად.

— ეს ბავშვი სამკურნალოა, — მშობლებს გახედა ნანამ.

— სამკურნალო და საექიმო ვინც ბრის, კი ვიცი, შვილო, მე, — გამომშრალი ხმით თქვა ლილიმ.

— თქვენთან ზომ არაფრის თქმა, მოჯოლა არ შეიძლება, — ნანამ დატოვა სამზარეულო.

ზარის ხმაზე ვასიკო წვიდა კარის გასაღებად. ლილი ვაჟას უყურებდა და თავისთვის ოცნებით ამბობდა, — შენ მაინც იყო უფროსი. ერთად უფრო მიგზედავდით ამ ამბავს.

— რა ამბავს? — დაინტერესდა ვაჟა.

სამზარეულოში ხმაურით შემოაბიჯა სიმონამ. უკან იდგა ვასიკო და დაბნეული იღიმოდა.

— რაია, გეწყინათ ჩემი ჩამოსვლა?

— სიმონამ ვაჟას თავზე გადაუსვა ხელი და აკოცა, — სად მიხვალ, ბიჭო, შენ?

— არსად, დღეს კვირაა.

— სიმაღლეში კი მიხვალ და... — მერე ლილის მიუბრუნდა, — რაღაცა ჩამოვიტანეთ და ვასადილოთ დღეს ერთად, —ვასიკოს სვანურ ქუდს ქვემოდან თვალები გადაუბრიალა, — შენებური არ დეიწყო, შემარგე.

სიმონას ჩამოტანილი ხის დიდ ჩემოდანში ძლივს ეტეოდა უამწვარი გოჭი, მოხარშული ქათმები, რამდენიმე ბოთლი არაყი, თხილის ჩურჩხელები და ხილი.

— ღვინოც მინდოდა, მარა ვერ მოვერიე, — მოიბოდიშა სტუმარმა.

— დიდი მადლობა, ჩემო სიმონა, — ლილი ძვენს ალაგებდა ჩემოდნიდან. თითქოს ყველას გადაუარა ბრაზმა, ჯავრმა. პატარა სამზარეულო სასიამოვნო სურნელით გაიღეღნა, დაიგო რიგიანი ხალისი, უთქმელი, უმიდრაო, მაგრამ ერთმანეთისთვის გასაგები და გადამდები. სწორედ ერთმანეთის გასაოცრად აქებდნენ ყველაფერს. ვასიკო ანჯღრევდა ბოთლს, მოკიდებულ ჯაჭვს უყურებდა და იღიმოდა, იფ, იფო. ვაჟამ ისიც შეამჩნია, რომ დედაც გაზალისდა. მასაც ეღიმებოდა ქმრის აღტაცებაზე, სასმელით აღფრთოვანებაზე. არ უფრთხოდა მის სიმთვრალეს, არ ჰქონდა ცუდის მოლოდინი და ბიჭმაც ყველასთვის თვალში საცემად შეეჯღრია მეორე ბოთლი, შუქზე გახედა.

— ჭაჭაა, — აუხსნა სიმონამ.

— ვიცი, — გაუღიმა ვაჟამ.

— ბოდიში, მამაშენის შვილს მაი არ გესწავლება, — სიმონას კარისკენ გაეცა თვალი, — ამას ვის ვხედავ.

ნანა მოეხვია კაცს. გოგოს შემოსვლაზე საბეშვეცვლილ ლილიმ უცებ დახურა ჩემოდანი. დახურა ისე ცივად, ტაცანით, რომ სიმონამ გაკვირვებით შეხედა. ქალი გამოეკვა და ნანას მიმართა (ვერ უყურებდა შვილს, სადღაც სხვაგან ჰქონდა მზერა გადატანილი), — აი რაები ჩამოგვიტანა სიმონა ბიძიამ.

— ვაჟა, ქალი გაწუხებს კიდევ? — სიმონა ჩამოჯდა და ქუდი მოიხადა.

— ქალი ადარ, რაღაც გული მტკივა, — ისე თქვა ბიჭმა, რომ ყველა გაშეშდა. შეშინდა.

— რა დროს შენი გულია, — მერე ვასიკოს გახედა, — ფედოსის რომ რვა მარტი მოულოცა, თუ იცი.

— კაია, კაცო, — გაეღიმა ვასიკოს, — მართლა, ბიჭო?

ვაჟამ თავი დაუქნია.

— იშაყირე? — ნანაც იღიმებოდა.

— არაფერიც არ მიშაყირია, — ვაჟას უკვირდა, რა იყო სასაცილო. ბებიის დასაფლავებიდან დაბრუნებულს ასევე ღიმილით შეხვდა მთელი კლასი. ყველამ იცოდა, რომ ნიკასთვის დეპეშით მიელოცა დაბადების დღე. ხუმრობდნენ

და რაც ყველაზე მეტად არ ესიამოვნა ბიჭს, ნიკა დასცინოდა კიდეც. მაშინაც ვერ მიხვდა, სასაცილო ან დასაცინი რა ყო. მხოლოდ ირაკლი, ქერა და მსუქანი ბიჭი იჩეჩავდა მხრებს, მერე რა მოხდა, მერე რა მოხდაო, ხმირად იმეორებდა. ვაჟასაც ასე უთხრა, მერე რა მოხდა, მიუოლიდ და კარგიც გიქნიაო.

— გაგიჟდა, კაცო, ფედოსი, —. ისევ გაიცინა სიმონამ, — გონია, არც კი იცის რვა მარტი რა დღეა.

— ჯანჯუხა, — დაწვდა ნანა, — როგორ მიყვარს ჯანჯუხა და ტკბილი კვერი.

— იქნება მაქანე... ლილი, ის თქვენი მეზობელიც გადმოიპატიჟე, ბიცოლაჩემს რომ სცა პატივი.

— აა, სიმონა ბიძია, შე ეშმაკო, — თვალი მოუწკურა ნანამ, — მოგეწონა ტატიანა დეიდა.

სიმონამ ბავშვივით დამორცხვებულმა დაატრიალა თვალები.

— მაი არ თქვა მეორედ... უყურე, რა მაკადრა, — სიმონა წამოდგა და ქუდი დაიხურა. ყველას გაეღიმა. ნანამ გადაიკისკისა კიდეც. მაგრამ კაცი ნამდვილად განაწყენდა და არც დაუმალავს, — მამაშენზე უფროსი ვარ მე და რაია, შე ეშმაკოო.

ნანა შეცბა, უხერხულად მიიხედ-მოიხედა. ვაჟას შეეცოდა და. არა და რა თქვა ასეთი. შეიძლება ნანას რომ არ დაესწრო, ბიჭს თავადაც წამოცდენოდა რამე მსგავსი. გოგო გახვეებული და ისევ დაბნეული იდგა შუა სამზარეულოში ნახეკარი ჩურჩხელით ხელში, რომ ვაჟამ ინატრა ნეტავ მართლა მე მეთქვაო.

— უფროსებთან ზრდილობაა საჭირო, — დაიწყო სიმონამ თავიდან, — მაი შენ კბილებთან შეგიძლია იხუმრო.

— სოფელშიც არ აშორებდით თვალს ტატიანა დეიდას, — ვაჟამ დიდი გაბერვებით წარმოთქვა ეს წინადადება. ძალად გაღიმებულს სახის ბოლომდე შენარჩუნებაც უჭირდა. დაძაბული იდგა, თითქოს სირცხვილს აჭერს ფეხს, ისე იშორებსო.

— აუჰ, —ისევ მოიხადა ქუდი სიმონამ და ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და თავზე, — არ დამანახოთ ეს ბიჭი. აგვინ ვინ ყოფილან, დამინგრევენ ოჯახს.

— რა მოგვიდათ, მართლა?! — ვასიკომ შვილებს მკაცრად შეავლო თვალი.

— საქმე მაქვს, მალე დავბრუნდები, — ნანამ დარჩენილი ჩურჩხელა მაგიდაზე დადო.

— სად მიდიხარ? — უცებ გამოერკვა და დაიწია ვაჟამ.

ლილი და ვასიკოც თითქოს კითხვას, ზუსტად ამის ეკითხვას აპირებდნენ, ისე მიაჩერდნენ ნანას, მაგრამ მას არაფერი უპასუხია, ისე გავიდა.

მშვენიერი სუფრა გაეწყო. ლილიმ ტატიანასაც სთხოვა. სიმონა ისე დაიბნა ქალის შემოსვლაზე, რომ ვასიკოს გაეღიმა, — შენ, მართლა რამე ხომ არა, ა?

— აყვავი ახლა ბაღნებს, — გადაუჩურჩხელა სიმონამ.

— ხომ კარგად, ბატონო ჩემო, — სუფრაზე დაჯდომისთანავე მოიკითხა ტატიანამ სიმონა.

კაცი ისე არია, რომ რამდენჯერმე მოიხადა და დაიხურა ქუდი, თან ქალდლის ხელსახოცით იშშრალებდა დანამულ შუბლს. როდის როდის ამოღერღა, არა მიშავს, თავად როგორ გიკითხოთო.

ვაჟამ მამას გახედა ღიმილით. ლილი და ვასიკო ერთმანეთს უყურებდნენ. არა, ერთმანეთისკენ მიმართული მზერა სადღაც შუაში გაეყინნენ, სადაც ვაჟასთვის უცნობი, მაგრამ აშკარად არასასიხარულო, სევდიანი რაღაც ეკიდა. ვასიკო გამოერკვა და კარგი, კარგიო, ისევ თავის თავის გამხნევება გამოუვიდა. არაყი ჩამოასხა პატარა ჭიქებში.

— აბა, მე არა, — ტატიანამ ხელი დაიფარა ჭიქას.

— ეს სანთლისაა, გეამებათ, — სიმონა მეორე ბოთლს დაწვდა.

ბადრი ბოსტონელიძე
ძმა

— სტუმარს გაუმარჯოს, ჩვენს სიმონას, თუმცა რა სტუმარია აქ, — ვასიკომ ასწია ჭიქა, — ყველას პატრონი და გამკითხავი ხარ, —ვაჟამ შენიშნა მიუხედავად იმისა, თითქმის ყვირილით ამბობდა მამა სადღეგრძელოს, მაინც აშკარად იგრძნობოდა ხმის კანკალი, ბიჭმა შესამოწმებლად დედის სახეს შეავლო თვალი. არ შემცდარა. ლილიც აღელვებული შესცქეროდა ქმარს. ისე შესცქეროდა, შიშიც იგრძნობოდა ქალის მზერაში ასე ერთნაირები, ერთი რაღაცით შეშფოთებული არც ახსოვს ვაჟას დედ-მამა და ესიამოვნა კიდეც. მერე ლილიმ ასწია ოდნავ ჭიქა, ჩემი სიმონა, შენ რომ არ იყო, სულ დავკარგავდით ნათესაობა ერთმანეთს და ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენი თავი.

— ასეა, თუ არ მოკვდა ვინმე, ნათესაობა ვერ ვხედებით სხვანაირად, — სიმონამ შეაჩჩინა, მხოლოდ ტატიანა მისმენსო და მას მიმართა, — კიდევ კარგი ვიზოცებით, კიდევ კარგი სიკვდილი მაინცაა.

ვაჟას უსიამოვნოდ ჩაესმა ეს. სიმონას ცივად გახედა. კაცმა ხელი გადაუსვა თავზე და დამშვიდა, — რასაც ვამბობ კია მართალი, მაგრამ არაფერი ძნელი გამოსასწორებელი არაა.

ლილი და ვასიკო თავჩაღუნულები ისხდნენ. ვაჟა ვერ ხვდებოდა, რა მოხდა. ნაჩუბრები ნამდვილად არ იყვნენ და ეს აშმვიდებდა ბიჭს.

— წასულები მოვიგონოთ, — გამოერკვა უცებ ვასიკო და ხელი მიადო ჭიქას, — აგერ დედაჩემი სულ ახალი გარდაცვლილია, ჯერ ორმოციც არ გადაგვიხდია და მისი თამადობით...

— გადიხადენ, — გაიწყვეტინა სიმონამ და თვალები ქუდს ქვემოთ დამალა.

ვასიკო გაშრა, ფერიც ეცვალა და სიმონას შეხედა, — შენ მაინც ვერ გამაგებინე?

— უცბათ მოხდა ყველაფერი... გულნარამ დიდი ბოდიშიც დამაბარა, მაგრამ შეწუხება არ უნდოდა თქვენი.

— ეს რა შეწუხებაა, შე კაი კაცო, — ვასიკო წამოდგა, ერთი წუთით დაკვიდა ოთახიდან.

— შენ მაინც ხარ ყურადღებიანი, შენ რაღა დაგემართა, — ქმრის გასვლისთანავე ლილიმ მიმართა სტუმარს საყვედურით, — ხომ იცი, რა უიღბლო, უბედური, მართლა თავის თავის უბედურია ვასიკო და კიდევ ეს უნდა, — ქალმა ხელიც ჩაიქნია.

— რა მექნა, მე, — სიმონა აქეთ-იქეთ იყურებოდა, — რა მექნა. ფედოსიმაც დეიჯინა, ერთი ვერ მომიკითხა, ვერ მინახულაო.

— ნაწყენი იქნება მამიდაჩემი, — შემობრუნებული ვასიკო კართან ატუზულიყო, — მომავალ კვირას ვინახულებ, — კაცი დაჯდა, — ბავშვებს ვფიცავ, ვინახულებთ, — მერე გაიღიმა. ეტყობა გაუჭირდა ეს ღიმილი, — შენთან ვარ ალავერდს, ჩემო სიმონა. ქალბატონო ტატიანა, ვადღეგრძელოთ... გაგიმარჯოთ, თქვენი ჭირიმე, ჯანმრთელობასა და სიკეთეს გისურვებთ.

ლილიმაც მიუჭახუნა ჭიქა, ღმერთმა ყველას მისცეს შენნაირი ახლობელიო.

— გმადლობთ, გმადლობთ, — იღიმებოდა ტატიანა და ერთგვარად კოპწიაობდა კიდეც.

— ეჰ, —უცებ ამოიხვნეშა ვასიკომ ყველამ მისკენ გაიხედა. ვაჟას ენიშნა მამის მთვრალი გამოხედვა. ვასიკომ სუფრაზე მოატარა მზერა. ბიჭმა იცოდა, დედაზე გაყინავდა თვალებს და სკამი გაახმაურა. მხოლოდ ორიოდე წამით შეხედა კაცმა ვაჟას და უმალვე ცოლს მიაჩერდა, —შენ რომ არა, ხომ ვიქნებოდი დედაჩემის ორმოცზე... წინა კვირაში ხომ მინდოდა მამიდაჩემის მონახულება... შენ, შენ რომ კარგი დედა იყო, ნანაც იქ იქნებოდა მაშინ, დასაფლავებაზე.

— დედა რა შუაშია?! — რაც უნდა ის ქნასო, გაიფიქრა ვაჟამ და ისე იკითხა.

— ვაჟა, შენ გაჩუმდი, ნუ ერევი,— ლილიმ შვილს შეუტია, ქმარს გახედა

და მშვიდად უთხრა, — მერე? მე არ გაგიშვი თუ რა, — ქალი გამომწვევად უყურებდა ვასიკოს, — შენ სულ რაღაცას აპირებ, — ხმადაბლა დუმეტა,— ნეტავი მეტი სადარდებელი და მოსაგვარებელი მართლა არაფერი გვქონდეს.

ვასიკოს დაასლოკინა. უცებ წამოხტა და პირზე ხელაფარებული გავარდა ოთახიდან. ლილიც მიჰყვა. ოთახში, სუფრაზე სიჩუმე ჩამოწვა, უხერხული სიჩუმე. სიმონამ თითები ააკაკუნა მაგიდაზე, რამდენჯერმე ჩაახველა კიდეც.

— სამადლობელი მაქვს დასალევი,— გაიღიმა ტატიანამ.

— უჰ, — სიმონასაც გაეღიმა, — თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონო — კაცი წელში გაიმართა. ეტყობა რაღაც განსაკუთრებულის საოქმელად მოემზადა. ცალი თვალით ვაჟას გახედა. ბიჭი იმდენად დაინტერესებული უყურებდა რომ სიმონა დაიბნა, უხერხულად შეიშმუშნა, ხმა ვერ ამოიღო ხელში ჭიქა შემართულმა.

ვაჟა საწერ მაგიდასთან გადაჯდა. სურათების ალბომი გადაშალა.

ნანას სურათზე ისევ ის გაახსენდა, ისევ ის გაიფიქრა, რომ გათხოვდესო. შეუვსებელ გვერდებზე თვალით მიზომა კიდეც დის საქორწინო სურათებისათვის ადგილი. სულ ორიოდე ფურცელი რჩებოდა ცარიელი. სანამ საწერ მაგიდასთან გადაჯდებოდა, იმასთან ერთად რომ სიმონას უხერხულობას მოერიდა, ვაჟა ფიქრობდა დედ-მამის საუბარსაც მივუგდებ ყურსო, მაგრამ ახლა ნანას გათხოვების მოლოდინმა სულ დაავიწყა ყველაფერი და ალბომის ბოლო ფურცლები ბავშვის ფოტოებისთვის ღიმილით დაიგულა.

— რა არის რომ მიგვატოვეთ ყველამ, — სიმონა სკამის ჭრიალით შებრუნდა ვაჟასკენ, — მოი სუფრასთან,— ბიჭის მისვლისთანავე საუბარი განაგრძო სიმონამ, — ახლა, დღეს მოვდიგარ ქუჩაში და რა აცვიათ? ყოლიფერი ძველ მოდური. როგორ აცვიათ? ზუსტად ისე, ჭველად რომ ეცვათ, მარა აგდებით... იმიტაციის დროია, ქალბატონო, იმიტაციის.

ვაჟამ გაღიმებულმა გახედა ტატიანას. იცოდა ქალის დამცინავი ხასიათი, მაგრამ ისე სერიოზულად უსმენდა ტატიანა სიმონას, ისეთი გულისყურით, რომ ვაჟას ეჭვი შეეპარა, ხომ არ დათვრაო. უსმენდა კი არა და, თანხმობის ნიშნად თავიც დაუქნია რამდენჯერმე და თქვა,— სწორი ბრძანდებით, ჩემი ბატონო, სინდისის, პატიოსნების იმიტაციის დროც გახლავთ. ვბაძავთ, ვცდილობთ, მაგრამ როგორ?

ლილი და ვასიკოც შემობრუნდნენ ოთახში.

— უკაცრავად, უკაცრავად, — ბოდიშობდა შერცხვენილი ვასიკო. ეტყობა პირიც დაებანა. ისე სველი ჰქონდა თმა, — უკაცრავადა, ძალიან ნანერვიულები, ვარ და...

— რა უჭირს მერე, — მხარზე ხელი დაჰკრა სიმონამ, — ქეიფი და დროსტარება მარტო სმა კი არაა... ვილაპარაკოთ, ვიჭუკჭუკოთ, — სიმონამ ტატიანას მიუჭახუნა ჭიქა, — ამ ოჯახის მომავალი ვადღეგრძელოთო.

— რა მომავალი? — შემკრთალმა გაიკვირვა ვასიკომ.

— ნანა და ვაჟა, — მოკლედ აუხსნა სიმონამ.

— ნანა და ვაჟა, — გაიმეორა ვასიკომ და უცებ გადამრჩენივით, ცოთ მოვლენილი იმედივით შეხედა სიმონას, — რომ იცოდე, რა დღეში ვარ, რომ იცოდე...

— ვასიკო! ვასიკო, გაჩუმდი! — სახე შეეცვალა ლილის.

ვაჟას შეეშინდა, აყვირდებ, მამაო, მაგრამ მისდა გასაოცრად თავჩაღუნულმა ვასიკომ ჩუმად სთქვა, — რა გავჩუმდე, შე კაი ქალო, რა გავჩუმდე... დღეს დილით ნანამ დედამისს გამოუცხადა, ფეხმძიმედ ვარ მგონიო.

— დედა, ჩემი სიკვდილი! — ლოყაზე მიირტყა ხელი ტატიანამ.

ბაჯრი ბოსტონელიძე
ძმა

სიმონა გახეივდა, პირიც კი დაეღო. ვაჟამ იგრძნო, როგორ ბურუსში გაეხვია ყველაფერი. მაგიდას რომ არ დაყრდნობოდა, სკამიდან გადმოვარდებოდა. უცებვე დალაგდა ოთახი, გადაუარა და ახლა მარცხნივ, მკერდში მტკივნეულად გაჯაჭა. ბიჭი წამოდგა, საწოლისკენ გაიბიჯა და რაღაც სიამეცდად გაუნათდა. უბრალო, მარტივი სიკეთის აღმომჩენივით იკითხა, — იქნებ არ არის ფეხმძიმედ?

ისეთი სახით კითხულობდა ამას ბიჭი, ისეთი გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, რომ ოთახში მყოფნი უცებ ვერც მიხვდნენ მნიშვნელობას. მათაც გადაეღოთ იმედის სხივი. ვაჟა სულ მთლიანად მოიცვა სიხარულმა და ახლობლების ბედნიერების განსამტკიცებლად გაიმეორა, — იქნებ არ არის ფეხმძიმედ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, — ჩუმად თქვა ვასიკომ და ყველაფერი ძველებურად დალაგდა. ყველასთვის აშკარა შეიქმნა, რომ სრულიად უიმედო ახალი ამბავი შეიტყეს.

— ვინ დავსაჯო, ვის ვუჩივლო... თვითონ არაფერს ვგიმხელს, — ბუტბუტებდა სულ მოშვებული ვასიკო.

— სხვაგან ხომ არსად მოხდებოდა ასე, — ლილის ცრემლები ჩამოსდიოდა. ყოველთვის თავშეკავებული ქალი არავის ერიდებოდა, ისე გაკაპასებული სლუკუნებდა, — უარესებიც გამიგია, მაგრამ ასე უცებ ხელიდან წასვლა, ასე უტიფრად გამოცხადება... ჩვენი, ჩვენი ოჯახია დაწყევლილი.

— არ თქვა მაგი, — სიმონა წამოდგა, — ყველა ოჯახში დუღს თითო ქოთანი სიმყრალე, ზოგან გობითაც დგანა, მარა ბევრი მალავს, ბევრი... ყველაფერს ეშველება, ყველაფერს უნდა თავიდანვე მიხედვა, იქნებ არცაა გვიან.

ვაჟა სამზარეულოში გავიდა. სწრაფად გამოსწია კარადის უჯრა. აქ წვეტიანი დანები, საგანგებოდ ალესილი დანები ეწყო. ეს დანა-ჩანგალი იყო ერთად-ერთი, რაც ლილის მშობლებისგან დარჩენოდა. სულ ბავშვმა დაკარგა დედ-მამა, ერთად წაყვანილნენ და შერე ღმერთმა იცის, სად და როგორ დაღუპულები. დანას დასწვდა და რეიტუზის უკანა ჯიბეში ჩაიდო. სწრაფადვე გავარდა სადარბაზოში. გაუყვა ქუჩას, გაუყვა სირბილით. სკოლისკენ მირბოდა ბიჭი. უკნიდან ვიღაც მოეპოტინა და შეაჩერა. მოტრიალდა.

— სად მიხვალ?! — ხვნეშით კითხა სიმონამ.

— მოვკლავ.

— ვის, ბიჭო! — შეანჯღრია სიმონამ.

— კაკუჩას, — ვაჟამ მხარი გაინთავისუფლა და გზა განაგრძო, გარეცეული ჯიბიდან დანა ჩასრიალდა და ყელარუნით დაეცა ქვაფენილზე. სიმონა უცებ დაიხარა, — გაგიჟდი?! წამი, ერთად ვნახოთ.

ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიუყვებოდნენ ქუჩას სიმონა და ვაჟა. ბიჭი ფიქრობდა, კაკუჩა სკოლის ახლოს იქნება სადმეო. კვირა დღე რომ იყო, ცოტათი კი ეშვებდა. სიმონა ასაკისა და სიმძიმის მიუხედავად, მშვენივრად მირბოდა. მხოლოდ ოდნავ ქშინავდა.

— რა ხნისაა ის მამაძაღლი? — იკითხა სიმონამ.

— ვინ?

— ის ბიჭი.

— ოცის იქნება ალბათ... რა იყო?

— ქურდი ბიჭია?

— რაა? — გაუკვირდა ვაჟას, უცებ გაელიმა, — ძველბიჭობს.

სულ ცოტაც და სკოლა გამოჩნდებოდა. ვაჟამ ისევ იგრძნო ტკივილი. ყრუ, მაგრამ ხანგრძლივი ტკივილი.

— დავისვენოთ, — შედგა ბიჭი და ერთ-ერთი სადარბაზოს დაბალ საფეხურზე ჩაჯდა.

— რა მოგვიდა? — დოინჯშემოყრილი სიმონა ზემოდან დაჰყურებდა.

— ერთი წუთით დავისვენოთ, — ვაჟას შერცხვა იმის გამეორება, გული მტკივაო. თავი ჩაღუნა. ასე უფრო ესიამოვნა და ხელებში ჩარგულმა დაგუ-

ღული ხმა მიაწვდინა სიმონას, — ერთი წუთით, ამ წუთში.

თითქოს ჩათვლიმა კიდეც რაღაც წამებით. უცებვე გამოფხიზლდა. თავი არ აუწევია. ისე ნათლად წარმოიდგინა ამ ხანაგებიანი კაკუჩა სკოლასთან, რომ დარწმუნდა კიდეც მათ იქ ყოფნაში. მუდამ სკოლასთან აყუდებული ბიჭები ერთგვარ დისციპლინასაც კი ამყარებდნენ მათდაუნებურად. გაუბედავები ან ოდნავ გაბედული მოსწავლეები მათი შიშით, სირცხვილითაც კი ჩხუბს ვერ ატეხავდნენ. თითქოს უხეშობა, ჩხუბი ამ ბიჭების საკუთრება, აღმოჩენა ყოფილიყოს.

— ადექი, გეყოფა, — სიმონამ მსუბუქად დაკაკრა მხარზე ხელი.

ბიჭი წამოიწია. არ ეგონა, თუ ასე მკვრცხლად წამოდგებოდა. ისევ სიტბილით გაუყვნენ.

ვაჟა არ შემცდარა. კაკუჩა მართლა იქ იდგა და ვიდაც ძაღლიან ბიჭს ელაპარაკებოდა. დიდ ინგლისურ დოგს წითელი ენა გადმოეგდო და აქეთ-იქეთ იყურებოდა. პატრონს საყელურით ეჭირა.

— რომელია? — იკითხა სიმონამ, როდესაც ვაჟა შეჩერდა და მისი მზერაც დაიჭირა.

— მაღალი.

— ქუთდი ბიჭია? — ისევ გაიმეორა შეკითხვა სიმონამ. ვაჟას ღიმილი შენიშნა და დამრიგებლურად უთხრა,— როცა ხაქმეზე მიხვალ კაცთან, ყოლიფერს აქეს მნიშვნელობა, — კაკუჩას ერთი კიდევ შეავლო თვალი და გასძახა, — ბიჭო!

ორივე შებრუნდა. ძაღლიანმა ხელი მიიდო, მეო? სინომან კაკუჩას შეხედა, — მოი აგერ.

— მეე? — ახლა კაკუჩამ იკითხა.

— შენ, შენ მოი, — სანამ ბიჭი მიუახლოვდებოდათ ვაჟას ჰკითხა, — რაო, რა ქვიაო?

— კაკუჩა.

— სახელი კაი ქონია, — გაეღიმა სიმონას და უკვე გვერდით მდგარ კაკუჩას ხელი გაუწოდა, — გამარჯობა შენი, მე ნანას ბიძა ვარ.

— გამარჯობათ, — კაკუჩამაც ჩიბოლართვა ხელი.

— ვმოყვრდებით? — სიმონა მარჯვენას არ უშვებდა. პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— რაა? — ბიჭმა ხელი დაქაჩა. სიმონას მაგრად ეჭირა.

— რა მოხდა თქვენში? — ეტყობა რაც მოადგებოდა სიმონას პირზე, იმას წამოისროდა ხოლმე. დაბნეული იყო კაცი, აღელვებული, მაგრამ სახეზე ეს არ ემჩნეოდა. მხოლოდ ვაჟა ხედავდა ქუდს ქვემოთ დანაოჭებული კეხი უთრთოდა.

— რაა? — ისევ დაქაჩა ხელი კაკუჩამ და თვალი ძაღლიანი ბიჭისკენ გაპარა.

— ეს ნანას ძმაია, — გაიცნო სიმონამ ვაჟაც.

— სასიამოვნოა, — ჩუმად დაუმატა, — ხელი გამიშვი, ბიძაჩემო.

— რა მოხდა თქვენში, შენსა და ნანას შორის?

— ხელი გამიშვი, კაცო! — აუწია ხმას კაკუჩამ და უფრო მაგრადაც დაიქნია მარჯვენა. არაფერი გამოუვიდა.

— უნდა შეირთო!.. არ ვარ კიდო მე შენი კაცო.

— მიდი რა, კაცო, — ეტყობა კიდევ რაღაცას თქმა უნდოდა ბიჭს, მაგრამ არ დასცალდა, სიმონამ მარცხენა სტკიცა სახეში.

ძაღლიანი ბიჭი დაიძრა მათკენ. კაკუჩამ ისე გახედა, ეტყობა სულ არ უნდოდა მისი სიახლოვე და მოწმეობა.

— სადარბაზოში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ, — შესთავაზა კაკუჩამ კაცს.

— წამოი, — თვითონ გაუძღვა სიმონა, ისე რომ ხელი არ გაუშვია. კაკუჩამ უკან მოიხედა და ძაღლიანს გაუღიმა, აქ მომიცადე, ახლავეო.

— რა გინდა, კაცო, ჩემგან, — მთელ

ბადრი ბოსოლელიძე
ძმა

სადარბაზოში გაისმა კაკუჩას ხმა, — ის შენი ნათესავი პატიოსანი ხომ არ გგონია.

ისევ მოხვდა ყურის ძირში. ეს ტკაცანიც ექოდ მოედო იქაურობას. ვაჟა უხმოდ იდგა, კედელს აკვროდა. ყველაფერს მშვიდად უყურებდა. სულ გადაურა ბრაზმა, ბოღმამ.

— ბიძაჩემო, ჩემთან ეგეთები არ გაგვა, არ შეგრჩება, რა, — მშვიდად ეცადა ახსნას კაკუჩა, — შენ ზრზე არა ხარ, მე რა კაცი ვარ, — სწორედ გამოიცნო, მომხვდება ამ სიტყვების მერეო და მარცხენა ლოყაზე თავისუფალი ხელი აიფარა. ერთში კი შეცდა, სიმონამ მარჯვენა უცებ უშვა და დაუცველ ზხარეს გაწწნა სილა. ისე ღონივრად მოიქნია, რომ ქუდი მოძვრა თვითონვე.

— მოიცა, კაცო, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება, — კაკუჩამ სადარბაზოს ბაქნიდან საფეხურებზე აიწია და ხელშეუხებლობა მოკლე დროით გაინაღდა, — მომისმინე, როგორც გინდა ისე გეწყინოს, მაგრამ რა ქენა, მარილს გეუბნები, სულ ცოტა, ათი კაციდან რაღა მე შევირთო.

ვაჟას ესმოდა, მშვენივრად ესმოდა ყველაფერი და უცდიდა, ან თავბრუ დამეხვევა ან გული ამტკივდებაო. კედელს კიდევ უფრო აეკრა. ზურგი სველი ჰქონდა. სისველემ, ცივმა ოფლმა ვაშლის ხიდან ჩამოვარდნა და დის მაშინდელი გამოხედვა გაახსენა. ისევ სიბრალული იგრძნო. გული ჩაეთუთქა. ესმოდა კაკუჩას გაუთავებელი ლაპარაკი. სულ მთლად შეცივებული ბიჭი გრძნობდა, როგორ ჩამოსდიოდა სახეზე ცრემლები.

— აი, გუშინწინ, — სიმონამაც დაწყო კიბეზე ასვლა. კაკუჩას ორივე ხელი წინ წაეწია, თითქოს ამით აპირებდა კაცის შეჩერებას, — გუშინწინ, ბიძაჩემო, მითხრა ფეხმძიმე ვარ გისაგანო... ჩემგან რა გინდა, ბიძაჩემო.

ვაჟა უკვე ვერცერთს ვერ ხედავდა. ზემო სართულიდას ისმოდა კაკუჩას გაურკვეველი ლაპარაკი და სიმონას მძიმე ნაბიჯებისა და ქშენის ხმა.

— ბიჭი! ბიჭი! — უცებ იყვირა კაკუჩამ, — სადარბაზოს კარი გააღე, ბიჭი!

ვაჟამ კარი გააღო.

— შემოუშვი ძაღლი! ძაღლი შემოუშვი! — იღრიალა კაკუჩამ, როგორც კი კარის გაღების ხმა მოესმა.

ძაღლი ლამაზად გამოქანდა. თუმცა ვაჟასთვის ეს მოხდენილი მოძრაობა ახლა მხოლოდ შიშს აახლოებდა. ბიჭი მხოლოდ ხახასა და წითელ ენას ხედავდა. მაგრად აეკრა, თითქმის მიეწება კედელს. თვალებიც კი დახუჭა. უცებ ხელზე სითბო, სველი სითბო იგრძნო. დიდი მის წინ ჩაჩოქილიყო და ხელს ულოკავდა.

— შემოუშვი, შემოუშვი! —ისევ იღრიალა კაკუჩამ. ამ ხმაზე ერთი კი დაავრუხუნა სადარბაზოში ძაღლმა და მშვიდად გავიდა ქუჩაში.

— რა გინდა, კაცო, ჩემგან... ხელი გამიშვი, — კაკუჩას ნერვიული ხმა ისმოდა. უცებ ზემოდან შლიგინით დაეშვა. ეტყობა გაინთავისუფლა თავი. რაც უფრო ქვემოთ მიიწევდა, უფრო უმატებდა მუქარიან ყვირილს,— დედას გიტირავ, ნაწლავებს დაგაჭერინებ ხელშიო...

ვაჟასთან წამით შეჩერდა. ცრემლიანი თვალები ჰქონდა და სახეც უთრთოდა. გარეთ გაიხედა. ძაღლიანი იქვე იცდიდა. ასე არ უნდოდა ნამტირალევს გასვლა. ჯიბეში რაღაც მოიძია, ვერ იპოვნა და ვაჟას ჰკითხა, — ცხვირსახოცი გაქვს?

ვაჟამ გაუწოდა. სიმონა ზევიდან ნელა ჩამოდიოდა. კაკუჩა თან თვალებს იწმენდდა, თან მოახლოებულ ნაბიჯებს უკრთოდა.

— არ გაიქცე, მაჩვენე იგი გია, — გაისმა სიმონას ხმა. კაკუჩამ მოუცადა, არც განძრეულა.

— წამოი, ვაჟა, შენც, — სიმონამ ხელი გადახვია, თვალიც ჩაუკარა ბიჭს. ყველაფერს იფიქრებდა და სიმო-

ნას ასეთ საქციელს ვერ წარმოიდგენდა.

კაკუჩამ ისევ გასძახა ძაღლიანს, მიმიადგა, მალე მოვალო.

კარგა ხანს ხმა არც ერთს არ ამოუღია, მიაბიჯებდნენ. მხოლოდ კაკუჩა აწვალებდა სანთიას. ვერაფრით ვერ მოუკიდა სიგარეტს.

— სად მივდიავართ? — იკითხა სიმონამ.

— ხვეში რომ სალუდეა, იქ არის ხშირად გია, შეიძლება ახლაც სვამს, — მერე ისევ გაიხსაკუნა სანთია და კაცის მომავალ კითხვას პასუხი დაასწრო — სახლი არ ვიცი.

— ქურები ბიჭი ხარ? — სიმონა დაინტერესებული ეკითხებოდა. ვაჟას ისევ გაეღიმა და რადგან ამ ღიმილის გამგებად მიიჩნია კაკუჩა, გახედა.

— მინდა წამომაყენონ, — სერიოზულად უპასუხა კაკუჩამ.

— ის ბიჭიც აპირობს?

— ძაღლიანი?... არა, — გაეღიმა კაკუჩას, — მხატვარია.

— ეჰ, ჩემო ბიძია, — კეფა მოიფხანა სიმონამ. ქუდი ისე ჩამოეწია თვალებზე, ვაჟას შეეშინდა, არ წაიქცესო,— ჩემო ბიძია, მე არ ვიცი რა კაცი ხარ. რას აპირებ და რა გინდა, არც მაია ზემი საქმე. ერთს კი გეტყვი, ახლა მაგ ძაღლიან მხატვარს ქურდი თუ წამოსაყენებელი უნდიხარ ძმაკაცად, მამფერთან ეამაყება მეგობრობა და ახლობლობა. მარა აბა ცადე და ქაღალდზე დახატესაეთ, რაცხას მიამგვანე. პირველი მაი მოგსპობს, მაი გაგიდგება... მოგვდგამს ყაჩაღების ახლობლობით თავის მოწონება, მარა ის საწყალი სუფთა ყაჩაღი უნდა იყოს, სხვაი არაფერი არ უნდა ცადოს.

სიმონა ლაპარაკის ეშხში იყო შესული. კაკუჩა არც უგდებდა ყურს, ისევ სანთიას მიუბრუნდა. როგორც იქნა, სიგარეტიანმა გამოიარა და მოუკიდა ბიჭმა.

— აი, სალუდეც, — ხელი გაიშვირა კაკუჩამ. —ის ყვითელჯემპრეანია.

— რას საქმიანობს! — იკითხა სიმონამ. ვაჟა ელოდა, გიას „ქურდობიზნესთაც“ დაინტერესდებაო.

— მგონი ფიზიკოსია, — მერე ვაჟას მიუბრუნდა კაკუჩა, — მე ნანას ძმა სხვა მეგონა. ერთი მაღალი ბიჭია თქვენთან... კარგად იყავით, — უცებ დამშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

— რავა ერთი წარტყმით დაგვაყენა კვალზე, — გაიყოლა სიმონამ თვალი.

ღია ლუდხანა ქუჩის მეორე მხარეს იყო. გადასასვლელზე დაქრიდნენ მანქანები და ვაჟამ შეამჩნია, უფრთხოდა, შებორკილი მოძრაობდა ქალაქს მიუჩვეველი კაცი. როგორც იქნა მიაღწიეს, მაგრამ ჯემპრეიანი ვაჟი იქ არ დახვედრიათ.

სიმონა ბიჭთან ერთად იმ მაგიდას მიუახლოვდა, სადაც ყვითელი აღრეევ დალანდა. მოუბოდიშა და ჰკითხა, გია სად არისო.

— ვინა? — გაიკვირვა ულვაშამ, — აქ რომ იჯდა?.. არ ვიცი, დღეს გავიცანი.

— გია? — ჩაერია თეთრხალათიანი დახლიდარი, — სად დაიკარგება, სალამომდე გამოჩნდება, — გაუღიმა კიდეც.

— მადლობა. — სიმონამ ხელი გადახვია ვაჟას და ასე გაუყვნენ ქუჩას — სახე თუ გაარჩიე?

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მე კი ვეღარ ვიყურები მაგ სიშორეს. ხომ დაიმახსოვრე? — ბიჭის მხარზე ხელი დამძიმდა, — რა გვქნა ამ გოგომ, — ვაჟას ხმა ეუცხოა და ახედა. სიმონა გაფიქრებულიყო, ღაწვებზე ცრემლი უციმციმებდა.

4.

რა მოხდა? ვინ არის ცუდად? სასწრაფო დახმარების მანქანის დანახვისთანავე დაებადა ვაჟას ეს კითხვები. დარწმუნებული იყო, მანქანა მათთან იქნებოდა. კიბე აირბინა. სახლის კარიც რომ ღია დაუხვდა, სულ აფორიაქდა

და ისე სწრაფად შეავრდა დერეფანში, ისე კისრისტეხით, კინალამ გამომსვლელებს დაეჯახა. ნანას აქეთ-იქეთ ლილი და ტატიანა ამოდგომოდნენ, უკან თეთრხალათიანები. გოგო შეშფოთებულ თვალებს აცეცებდა. თხელ კაბაში მუცელი უფრო ემჩნეოდა. შესიებული ტუჩები მშრალად აკაკუნა და ჩუმად გაისმა, — შენც წამოდი, ვაჟა, შენც წამოდი.

— აბა რას ვიზამ, — ბიჭმა ჩანთა იატაკზეკე დადო და უკანვე სწრაფად ჩაირბინა კიბე.

არა და როგორ ელოდა ვაჟა ამ დღეს. ის კი იყო, ბოლო ხანებში თითქოს ყველას გადაავიწყდა. შეიძლება უფრთხოდნენ ამაზე ლაპარაკს, ოჯახში უკვე მოახლოებულს უფრთხოდნენ.

— ნუ გეშინია, დედიკო, ნუ გეშინია, — ამშვიდებდა ლილი ნანას.

— მამასთან ხომ დარეკეთ, ტატიანა დედა? — დედის მხარზე მიასვენა ნანამ თავი მანქანაში ჩაჯდომისთანავე, — ხომ დარეკეთ, ტატიანა დედა? — გოგომ თვალი მილულა და მთელი გზა არ გაუხელია.

— კი, დედიკო, დარეკა, — ლილი თმაზე ეფერებოდა.

ბოლო ხანებში ნანა მარტო არსად მიდიოდა. ვაჟას ოდნავი მორიდებითაც სთხოვდა სადმე გაყოლას. ბიჭს არ ეზარებოდა, პირიქით, თავს ვალდებულად თვლიდა. მაგრამ ქუჩაში გასვლისთანავე უხერხულობა ეუფლებოდა. ყველა გამვლელზე ექვი ეპარებოდა, სხვანაირად გვიყურებს, ნანას უცქერს დამცინავადო. ნანა კი ამაყად მიამიჯებდა. სადღა იყო მისი ოდნავი დარეტიანებული სიარული. გოგოს თავი ზედმეტად მაღლაც ეჭირა და მის თვალებში სხვათა დამცირებაც შეიმჩნეოდა. ვაჟა ხედავდა ამას და გრძნობდა, რად უღირდა დას ეს შემართული პოზა. დაძაბული იყო გოგოს ყველა ნაკვთი, დაჭიმული. ხელის ერთი უხეში აქნევა და მთლიანად მოეშვებოდა, ატირებული დაიმჩვარებოდა ეს სიამაყე. ნანა თითქმის გაუთავებლად ელაპარაკებოდა ძმას სიარულისას. ვაჟა ხშირად მერ ხვდებოდა რაზე საუბრობდა, ეს უნდოდა ეთქვა. მხოლოდ ფრაზები ესმოდა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზები. ბიჭი შეკითხვასაც ვერ ბედავდა, ერთხელ წამოცდა, რაო და ნანამ ისე ხმამაღლა გაუმეორა ნათქვამი, რომ გამვლელების ყურადღება მიიქცია. ვაჟა მაინც ვერ მიხვდა, ვერ გიგო, მაგრამ დას მორჩილად დაუქნია თავი.

სასწრაფოს მანქანა მიქროდა. ვაჟა მოუხერხებლად იჯდა. ქუჩის ნაგლეჯებს ხედავდა ბიჭი. უცებ რაღაცამ თბილად, სასიამოვნოდ დაუარა. თხელ, ცისფერ ლაბადაში მოაბიჯებდა საყელოაწეული და ჯიბეში ხელჩაწყობილი თიკა, ვაჟას თანაკლასელი გოგონა.

ვაჟას ხშირად უტყდებოდა ძაღლი. ცოტა, სულ ცოტა ჰყოფნიდა. ღამისთევა თითქმის ჩვეულებად ექცა. მისდა გასაოცრად არაფერ ოჯახისეულეზე არ ფიქრობდა ამ დროს. გათენება ენატრებოდა, გათენებას ესწრაფოდა. სკოლა, კლასი, ამხანაგები! აი, ეს ეჩქარებოდა. სკოლაში კი სულ მთლად ავიწყდებოდა სახლი. ღამეც ხომ თითქმის არ ფიქრობდა ოჯახზე. მაგრამ ერთი-ორჯერ ისე მტკივნეულად გაახსენდებოდა თავიანთი შეუთაცხყოფილი, დამცირებული მდგომარეობა, რომ მთელ სხეულს ოხვრა, ჩახლეჩილი და ფიზიკურად მტკივნეული ოხვრა მოიცავდა. სკოლაში კი სულ მთლად ავიწყდებოდა სახლი. ეს მის შემდეგ მოხდა, როცა დილით პირის ბანისას ნიკაპზე ორი ღერი მუქი ბუსუსი შენიშნა. რაღაც გაეხარდა ბიჭს, სხვანაირად აუჩქროლა გულმ. მამის საპარსი ჩუმად შეიტანა საბაბაზანოში, კარი ჩარაზა და წყალიც ჩხრიალით მოუშვა, საპარსის ხმა რომ არ გასულიყო. მოიშორა ის ორად-ორი ბუსუსი. პარსვისას სარკეში იყურებოდა. აი, მაშინ სრულიად მოულოდნელად გაახსენდა თიკა და სიწითლემ გადაუარა. ეს იყო და ბიჭს სკოლაში მისვლის სურვილი მოეძალა. ამან გათენებაც შეაყვარა.

ასწრაფოს მანქანა კარგა მანძილით იყო გაშორებული იმ ადგილიდან სადაც ოჯა მიაბიჯებდა ჯიბეში ხელჩაწყობილი. ვაჟას დისა და დედის შერცხვა კიდეც, რატომღაც მათი მოწმეობა ეუხერხულებოდა. არადა, ვის ჰქონდა ბიჭის თავი. მანქანასა უკვე სამმობიაროს ეზოში მიიკვლევდა გზას.

— შენ აქ მოიცადე, ვაჟა, — შეაჩერა ტატიანამ ბიჭი. ვაჟა ისე დაბნეული მიყვებოდა ქალებს, რომ მიმდებშიც არ ჩამოშორებია, — ბიჭო, არ გესმის აქ დაიცადე, არ შეიძლება შენი შემოსვლა, — ტატიანამ ოდნავ შეანჯღრია კიდეც და გაუღიმა.

ვაჟა ჩამოჯდა მორყეულ სკამზე და კინაღამ გადმოვარდა. მერე სკამი გააწონასწორა და ფანჯარაში გაიხედა. მამა დაინახა. ვასიკო აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ არ იცოდა, რომელ კარში უნდა შესულიყო. ვაჟამ შუშაზე მიაკაკუნა და ანიშნა, აქეთო.

— დაიწვინეს? — შემოსვლისთანავე იკითხა ვასიკომ. სიგარეტი ამოიღო, ყველაფერი კარგად იქნება. თვალი ჩაუკრა ვაჟას და ისიც ჩამოჯდა, — აი ნახე რა კარგად იქნება ყველაფერი.

ვაჟამ თავი დაუქნია, დაეთანხმა მამას. უყურებდა კაცს და გრძნობდა მის ნერვიულობას, გადამდებ ცახცახს. ეცოდებოდა ახლა მამა. არა, მისი ნერვიული მოლოდინი არ მიაჩნდა შესაცოდებლად. ეცოდებოდა იმ წუთებში, როდესაც თვითონ, თვითონ ვაჟა ბრაზდებოდა მშობელზე და ნერვებაშლილი, დაძაბული ყველაფრისთვის იმეტებდა.

უცებ დოდო მასწავლებლის სიტყვები გაახსენდა. მაშინაც და ახლაც გაუკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ქალს ვაჟას მამისადმი დამოკიდებულება. ბიჭი ხომ არავისთან სიტყვას არ ამბობდა ამის შესახებ. ეს ბოლო ხანებში იყო, რომ ერთი ორჯერ გაბედა შეკასუხება. თორემ უწინ თავისა და უმთავრესად დედის შეურაცხყოფას გალახული უმწეო ლეკვის წკმუტუნით იამებდა.

ვასიკოს გაზეთი გაეშალა. ვაჟა ჩერდავდა, როგორ ჩასჩერებოდა კაცი გაზეთს, მაგრამ რომ ვერ კითხულობდა, ესეც აშკარა იყო. მერამდენედ დაინტერესდა, დიდი ხანია შევიდნენო. ბიჭი უყურებდა მამას და დოდო მასწავლებლის სიტყვები ესმოდა, როგორც გამიგია, უპატიოსნესი მუშაკია და ოჯახზე მისი ზედმეტი ზრუნვა სამსახურში ზოგიერთების სიცილსაც იწვევესო. ვაჟა მაშინ იმდენად აღელვებული და შეურაცხყოფილი იყო, არც მიუქცევია ყურადღება. ახლა ამაზე ფიქრობდა და გრძნობდა პატივისცემას მამისადმი.

ლილი და ტატიანა გამობრუნდნენ.

— რამე ხომ არაა ჯერ? — კითხვით შეხვდა ვასიკო.

— უფრო ღამეა მოსალოდნელიო, — ლილიც ჩამოჯდა.

— მესამე სართულზე აიყვანეს, გადმოიხედავს, — ტატიანამ კარი გაიღო და გავიდა.

ორიოდე თვის წინ ერთმა კლასელმა წამოსძახა ვაჟას ეს ამბავი, შენ შენს დას მიხედეო. ვაჟას არც კი ახსოვს, როგორ გამოუდგა ბიჭს და ვერც იმას იტყოდა, რას უზამდა, რომ დაწეოდა. მაშინ იყო, დოდო მასწავლებელმა რომ შეაჩერა. ეს ქალი სანამ მისი მასწავლებელი გახდებოდა, მანამდეც სიმპათიას იმსახურებდა, ოღონდ ეს იყო, ქალის ზედმეტად სათნო და მიუკარებელი გარეგნობა ყოველთვის მგლოვიარეს აგონებდა და მისგან ღიმილიც უკვირდა, გაკვეთილზე იშვიათი ოხუნჯობა, გამკილავი ოხუნჯობაც არ აღიმებდა ვაჟას. რატომღაც დოდოსგან ყოველთვის, ყოველდღე ელოდა შავებით, ძაძებით მოსვლას. შეაჩერა დოდომ, შეიყვანა ცარიელ კლასში და პირდაპირ ჰკითხა:

— ბოლო დროს რა დაგემართა შენ,

ვინ გადაგრია, — და რასაც არ ელოდა. ვერც წარმოიდგენდა ვაჟა, — შეუვარებული ხომ არა ხარ?

ბიჭი მოეშვა. თითქოს დაიცალა ყოველგვარი ბოღმისაგან. მერხზე ჩამოჯდა.

— რა დაგემართა, ვაჟა, ვიზე ხარ გულდაწყვეტილი?

— ოჯახზე, — ისე თქვა ვაჟამ არც დაფიქრებული, წამოიცდა.

— მე დედას არ ვიცნობ. მამაშენი და ჩემი მეუღლე ერთად მუშაობენ. როგორც გამიგია, უპატიოსნესი მუშაკია და ოჯახზე მისი ზედმეტი ზრუნვა სამსახურში ზოგიერთების სიცილსაც იწვევს... ამას დაფასება უნდა, ვაჟა, გენაცვალე.

ვაჟა არ უსმენდა, რადგან გულმა დაუწყო ჩხვლეტა და ერთი ღრმადაც ჩაისუნთქა.

ახლა აგონდებოდა ეს ყველაფერი და დედ-მამის აღელვებულ სახეებს რომ უყურებდა, გრძნობდა ამ ხალხის გულის მომწურავ სიყვარულს. ეს გრძნობა იმ წუთში ისე მოეძალა, რომ ეს საერთო ღელვა, ნერვიულობაც სიხარულად ელამუნებოდა.

რადაც ეუცხოვა ვაჟას. თითქოს უჩვეულო გარემოში მოხვდა და თან ესიამოვნა, სულ ცოტა ხნით შეწყდა პატარა მოსაცდელში მისვლა-მოსვლა, სულ ცოტა ხნით დაისვენა ყურებმა კარის გაუთავებელი გაღება-დახურვით და ალარც აჭრელებული, აყაყანებული ხალხი ტრიალებდა. ისევ გაიღო ხმაურით კარი და ახალგაზრდა თეთრხალათიანი გოგონა შემობაკუნდა. ერთ ხანს შედგა კედელთან. სიას დაუწყო თვალიერება. გოგონას პერანგზევე ეცვა ხალათი და მკერდთან ოდნავ მოღებოდა. ვაჟამ მშობლებს შეავლო თვალი. არც ერთს არ შეუნიშნავს გოგონა და მისი მოხსნილი მკერდი. ბიჭს ისევ სიწითლემ გადაუარა. რამდენიმე დღის წინ თიკას მკერდიც გამოკვეთილად მოხვდა თვალში. გოგონას ფორმის ყავიფერ კაბაზე, ზედ მარჯვენა ძუძუსთან ცარცის კვალი დამჩნეოდა და კიდევ უფრო უბზეედა მკერდს. ვაჟამ თვალი გააპარა ისევ დედ-მამისაკენ. ირიუუ უძრავად იატაკს ჩასჩერებოდა. ტეტატიანამ შემოყო თავი და გამოიხედაო, ახარა. ყველანი ეზოში გავიდნენ.

ნანა ზემოდან იყურებოდა. სულ გამოცვლილიყო გოგო. ვაჟას ყელში მოებჯინა რაღაც, ისე შეეცოდა და.

— გრძნობ რამეს, დედიკო?—ლილი ცალი ხელით ქმარს ჩაფრენოდა. გაღიმებული ვასიკო თვალებს აპარპალებდა, ვერ უსწორებდა მზერას ქალიშვილს, ეტყობა შეკითხვაც უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა, — გინდა რამე?

— არაფერი... არსად წახვიდეთ.

— სად უნდა წავიდეთ, შე შტერო,— ტატიანას ხმამაღლა მოუვიდა შეძახება, იმდენად ხმამაღლა, რომ დაბნეულმა ქალმა ტუჩთან მიიდო თითი და ნანას ანიშნა, ჩუმადო.

ნანას არ გაღიმებია, არც მიუქცევია ტატიანას დაბნეულობისთვის ყურადღება, პირიქით, ეტყობა, მოაწვა შიში, ღელვა და ჩამოსძახა, — არსად წახვიდეთ, მარტო არ დამტოვოთ.

— შედი, დედიკო, წამოწექი, სად უნდა წავიდეთ?!

ნანა მორჩილად მოშორდა ფანჯარას. მერე ყველანი მოსაცდელში კარგა ხანს ხმისამოუღებლად ისხდნენ. მხოლოდ იშვიათად ჩამოდიოდა მომვლელი ქალი და ლილის გაღიმებული, იმედიანი ელაპარაკებოდა. ვაჟამ იმას მოკრა ყური, როგორ თქვა ქალმა, ეგეთ ლამაზ გოგოს კარგი ბავშვი ეყოლებაო.

აღრეული ზაფხული იდგა, ზაფხულის მშვიდი საღამო, როცა ნანამ, მკერავთან გამყვეთო, თხოვა ძმას. როდესაც ძველი უბნის ქუჩებს შეუყვნენ, ვაჟამ ერთგვარი სიამოვნება იგრძნო. დას კმაყოფილმა გახედა. არც ნანა წყვეტდა კავშირს აქაურობასთან, თორემ ახალ სახლშიც იყვნენ მკერავები. სტვენა მოესმა. ნანამაც მიიხედა და ისე ცოვად

მოაბრუნა თავი, რომ აშკარად მას უსტვენდნენ. ვაჟამ იცნო ვანიკო.

— ნანა! —ახლა დაუძახა კიდეც, — ნანა!

მერე ვანიკო მიუახლოვდა მათ და ძალიან ზრდილობიანად მიესალმა. ნანას უბოდიშოდ გამოსცო ხელი. გოგოს არ უნდოდა გაყოლა, ეს იგრძნობოდა მის ოდნავ გაძალიანებაში, მაგრამ არც ვანიკო თმობდა და მოუშორებელი ღიმილით რაღაცას უმტკიცებდა, უცებ ფერი ეცვალა, ეტყობა ნანამ უთხრა ფერსაცვლელი და საწყენი. ვანიკომ ხელჩანთა გამოსტაცა გოგოს და ამხანაგს გადაუგდო. მან ჰაერშივე დიჭირა. ნანამ მიირბინა ბიჭთან და ხელი გაუწოდა,— მომეცი ახლავე! ბიჭმა გაუღიმა და ის იყო ნანას გაწვდილი ჩანთა უნდა გამოერთმია, რომ თავსზევით გადაიგდო. იქ უკვე სხვა ელოდა.

— მომეცი!— ახლა იმ ბიჭთან მივიდა ნანა. ვაჟაც იქ გაჩნდა, წართმევა მოინდომა, მაგრამ ჩანთა უკვე ვანიკოსთან იყო.

— მიეცი, ახლავე დაუბრუნე! — მიჭრა ვაჟა ვანიკოსთან. ვანიკომ ორივე ხელი დაანახა, მე არა მაქვსო. მოესწრო გადაგდება და თავისსავე სიმარდეზე გაღიმებულმა გასძახა ამხანაგს, — აბა, რა წესია ქალიშვილი ქალის ჩანთაში ხელის ჩაყოფა.

ვაჟა მიბრუნდა. წითური ბიჭი იქეიბოდა ნანას ჩანთაში. ვაჟა გაფითრდა უცებ, ეცნაურა ნათქვამი და ვანიკოს მიაშტერდა, — ვის ჩანთაში არ შეიძლება?

— ქალიშვილი ქალის, — გაუღიმა ვანიკომ და ისე ხმამაღლა გიმეორა, რომ მის ამხანაგებსაც გაეგოთ.

— მე და კაკუჩამ დავცხეთ ზოგიერთებს! — იყვირა უცებ ვაჟამ და მარილა დასცხო. გრძნობდა, რომ ხან რბილს ხან მაგარს უბასკუნებდა, მომუჭული ხელებიც ატკივდა, მაგრამ არ ცხრებოდა ბიჭი, თან იმეორებდა, — მე და კაკუჩამ დავცხეთ ზოგიერთებს, მე და კაკუჩამ დავცხეთ ზოგიერთებს. თითქმის ხელის ყოველ მოქნევაზე ყვიროდა ამას. შეამჩნია, როგორ დადგა ლ და ჩაიკეცა ვანიკო. უცებ გაჩერეს. აქეთ-იქედან ამოუდგა ორი ბიჭი და გაიკავეს. ფეხებს მაინც იქნევდა და იქნევდა. ვანიკო წამოიწია და სახეში გაულაწუნა, მერე კიდევ და კიდევ.

— მილიცია მოდის! — მოისმა ვიღაცის ხმა.

— გაუშვით, შარი ახალი მინდა! — ვანიკომ უკან დაიხია და ვაჟასაც უშვეს ხელი. ბიჭები გზას გაუყენენ, ვანიკო იღიმებოდა, ეს რა მიქნაო. ვაჟა მიხვდა, მიუხედავად იმისა, ვანიკო გაილახა, მაინც თვითონ იყო სასაცილო, მაინც შემთხვევას, ყველასთვის ღიმილის მომგვრელ შემთხვევას მიეწერება ის ამბავი, რომ ამ წყნარმა ბიჭმა გაბედა და ვანიკოს, წარმოგიდგენიათ, ვანიკოს გაარტყა. ვაჟა ამან გააშწარა ახლა, სირბილით წამოიწია და ვანიკოს პანღური ამოსცხო.

— ფეხი არ გადმოადგათ! —ვაჟას ნანა გადაეფარა, — ფეხი, თორემ!.. რას აპირებდა გოგო ვერავინ იტყოდა. ერთი კი იყო, ვანიკო და მისი ამხანაგები კიდევ უფრო აიძაგრენ.

— მილიცია, მილიცია მოდის! — ისევ ვიღაცის ყვირილმა იხსნა ვაჟა შემობრუნებული და განრისხებული სამეულისაგან. ეს ირაკლი იყო. ვაჟას თანაკლასელი პატარა და ქერა ირაკლი, რომელიც შეუჩნევლად იდგა სხვა დაინტერესებულ გამვლელებთან ერთად და მილიციით ემუქრებოდა ვაჟას ბტრებს. ვანიკო და ბიჭები თვალს მოეფარენ. ვაჟა უხერხულად აიწურა. შეჯგუფული ხალხი აყაყანდა. ვაჟამ დაიჩცხვინა, მერე უცებ დას შეხედა. ნანა მიუახლოვდა და ტანსაცმლის გაწმენდაში მიეშველა. ცოტა ხანში ირაკლიც გვერდით დაუდგა და თქვა, — ამას ჯაგრისი სჭირდება, სველი ჯაგრისი, ასე არ გაწმინდება.

ბაღრი ჭოხონელიძე
ძმა

ვაჟამ გაუღიმა. ნანასაც ღიმილით შეხედა და იგრძნო, რო[illegible]ამაღლდა მათ თვალში.

მეორე დღეს მთელმა სკოლამ იცოდა ეს ამბავი. კლასში, როგორც ელოდა, ღიმილით შეხვდნენ ამ სიახლეს.

— დაარტყი? მართლა დაარტყი? — რამდენჯერ ჰკითხეს, ვერც დათვალა ვაჟამ. ერთმა ისიც კი თქვა, ყოჩაღ, ვანიკო, რომ არ გაგიმეტაო და ყველა დაეთანხმა, ყველა თანაკლასელი ბიჭი ვანიკოსადმი მეტი სიმპათიით განიმსჭვალა. ვინც ეს ამბავი წამოაყენა, ისიც დაუმატა, სიცილით დაუმატა, ხომ წარმოგიდგენიათ, ხელი რომ შეებრუნებია, რას დაიმგვანებოდა ვაჟაო.

— ვერ შეუბრუნა. უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, — თქვა ირაკლიმ და რადგან მის სიტყვებს არავინ მიაქცია ყურადღება, ოდნავ ხმამაღლა გაიმეორა, — ვერ მოახერხა იმ ბიჭმა ხელის შებრუნება.

მოკლედ, იქამდე მივიდა საქმე, რომ წამოსძახეს ვაჟას, შენ დას მიხედეო... როდესაც დოდოს საუბრის მერე ეზოში გავიდა, სკოლის წინ ირაკლი დაუხვდა. მიაცილებდა ირაკლი და მთელი გზა ამშვიდებდა. იმდენს ლაპარაკობდა, რომ ვაჟა ალარც უსმენდა. მხოლოდ ის არ სიამოვნებდა, წამოძახებასავით აღიზიანებდა, ირაკლი რომ საქმიანად განხილავდა ნანას ამბავს და ასე დეტალურად იცოდა მათი ოჯახის შერცხვენა. მშვიდი, მეგობრული საუბრით ირაკლი ამას არც მალავდა. სადარბაზოსთან შეჩერდნენ და უცებ ქადაგად დავარდნილ ბიჭს პირზე შეაშრა სიტყვა, ვაჟა სადარბაზოში შევარდა და სულმოუთქმელად აირბინა კიბე.

ეს ყველაფერი აგონდებოდა ვაჟას ნაშობიაროს მოსაცდელში. ამას ყველაფერს ცხადლივ ხედავდა, მაგრამ ერთ წუთით არ მოდუნებია ყურადღება, ერთი სიტყვა არ გამორჩენია არავისი. ყველაფერი მშვენივრად ესმოდა, რაც მოსაცდელში ითქმებოდა. როდესაც მომვლელი ისევ ჩამოვიდა და შეატყობინა, გაიყვანესო, ვაჟა სულ მთლიანად მოწყდა ძველსა და განვლილს. სრულად იგრძნო ქვის იატაკის სიგრილე და ახლად გარემონტებულ კედლების სუნი. უცებ კედელზე დაკიდებულმა რადიორეპროდუქტორმა დაიხახინა და ცოტა ხანში დიქტორმა გამოაცხადა, რომ დაიბადა ქვეყნად ახალი ადამიანი, ვაჟი. ახალშობილის წონა, ზომა. დედისა და მამის გვარები.

— ნეტა შენ დედას, — ინატრა ლილიმ და ახლა ტატიანას ჩაფერინდა ხელში, — ჩემი ნანაც ასე კეთილად გადამირჩინოს ღმერთმა.

— თქვენთვისაც მალე მომელოცოს, — ახლადმოვლენილის ბედნიერი მამა ლილის და ვასიკოს ლოცავდა. ბიჭი ტუჩებს ვერ უყრიდა თავს. ვასიკო წამოდგა და ხელი მაგრად ჩამოართვა, მერე უცებ დაფეთებული მიიჭრა ფანჯრასთან და შუშაზე მაგრად მიაბრახუნა, —ერთი შეხედეთ აგერ, შეხედეთ.

უკვე შებინდებულ ეზოში მიაბიჯებდა სვანურქუდიანი თვალებბრიალა კაცი.

— დედა, რა ადამიანი ბრანდებით,— ტატიანამ გახარებულმა მოხსნა კარი,— კაცი ხარ, ბატონო ჩემო, დიდებული კაცი.

— გამარჯობა ყველას! — სიმონამ ჯიბეზე ხელი გაიკრა, — სასროლადაა უკვე საქმე თუ რავაა?

— ახლა გაიყვანეს, — ლილიმ გაუღიმა კაცს, — სულ ახლახანს.

— ბიჭი იქნება, — დაჯერებით თქვა სიმონამ, — ვისაც გინდათ დაგენიძლევებთ, ბიჭი იქნება.

ვაჟა გავიდა. ათვალიერებდა სამშობიარო სახლის ოთხსართულიან შენობას და ცდილობდა მიეგნო იმ ოთახისთვის, სადაც ნანა იყო. რაღაც ხმა შემოესმა, კივილი. ტანში გასცრა ბიჭს. ნანას ხმას მიამგვანა, ეცნო. კივილი განმეორდა.

— ნანა! ნანა! — იყვირა უცებ ბიჭმა, — ნანა, ნუ გეშინია, ყველანი აქა ვართ,

სიმონა ბიჭთან ჩამოვიდა. ნუ გეშინია, ნანა!

პირველი სართულის ფანჯარა გამოიღო, რამდენიმე ქალმა ერთად გამოჰყო თავი და ისეთი დღე დაიწიეს ვაჟას რომ ბიჭი უხმოდ შეიძურწა მოსაცდელში.

— ხომ არაფერი გაგიგიათ? — კარშივე იკითხა.

— ჯერჯერობით მშვიდობაა, — ვასიკომ კისერზე რამდენჯერმე მიუტყაპუნა ხელი, — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

— რას შობი, ბიჭო, — სიმონამ ვაჟას გახედა, — აიღე უკვე პასპორტი?

— თვის ბოლოს მისრულდება თექვსმეტი, — გაეღიმა ვაჟას. როგორ არაფერი ავიწყდება ამ კაცს, ყველასთვის ყოფნის ყურადღება და თბილი სიტყვა. ვაჟას სახეზე ღიმილი არ შორდებოდა ისე უყურებდა. მერე ახლოს დაუდგა სიმონას, თითქოს ამით უნდოდა მოფერება, ყურადღებისათვის მადლობის გადახდა.

ისევ გაიფხიკინა რეპროდუქტორმა და უცებვე ჩაუწყდა ხმა. ყველა ყველს მიაჩერდა. გაიწელა წამები, უსაშველოდ გაიწელა. და აი, მორიგი ფხიკინის შემდეგ გაისმა ნეტარი ბგერები, გალობასავით წინადადება, რომ ნანამ ოჯახს აჩუქა ვაჟი ჯანმრთელი და უვნებელი.

არც ერთი არ განძრეულა. არავის ამოუღია ხმა. უცებ აუვარდა ლილის ტირილი. უცებ იგრძნო ვაჟამ მუხლებში კანკალი და უცებ იყვირა სიმონამ, — აქანე ვისრული თუ სახლში? — მერე ყველა დაკოცნა, ყველას აუწია ყური.

ცოტა ხანში შემოვიდა მომვლელი ქალი და წერილი ჩამოიტანა. ლილიმ ატრიალა, ატრიალა და ვასიკოს მიაწოდა, — ვერ ვარჩევ, შენ წაიკითხე.

— ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამბობენ, კარგი ბიჭი ვარო. გკოცნით ნანა და... — აქ ვასიკოს ქვედა ყბა აუკანკალდა და დარცხვენილი ბავშვივით მიმოიხედა. როგორც იქნა, დაწყნარდა, — გკოცნით ნანა და ვასიკო.

— ვასიკო ვინაა? — გაიკვირვა სიმონამ.

— ჩემი შვილიშვილია, — ისევ მორცხვად გაღიმებული აპარპალებდა აცრემლებულ თვალებს ვასიკო, — ჩემი შვილიშვილია, მაგას ვენაცვალე ბიჭობაში.

დილით ადრე გაეღვიძა ვაჟას. გვერდითა ოთახიდან თეფშების ალაგების ხმა გამოდიოდა. საწოლებში ვასიკოსა და სიმონას ეძინათ. ბიჭს არც ჩაუცვამს, ისე გატანტალდა და ჯერ ბოლომდე აულაგებელ სუფრას მიუჯდა. გემრიელად ისაუზმა, მერე უცებ წამოხტა, ჩქარა ჩაიცვა და ის იყო გასვლას აპირებდა, დედის გაკვირვებული მზერა შენიშნა. ჯერ ადრე იყო, კარგად არც იყო გათენებული. ვაჟა ოთახში შებრუნდა და სავარძელში ჩაჯდა. სულ ორიოდე წუთი გაძლო და ისევ წამოხტა. დედას აკოცა და კარი გაიბრახუნა. გარეთ გასულს ძალიან მოუნდა ვინმესათვის გაეგებინებია. ქუჩის ტელეფონთან შეჩერდა. ნომერს კრეფდა და სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. რამდენი მოაგონდებოდა დისშვილი, იმდენი მამის სიტყვები ჩაესმოდა, მაგას ვენაცვალე ბიჭობაშიო. ამაზე ეღიმებოდა და თან მოსწონდა. სახლიდან გამოსულმა კიბეზე ჩამორბენისას ისე იგრძნო მოჭარბებული სიხარული, რომ ხმამაღლა თქვა, თითქოს დაეთანხმა და გადაჭარბა ოჯახის ბედნიერებას, მართლა მაგას ვენაცვალე, მართლა მაგის ჭირიმე...

•

როდესაც ყურმილში გაისმა დარეკვის პირველი სასიგნალო ზუმერი, მაშინ გაიაზრა, რომ თიკასთან დარეკა, თიკას ნომერი აკრიფა და ის იყო უნდა დაეკიდა, რომ ნამძინარევი გოგოს ხმა გაისმა, — დიახ, დიახ, გისმენთ... არ

ამოიღო ხმა... თუ გგონია, ვერ გხვდები, ვინა ხარ.

ვაჟამ ახლა ირაკლისთან დარეკა. მერე რა, რომ ადრეა, მერე რა, — იმშვიდებდა თავს.

— ირაკლის თხოვეთ.

— ირაკლის? — გაიკვირვა ქალმა,— ახლავე.

— ირაკლი, გამარჯობა, — იქედან გაურკვეველი ბუტბუტი ისმოდა, ალბათ მიესალმა, — იკა, ვაჟა ვარ, ბიჭო, ვაჟა... ჩემს დას ბიჭი ეყოლა.

— მომილოცავს, — მერე გამოცოცხლდა ირაკლის ხმა, — მომილოცავს...

ვაჟა დაარქვა?

— არა, ვასიკო, მამაჩემის სახელი.

— მე მეგონა, ვაჟას დაარქმევდა, ისეთი მოსიყვარულე, ყურადღებიანი ძმა ხარ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... კარგად იყავი.

მოპირდაპირე ტროტუარზე მიაბიჯებდა გია. შეცბუნებულივით აბუზული და ოდნავ ფერმკრთალი. არადა, რამდენჯერ გადაწყვიტა ვაჟამ ენახა, დალაპარაკებოდა.

უკვე ამოძრავებულიყო ქალაქი. დაქროდნენ მანქანები და გადასასვლელთან შედგა, შეიცადა ვაჟამ. გადაწყვიტა, წამოწეოდა და ეთქვა ბიჭის „ბანანა“ ეხარებინა. არაფერს სხვას არ გრძნობდა, არ აპირებდა, მხოლოდ ეს უნდოდა, ეხარებინა. გადასასვლელთან მის გვერდით საბავშვო ეტლიანი ახალგაზრდა ქალი შეჩერდა. ვაჟა ისე გაღიმებული თვალებით მიაშტერდა, ისე ჩახედა ბავშვს, რომ ქალი უხერხულად შეიშმუშნა. დაიძრნენ.

გია ვიღაცას ელაპარაკებოდა. ისევ აბუზული იდგა და ისე ლაპარაკობდა. შუა გადასასვლელზე შეჩერდნენ. ვაჟამ კიდევ ჩახედა ბავშვს და უცებ დაემანჭა სახე, ელვასავით დაუარა რაღაცამ. ნელ-ნელა ყველაფერი გაბუნდოვნდა, გაუჩინარდა. ყრუდ ჩაესმა, — ადექი, წამოდექი, შვილო!

მკერდში, მარცხნივ კი უღმუოდა ტკივილი. ღრმად ისუნთქავდა და ეს ცოტათი შველოდა. მერე უეცრად შეწყდა მანქანების ხმა, შეშფოთებული ხალხის ყაყანი და ბიჭი სამუდამოდ დაამდა, დამშვიდდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიორგი ხორავაშვილი

სანდრო ბერბუკელი

მოთხრობა

ჩვენს სოფელშიც დაიარებოდა საკვირველი ლეგენდები სანდრო ბერბუკელზე, მაგნაირი მძლეთა-მძლე მოჭიდავე დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო. დიდი გარჯა და თავგანწირვა არცა სჭირდება, სახელითა და ზარით უფრო ამარცხებს დაქადნებულ შემტოქებელსაო.

ჭიდაობის გახსენებაც კი გვაორთოლებდა. ყველა ფალავანი ღვიძლი ნათესავივით მოგვებებოდა გულზე, ბერბუკელისნაირი შემრკინებელი ხომ გვეამირანებოდა და გვეღმერთებოდა. ოღონდაც მასზე ჩამოეგდოთ სიტყვა და სხვა მოსასმენი არა გვინდოდა-რა. ტყუილ-ზღაპარიც რომ ეთქვათ, გული მართლად მიიკრავდა. უკლებლივ გვჯერდა ყველას ნათქვამი შეყვინჩილავებულ ბიჭებს. უფრორე ვირწმუნებდით ბერიკაანა შაქრიას მონაყოლს. ყველაზე უკეთესად იმან იცოდა ბერბუკელის ავანჩავანი. ახლოსა სცნობოდა. სიყრმისდროინდელი მეგობრები ყოფილიყვნენ. ახალგაზრდობისას ერთად ემუშავათ რკინიგზაში.

— დაახლოვებული იყავი, ძია შაქრო, ბერბუკელთან? — ვიცოდთ, რომ სიამოვნებდა ასეთი შეკითხვები და განგებ ჩავეძიებოდით.

— ჰმ, დაახლოვებულიო?! ერთი დედმაშვილებივით ერთადა ვართ დაზრდილები. ჩემი სატინის ხალათითა და აზიურებთ დადიოდა დღეობებში, ის ჩემ ოჯახში იყო თამადა, მე — მისაში, —სიამაყით მოგვიგებდა. მართლა დაეტოლებინათ ერთურთისთვის გულები, დანათესავებულიყვნენ კიდეც. ერთმანეთის მოკეთეობა გაჰხარებოდათ, გულიანად მიჰყოლ-მოჰყოლოდნენ. უფრო მეტად ძია შაქრია დამადლობებოდა ბედსა, პატარა ამბავი ხომ არ იყო, დიდსახელიანი ფალავანი დაემოკეთევებინა, სიყრმის შვილი მოენათვლინებინა — ვახტანგი, ჩვენი ტოლ-სწორი, იმთავითვე განიერი ბეჭები რომ ჰქონდა და თვალის დასამახსოვრებლად გატოტყელიყო.

ძია შაქრომ ბევრი რამ იცოდა სანდროს შესახებ. ჩვენსოფლელები, უფრო კი შეღერებული ბიჭები, მალ-მალე შეუჩნდებოდნენ რაიმე სახარბიელოს სათქმელად სახელოვან ნათლიაზე.

ძია შაქრიაც თავს დაიფასებდა.

აღარ მოეშვებოდნენ.

ნებას დაუყვებოდა.

რაკი ერთი აეშლებოდა ლაპარაკის საღერღელი, დაუზარებლად მოჰყვებოდა, თავისებურად შეკაზმავდა, რაღაც არაჩვეულებრივ კაცად დაგვიხატავდა, უტოლო გოლიათად წარმოგვიდგენდა.

— ხო-ხო-ხო! რა დეკვაცაა, ბიჭებო! ავ თვალს არ დაენახვება. მთასავით ზვიადია, მთასავითა, ტახტივით განიერი ბეჭები აქვს, ლომა კამეჩივით აბრუნებს უშველებელ კისერსა, მუხის მორგვებივით აყრია თახთახა კუნთები. ნიჩბებივით ხელებს დააქნევს, არწივივით აბრიალებს არწივის კვერცხის ტოლა თვალებსა. ახლა ღონეს არ იკითხავთ? ცარიელა ძარღვია ეგ ჯიშგამრავლებუ-

ლი, ეგა. ხელი რომ მოუჭიროს, სიკ ლოდს დაფშვნის!

და ჩვენი უნახავი სანდრო ბერბუკელი ისე წარმოგვედგინა, თითქოს ვერავის სახლში ვერ შემოტეტოდა.

თვალგაფართოებულნი მივშტერებოდით შაქრიას.

— გინდა დაიჯერეთ, ბიჭებო, და გინდა არა, რელსი მოღუნა სანდრო ბერბუკელმა, რელსი. მოღუნა და ეგრე გადაიგრიხა ბიჭებზე, როგორც ოჭო

ჯრეშა აუკრავდნ, რაკი მაინც კასძალიანება, მოუხვევია ხელები მაღლა შემართულისთვისა, კისერი გადაუგრეხია, გვერდზე გადაუქნევია და ისეთი ზღარბანი მოუდენინებია, ლამის ფერდები დასკდომია პირტუტყეს. საყბეური წამოუცვია წაქცეულისათვის, ლაგამი გაუჩრია საკბენად დაკრეულ კბილებში, ძალით წამოუყენებია დამორჩილებული, მოხტომია და სათაკე სადავე მიუშვია. იქითკენ გაუქცევია, თავის ნებაზე უჯირითებია, ისე მოუქანცავს, ღობეზე გადასაკიდი გაუხდია, მეორედ და მესამედ უარესი დღე დაუდწვია, ისე მოუთვინიერებია, თავად სანდრო ბერბუკელი კი არა, აღუა ბავშვიც რომ მისულიყო, მორჩილი სახედარივით გაუჩერდებოდა.

— ჭიდაობაში როგორია ბერბუკელი, ძია შაქრო, ჭიდაობაში?

— ჭიდაობაში ხომ ცალი არა ჰაეაეს!— ისეთი კილთი იტყოდა, რომ კვლავ მოგვაწყურებდა გაუგონარი ამბის მოსმენას,

ძია შაქრიაც ხალისით მოგვიყვებოდა ფალავანთა შერკინებებზე.

— უფრო ძალით იმარჯვებს, ბიჭებო, ძალითა, მაგრამ ხერხიც არ აკლია. კამეჩისტოლა კაცი რომ დასჭიდონ, დავლებს ხელსა და გოგრასავით დაახეთქებს მიწაზე.

— მაშ, ჯერ არ წაქცეულა სანდრო ბერბუკელი, ძია შაქრო, ჰა?

— აკი გითხარით, მაგისი მომრევი კაცი ჯერ არ გაჩენილა-მეთქი ქვეყანაზე. ერთხელ კი...

ბიჭები უკმაყოფილოდ მივაშტერდით.

— ერთხელ კი ერთმა ჯეელმა წააქცია.

— ბერბუკელი წააქცია?! — სინანულითა და გაკვირვებით წამოვიძახეთ.

— ჰო, თავისმა გულმა წააქცია...

— რადა, ძია შაქრო?

— როგორა?

— სანდროს ვაეგო, რომ იმ ჭიდაობას ესწრებოდა მეტოქის გულისსწორიც, საპატარძლო... შეენანა ბიჭი და ისევ წაექცევინა.

ბინდბუნდად გვესმოდა „გულისსწორის“ შინაარსი. გვსიამოვნებდა, რომ ეგრე რაინდულად მოჭქცეოდა იმ უცნობ მეტოქესა, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც უკმაყოფილებას გამოვთქვამდით ბერბუკელს წაქცევაზე.

ჰოდა, მხოლოდ ჭიდაობისა კი არა, სანდრო ბერბუკელის გულის თავგადასავალსაც მოგვიყვებოდა ძია შაქრია.

— ბავშვივით გული აქვს ამ მთასავით კაცსა, უბრყვილო, უბოროტო, ჩვილი და შემცოდე, პირდაპირი და ალალი კაცი ყოვარს. მართალსა და უღალატოს სულში ჩაიძვრენს, უცხო რომ იყოს, გულისგულს ნათესავივით მოეჯიგრება, თუ მოჭიდავე ვაჟკაცურად შეერკინა, გული მიუვა, ძმად მიითვლის, გამარჯვებას როგორ გააყოლებს, მაგრამ თოთო ბავშვივით გაუფრთხილდება. ციმცმ დაუშვებს მიწაზე, რომ არა იწყინოსრა.. გულდადალა და ფხორია მოჭიდავეებს კი, სახელისთვის რომ დამათხოვრობენ, ვიწრო თვალით უცქერის. მეტადრე მაშინ, თუ ღალატი ამოუცნო, ღვთის რისხვად დაატყდება და გაჩენის დღეს აწყევლინებს. ბევრისთვის ძვირად დაუსვამს მოუზომავი კვეხნა. — აქ გაწყვეტდა საუბარს ძია შაქრია და სათითაოდ შეგათვალიერებდა.

ჩვენ კი ისევ ცნობისმოყვარეობით მივშტერებოდით.

— მცხეთობა ხომ გაგიგონიათ, ბიჭებო?

— როგორ არა.

— ვყოფილვართ კიდეც.

— ჰოდა, სანდრო ბერბუკელს უყვარდა მცხეთობაში წასვლა. გიჟდებოდა, თვალს წყალს დაალვინებდა, „გუნებას“ გაინიავებდა, იმ თვალშეუდგამი ხვეტეტცხოვლის ხილვას, იმ დიდ გალავანში თავმოყრილი ერის, მაეედრებელი, მოლხენე და მოქეიფე ხალხის ნახვა რა სჯობდა! უამრავ ნათესავსა ნახავდა,

ბიორგი ხოგაუაშვილი
სანდრო ბერბუკელი

ძველისძველ მეგობრებს შეხვდებოდა, უთვალავ კაი კაცს გადაეყრებოდა, ნაცნობსა და უცნობსა, ერთი ღიმილი ერთ სიცოცხლად ფოფრდა, ალალი ღვინით მოირწყვადა გულსა, სიყვარულითა და სიხარულით აღივსებოდა, თვითონაც მოილხენდა და სხვასაც გაახალისებდა. იმღერებდა, მე შენ გეტყვი, ხმა არ ამოჰყვებოდა, ისეთს ამოარკაკიებდა, მაშინვე ჯიგრის წვერს მოხვდებოდა. ითამაშებდა. არც უშიდავებელი გადარჩებოდა. მთელი ერი უცქეროდა იმის ჭიდაობას. თუნდაც არავისთვის არ წაეკლო ხელი, ისედაც რომ გაეკლ-გამოეკლო საჭიდაოზე, მაგითაც გულს აამებდა უთვალავ მაყურებელსა. თუ ღირსეული მეტოქე შეუხვდებოდა და თავის ღონეს დახარჯავდა, მაშინ ხომ აღტაცებაში მოიყვანდა დიდსაც და პატარასაც.

ამ მცხეთობასაც აჭიდავეს, მე რომ აღარ მამშვა და თან გამიყოლია.

რამდენიც შეუტოქეს, იმდენს დაარტყმევინა ბეკები მიწაზე.

ხალხს არ უნდოდა წრიდან გამოსულიყო ბერბუკელი. ჭიდაობის უსტაბაშებიც არ უშვებდნენ გარეთ. დღინჯშემოყრილი სანდროც ნებას დაჰყოლოდა და თავმომწონედ დაბიჯებდა ახალი მეტოქის მოლოდინში.

ერთი ახმახ თათარს გამოედო თავი. ერთ თანგრია ქვაბ ფლავზე დანაძლევებოდა მეკობარს — ისეთ დღეში ჩავიგდო თქვენი ნაქები ბერბუკელი, რომ მისხის მისხსაც კი შეაძულოს ჭიდაობაო, პირველ მისვლისთანავე ბეკებზე გაგიშლიანთავთო.

არ დაკავიწყდეთ, თავადაც დიდი სახელი ჰქონდა გაგაოცებლი იმ თათარსა და მთლად გაფრენილად არ მიუჩნევიათ მისი ქადილი. დიდი რიხითა და ქარით გადახტა თათარი, ტანადაც სანდროზე დიდი მოგვეჩვენა, მაშინვე დაიფრინდა ჩოხაზე და ცოტა შეგვაფიქრიანა კიდეც სანდროს გულშემატკივარნი. თათარი ხელებით ეკაპუნებოდა, თითქოს ჭანგებით უნდა დაუბდღვნას მხარ-მკლავებიო, ფეხებს კი განზე ფაფხვდა. ბერბუკელმა არად ჩაიგდო ეტეტოქის რისხვა-მუქარა, კამეჩივით შეუტევია, ერთი შეაბანჯღალავა, მუხლი შეუშინა, წელში მოჰქნია, შუა კაური გამოსდო, თეძო ამოარტყა, მოიქნია და ისეთი ზღართანი მოადენინა, მიწამ ზანზარი დაიწყო. მხოლოდ ზმუკუნი მოგვესმა წაქცეულისა, გვეგონა წამოხტებოდა და გულის ბუხარს ამოიყრიდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, აღარც აპირებდა წამოდგომას. ოთხმა კაცმა ძლივს წამოაყენა და მიეკვალებულივით გაასვენეს. თქვენ წარმოიდგინეთ, არავინ არ იცოდებდა, პირიქით, ისეთი სიცილ-ხარხარი გაადევნეს, დედამიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა, ის ერჩიენა.

— მერე, მერე, ძია შაქრი?

— მერე, ნაცნობებიც და უცნობებიც ვარდ-ყვავილებივით აყრიდნენ სიცილსა. ჭიდაობა დაიშალა. ყველა თავისკენ იპატიჟებდა. უცნობი და ნაცნობი. ბერბუკელი ეუარებოდა. მოქეიფენი აღარ მოგვეშვნენ, სანდროს ხთარი ვეღარ გაუტეხა, ერთ ჩარაჭიან ურმის ძირში ჩავსხედით და გიყვარდეთ...

— უყვარდა სმა?

— არა, სმა კი არ უყვარდა, სასმელი რომ სიყვარულს გამოსწყვლიდა გულიდან, ის აამებდა.

— ბევრსა სვამდა?

— უჰ, ნუღარ იტყვი, სავსე თუნგს ისე ჩამოიცლიდა ერთ მოწოფებაზე, თუ მოეგუნებებოდა, როგორც თქვენ ვაქინიანი წყლის ჭიქასა! — ისეთი ომშწყურებლად იტყოდა, რომ გონება გაგვიქცეოდა და ლურჯად მოშუშუნე პიტნა. თუ ლალისფერი კახური მოგველანდებოდა, ვაქინიანი წყლით ხომ გული ვერ გვეჯერებინა სოფლელ ბიჭებსა, ვინც არც თუ ისე ხშირი სტუმრები ვიყავით ქალაქისა.

ძია შაქრია კი ისევ განაგრძობდა:

— მართლა ხარივით სვამდა, ბიჭებო, სვამდა და სულ ძარღვებში მისდიოდა,

მაშინ უნდა გენახათ სანდროს ჭიდაობა, — და კიდევ ახალს გვეტყოდა.

— ვაახ, ვაახ!

— მე შენ გეტყვი, შეიმჩნევდა სიმთვრალესა. ან ნაბიჯი შეეშლებოდა, ან სიტყვას აურევდა, კოკეთ რომ მოგეწყაფებინათ, ისევ ის სანდრო იყო. საფთაქლის შეწთილებაზე თუ შეატყობდით, რომ სასმელი ჰქონდა დალეული. გულში მზეს ჩაიყენებდა, სიყვარულად იქცეოდა, სიცოცხლით ვერა ძღებოდა, უცნობისა და ნაცნობის კოცნა მოსწყურდებოდა, ძაან მოსიყვარულე გული ჰქონდა, ძაანა. ყველს ზედ ელეოდა, ყველას საკუთარი მონაგარივით ეჯიგრებოდა. თითო-ოროლას თუ შეხედავდა ცუდი თვალითა ისეთებსა, ვისთვისაც აფსუსი იყო კაცი რქმეოდა, დედამიწაზე ევლო მზისათვის ეცქირა. მსაჯებზე კი დაუძვირდა გული. ის სამი კაცი ისე შეიჯავრა, როგორც ამირანმა — მჭედელი.

კვლავ გამექცეოდა ფიქრი, უცებ გამიცოცხლდებოდნენ კარიჭაანთ მაშუას მონაყოლი ზღაპრის გმირები: ყურში გამიშრიალებდა მისი სიტყვები, მჭედლებმა მიაჯაჭვეს ამირანი კავკასიის ქედზე უშველებელი რკინის პალოთი და რკინის ჯაჭვითაო. მას აქეთ შეიძულა გმირმა მჭედლები, თავს აიშვებს და პირველ რიგში მათ უტირეს ყოფასაო.

— რომელ მსაჯებზე ამბობ, ძია შაქრი?

— თქვენ არ იცნობთ, ქალაქელები იყვნენ.

— რადა, ძია შაქრი, რად შეიჯავრა ბერბუკელმა მსაჯები?

ყველანი გავიხუსენით.

— იმდენი ხალხი, იმ დღისით როგ ციცრეში იყო თავმოყრილი, არასოდეს ენახა ჩემს თვალებს. ბა-ბა-ბა! საიდანღა არ მოგროვილიყვნენ. თუმცა, ვინ დაიკლდებოდა იმნაირ სანახობას. ფალავანთა შერკინება იყო და ზანზარი გაჭქონდა იმ ვეება დარბაზს. დაუოკებელი ენინთ მისჩერებოდა უთვალავი მაყურებელი. მათთვის სულ ერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა და რომელი სჯამდა სიცოცხეისა. ოღონდაც ვაქაცურად შებმოდნენ ერთმანეთსა, გულდადრეკილა და ფლიდობა არ გამოემეღოვნებინათ და სულში ჩაიძვრენდნენ ერთსაც და მეორესაც. აკი ეგრეც იყო, მჭუხარე ტაშით აციოლებდნენ რაინდულად ნაჭიდავებ ბიჭებს არენიდან. უყეთესზე უყეთესებს ელოდნენ და უნებლიედ გაექცეოდათ თვალი სანდრო ბერბუკელისაკენ, რომელიც პირველ რიგში ჩემს გვერდით იჯდა და ფიქრიანი ღიმილით უმზერდა ლეიბებზე მობღუნავე მორკინალებსა.

— ბიჭბუკელი როდის იჭიდავებს, ბერბუკელი? — მალ-მალე იკითხავდნენ სანდროს გულშემატკივარნი.

— მოიცათ, რა გეჩქარებათ!

— ბოლოს აჭიდავებენ! — ამშვიდებდნენ გვერდით მყოფნი, რომელნიც აგრეთვე დიდი წყურვილით მოელოდნენ ფალავანთა ფალავნების ჭიდილს.

აჰა, სანდრო ბერბუკელის ჯერიც მოდგა.

გამოუძახეს და ბაყბაყ დევივით გადაბიჯა არენაზე. გადავიდა და მქუხარე ტაშიც გადააყოლეს.

მალე შემტოქეველიც გადაზანზარდა. იგი უფრო მაღალი და სრული ჩანდა ბერბუკელზე. რაღაცა მრისხანე და უგემური შეხედულება ჰქონდა. ცხვირგადაქლეტილი, ყურებგადმოჩაჩვული ყვრიმალებგადმოყრილი, თმაგაბუჩქული, მწვანედ დაესვირინგებინა მსხვილი მხარ-მკლავი და ბალანტეხილი ბარძაყები. რაღას ღარა ნახავდა კაცი. ერთმანეთთან ტუჩებმშვერილ გოგო-ბიჭსა თუ ისარგაყრილ გულსა, ბლაგვი ასოებით გამოყვანილ ეუპალტებსა თუ ფრთებგაშლილ არწივსა, გაბრაზებით რომ გაეშალა ჭანგები სამსხვერპლოს მოსატაცად. გადავიდა არენაზე და დინინჯი შემოიყარა. საპირისპირო მხარეს დადგა და რაღაცას ამრეზითა და ფუქსავატურად შეხედა სანდრო ბერბუკელსა, რომელიც ჩვეულებრივ დინჯად იდგა და

გიორგი ხორგუაშვილი
სანდრო ბერბუკელი

უდარდელად ატრიალებდა დიდრონ თვალებსა.

ღარბაზი გატვრენილიყო. ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა უამრავი თვალი. მთავარი მსაჯი, სიკო ზარნაძე, ზედმეტ სახელად რომ ჩოქელს ეძახდნენ, სანდრო ბერბუკელს მიუახლოვდა. იგი ხომ წელან, შეჯიბრების დაწყების წინ დიდი ამბით მიესალმა, ძმასავით გადაეხვია, გადაკოცნა, ღიმილით მიიკითხ-მოიკითხა, ოჯახიანად, მახლობლებიანად, სამეგობ დაჰპატიჟა კიდეც, ჭიდაობა რომ დამთავრდება, უჩემოდ არ წახვიდეო, ჩავუსხდეთ და ჩვენებურად შეეუბეროთო. უცხონი ხომ არა ვართ, ბებიაშენი პაპაჩემის გარეთა დეიდაშვილი ყოფილაო. ძმაზე უძმესად გიყურებო, შენი სიყვარულით ვერა ვძღებიო. ჰო, წელან ხომ ეგრე მიესიყვარულა და არც ახლა დააკლო ღიმილი, შინაურულად წასჩურჩულა კიდეც: „აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებო!“ მერე მაჯაზე წასწვდა, მაღლა აღუმართა ხელი და მოელი კრებულის გასაგონად დაიძახა:

— ჩემგან მარცხნივ — განთქმული ფალავანი, სანდრო ბერბუკელი...

კიდევ რადაც უნდა ეთქვა სიკო ზარნაძესა, მაგრამ ტაშის დაქუხებამ შეაწყვეტინა და სიტყვის გასაგრძელებლად აღარ გაიკლა თავი. მერე მეორე მოჭიდავე წარმოადგინა და აგრეთვე რიხით ამცნო:

— ჩემგან მარჯვნივ, ცნობილი მოჭიდავე, „ძმვინვარე ვეფხვი“, ზელიმხან თოფჩიშვილი.

ახლაც გულმოდგინედ გაიჭაჭა სათქმელის გასაგრძელებლად, მაგრამ ამჯერადაც ტაშის ქუხილში შთაინთქა მისი სიტყვა.

მერე სასტვენს ჩაბერა ჭიდაობის თავმა.

მომარჯვებულმა დამკვრელებმაც დასცხეს უცეტ. აბრახუნდა დოლი, აჭიკყინდა ზურნა, ისე გულში ჩამწვდომად გაისმა მრავალგზის მოსმენილი „საჭიდაო“, ისე გვეშობლიური, გვეამა, აღგვაგზნო და ადგვაფრთოვანა, მოჭიდავეებს კი არა, ჩვენ, მაყურებლებსაც საჭიდაოდ აგვიცმუკა გული: ფალავნებს ხომ შორიდანაც ვამჩნევდით, ჭეხლარიანი ქინი მოსძალებოდათ და კუნთები უთახთახებდათ.

ჰოდა, ერთმანეთს მიუახლოვდნენ შემრკინებლები, ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ, საჭიდაო ჩოხის კალთები შეისწორეს, ღონივრად ჩაებღაუჭნენ ერთურთსა, დაიჭიფხნენ, დაიძაგრნენ და მთელი დარბაზიც დაიძაბა.

მეტოქეები თავჩაღუნულნი ჩაშტერებოდნენ ლეიბებსა, თითქოს იმ ადგილსა ზომავდნენ, სად აჯობებსო ფალავნის დახეთქება.

ზურნისა და დოლის ხმა კი ტანში გვაჟრჟოლებდა, უჩვეულო სანახობას გვაწყურებდა და ერთი სული გვქონდა, როდის მოათავებდნენ ძალთა მოსინჯვას, როდის დავინახავდით ან ერთს ან მეორეს ბაღლი შეთამაშებულსა და ბეჭებზე დაცემულსა. მაყურებლისათვის თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, ვინ დაისაკუთრებდა პირველობას, მაგრამ არ დაგიმალავთ, ჩემს ნათლიასაკენ, სანდრო ბერბუკელისაკენ მიმიწევდა გული მეც და ათას ჩენნაირსაც, ალბათ.

— მიდი, სანდრო, მიდი!

— ერთი კიდევ გაგვახარე, ერთი!

— შენებურად, ბერბუკელო, შენებურად! — მალ-მალე წამოიძახებდნენ ძოუთმენელი ბიჭები.

სანდრო ბერბუკელს კი მუხის ბოძებივით დაეჯინა ფეხები. ზამბარასავით დასჭიმვოდა კისრის ძარღვები, ცერა თითის სიმსხოდ რომ გამობერკვოდა, დიდრონნი კუნთები უთახთახებდა და მოწნაადმდეგის იერიშს ელოდა. რაკი ფრთხილი მეტოქეც არა ჩქარობდა, ბერბუკელმა უცვე მოსწია ზელი თოფჩიშვილი, შიშველ საკეცში მოულოდნელად დასცხო კინჭუტა ქუსლი და მუხლი შეუშინა კიდეც. ზელიმხანი არ მოელოდა ასეთ ილეთს, ფეხიც შეუშინდა და უნებლიედ გახტა განზე, სიცილნარევი ტაში იწყინა, გაფხუკიანდა, გა-

ტახრდა და ძმვინვარედ ეკვეთა, თითქოს დაბანია კიდეც ბერბუკელი. თავის ნებაზე შეაბასკდალავა, მიანგღრ-მოანგღრია, თავბრუ დაახვია. ხალხის ყიჟინამ უფრო წაახალისა, კიდევ უფრო გაფიცხდა, თავის საყვარელ ხერხზე მივიდა, გარეკაური მოსდო, გამეტებით მოსწია, ადგილიდან დაძრა, გადაიტანა კიდეც, წაჩოქა; მიაწვა, მხარი წაარტყმევინა, ზურგზე ვეღარ გაშალა, მაგრამ ქუსა აართვა.

ამჯერადაც იმქუხარა ტაშმა.

წაქეზებული თოფჩიშვილი უფრო გამეტებით ეცა წამომდგარ მოწინააღმდეგეს, მაგრამ რაკი შეატყო, რომ წელანდელივით ვერ დასძრავდა გაქვითკირებულ ბერბუკელსა, თავდაცვა ამჯობინა, გაიფაფხა და ეგრე დაძაგრული უცდიდა მეტოქის იერიშსა.

სანდრო ანაზდად გაფიცხდა, ახლოს მიიზიდა მოწინააღმდეგე, სარმა გამოსდო, ბრუნზე შეიტაცა, ღონივრად ამოარტყა თქმა, ჰაერში შეაბზრიალა ამხელა კაცი და ორივე ბეჭზე დასცა.

დამკვრელებმა მსაჯის ნიშანს აღარ დაუცადეს, რადგან უეჭვოდ მიიჩნიეს თოფჩიშვილის დამარცხება. უმალვე დაადუმეს საკრავები და უთვალავი მაყურებლის მსგავსად მათაც გამეტებით დასცხეს ტაში.

დარბაზი ისე გრიალებდა, ლამის ჭერი აიხადა.

— ოხ-ოხ-ოხ, რა იყო, ბიჭებო, რა იყო!

— როგორ დაახეთქა! გულ-ღვიძლი ჩაუნგრია ამ საცოდავსა!

— ეგ მოსდევდა მაგის ბაქი-ბუქსა?

ნამდვილი ბერბუკელია, ნამდვილი! — აღტაცებას ვერა მალავდნენ ახალგაზრდები უფრო.

ხარბად მიეჩერებოდით. მეტად გახარებულნი ვიყავით ამ დიდი სანახაობისა, მხოლოდ იმაზე გვეუმარისებოდა გული, რომ ყოველივე ეს ძალიან სწრაფად მოხდა. რიგისნად დანახვა ვერ მოვასწარითო... თვალს არ ვაშორებდით მოჭიდავეებსა. წამიწამს მოველოდით, როგ სანდრო ბერბუკელის წმინდა გამარჯვებას გამოაცხადებდნენ, მივიდოდით, ვეტაცებდით და ბავშვივით შევესროდით მაღლა, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ასე არ მოხდა.

მაღლიდან დაბზრიალებულმა ზელიმხანამ ჯერ ჰაერშივე სცადა, ზურგზე არ დაცემულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ის მაინც იეშმაკა: ძირს დაენარცხა თუ არა, იმწამსვე წამოსწია ცალი ბეჭი და თანდათან აშორებდა ლეიბს. ხან მაყურებელს შესცქეროდა, ხან მსაჯებს, თითქოს ვევდრებოდა: კარგად დამაკვირდით, მხოლოდ ერთი ბეჭითა ვარ შეხებული ხალიჩასო. იმის წვალებასა და ვევდრებას აინუნშიც არავინ აგდებდა, პირიქით, სიცილს იწვევდა მაყურებელში, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა ანიშნეს, თოფჩიშვილმა მხოლოდ ცალი ბეჭი შეახოო, მთავარმა მსაჯმაც ეგრე მიიჩნია, სანდრო ბერბუკელს მხოლოდ ქუსა ჩაუთვალა და ჭიდაობის გაგრძელების ნიშანი მისცა.

მაყურებელმა სტვენა და ყიჟინა ატეხა.

— იყო, იყო!

— მეტი რაღა გინდოდათ!

— ორივე ბეჭი შეახო!

— წმინდა გამარჯვება ეკუთვნის, წმინდა! — უყვიროდნენ გულფიცხი ბიჭები, მაგრამ მსაჯებმა აინუნშიც არ ჩაიგდეს მათი ძახილი.

დარბაზი უფრო აღშფოთდა.

— ეეე!

— უუუ!

— მეხაშეებო!

— მეწალეებო!

— ბრმებო!

— ბრიყვებო! — დაურიდებლად უყვიროდნენ, მაგრამ მსაჯებმა არც ამჯერად იღეს ყურად მათი რისხვა და დამკვრელებს შემოუტიეს, რაღას უცდითო.

მედოლემ გაბრაზებით დაბრახუნა დოლი. მეზურნეებმაც გულმოსულად ჩასტვიენეს ყამიშებს.

გიორგი ხორგუაშვილი
სანდრო ბერგუკელი

დარბაზის ყიჟინა და რისხვა მაინც არა ცხრებოდა.

სანდრო ბერბუკელი განზე გამდგარიყო, მივიწყებოდა, რომ ოფლი ჩამოსდიოდა დვარად, ისე ქშინავდა, თითქოს სამჭედლოს ქურა უბერავსო, კუნთები უთახთახებდა, ფუთიანი გირეხივით ჩამოჰკიდებოდა მომჯიღებული ხელები და ხან მოყიეფინე მაყურებლისაკენ მიაბრუნებდა მსხვილძარღვა კისერსა და ხან მსაჯებს შეაჯლებდა ნაღვერდალა თვალებსა.

— ჰა, რაღას უცდი, ბერბუკელო! — უსაყვედურა მთავარმა მსაჯმა.

— ხო წავაქციე! — გაკვირვებით მიუგო ბერბუკელმა.

— ეგ არ ითვლება, მხოლოდ ცალი ბეჭი დააკარეითენე და მარტო ერთი ქუდა ჩაგიწერება.

სანდრო ბერბუკელმა მრისხანედ შეავლო მჯიღისტოლა თვალები, კბილები დააკრაჭუნა, ბრტყელი ულვაში შეარხია, რაღაც ამოიხვნეშ-ამოიბუბუნა, გულის წყრომაც იყო და მუქარაც ალბათ. ჩოხის კალთა მიმოისწორა, რაც ჭიდაობის გაგრძელების მანიშნებელი იყო და ღონიერი ნაბიჯებით მიეახლა ზელიმხან თოფჩიშვილს, რომელიც დოინჯშემოყრილი იდგა, თავი ჩაეღუნა და შეფარული, გამოუცნობი ღიმილით გასცქეროდა ხან აღელვებულ დარბაზს და ხან გამეხებულ მეტოქეს. „ვერ მოგართვეს, დაუმარცხებელო ბერბუკელო. „ვერ სადა ხარ, მოიცადე, რა დაგმართო შენა!“— ნიშნის მოგებით ჩაითქვა გულში. მაღლიერებით გახედა მსაჯებს, სულწასულად გაუღიმა კიდეც, მაგრამ თვალები შეაფეთა თუ არა განრისხებულ ბერბუკელსა, გუნება აემღვრა და სიხარულით გამოწვეული გულის ძგერა შიშის კანკალად გადაექცა. მზერა უნებლიეთ გაექცა მსაჯებისაკენ და ისევ ვაიმამაცა გული.

წეღანდელი ქვეშ-ქვეშა ღიმილი შეუჩნეველი არ დარჩა სანდრო ბერბუკელსა, ამან უფრო გაახელა და ისეთი მრისხანებით ეკვთა, გვეგონა, იმ წამსვე მოიგდებს თავის ჭანგებში და როგორც არწივი ყორანს, ეგრე დაბღლენის. შეუბრალებლადო, მაგრამ გულმაგარ ზეიმსაყუნა. თოფჩიშვილი მოხერხებულად თაღლითობდა. ატყუებდა, გაუბრაზდა, ანერვიულებდა. ბერბუკელი გამეტებით შეუტევდა, მაგრამ ამაოდ. რამდენს ეცადა, რა ხერხი აღარ იღონნა და ვერა და ვერ მიიკარა ახლოს. ამაზე უფრო მოსდიოდა გული, რომ მსაჯები შენიშვნას არ აძლევდნენ თოფჩიშვილს ასეთი უკეღმართო ჭიდაობისთვის.

დარბაზი ღელავდა, სტვენას მოუმატეს.

ბერბუკელი გავიშეებული ქშინავდა.

თოფჩიშვილს ძალა მოეკრიბა ამ დროის გაყვანისას. ანაზდად გაფიცხდა, სარმა გამოსდო, გვერდზე მიჰქნა, ოდნავ გააკვრევინა მხარი ხალიჩას და ერთი ქუდა კიდევ წაართვა. უფრო გახალისდა და გაფიცხდა, ეძიძგილავებოდა და თან გაურბოდა. ბერბუკელმა კი ძალა მოიკრიბა და გამეტებით ეძგერა, მაგრამ ამაოდ. რამდენჯერაც მიმონაჯღრიბა ბერბუკელმა, იმდენჯერვე გაწმე გამობღდა თოფჩიშვილი, რომელიც ბარე სამი ქულითაც იყო დაწინაურებული, და იმასდა ნატრობდა, რომ მალე ამოწურულიყო ჭიდილის დრო და მისი გამარჯვება გამოეცხადებინათ.

დიახ, ბევრი აღარ აკლდა ჭიდილის დამთავრებას, წამმზომზე იქცარებოდნენ სახეგაბრწყინებული მსაჯები.

დარბაზი შფოთავდა.

— ჩქარა, ბერბუკელო!

— მიდი შენებურად!

— მხოლოდ გამარჯვებულ!

— წმინდა გამარჯვება! — გამეტებით ყვიროდნენ გულშემატკივრები.

ბერბუკელს იმედი არ გადასწურვოდა. ერთი მოხელეობა უნდოდა, ერთი, მეტი არა. აჰა, მოუხერხდა კიდეც, ღონიერად მოსწია, მოიზიდა, აღარ გაუშვა, უცემ აიტაცა, თქმა ამოარტყა, მაღლა შეათამაშა, მუცელზე აიხოხა, მკერდზე მოიქცია, ფეხები შეაფართხალავებინა, აჰკრა, გამეტებით დაუშვა ძირსა, და

ისეთი დაანარცხა, რომ გვეგონა დედამიწა შეგაბიაცდაო. დასცა და მოწინააღმდეგის ფეხი, მარგილივით მოქნეული, მოულოდნელად ჩამოეთხლიშა მთავარ მსაჯსა, რომელიც უკეთ დანახვის მიზნით წინ წამოწეულიყო და ჩაცუცქული ასრულებდა თავის მოვალეობას. დასცა და დარბაზი შეზანზარდა მაყურებელთა ყიჟინით. დასცა და გამეტებით დააბჯინა დაძაღრეული ხელები, აღარ უშვებდა, მსაჯებს უბრიალებდა განრისხებულ თვალებს, უსიტყვოდ უკიჟინებდა, ეხლა მაინც მოდით და ნახეთ, ორივე ბეჭით გავაკარი თუ არა ხალიჩასო.

მთავარ მსაჯს თავისი გასაჭირი დასდგომოდა. საშველად იღრიჯებოდა. აკი მიხეეოდნენ კიდეც. მუხლებზე გადაწვინათ და ცხვირიდან წამოთქრიალებული სისხლის შეწყვეტაზე მეცადინეობდნენ. გვერდით მსაჯები კი გაბმით უბრავდნენ სასტვენს, მაგრამ სანდრო ბერბუკელი ყურში არ უშვებდა და უფრო გამეტებით აწვებოდა დაბჯენილ ხელებს. ქვეშმოქცეულს სუნთქვა უჭირდა, იმის ილაჯიც ადარა ჰქონდა, რომ ჩურჩულით მაინც შეხვეწნოდა დამმარცხებელს, და საცოდავად მისჩერებოდა თვალებგადმოგუდული.

— აუშვი, ძია სანდრო, აუშვი!

— მაინც ადამინია, ცოდოა!

— ეყოფა, ბერბუკელო, ეყოფა! — უყვიროდნენ მაყურებლები.

ბერბუკელმა გვიან ანება თავი თოფჩიშვილსა, რომელიც ძლივსძლივობით წამოაყენეს მაშველმა ბიჭებმა. ბევრს კითხვის ნიშანი გამოსახვოდა შუბლზე, ბევრი კი დაჯერებული იყო, რომ წმინდა გამარჯვებას მიაკუთვნებდნენ სანდრო ბერბუკელსა. მაგრამ მათი რწმენის საწინააღმდეგოდ არც ამჯერად ჩაუთვალეს, ჯერ ერთი, ხალიჩის გარეთ მოუვდა მეტოქის დაცემა და მეორეც, საჭიდაო დრო მაშინ ამოწურულიყო, როცა დასანარცხებლად დაშვებული თოფჩიშვილი ფეხებს მაღლა იქნევდა.

მაშველებმა სკამზე ჩამოსვეს ზელიმხანი და აფარფარებულ ტილოებს უქნევდნენ ცხვირწინა. მისავათებულს მაინც არა ჰყოფნიდა გაგრილებული ჰაერი და გულამომჯდარი ქშინავდა. ცალთვალი დარბაზისკენ გაეპარებინა, შეხედა ბერბუკელისკენ. თითქოს ეშინოდა, ემანდ კიდევ არ მეცეს გაბრაზებული და უბედურება არა დამმართოს-რაო.

სანდრო ბერბუკელს კი ვერავინ ვერ მიჰკარებოდა. დოინჯშემოყრილი იდგა, გავეშებული ქშინავდა და შეშლილივით არაცრაცებდა თავსა. ხან მოეღვარე დარბაზს მიაჩერდებოდა და ხან გულში მოცინარე მსაჯებსა.

ერთი მთავანი მაჯაში წასწვდა თმაგაჩეჩილ ზელიმხანს, მაღლა აუწია ხელი და ზეიმური კილოთი აუწყა იქ მყოფთ:

— დიდი ჰიდილის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდა ზელიმხან თოფჩიშვილს!

აქა-იქ შეშოჰკრეს ტაში. ბერბუკელის გულშემატკივრებმა კი სტვენითა და ყიჟინით გააყოლეს იქაურობა.

ეს იყო პირველი დამარცხება სანდრო ბერბუკელისა ამ ბრენაზე, პირველი და მოულოდნელი.

დიახ, ჯერ ეგრე გაბრუებული იდგა ბერბუკელი. მერე კი, როცა დამარცხებული დაარქვეს, თითქოს მკერდზე ხანჯლის წვერი დაბჯინესო, ეგრე შეფართხალდა. სქელი წარბები მოღუშა, კბილები გაეკრაჭუნა, განიერი ნიკაპი აუცახცახდა, სიპი ქვასავით მკერივი კუნთები აუთახთახდა. და ვიღაცის დასალწყად აქანავებდა დამჯიღებულ ხელებსა. „უუუუმმმმმ!“ — ხაფანგში მოქცეული ვეფხვივით ამოიღმუვლა, ვეფხვის ტორიეით ღონივრად დაარტყა გაბიჯებული ფეხი და მსაჯებისაკენ გაიწია ამობოქრებულმა. აღარჭის ეპარებოდა ეჭვი, რომ ასო-ასო დაფხრიწავდა სამუქროებსა და, გამოგიტყდებით, მეც მიკანკალებდა გული, ემანდ უარესი ხათაბალა არ გადაიკიდოს-მეთქი.

გვერდით მსაჯები კუდამოძუებულნი გაიძურწნენ. სახეშეხვეული მთავარი მსაჯი კი თავის პატარა მაგიდასთან მიმ-

---

გიორგი ხორგუაშვილი
სანდრო ბერბუკელი

ჯდარიყო, ჩქარ-ჩქარა წერდა რაღაცას. და თან მუქარით აკორიკავებდა თავსა.

ბერბუკელმა აცახცახებული ხელის მტევნები გაფარჩხა, დასაბდღვნელად უნდა სცემოდა, მაგრამ ფორმიანი კაცები გადაეღობნენ, ჭიანჭველებივით მიეხვიეენენ და ძლივს შეიიყვეს. შინაურივით დაუწყეს დაშშმინება.

— ნუ ღელავ, ძია სანდრო!

— დამშვიდდი!

— გული გამითელეს და როგორ დავმშვიდდე! — დაიღრიალა და ხელებდატორილი შეიფაფარა.

ისევ გაკოტეს მოწესრიგეებმა, რომელნიც ღონივრად მიჰქნნ-მოჰქნნა, ბერბუკელმა, ზოგი წააფორხილა, ზოგი აქეთ იქით მიაგდ-მოაგდო, მაგრამ თავი მაინც ვერ დაიღწია, დამორჩილდა და კბილების კრაჭუნთიღა მოითოკა ღელვა.

მთავარი მსაჯიც დროულად მიეფარებინათ.

მოყიჟინე მაყურებელნი მაშინვე წამოშლილიყვნენ და აქეთ-იქით მიიტალღებოდნენ, მიყაყანებდნენ, დადღანებდნენ და ბობოქრობდნენ, მეტისმეტად ემუქრებოდნენ, დამჯიღებულნი და ედევნენ კიდეც, მაგრამ მომრავლებული მოდარაჯენი არც მათ აძლევდნენ გასაქანსა.

ჩვენ კი, ბერბუკელის მახლობელნი, არენაზე გადავხტით, გარს შემოვეხვიენით დამარცხებულს, ეუარაფრებდით და ვაშშმინებდით.

სანდრო ბერბუკელი კი ვერა და ვერ ოიკებდა აბობოქრებულ გულსა, აზვირთებულ ტალღაზე შეგდებული ნავივით აუდ-ჩაუდიოდა მკერდი და გალექებული ხარივით იქნევდა თავსა, მერე ცრემლი მოეკურა დიდრონ თვალებში და ცერის სიმსხო კურცხალი ჩაუგორდა ჩაღრმავებულ უპაში.

— რა დაგემართა, ბიჭო! — შემოვეწყერით.

— ვერ დაინახეთ? მაგაზე უარესი რა უნდა დაემართოს ადამიანსა! — ხმაგაბზარვით მოგვიგო, სახე გაიბრუნა და ცრემლი მოიწმინდა მალულად.

— ბავშვი ნომ აღარა ხარ, რომ გული ყელში მოგბჯენია და იცრემლები?!

— ნეტავი მართლა ბავშვი ვიყო, რომ ვერაფერი ვერ გამეგო ამ ქრისტეს გულისმომშველების ზრახვებისა! — ამოოგმინა ბერბუკელმა.

— ეგ არაფერი, დღეს იმან წაგაქცია, ხვალ შენ დაამარცხებ! — გულს ვუნდელებდით მაინც.

— წაქცევაზე სულაც არ ვდარდობ. სულში ჩამაფურთხეს და ეგა მკლავს!

— ჰო, კარგი, ეგრე ნუ მიიღებ!

— ეგრეა და როგორ დავიხშო გულის ყური!

— ბაყბაყდეებები დაგიმარცხებია და საკუთარ თავს ვერ უნდა მოერიო?

— ვერ ვერევი და რა ვქნა! — მოგვიგო ბერბუკელმა.

შუბლი შეიკარით.

— აღარ დამჭიდებენ იმ თაღლითსა?! — ამოხვნეშას ამოაყოლა მერე.

— დაგჭიდებენ, ძია სანდრო, როგორ არა. ზელიმხანსაც დაგჭიდებენ და იმაზე უარესსაც...

სანდრო ბერბუკელი ჯერ გაირინდა და მერე უცებ წამოიძახა:

— სად არის ჩემი „ძმაკაცი?!

გარსშემოხვეულებმა აქეთ-იქით მიმოიხედეს და გაჩუმება აარჩიეს.

— აქა ტრიალებს! — სიტყვა ვერ გაიმაგრა ერთმა.

ნატვრენ ზარნაძეს გული შეუქანდა. ტუჩზე იკბინა, დროზე რად არ გავაღწიეო აქედანა, თვალები დააცეცა, მისამალსა თუ გასაპარს ეძებდა.

— ჩოქელა! — ხმამაღლა დაიძახა ბერბუკელმა.

სიკო ზარნაძეს გაძვრომ-გაპარვა ველარ მოუხერხდა და:

— ჩოქელა გენაცვალოს. აქა ვარ!

— მოდი აქა, ჩემო ამშენებელო, მოდი!

სიკომ ძლივს გამოიკვლია გზა და:

— აჰა, მოვედი, საყვარელო, რას მიბრძანებ?

— მომიახლოვდი, უნდა გაკოცო!

ზარნაძემ კანკალით წადგა ბიჯი.

დამარცხებული მოჭიდავე თვალებში ჩაუღრმავდა მთავარ მსაჯსა, რომელსაც ფერ-ფერი მისდა-მოსდიოდა, ნაძალადევად იღიმებოდა და ამით უფრო საცოდავად ეღრიჯებოდა სახე. ბერბუკეანი კი უფრო და უფრო მიიწევდა თვალების სიღრმეში, მეხსიერებაში სწრაფად ამოტივტივდნენ მასთან ურთიერთობის ამბები.

აგერ უცებ წარმოესახა ბოლო ქეიფი, კოჯორზე გატარებული დრო, თავად სანდრო რომ მასპინძლობდა სიკოს მიერ მიწვეულ სტუმრებსა, ზარნაძე რომ დაჯდა სუფრის თავში, ფართოდ გაშალა ფეხი, ცოცხალი და ზზოს მწვადი რომ ზიდინა მომტანსა. თვითონაც მოიღხინა და სხვაც მოალხინა, ღილის საარით შეახვედრა ზეკის გაცისკროვნებასა. ენა დაითაფლა და ზედ დაადნა ბერბუკელსა, დიდი რიხითა და ერთგულების ფიცილით ჩამქრალი ტუშის ლიკლიზე წარმოთქვა სანდრო ბერბუკელის სადღეგრძელო. მოვერცხლილი ყანწი ჩამოიცალა, ცერის ფრჩხილზე დაიბერტყა, ეგრე მტერი დაგეცალოსო, მოალავრდეს გადაუსროლა, ცინცხალიანი ულვაშები მოიწმინდა, გადაეხვია ნადღეგრძელელსა, და ყველას გასაგონად თქვა: „მე ბევრი მეგობარი მყავს ძვირფასებო, მაგრამ სანდრო ბერბუკელთან კოში ვერავის მოუსხლტება. იგი მეგობარზე მტკიცა. სისხლითაც გაბა ეცხოა, ნათესავია და მერე როგორი. მე ძმა არა მყავს, მაგრამ სანდრო ბერბუკელი ჩემი ძმაკაცის და ძმობილიცა, რომელიც, გეფიცებით ადამიანობას, ჩემს თავზე მეტად მიყვარს. თუ გაჭირდა, სულს ამოვიღებ და სანდროს ჩავუდგამ! ბერბუკელის მოკეთე ჩემი მოკეთეა, მისი მტერი ჩემი მტერია, ასჯერ უარესი“.

სანდრო ბერბუკელს უამრავად გაუშრიალა ყურებში ამ სიტყვებმა და უფრო მოეძალა სიძულვილი მის წინ მდგომი ზარნაძისა, რომელიც სიკვდილს ათავებდა და ვერაც ათავებდა რაღაცა უბედურობის მოლოდინში. ეგონა, საღაცაა დამწვდება და ჩიტივით დამბდღვინისო, მაგრამ ბერბუკელმა ნერვები მოითოკა და თავის დაქნევით მიმართა:

— არა გრცხვენია?!

— რისი, სანდროჯან! — გადარჩენის იმედი გამოუჩიტდა გულში.

— ჰმ, რისიო!

— ლამის თავპირი დამალეწე და კიდევ მე უნდა მრცხვენოდეს? — ცრემლიც მოიდინა, — მე ძმასავით მიყვარხარ, შენ კი...

— მიმიფურთხებია შენნაირი ძმისთვის!

სანდრო ბერბუკელის „მოყვარულმა ძმამ“ უჩუმრის პირით ამოიღო ცხვირსახოცი და ნაფურთხი სახე შეიმშრალა. თან ქუშად გამოიცქირა და თან თავი დაიკანტურა, არ ვიცი თავს ილანძღავდა, თუ იმუქრებოდა.

სანდრო ბერბუკელს უფრო შესძაგდა ასეთი საქციელისათვის. ჰოდა, ეგ არ აკმარა, ხელი მოიმჯიღა და ღონივრად მოუქნია. სიკო ზარნაძემ წინასწარ იაზრა და იეშმაკა, უცებ დაღუნა თავი, განზე გამოხტა და მოსალოდნელი უბედურება აიცდინა, მაგრამ მოქნეული მუშტი მოულოდნელად ეთხლიშა ცხვირ-პირში გვერდით მდგომ წესრიგის დამცველსა, რომელსაც ცა გაუწითლდა სიმწარისაგან, დაკოდილივით წაბარბაცდა, თავი ვეღარ შეიმაგრა, მოსხეპილი დაეცა და სისხლი წამოუთქრიალდა.

ბერბუკელი ახლა იმაზე გაცეცხლდა, ზარნაძეზე რომ ვერ ამოიყარა გულის ბუხარი და უცოდველი კაცი შემოელახვინა. „ოოხ, შენი!“ — კბილები გააკრაჭუნა და კვლავ გაიწია დასაბდღვნელად, მაგრამ ვერც ხელი მიუწვდინა სამუქროსა და გასაქანიც ალარ მისცეს, მოხრილმა წესრიგის დამცველმა ხამეფდდ გაკოჭეს.

— რამ გაგაგიჟა, შე ოჯახქორო! — შემოუტია კიდეც ერთმა.

— კაცს კი არა, კამეჩს გააგიეებთ, კამეჩსა! — დაიღრიალა ბერბუკელმა, შემოხვეულები ღონივრად მიჰქნი-მოჰ-

---

გიორგი ხორგუაშვილი
სანდრო ბერბუკელი

ქნია და რაკი თავი ვერ დაიხსნა, საკუთარ მაჯაზეღა იკბინა გაცეცხლებულმა.

წესრიგის დამცველები გაგულისდნენ, სალანძღავი სიტყვები შეჰკადრეს და დაემუქრნენ კიდეც.

— აპატიეთ!

— ცოდოა!

— თავის ჭკუაზე აღარ არის! — ვეშუდარებოდით გულშემატკივარნი მოწესრიგეებსა, მაგრამ ვერა და ვერ გავაკარეთ სიტყვა. პირიქით, ხელისკვრითა და მუქარით გვიშორებდნენ.

ახლა დაზარალებულს ჩაეუვარდით მუხლებში. მაგრამ გალახულ წესრიგის დამცველს იელვივით ედებოდა ჩვენი სიტყვა. მკერდზე მჯიღს იბაგუნებდა და ხმამაღლა გაჰკიოდა:

— თუ ეს შეგარჩინო, გაგიეებულო ბერბუკელო, ზაურბეკ გაზაევი მოკვდეს!

სისხლი შეუწყვეტეს, თავ-პირი მოუწმინდეს, ბანდ-ბამბით შეუხვიეს, გაუარაფრეს, დაწოლა და დასვენება ურჩიეს. მაგრამ ზაურბეკმა არც ამჯერად იღო ყურად არავის სიტყვა. უფროსისაკენ დაგეზდა. მიდიოდა და მიიმუქრებოდა:

— თუ ციხეში არ ამოვალ ბამბინო, პირში ჩამაფურთხეთ!

მეორე დღესაც მოწიწებით ვეახლეთ ზაურბეკსა, გვეიმედებოდა, დამშვიდებულს მაინც მოვუფოსნავდით გულსა, კვლავ მოვუყარეთ მუხლი. ძმაბიეებიც მივეგზავნეთ, მაგრამ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი.

რაკი ხვეწნა-მუდარამ აღარ გასჭრა, საიმედო კაცის პირით ზარალის ანაზღაურებასა და კარგ მაღარიჩსაც შევპირდით.

დაზარალებულმა უარი დაარბილა.

დასაზარბეველ მოვუმატეთ.

ზაურბეკი შეყოყმანდა. მაგრამ...

საიდან გაჩნდა, ეხლაც ვერ მივმხვდარვარ, ერთი ქლესა კაცი ამოეტუზა მოყოყმანე ზაურბეკსა და რაღაც წასჩურჩულა, სამად სამი სიტყვა გაარჩია ჩემმა ყურმა: „სამი მაგდენი გენაცვალოსო“.

გაზაევს ხალისმა გადაუთამაშა სახეზე, მერე უცებ მოგვიბრუნდა, გენგებ მოიღიუშა და გაგულისებით მოგვიახლოდა:

— თქვენ კი არა, მამაჩემი რომ წამოდგეს საფლავიდან და შემეხვეწოს, ჩემს გადაფურთხებულს აღარ ავლოკავ. ვთქვი და გათავებულია... კაცს ლამის სული გამაპნევინა და როგორ ვაპატიო. და თითი დაგვიქნია. — თუ არ მომეშვებით, თქვენც გაგიყენებთ ბერბუკელის ჯზასა!

ისე თუ-ისე, მაინც ვერ გადაუვიდა გადასავალსა სანდრო ბერბუკელი. სამართალში მისცეს.

ვინ იცის, რამდენი მჯდარა იმ სასამართლოს სკამზე, კუბოზე უარესად რომ ზარავს ადამიანს, მაგრამ ბერბუკელის დარად არავის გაშავებია დღე, ქვაც კი იწვოდა იმის ცოდვითა. სამარე რომ გაეთხარათ და ხელი ეკრათ, ის ეჩრიენა, მაგრამ რა ექნა! სწორედ რომ მკვდრის ფერი დასდებოდა, მიცვალებულივით ჩამომჯკნარიყო. ენაჩავარდნილი იჯდა და გაბრუებული ისმენდა ბრალდებას, მგონი, ვეღარც იკარებდა სიტყვას მისი მკვდრადქცეული ენელი. ჟამი-ჟამ ქეშად გახედავდა დარბაზში მყოფთ, ნაცნობს დალანდავდა და სირცხვილის ცეცხლი მოედებოდა, თვალი დაუბნელდებოდა, ღრმად ამოიოხრებდა და უფრო მძიმედ ჩაქინდრავდა თავსა. ენაც დადუმებოდა. არც თავად იკითხავდა რამეს და არც სხვას უპასუხებდა. ჟამი-ჟამ ამოიგმინავდა მხოლოდ, ისიც უადგილოდ: „ამასაც მომასწრეს!“

ვეჭილის ენაზეღა ეკონწიალა სანდრო ბერბუკელის ბედი, საგულდაგულოდ რომ ვეძებდით იმ შავი დღისათვის. ვეძებდით და გვაპოვნინეს კიდეც. პიმენ კოტრიკაძე, ისე გვიქნა, რაც დაგვიფასეს, ათი იმდენი რომ მოეთხოვა, უყოყმანოდ გავიღეთ. მაგისნაირი იურისტი მეორე არ დადის ქვეყანაზეო, ცალი არ ჰყავს იურისპრუდენციის ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილება-მოხერხებაშიო. ისეთი ნიღდად წასაგები საქმეები მოუგია, ათ ვეჭილს ერთად გაუჭირდებოდათ. სანდრო ბერბუკელის დაძვრენა

იმ ხაფანგიდან მაგისთვის ისე იოლია, როგორც გადარაზული ბოსლიდან მოზვერის გამოყვანაო.

ერთი სული გვქონდა, როდის მისცემდნენ სიტყვას ჩვენს მოიმედე ვექილსა, რომ ყველაფერზე ხელჩაქნეული ბრალდებულიც მოეხედებინა მზისკენ და ჩვენს გულშიც ჩაეყენებინა ნათელი.

აჰა, მისი თქმის ჯერიც მოდგა. ენა, გაგიხარიათ, იმისაც ულაგამო გამოდგა. მაგრამ ფუჭსიტყვაობის ამოცნობა გაგიჭირდებოდათ. მთელი დარბაზი გაინაბა. ისე საუბრობდა იტყოდით, ნეტა, დიდი დღე მომცა და მისთვის მასმენინაო. ჩვენც ალტაცებულნი ვუსმენდით, ბერბუკელსაც იმედი გაეხილა გულში.

მაგრამ იმ სახელგანთქმულმა პიმენ კოტრიკაძემ, ის ყურსახარბი საუბარი საქმე საქმეზე რომ მიდგა, ისე გადაათავ-ქვევა ბერბუკელის მოწინააღმდეგეთა მხარეზე, რომ ჩვენ, გამოუცდელმა გულშეატკივრებმა კი არა, გაქექილმა იურისტებმაც ვერ შეატყეს. ესე, რომ იმანაც მომჩიოვნთა წისქვილზე დასხა წყალი და მშრალზე დაგვსხა ჩვენც და უპირველესად, სანდრო ბერბუკელიც.

პირში ჩალაგამოვლებულები მხრების აჩეჩვით შევცქეროდით ერთმანეთსა, გვიან გავიგეთ, რომ ჩვენს ვექილსაც დაახრევინეს თვალი ს

ო ზარნაძის დამქაშებმა. ფეხის ფრჩხილებიდან მოცვეთილმა პიმენ კოტრიკაძემ ჩვენ ცალკე ავგღლიტა ფული და იმათ ცალკე, და მერე განა ცოტა!

დანახარჯსა და გაცურებას ვიღა ჩიოდა. დიდსაც და პატარასაც იმაზე გვეტირებოდა, რომ ვერ დავიხსენით სანდრო ბერბუკელი.

ვიდრე სატუსაღო მანქანაში უკრავდნენ თავსა, გამოსამშვიდობებლად მიგვიშვეს მახლობელნი.

— გული არ გაიტეხო!

— გამაგრდი, ბერბუკელო!

— ხელად გაირბენს სამი თვე და ისევ ჩ სანდრო ბერბუკელი იქნები, —ვუიოლებდით პატიმარსა.

ბერბუკელი კი უხმოდ გადმომეხვია და მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმომაღვარა ბეჭებზე.

კაცის ბედისა და სიცოცხლის მწობავები კი ბერბუკელის გვერდით ვითომ თავისთვის საუბრობდნენ:

— ბატონმა სანდრომ არც კი იცის, რამხელა საქმე გვუკეთეთ.

— მაშ, კაცო, დიდ ხათაბალას გა.-დარჩა.

— სულ მცირე სამი წელიწადი ეკიდა ზურგზე და სამ თვეზე გადავატარეთ.

— ძმა ძმასა და მამა შვილს არ უზამს ამ სიკეთესა!

ბერბუკელი მე ამეხსნა და იმათ მიაჩერდა მწარე ღიმილითა.

— ჰაა, დროზე, როდემდე უნდა გვაღლდინო! — გაუწყრა იარაღიანი კაცი.

— ნეტავ სამორეში ვდგამდე ფეხსა და აქ არა! — თითქმის ამოიტირა ბერბუკელმა. ბიჯი წასდგა, მაგრამ ტანს ვეღარ მოერია და წაბარბაცდა.

ქვაც კი იწვოდა ბერბუკელის ცოდვითა.

მისხის მისხი რომ არ ჰყოლია პატიმარი, ციხეში უკრეს თავი სანდრო ბერბუკელსა.

„ბერბუკელი და ციხე?!“

„ჩვენი სანდრო და ტუსაღი?!“

„ამის მერე რაღა უნდა იწამო!“

„რატომ ცა არ ჩამოინგრევა ამდენი უსამართლობითა?“

„არა, ძმაო, ქრისტე-ღმერთის ცოდვილობას დავიჯერებდი და სანდრო ბერბუკელის დანაშაულს — არა!“ — გულის ტკივილით ლაპარაკობდნენ სოფელშიც და ქალაქშიც.

ყველას დაუჯერებლად მიაჩნდა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო, უნდა ერწმუნებინათ, რომ სანდრო ბერბუკელი იჯდა თაღლითების, ხულიგნების, ქურდბაცაცებისა და ნაძირალების გვერდით.

იმ ჯოჯოხეთშიც გაანათა თურმე, ბერბუკელის სახელმა და გულმა, უკაცური კაცებიც კი თავისკენ მოიქცია. „უბა-

---

გიორგი ხოროვაშვილი
სანდრო ბერბუკელი

ტონოდ“ ხმას არა სცემდნენ. თავიანთ ლუკმასაც მასა სთავაზობდნენ. ყოველმხრივ დიდ პატივში ჰყავდათ, მაგრამ ძია სანდროს ვერც სიტყვას აკარებდნენ და ვერც ლუკმას. თავჩაქნილდრული იჯდა თურმე და ერთთავად ოხრავდა.

მახლობელნიც არ ვაკლებდით ნახვასა. ვუთანაფრებდით და ვაიმედებდით, მაგრამ სიტყვას ვერ ვასიტყვებდით.

— რა იყო, ბიჭო, შენს მეტი არავინა ყოფილა პატიმარი? — გავუწყრებოდით ხელმოკარულნი.

— ჩემნაირი ცეცხლი არავისთვის წაუკიდებიათ.

— რა დაგემართა, კაცი არა ხარ, კაცო?!

— არა, მე აღარც კაცი მქვია და აღარც ადამიანი... ცოცხლად მომკლეს, ცოცხლად!... — ბავშვივით ამოუდუდდებოდა გული.

სამ თვეს ახეხინეს ციხის კედლები სანდრო ბერბუკელსა და სამ საუკუნედ ექცა, როგორც ჟანგმა რკინა, ისე მოუჭამა გული დარდმა და ვარამმა. ეს ამირანის საძმო კაცი ისე გაძვალტყავდა და ჩამოდნა, რომ მუშში დაიკარებოდა. თავის კერაში დაბრუნება აღირსეს, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას. მისთვის აღარც მზე მზეობდა, აღარც მიწა მიწობდა და აღარც კაცი კაცობდა.

შუბლშეკრული გვიყვებოდა ძია შაქრია და ჩვენც გვიმძიმდებოდა გული.

— იმის მერე, აღარ შეხვედრია ზელიმხან თოფჩიშვილი? — იკითხა ერთმა.

ბერბუკელი მუს-მუსად დაეძებდა იმ ნაბუსგარეცხილ მოჭიდავესა. გულის ბუხარის ამოსაყრელად, მაგრამ ვერსად ვერ შეეყარა. თოფჩიშვილი ემალებოდა, ეშნოდა კიდეც და ესიარცხვილებოდა კიდეც სანდროსთან შეხვედრა, მაგრამ უსირცხვილოდ კი ტრაბახობდა: წაუქცეველი ბერბუკელი მე წავაქცევო თავისი გამარჯვების ამბავი მთელ ქვეყანას მოადებინა გაზეთებითა და რადიოთი. რაკი ფალავანთა ფალავანს სახელი დაიგდო, ადვილად მიაღწია სხვა მიზანსა, უფრო მთავარსა. ჯერ დიდძალოვანი სკამი დაისაყუთრა, ქვეყნის მოჭიდავეთა თავკაცთაგანი გახდა, მაგრამ მალე მიეყარა ის სკამი, რადგან მეტისმეტად ფაფაძიმა უსამართლობითა და უსინდისობითა. მაგრამ ხარს რომ რქა ამოარტყეს და თვივს ზვინზე მიაგდეს, ისე მოუვიდა თოფჩიშვილსა, იმდენი ჰქნა, ნატვრისთვალა სკამს ჩასჩიდა ხელი იქიდან გამოგდებულმა. ღვინის სარდაფი ჩაიგდო ხელში და ეს ქვეყანა თავისად აქცია.

— ძია სანდრო?

ძია სანდრო ისევ ისე დაატარებს თავის ნამუსის ქუდსა, დაგლეჯილსა და პატივაყრილსა.

— მას მერე აღარ უჭიდავია?

— დაიფიცა, რომ სათოფეზე აღარ გაეკარებოდა საჭიდაო არენასა, მაგრამ ერთხელ გავატხინეთ სიტყვა. ღვინით შევაზარხოშეთ, საჭიდაოზე მივიტყუეთ, დილისა და ზურნის ხმა რომ გაიგონა, ტანი აფეშეჭრა, კუნთები აუთახთახდა, ერთ წუქცევეველ ფალავანს დაეჭიდეთ, მეორე წუთშივე გაშხლართა ბეჭებზე. უთვალავმა თაყვანისმცემელმა ბურთივით ისროლეს მაღლა. გამარჯვების კვარცხლბეკზე აიყვანეს, გვეგონა ეგ არის და, ისევ გავაბერბუკელეთო, მაგრამ ამაო გამოდგა ჩვენი ჩანაფიქრი. ველარა და ველარ მოვუნამეთ გული.

მერე კი დრო-ქამმა გადააყრევინა დარდი და ვარამი, უფრო მართლდ ხალხმა ჩაუყენა სხივი, დიდიც და პატარაც მიესალბუნა, თავიანთი გულის სიობზე მოუცოცხლეს მიმჭკნარი გული. მაგრამ ბერბუკელი ეს ბერბუკელი აღარ იყო, ადრე რომ ასი კაცის გულითა ცოცხლობდა.

ჰოდა, მასუკან შეიძულა მსაჯებიცა და მოსამართლეებიც — ცოდვილიანებიცა და უცოდველებიცა.

— აღარც სიკო ზარნაძეს შეხვედრია ბერბუკელი?

— არა, ის უფრო გადაკარგა შიშმა. მაგრამ ერთხელ წაიწყდა თეთრ დუქანში, წაიწყდა და ველარ დამალა ბერ-

ბუკელის ბრიალა თვალებსა. ვეღარ დაემალა ნამსაჯარს და სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულივით აცახცახდა, ცხრად მოიკეცა, ფეხებში ჩაუვარდა, მუხლებზე აკოცა, ჰატიებისათვის დაეღრიჯა.

ბერბუკელი ქეჩოზე დასწვდა, საადგომო ბატკანივით აიჩლიავა, ფეხზე წამოაყენა და...

ყველა ფიქრობდა, რომ გველის წიწილივით გასრესდა, თავად ზარნაზეც. სამარიდან ამოღებულს დამსგავსებული, სხვა სიკეთეს არ მოელოდა და იმედგადაწურული შესცქნაოდა გადიდებული თვალებითა.

მაგრამ, შეხეთ ბერბუკელის მოწყალე გულსა! თვალებში ჩაუღრმავდა და მშვიდად მიმართა:

— შენ რისი შიშიცა გაგიკვირდა, იმას არ მოგიზღავ, სამუდამო სასჯელად ისიც გეყოფა, რომ არაკაცის სახელს ატარებ! წადი თვალით აღარ დამენახო! — და ხელისკვრით მოიშორა.

სიკო ზარნაძეს სიხარულის ფრთები გამოესხა და ფრენა-ფრენით აათავა კიბე.

სანდრო ბერბუკელმა კი დახლიდარს შეუძახა.

— დაასხი, ჩემო ჯაფარ, ზარნაძის შესანდობარი უნდა დავლიო!

გოდერძი ჩოხელი

პაპა ჩალმას სიზმარი

— ჩაღმა! აი ჩაღმა!

— ჩაღმა შენა და შენი ხმის გაც�eება და გაწივება!— გამოუვარდა გამწვეტებულ ფოსტალიონს ჩაღმას ცოლი. დედაკაცს სახე გაფითრებული ჰქონდა და ერთიანად კანკალებდა. იმის დანახვაზე ერთ ადგილზე გაიყინა ფოსტალიონი და კარგახანს გონს ვეღარ მოდიოდა, რა ექნა. მერე აწრიალდა და ჩანთაში რაღაცას დაუწყო ძებნა.

— აღარაფერი მოგაშორებს აქაობას, შე ხმა გასაცივებულო, შენა. თითქოს იმ არგასახარებელისაგან არ მაკლდეს დარღი, ლამის არის ჯავრმა გამიტანოს ამ ხნის დედაკაცი. თითქოს ჩემი გული არა მკმაობდეს, შენ კიდევ მოდიხარ ყოველდღე და ჯავრს, ჯავრზე მიმატებ. ჩაღმა— ჩაღმა თქვენა და ჩაჰყევით ჩაღმართს. არა ხალხო, გაგონილაა ესეთი ამბავი, მამინელეს დედაკაცი, რამდენჯერ გითხარი, შე არგასახარებელო, ცოცხალია და ნუღარ მიტან-მეთქი, ნუღარა. ვერა ხედავს ეგ შენი დათხრილი თვალები, რომ ცოცხალია, შენი ფეხი აქ აღარ ვნახო, აღარაფერი მიტანო ეგეთი ქაღალდი, თორო დავადგე ჩემ ღმერთსაც ჩემ ქალაბასაც და ამასა და იმას გიზამ! გამიტანეთ ჯავრით დედაკაცი!

დაბნეული და გაოგნებული ფოსტალიონი გამხმარი სარიგით იყო თოვლში დაყუდებული, ხელში დეპეშა ეჭირა და ლუღლუღებდა:

— რა ვქნა, ქალბატონო სალომე, რა ვქნა. სუ მოუტანლობაც არ იქნება, რომ არ მოვიტანო, მაგაზე შენ კი არა, მე მამახვედრებენ, მე. მოდის სალომე და რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, მეხალისება ამ თოვლში სიარული თუ? გზავნიან და...

— გზავნიან მაგათა და მაგაათი სახსენებელის გაწყვეტა. ვითომ ძალიან ადარდიათ ჩაღმას სიცოცხლე, საიდან არის გამოგზავნილი, რაო, რას იწერებიან.

ფოსტალიონმა სათვალე კეხიან ცხვარზე შემოისკუპა და დეპეშა დამარცვლით ჩაიკითხა:

— „როგორა ხართ, სალომე. ჩაღმას ხომ არაფერი დაემართა ქალო.

ცოცხალია თუ, ისე არ გააკვთოთ რომ გამოგვაპაროთ.

სოფელი ბოლნისი, გიორგი თავის ოჯახით“.

— სად არის ჩაღმა, სახლშია? — კითხვა შეაპარა სალომეს ფოსტალიონმა.

— იქ არის, დილას წავიდა და აღარ გადმოსულა.

— წაიღო რამე თუ?

— ჰო, წააშავა, თოვლს გადავხვეტავო.

— აბა წავალ მეც ოქ!— წასვლა დაპირა ფოსტალიონმა.

— წადი და ნურც შენ და ნურც ის, იქიდან ნუღამც დაბრუნებულხართ. თქვენ მამინელეთ, თქვე სინსილა გაწყეეტილები, თქვენნ!— წყევლა გააყოლა სასაფლაოსკენ მიმავალ ფოსტალიონს სალომემ.

●

სამოცდაათ წელს მიღწეული ჩაღმა სიდარბაისლით ხმელ წიფელს ეჯიბრებოდა. ხშირად ჩამოჯდებოდა ხოლმე სოფლის განაპირას მდგარ ხმელ წიფელთან და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ისიც იდგა და ყურს უგდებდა.

მშრომელი კაცი იყო ჩაღმა. თეთრი წვერულვაში ისე შვენოდა, რაც არ უნდა გაბორტებულს გენახა, იმისი სახის კეთილი გამომეტყველება მაინც კაი ხასიათზე დაგაყენებდა. წელში ყოველთვის გამართული დადიოდა. მუდამ ვაქკაცურს ტყუილუბრალოდ არავისი შეწუხება არ უყვარდა. იმათი სოფელი ერთ მივარდნილ ხეობაში იყო და ამ ბოლო დროს ისე დაცარიელდა მთელი სოფელი, რომ თითო-ოროლა მოსახლეღა შემორჩა.

ზაფხულობით კიდევ ცოტა კარგად იყო საქმე. ბარში გახიზნული ხალხი საზაფხულო სამთვრებზე ცხვარ-ძროხას ამოიყვანდნენ ხოლმე და შემოდგომამდე აქ რჩებოდნენ.

იმ ზაფხულს კი ყველამ სადღაც დაკარგა გადასახლება. ჩაღმას შვილებმაც გული აიცრუეს და ქალაქში გადასახლდნენ. რამდენი ეხვეწნენ ჩაღმას, შენც ქალაქში წამოდიო, მაგრამ ბერიკაცი მამაპაპეულ კერას ვერ შეელია.

ერთ დღეს ხმელ წიფელთან იჯდა და რაღაცას ფიქრობდა. ზამთარი ჯერ შორს იყო და სოფელში ისევ ხალხმრავლობა იყო. იჯდა და ბრაზი მოსდიოდა თავის თანასოფლელებზე, თავის შვილებზე ისე იყო გულმოსული, დანა პირს არ უხსნიდა.

კარგა ფიქრის შემდეგ სახლში ჩამოვიდა, საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა და ხმამოუღებლივ სადღაც წავიდა. სოფელში მხოლოდ მეორე დღეს მობრუნდა, ვიღაც უცხო კაცი მოიყვანა თან. საბძელიდან ბარი და ქარჩი გამოიტანა და ის უცხო კაცი სასაფლაოზე წაიყვანა. იქ ერთი სწორი ადგილი ამოარჩია, მოზომა და სათხრელად უცხო კაცს დაუტოვა.

დიდი და პატარა ყველა მთაში იყო სათიბზე წასული. აქ სოფლელები თივას აქაურ მთებში ამზადებდნენ ხოლმე და შემოდგომობით მანქანებით მიჰქონდა.

ჩაღმამაც ცელი მხარზე გაიღვა და სათიბზე გასწია. არავისთვის არაფერი არ უთქვამს. თიბავდა და მთელი დღე მთიბველებთან მხიარულობდა.

საღამოთი, სათიბიდან რომ ბრუნდებოდა, სასაფლაოზე თავმოყრილი თანასოფლელების დანახვაზე ულვაშებში ჩაიღიმა. ხმელ წიფელთან ჩამოჯდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაცადეთ, ჯერ სადა ხართ, მე გიჩვენებთ სეირს!

სასაფლაოებიდან ხმელ წიფლამდე კარგად აღწევდა ხალხის ხმა.

— ხმა ამაიღე, კაცო, ვინა ხარ, ვის საფლავსა სთხრი.

— არ ვიცი-მეთქი, ხო გითხარით მამკალით რაღა ბარემ. ჩაღმა მქვიაო, დამიქირავა კაცმა. წამომიყვანა და აი ეს ადგილი მამიზომა. ანდე-მანდა, საფლავი გამითხარეო; მეც დავდექი და ვთხრი.

— ნუ იტყუები შენი! — გადაირია ჩაღმას ბიჭი.

ჩაღმას შეეცოდა საწყალი მიწის მთხრელი და ხალხს ჩამოსძახა:

— არ მაეშვებით თქვენ მაგ კაცსა. ეგ ადგილი მე მეკუთვნის და ჩემ-საფლავს ვისაც მინდა იმას გავათხრევინებ.

გიორგაძე ჩოხელი
მოთხრობები

ჩაღმამ როგორც ყოველთვის ცელი ხმელი წიფლის ტოტზე ჩამოკიდდა და ვითხრიალ საფლავთან ჩამოვიდა. ხალხი ისე იყო გაოგნებული, ხმის ამოღებას ვეღარავინ ახერხებდა. გაშტერებული და გადმოკარკლული თვალებით მიხჩერებოდნენ ჩაღმას.

ჩაღმამ ულვაშები გადაიგრიხა და საფლავში ჩახტა. ბარი და ქარჩი ნათხარ მიწაზე შემოაწყო და სიგრძეზე გულადმა გაწვა. კარგად მოუვიდა საფლავი. ჩაღმა გულზეხელდაკრეფილი იწვა და ხალხს შემოპყურებდა.

მერე საფლავიდან ამოვიდა. — ძალიან კარგიაო, — შეაქო მესაფლავე, გულის ჯიბიდან ფული ამოიღო და საფასური გადაუხადა.

მესაფლავემ ქუდი დაიხურა, მიწიანი ფეხები ბალახზე შეიწმინდა და რომ მიდიოდა, ხალხის წინ მხრები აიჩეჩა, რა ჩემი ბრალიაო.

— მიდიხარ, კაცო?

— ჰო, მივდივარ, ჩაღმა!

— არა, ამაღამ ვერ გაგიშვებ, ამაღამ მე და შენ ჩემი შესანდობარი უნდა დავლიოთ.

ჩაღმა სახლისკენ გაუძღვა მესაფლავეს. იმან ისევ გამტერებულ ხალხს შეხედა და ისევ მხრები აიჩეჩა.

●

— გადირიე, კაცო? — ეჩურჩულებოდა სალომე ჩაღმას.

— კი არ გადავირიე, ეგეა.

— გაგიჟდი, შე უბედურო, აბა, დაფიქრდი; შენ გარდა ვის გაუთხრია თავის სიცოცხლეში საკუთარი საფლავი.

— არავის გაუთხრია, მაგრამ მე გავთხარე.

— რა ჭირად გინდა მერე, რა თავში იხლი, სიკვდილს ეპირებ თუ რა ღმერთმა გადაგრია.

— შენ რა იცი, დედაკაცო, სწორედაც რო სიკვდილს ვეპირებ.

— მოგივიდნენ შენი ეშმაკები და მოგიტანეს არა ამბავი?

— ეშმაკები კი არა, სიზმარი ვნახე, სალომეს სახეზე სიფითრემ გადაურბინა. ჩაღმამ ახლოლა შეამჩნია, თორმე მთელი მეზობლები გარს ეხვეოდნენ და ყურს უგდებდნენ ცოლ-ქმრის საუბარს.

— ჰოო, სიზმარი ვნახე. — გააგრძელა ჩაღმამ.

— რა ნახე, კაცო, ეგეთი.

— რა და ვითომა, ანგელოზი ღამე იყო. სანთლის ანთება მინდოდა, ვიფიქრე, ხმელ წიფელზე ავანთებ-მეთქი, ცოტას მაინც გავუთბობ ძვლებს, გამოვედი სახლიდან და რას ხედავ, ხმელი წიფელი ფეხზე აღარ დგას. ზედ შუაზეა გადამტვრეული.

— მერე შენ რა შუაში ხარ, ჩაღმა!

— იმ შუაში ვარ რო, ანგელოზთ ღამეს მეც მოკვდები.

— რა იცი, კაცო?

— ეგეა და ვიცი!

— მერე, ჯერ რა დროს ანგელოზთ-ღამეობაა, ესე იდრე რა გითხრევინებდა მიწას.

— ჯერ არ არის მაგრამა, შემოდგომაზედ ეს სოფელი სულ დაცარიელდება. ზამთარში ვინღა შავაწუხო. თოვლში ფუმფულვასა, ეხლა ვამჯობინე გათხრა.

— ჩაღმა, კაცო!

— ჰოო.

— შენ იძახი წიფელი შუაზე იყოო გადამტვრეული განა. — ეკითხებოდა ჩაღმას თავის ხნის კაცი.

— ეგე ვნახე, ჰოო.

— მერე და შე კაი-კაცო, ეგა, სიკვდილის ნიშანი კი არ არის, სიკვდილისა რო ყოფილიყო, ძირში იქნებოდა გადამტვრეული.

— მართალს ამბობს აკმაკი, ძირში იქნებოდა. — დაეთანხმენ სხვები.

— შორიდან რო დავინახე შუაზე იყო, მაგრამ ცოტა ხნის მერე ის ნახევარი ზედ ფესვებში გადასწყდა.

— ჰოო! მაშინ ჰოო! — გაიძახოდა ხალხი და ნელ-ნელა მიდიოდნენ სახლებში.

●

მეორე დღეს ჩაღმამ საფლავს გადაატარა და სათიბზე წავიდა. ხალხში აღუდა ერთი მითქმა-მოთქმა. შეხედეთ, შეხედეთ, ჩაღმა ისევ სამუშაოდ წამოსულაო. ზოგიერთები ისე იყვნენ დაინტერესებული, რომ ვეღარ ითმენდნენ და შეაწუხეს ჩაღმა ლაპარაკით.

— ჩაღმა, კაცო! მაინც ცოტა ხნის სიცოცხლეღა დაგრჩა და რატომღა მუშაობ, ჰა?

— კაცი შრომისთვის გააჩინა ღმერთმა, განა სიკვდილისთვის, — პასუხობდა ჩაღმა.

— დანამდვილებით იცი, რო ანგელოზთღამეობას მოკვდები?

— დანამდვილებით-მეთქი მაგას ვერ ვიტყვი, იქნებ აღრეც მოვკვდე, მაგრამ ანგელოზთღამეობას კი აღარ გადავაცილებ. — ასე და ამგვარად, შეეჩვია ხალხი ჩაღმას გარდაცვალების აუცილებლობას.

●

შემოდგომის მიწურულს იჯდა პაპა ჩაღმა ხმელ წიფელთან და ეჩურჩულებოდა ხეს:

— „შენ არ გეწყინოს, ხეო, შენი გადატეხის ამბავი რომ მოვიტყუე. შენ ხო გაქვს გამოცდილი, როგორია მარტობა, მე მგონი გამიგებ. შენ ხომ იცი, რომ ცოცხალი თავით აქაურობას ვერ დავტოვებ; ჰოდა, მაგიტომ მოვიტყუე შენი და ჩემი სიკვდილის ამბავი. ვიფიქრე, იქნებ ჩემ შვილებს მაინც შევეგინონ და ამ ზამთარს აღარ წავიდნენ ქალაქში, სიმარტოვეში არ დაგვტოვონ-მეთქი მე და ი ჩემი ბებერი. ისე კაი ტყუილი კი გამომივიდა ამ ხნიერ კაცს, მაგრამ მაინც მიდიან.

შენ არაფერი გეწყინოს, ხეო. სიზმარი მართლა კი არ მინახია. მეტი რა გზა მქონდა. შენ მაინც ხომ გახსოვს, აქ როცა ბევრი ხალხი იყო, ჩვენ სოფელში რა მხიარულობა, რა ყივილ-ხივილი იყო ხოლმე. მაშინ ზაფხულსაც თავისი შნო ჰქონდა და ზამთარსაც.

უკაცოდ მარტო ჩემი თავი კი არა, შენც მენანება და იმიტომ ვთქვი შენზე, სიზმარში გადამტვრეული ვნახე-მეთქი. ჯერ რა ხანსა ვცოცხლობთ ამ ქვეყანაზე და ისაც სიმარტოვეში. უკაცოდ... არადა, რო აქაობის დაგდებაც არ მინდა.

ჰმ... რა უცებ დაიჯერეს ჩვენი სიკვდილი? იმაზე მეცინება, გაზაფხულზე რო ამოვლენ და ისევ ცოცხლებსა გვნახვენ.

მეტი რა გზა გვაქვს, გავუძლოთ სიმარტოვეს“.

●

დაცარიელდა მთელი სოფელი. შვილები ბევრს ეხვეწნენ ჩაღმას ქალაქში წამოგვყეევო, მაგრამ ბერიაცამა გადაწყვიტა იუარა.

სოფელში მარტო ჩაღმა და სალომეღა დარჩნენ. სალომემ ერთხანს შვილებთან წასვლა დაპირა, მაგრამ მერე ისევ შეეცოდა ჩაღმა და დარჩა. ეგრე უთხრა შვილებს — დავრჩები, ხმას მაინც მოგაწვდენთ, მართლა რო რამ დეამართოსო.

პირველ ხანებში გაუჭირდათ მოხუცებს გამოყრუებულ სოფელში ყოფნა, მერე როგორც იქნა მიეჩვივნენ თანდათან. სანამ თოვლი მოვიდოდა, ისე არაფერი უჭირდათ. ჩაღმას სულ დაავიწყდა თავისი საფლავი. ისხდნენ ხოლმე კერასთან და საუბრობდნენ.

ერთ დღეს ფოსტალიონი ამოვიდა იმათ სოფელში და:

— ჩაღმა, ჰაი ჩაღმა! — დაიკივლა.

— რომელი ხარ? — გამოსძახა ჩაღმამ.

— დეპეშაა შენს სახელზე ჩაღმა.

— თაფლი და შაქარი შენ პირს. — გამოეგება ფოსტალიონს სალომე და გაყინულ-გათოშილი სახლში შეიპატიჟა.

— დეპეშა არის ქალაქიდან. — გაი-

გოდერძი ჩოხელი
მოთხრობები

ძაწოდა ფოსტალიონი და კეხიან ცხვირზე სათვალეს იმაგრებდა.

— აბა ერთი წაგვიკითხე, შენს გახარებლს.

— ...დედი როგორა ხართ, მამაჩვენს ხომ არაფერი დაემართა.

რამე რო გგიჭირდეთ, შეგვატყობინეთ.

მიხა და შაქრო".

— შენს პირს შაქარი ჩვენი ესე გალაღებისათვის, — ბუტბუტებდა სალომე და ფოსტალიონს სუფრას უშლიდა.

მეორე დილით ხმელ წიფელს ახარა ჩაღმამ, შვილების წერილი მამივიდაო. მერე ძველი ამბები გაიხსენა და გაუბა ჩურჩული.

მეორე დღესაც ამოვიდა ფოსტალიონი.

— ჩაღმა, ჰაი ჩაღმა! — დაიძახა და ცოლ-ქმარს მეზობლების დეპეშა მოუტანა.

ჩაღმას სიკვდილი არ გამოგვაპაროთო, სწერდნენ სალომეს ახალციხეში გადასახლებული მეზობლები.

ფოსტალიონმა და ჩაღმამ ერთი ბოთლი ჟიპტაური გამოსცალეს. მერე ფოსტალიონი სახლში წავიდა შეეუჟეუნებული. ჩაღმამ კი ნიჩაბი მხარზე გაიდო და სასაფლაოებზე გადავიდა. თავის საფლავზე თოვლი დახვეტა და სახლში რომ ბრუნდებოდა, ცოტა ეჭვი შეეპარა, მართლა არ მოკვდეო. მერე ეს ეჭვები რომ გაეფანტა, წიფელთან გადავიდა და გაუბა ლაპარაკი.

იმ დღის მერე, თითქმის ყოველდღე მოჰქონდა ფოსტალიონს ჩაღმას მეზობლებისაგან გამოგზავნილი დეპეშები და ყველა იმას სწერდა — სალომე, ისე არ გაკკეთოთო, რო ჩაღმას სიკვდილი გამოგვაპაროთო.

ფოსტალიონმა თანდათან დაკარგა სალომეს თვალში ფასი და ბოლოს ისე შეეჯავრა, რომ დეპეშას რომ მოიტანდა, აკანკალებული ხმით ჩუმად დაიხავლებდა:

— ჩაღმა, ჰაი ჩაღმა. — და ვაი იმის ბრალი თუ ჩაღმა საფლავზე იქნებოდა წასული, წვიელ-კიკილით აიკლებდა ხოლმე დედაკაცი იქაურობას.

მაშინ ფოსტალიონი — იკითხავდა: — იქ არისო? — და მიდიოდა ჩაღმასთან სასაფლაოზე.

ჩაღმას თანდათან ისე შეეპარა სიკვდილის შიში, რომ ხმელ წიფელთან ლაპარაკსაც კი თავი გაანება. სულ დღეებს ითვლიდა, ანგელოზთღამეობამდე რა ხანიღა დარჩაო და ყოველი დეპეშის გამომგზავნს ერთსადაიმავე პასუხს უბრუნებდა. რა უბრუნებდა, თვითონ წერა არ იცოდა და ფოსტალიონს აწერინებდა ხოლმე:

— „ჯერ ცოცხალი ვარ, ნუ გეშინიათ არ გამოგაპარებთ, თუ დავაპირე ორი დღით ადრე შეგატყობინებთ.

ჩაღმა".

ხმელ წიფელს უკვირდა ჩაღმას გაგულქვავება და ეჭვი შეეპარა, მართლა ხომ არაფერი ნახა სიზმარშიო.

სალომეს კი ფოსტალიონის ყოველი დაძახება გულს უცივებდა.

ანგელოზთღამეობა კი ახლოვდებოდა და ფოსტალიონმა უფრო მოუხშირა მათ სოფელში სიარულს. გაუკვალა თოვლში ისეთი გზა გაკვერა, რომ ხარმარხილი თავისუფლად შედგებოდა.

— ბარაქა შენს საქმეს. — თავზე წადგა ფოსტალიონი ჩაღმას.

ჩაღმამ თოვლის ხვეტას თავი ანება და — არი რამე ახალო. — იკითხა.

— არი, ბოლნისიდან გწერენ, არ გამოგვაპაროთო.

ჩაღმამ ნიჩაბი გვერდზე მიაგდო და ორივენი, მეზობელი საფლავის ქვაზე ჩამოსხდნენ.

— კაცო, მართლა აპირებ რამეს?

— ვაპირებ, აბა არ ვაპირებ!

— მართლა სიზმარში ნახე?

— მართლა.

— მაინც როდისთვის აპირებ?

— ჯერ რა მეჩქარება.

— შენ კი არ გეჩქარება, მარა...

— რა მარა...

— რა და ისა რო, თუ მართლა რა-

ბეს აპირებ, ჩქარა ქენი, შე კაი კაცო, აღარ შამიძლია, გაგთავდი აქ სიარულით ალი, შენ იმდენს იზამ, წინ მე გამიმლოლებ.

— შენთან რა ხელი მაქვს, შე კაი კაცო, შენ შენ საქმეს აკეთებ.

— ჩემ საქმეს კი ვაკეთებ, მარა გაგებინებ შენ ცოლს მაგდენს, რო არ მოგიტანო, თქვენ კი არა, მე მამხვდება ბერე, მენა.

ჩაღმამ ბოთლიდან ჟანპატური ჩამოასხა და ჭიქა აკანკალებულ ფოსტალიონს გაუწოდა.

— ღმერთმა შენი სული გაანათლოს იმ ქვეყანაზე. ნათელი დაგიყენოს, გული არ გაიტეხო მაგაზე, არ იდარდო, ვინ არ მომკვდარა. ღმერთმა გაგანათლოს. — დაილოცა ფოსტალიონი. — ღმერთმა გიშველოს!

— ისე ერთ რამეს გირჩევდი, ხო ალი გადადებული სქემე ეშმაკისია, თუ მართლა რამეს აპირებ, დროზე ქენი.

ფოსტალიონს ისე აკანკალა, ჩაღმას შეეცოდა და თავისი ცხვრის ტყავი წამოაჭიკა.

— გცივა, კაცო?

— მცივა აბა, არ მცივა!

— ეს კიდევ შენი გამარჯვებისა იყოს. — მეორე ჭიქა მიაწოდა ჩაღმამ.

ფოსტალიონმა თავის სადღეგრძელოც გამოცალა და წასასვლელად მოემზადა.

— მიდიხარ? — ჰკითხა ჩაღმამ.

— წავალ, აბა რა ექნა.

— თუ ავადა ხარ, ნუღარ ამოხვალ, არ მეწყინება.

— აჰ! სულ ამოუსვლელობაც არ იქნება.

— მაშინ რამდენიმე დღე მაინც დაისვენე.

— კაი, აბა დავისვენებ ცოტა ხანს... ჩაღმა, თუ დღე ნიშანდობლივ ალი, არ დამიმალო, იმ შენ კარგ შვილებს გაფიცებ, მითხარი, არ გამომაპარო.

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, მარა ანგელოზთღამეს აღარ გადავაცილებ.

— წადი აბა!

— მთლად არ დაიკარგო.

— აჰ, სულ ამოუსვლელობაც არ იქნება.

— ხოდა, შენ ალი.

ფოსტალიონი ჩაღმას გამოეშვიდობა და თოვლიანი დაღმართი ბარბაცით ჩაიარა.

●

გავიდა რამდენიმე დღე, რაც ფოსტალიონი აღარ ამოსულა სოფელში. მოიწყინა ცოლ-ქმარმა. ხან სალომე გაჰყურებდა სოფლის შარაგზას, ხან კიდევ ჩაღმა. ფოსტალიონი კი არ მოდიოდა.

სიმარტოვეს დაესადგურებინა ირგვლივ.

— სალომე, ქალო, აბა გადაიხედე არ მოდის?

— შენი ბრალია, კაცო, შენ რამეს ეტყოდი საწყენს და რაღას მოვა.

— ჩემი რა ბრალია, ქალო, შემეცოდა კაცი აქ წანწალით და ვუთხარი, ცოტა ხანს დაისვენე, ნუღარ ამოხვალმეთქი.

— გაგიგონია, კაცს ჯერ ეუბნები ნუღარ ამოხვალო და მერე იძახი, რა ჩემი ბრალიაო, ერთი შენცა ხარ, რაღა.

— დავიჯერო, რო გადავაციწყდით მთელ მეზობლობას?

— კაცო, გამაგებინე, მართლა ემზადები?

— აღარც მე ვიცი, სალომე, ხვალ საღამოს ანგელოზთღამეა და რაღაც სხვანაირად მეშინია, ეჰ, იმ კაი-კაცმაც აღარ ამოდგა ფეხი, აღარ ამოგვეხედა, შენ მაინც სამზადისი დაიჭირე, სალომე, მართლა არაფერმა მომიწიოს.

სალომე მეორე დღეს სამზადისს შეუდგა. ჩაღმამ საგულდაგულოდ გაშალაშინებული ფიცრები კიდობნიდან ამოიღო და შეუდგა საქმეს.

საღამო ხანს რამდენჯერმე კიდევ გადახედეს შარას რიგრიგობით, მაგრამ ფოსტალიონი არ ჩანდა.

როგორც იქნა დადგა ანგელოზთღამე.

გოდერძი ჩოხელი
მოთხრობები

დიდი სანთლები დაანთეს ჩაღმამ და სალოცავ. იქამდის შეპყურებდნენ გამტკნარებულნი სანთლებს, ვიდრე სულ არ ჩაიფერფლნენ.

მერე ჩამოწვა უკუნეთი სიბნელე და შეშფოთებული სალომე წამდაუწუმ ეკითხებოდა ქმარს.

— კაცო, ცუდს ხო არაფერსა გრძნობ?

— ჯერ არა. — პასუხობდა ჩაღმა.

გარეთ ცაზე გაყინული მთვარე მიცურავდა.

●

— ჩაღმა, ჰაი ჩაღმა! — დაიკივლა მეორე დღეს ფოსტალიონმა და კარებში გამოსულ სალომეს რომ მოჰკრა თვალი, ძველებურად აწრიალდა.

— როგორაა საქმე, ქალბატონო სალომე?

სალომეს ისე გაეხარდა ფოსტალიონის მოსვლა, რომ დაბნეული ხმას ვეღარ იღებდა. ფოსტალიონმა ეს სიჩუმე ავიხმაუწყებლად ჩათვალა და საყვედურით ჩაილაპარაკა:

— გამომპარეთ, ხომ?

— არა, იქ არის, შენზე თქვა, თუ მოვა, გადმოვიდესო.

— წაიღო რაღა, თუ.

— კი, წაიღო, ერთი ბოთლი.

ფოსტალიონი სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

— სადა ხარ აქამდე, შე კაი კაცო. — უხაყვედურა ჩაღმამ.

— შეუძლოდ შევიქენი ცოტა და ვეღარ ამოგაკითხე, არ გეწყინოს ჩაღმა, ჩანთაში მაქვს სათითაოდ ყველა დეპეშა, წავიკითხავ ახლავე... კი მარა, აკი სთქვი ანგელოზთღამეს აღარ გადავაცილებო.

— ეგე ვთქვი, მაგრამ გადავიფიქრე.

— რამ გადაგაფიქრებინა, შე კაი კაცო, შენა, გამძვრა სული აქ სიარულით, ძლივს ამოვიარე დღეს აღმართი... საერთოდ გადაიფიქრე თუ...

— საერთოდ არა, რაღაცა ხასიათზე არ ვიყავი წუხელ და... — თავი რმირთლა ჩაღმამ, მერე ბოთლიდან ქანჩირი ჩამოასხა და ფოსტალიონს გაუწოდა.

— შენი სული გაანათლოს ღმერთმა, ნათელი დაგიყენოს იმ ქვეყანაზე. მაგაზე არ იდარდო, კაცო; ყველა მიწის შვილები ვართ, ვინ არ მომკვდარა; ისე კი, მაშინაც გითხარი და ეხლაც გეტყვი, რომ გადადებული საქმე ეშმაკისაა... ჩაღმა, თუ მართლა რამეს აპირებ, ნუღარ გადადებ... აჰ, შენ ის არ იფიქრო, რომ ამას იმიტომ მეუბნება, თავის თავს უფრთხილდებაო. ეგ რა საფიქრელია, შე კაი კაცო, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, რო არ მოვიტანო, მე მომახვედრებენ მაგაზე... ჰოდა, გაგინათლოს სული.

ფოსტალიონმა არაყი დალია და მერე ისე ციებიანივით აკანკალა, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა, ჩაღმას ხელებში მიესვენა და კინაღამ სული განუტევა.

●

ზემოთ გორზე ხმელი წიფელი იდგა. ქარი წიოდა და იმის ხმელ ტოტებს ჭახა-ჭუხი გაუდიოდა.

— მაპატიე, ხეო. მაპატიე, რომ ამ ხნის კაცმა, ამ სიბერეში ცოდვიანი ტყუილი ვთქვი. შენ ხომ იცი, მე რატომ მოვიტყუე.

ადამიანები უერთმანეთოდ, ვერა ვძლებთ, გვიყვარს ერთმანეთი და არ შეგვიძლია მარტოობის ატანა. ხშირად ამ სიყვარულს ერთადყოფნისას ვერა ვგრძნობთ და მარტოდ დარჩენილი სული ველევა, გვენატრება ერთმანეთი.

არ ვიცი, ვერ გამიგია, რატომ... რატომ ვატყუებთ ერთმანეთს...

კარგად გამიგე, ხეო, აკი შენც გაგახმო მარტოობამ... ეჩურჩულებოდა ხმელ წიფელს პაპა ჩაღმა და ხესაც ესმოდა, ესმოდა და ისე განიცდიდა იმის ნათქვამს, რომ მის ხმელ ტოტებს ჭახა-ჭუხი გაუდიოდა.

საზიარო ყვავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვარი!

— ჩოხელი.

— სახელი!

— ბუთულა...

— პროფესია!

— სოფლის დეკანოზი.

— ვის უჩივით?

— შუღლიანთ (ღვთისავარს) მახარას.

— რაზე?

— იმაზე, რომ ჩემი საკუთარი ყვავი მოისაკუთრეს, გადაიბირეს და ახლა ჩვენიაო, აღარ მანებებენ.

— როგორ თუ შენი საკუთარი ყვავი, მასულელებ, კაცო?!

— მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ ის ყვავი ჩემი იყო, სულ მე დამყვებოდა, სათიბზეც, სახნავზეც... ჩემი იყო. ეხლა კი იმათ გადაიბირეს.

— მოიცა, მოიცა... თქვენ გყავდათ საკუთარი ყვავი, არა?.. რა ერქვა იმ თქვენ ყვავს?

— ყვავს?

— ჰო, ყვავს.

— არაფერი, ხალხი ბუთულას ყვავს ეძახოდა.

— ესე იგი, თქვენ არაფერს არ ეძახოდით, გასაგებია.

— რა არის გასაგები, კაცო?..

— ის, რომ თქვენ მოისაკუთრეთ ყვავი, გესმით.

— ღმერთია მოწმე... მე..

— ღმერთი! ღმერთი არ გამაგონო!

— მაპატიეთ... ეს, ისე...

— მოქალაქე ბუთულა, რამდენი ხანი გყავდათ ის ყვავი პირად საკუთრებაში.

— ცხრა წელი, უფროსო.

— ეხლა რატომ აღარ განებებენ?

— ჩვენიაო, იძახიან.

— ყვავს ვისთან უნდა ყოფნა?

— ყვავი მოატყუეს, უფროსო, დღედაღამე საკენკს უყრიან. ისაც სულ იმათთან დაფრინავს.

— არც ისენი ეძახიან სახელს?

— არა...

გვიანობამდე საუბრობდნენ ყვავის თაობაზე ბუთულა და მოსამართლე, მერე სასამართლოდან ისეთი დაღლილი გამოვიდა სოფლის დეკანოზი, რომ სახლამდე ძლივს მიაღწია ცხენით.

— რა ქენი, კაცო, რა გითხრა, მოვაცემინებთო ყვავის საფასურს... ხმა ამაიღე, რას გაშტერებულხარ! — ეკითხებოდა ბუთულას ცოლი.

— რაო და შენც და ისაკაო, დამნაშავეები ხართო, ჯერ შენ მოისაკუთრე ყვავი, მემრე იმანაო, რაღაცა ბნელი ინტერესების გულისთვის მალავთო.

— კი მაგრამ, ფულს არ მოვაცემინებთო?

— ფულიო. ფული შეიძლება ასი-მანათი შენ წაგართოთო.

— რატოო, კაცო?

— ხვალ დილით თქვენ სოფელში ამოვალ და გამოცდას მოგიწყობთო. მაღალ ბაზზე ერთ მხარეს შენ უნდა დაყარო საკენკი, მეორე მხარეს მახარამო. თქვენ თქვენგან დაყრილ საკენკებთან დადგებით, მე კი შუაში დაგიდგებითო. დაველოდებით ყვავსო, თუ შენ საკენკთან დაფრინდა, მახარამ უნდა გადაიხადოს ჯარიმა ასი მანეთიო, თუ იმისაზე დაფრინდა, შენ უნდა გადაიხადოო.

— შენ ხო არ გაგიჟდი, კაცო, ამ ხატობებში ას მანეთზე მეტი არც შემოუწერია ხალხს და ისიც ჯარიმაში უნდა გადაიხადო? ხომ იცი, რო იმათზე დაფრინდება.

— ეგეაო და რა ვქნა.

●

მეორე დილით მთელი სოფელი შუღლიანთ ბაღს გარს შემორტყმოდა. ბაღის ერთ მხარეზე მახარა იდგა, მეორეზე — ბუთულა, იმათ შუაში მოსამართლე გაჯგიმულიყო.

გიორგი ჩოხელი
მოთხრობები

ნახევარი სოფელი ბუთულას ინტერესებს იცავდა, ნახევარი კიდევ მახარასას. საქმე კი ყველს უნდა დაებოლოვებინა. დიდხანს მოუხდათ ლოდინი, რატომღაც იგვიანებდა ყვავი. მოსამართლეს ეშვიც კი შეეპარა, ხომ არ მამასხარავებენო, მაგრამ მახარასა და ბუთულას გამოთაყვანებულ სახეებს რომ შეხედავდა, იმედი ეძლეოდა და თავისთავზე გული ბრაზობდა, რატომ ორასი მანეთი არა ვთქვი ჯარიმაო.

უცებ ხალხი აჩოჩქოლდა. ჰაერში ყვავი გამოჩნდა, ღრუბლებში წრეს უვლიდა და ნება-ნება ეშვებოდა მათკენ. სანამ ძირს ჩამოვიდოდა, ლამის გულები გაუსკდათ მახარასა და ბუთულას. ბოლოს, როგორც იქნა, მათ თავამდე მოაღწია ყვავმა. ფრთები შეატყლაშუნა, მოსამართლეს ზედ ქუდზე დააჯდა, დასჩხავლა, დასაკინტლა და გაფრინდა.

მახარასა და ბუთულას გულზე მოეშვათ, ჯარიმის გადახდას გადაეურჩითო. მაგრამ მოსამართლე ეგრე ადვილად არაფერს სთმობდა, მალე მოეგო გონს და მახარასა და ბუთულას ახალი ბრალდება წაუყენა.

— იმისათვის, რომ რაღაცა ბნელი ინტერესების გულისთვის მიისაკუთრეთ ყვავი და არც სახელი დაარქვით, უფრო მეტიც, მორალურად გარყვენით, ერთიაც და მეორეც ვალდებული ხართ, გადაიხადოთ ორას-ორასი მანეთი ჯარიმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიცემული იქნებით პასუხისგებაში. ვადა გეძლევათ ერთი კვირა.

მოსამართლემ ქუდი გაწმინდა, დაიხურა და წავიდა. მახარა იმაზე ღონავდა, სად ვიშოვო ორასი მანეთიო. ბუთულას კი ცოტა იმედი მოეცა: — წინა დღეობაზე ასი მანეთი შემოსწირეს ხატს, ორ დღეში ახალი ხატობაა და იქნება ასი კიდევ შემოსწირონო.

❸

მოხდა უბედურება, არ მოვიდა დღეობაზე ბევრი ხალხი და შეწირულობა ოღარ დაუგროვდა ბუთულას, ვერცა მახარამ იშოვა ერთ კვირაში ფული, ვინც კი გაიგო, რისთვის სჭირდებოდა ეხა ვინ აძლევდა. მოუხურავდნენ — ,,ერ[illegible]" ბუზღუნებდნენ თავისთვის: — წადი შასცქირე ყვავებს და იქნებ იმათ გამოსცვივდეთო ფული.

ერთი კვირის მერე მოსამართლემ ორივე თავისთან დაიბარა და სახლში აღარ გამოუშვა.

ყოველდღე იბარებდნენ მათი სოფლიდან დაკითხვაზე მოწმეებს. ადგენდნენ ყვავის ვინაობას.

ზოგი თავს არიდებდა სასამართლოში სიარულს და პირველივე დაკითხვაზე ჩუმად შეაპარებდა მოსამართლეს ფულს. მერე სოფელში მიბრუნებული თავის ოსტატურ საქციელზე ამაყად ჰყვებოდა და იმათ, ვინც უკვე მერვედ იყო დაკითხვაზე, თავს ამტებდა.

შეწუხდა სოფელი. შეაგროვეს ოთხასი მანეთი და თანასოფლელების გამოსახსნელად მოსამართლეს მიუტანეს.

მოსამართლემ თითები მაგიდაზე დააკაკუნა და ფული ისე უკმაყოფილოდ ჩააგდო მაგიდის უჯრაში, სოფლის თავკაცებს იმედი წაუხდათ.

— თქვენ თხოვნას დავაკმაყოფილებ იმ შემთხვევაში, თუ დაიჭერთ იმ ყვავს და მომიყვანთ, აქ, პირადად მე, ცოცხალს!

❹

დიდი და პატარა იმ ყვავს დასდევდა დასაჭერად. ის კი აღარავის ეკარებოდა. სოფელში ერთვითად ჩამოდიოდა, შეჯდებოდა რომელიმე ხეზე, დაიჩხავლებდა და წავიდოდა. ვერც იჭერდნენ და არც მოკვლა უნდოდათ. მოსამართლემ — ცოცხალი მომიყვანეთო — და რომ მოეკლათ, ვაითუ მთელი სოფელი დაეჯარიმებინა.

ბოლოს გამეხარდას მოუვიდა თავში აზრი:

— ხომ ვერ იცნობს მოსამართლე, რომელი ყვავი იყო.

— ვერ იცნობს.

— ჰოდა, დავიჭიროთ სხვა ყვავი და მივუყვანოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორია.

— კი მარა, ვაი თუ იცნობდეს? — დაეკვდნენ ზოგიერთები.

— ერთხელ ნახვით რას დაიმახსოვრებდა, თქვე კაი ხალხი, თქვენა, თანაც კარგად მგონი ვერც დაინახა, პირდაპირ ქუდზე დააჯდა და გაფრინდა.

— კი მაგრამ, იმათ რომ წამოსცდეთ ეგ ყვავი ის არ არისო, მაშინ... მაშინ რაღას შვრებით.

— ავდგეთ და გასაფრთხილებლად გავგზავნოთ კაცი. ამას და ამას ვაპირებთ და არაფერი წამოაყრანტალოთოქო.

გაგზავნეს კაცი ბუთულასა და მახარას გასაფრთხილებლად.

●

სოფლის ხილებში ერთ ბებერ ყვავს ჰქონდა ბუდე. სულ ყოველთვის იმ ბუდეში იხდიდა ხოლმე ბარტყებს და ისე მიეჩვევნენ სოფლელები, რომ არაოდეს არაფერს უშავებდნენ. ისიც კარგად ხედავდა მათ კეთილგანწყობას და არასოდეს არა ყოფილა შემთხვევა, რომ ეზოდან წიწილა მოეტაცოს.

მეტი გზა არ იყო. ხალხმა გადაწყვიტა, ეს ყვავი წაეყვანათ მოსამარლესათვის. ბალღები აგზავნეს ხეზე და ბუდეზე მჯდარი ჩამოაყვანინეს.

საცოდავი, ისე იყო ხალხის სიკეთით გულდაჯერებული, ერთხელაც არ უცდია წინააღმდეგობა გაეწია მათთვის. რომ მიჰყავდათ, დედაკაცებმა თავისებური მოთქმა გაბეს:

— ვაი უბედურს, შენ წვრილშვილს!

— მაშა, ქალო, დარჩა სულ ტიალად!

— ეჰ, ჩვენ ვიკითხოთ თორე, მაგას რა უჭირს, ხო ამბობენ, სამას წელს ცოცხლობს ყვავიო, მანამდე იქნებ მოსამართლეც მოკვდეს და გამოუშვებენ.

— სამასს კი არ ცოცხლობს, სამოცი საო.

— არა, ქალო, ვერ გაგიგია კარგა, სამასსაო.

— იქნებ მაგათაც არ იციან და იმიტომ უთხრა, ცოცხალი მამიყვანეთო, რო ინტერესებს გაიგოს, რამდენ ხანს იცოცხლებს.

— შვილები კი დარჩა ეგე და.

— რას გალაღდებიან ყორნები?

— აბა, ქალო!

საწყალი ყვავი, რომ წაიყვანეს, რაღაც თუ იგრძნო, დაიჩხავლა.

●

მოსამართლემ ხალხს დანაპირები შეუსრულა; ბუთულა და მახარა გამოუშვა.

კარებში რომ გამოდიოდნენ, ბუთულა ისევ მოსამართლესთან შეტრიალდა და ყურში ჩაუჩურჩულა:

— მე კი ნუ გამაცემ და... მაგათ სხვა ყვავი შემოგატყუეს.

— როგორ სხვა ყვავი. — დაიღრიალა მოსამართლემ და გარეთ გამოვარდა.

— ან იმ ყვავს მომიყვანთ ცოცხალს, ან არადა, ჯარიმა ჩემი მოტყუებისათვისო.

რაღა ექნათ, წამოვიდნენ დაღონებულები. ეძებენ მაგრამ ვეღარ პოულობენ იმ ყვავს, იმასღა ჩიკიან:

— სამას წელს მაინც არ ცოცხლობდეს, საბუთი გვექნებოდა, დაბერდა და მოკვდაო.

დადიან და ეძებენ.

ბუთულას რა ენაღვლება, მოკვდა სიბერით.

გიორგი ჩოხელი
მოთხრობები

ლ ო დ ი

ჩამომჯდარა მურყნიან ჭალაში და ფიქრობს... რაზე... ვიზე, კაცმა არ იცის. ზის და ხმას არ იღებს... მაშინაც კი არაფერს ამბობს, როცა მოვარდნილი ნიაღვარი დაიტაცებს ხოლმე მაგის წვრილშვილს... ზის და ხავსს იკიდებს.

აქ საიდან მოხვედი, ქვაო... როდის მოხვედი, რატომ, რისთვის. მითხარი, რა იცი... რატო ხარ ეგე, არც მოძრაობ, არც სვამ, არც ჭამ, არც ხმას იღებ... ხმა ამოიღე, რას გაშტერებულხარ.

დავიჯერო, რომ ერთხელ მაინც არ მოგნატრებია მთაზე ასვლი და იქიდან დაგორება. როგორ, როგორ ითმენ რომ ერთხელ მაინც არ აჰყევი შენ გულმკერდზე გადამავალ ნიაღვარს. ნუთუ არ გაინტერესებს, რა ხდება სხვაგან, შენგან შორს. ან იქნებ იცი ყველაფერი და მაგიტო ხარ ეგე უთქმელი. თუ იცი, გვითხარი, რა იყო, რამ მოგიკლა ეგე გული. ან ცუდ რამეს ხო არ ელი, ხმა ამოიღე, ხმა გაგვეცი!..

მაგ სიჩუმით ის ხომ არ გინდა თქვა, რომ მარადისობის ნაწილი ხარ და შენთან დროთასვლას ხელი არა აქვს. ან იქნებ ბუნების საიდუმლო იცი და არ გინდა, რო მოკვდავთ გაგვანდო.

შენს გარშემო შემომსხდარი წვრილი ლოდები მაინც არ გენანებიან?

შემოგყურებენ უენო ბალღებივით და გელიან, როდის ამოიღებ ხმას, რომ პირი აგაყოლონ.

არა, მაგათ არ იცან ან, რაც შენ იცი. ეგენი შენგან ელიან პასუხს, შენ კი ხმას არ იღებ...

ვიცი, რომ შენთან დროთასვლას ხელი არა აქვს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ბებერი ხარ. შენც ისეთივე უთქმელი ხარ, როგორი უთქმელიც ხდებიან სიბერეში ღრმად შესული კაცები, თავისი სიცოცხლის გზა თითქმის ბოლომდის რომ გაიარეს, და მაინცდამაინც, სიბერეში აეკვიატებათ ხოლმე იმის ფიქრი, თუ საიდან მოვიდნენ, რატომ... რისთვის... სხედან და ელდა აქვთ რაღაცა მოუსვლელის.

ნუთუ შენც იმაზე ფიქრობ, საიდან მოხვედი, რატომ, რისთვის. ნუთუ შენც რაღაცა ელდა გაქვს, რაღაცას მოელი.

არა მგონია, რომ მაგ სიჩუმით შენს უკვდავებას მაგრძნობინებდე და არ გინდა, რომ ვიღაცა მოკვდავს გაანდო ის, რაც იყო, რაც იქნება.

ხმა ამოიღე, გევედრები, თორემ მოკვდები და ვერასოდეს ვერ გავიგებ რატომ ხარ ეგე: არც სვამ, არც ჭამ, არც მოძრაობ, არც ხმას იღებ...

... ჩამომჯდარხარ მურყნიან ჭალაში და ფიქრობ... ნუ... ნუ დარდობ მაგდენს, თორემ ერთხელაც იქნება, დარდისგან დაიფშვნები.

მიწის მზომლები

კვირტი ნაზამთრალ ტოტში დიდხანს იმალებოდა. ჯერ გაზაფხულის ალმურზე შეკრთა, მერე აფეთქდა და გადათეთრდა შიშველ მკერდიანთ.

წამოუბერა მოუსვენარმა ნიავმა მალალ მთებისამ, ააცახცახა თეთრ კაბაში გამოკრული ტყემლის ტოტები. მერე გზად მიმავალმა, საგზლად, აფეთქებული კვირტებიდან ამოყრილი თეთრი სიფრიფანა ყვავილები გაიყოლა, ალოლიავა, ელოლიავა და ბუბუნაურთ ორსართულიანი სახლის აივანს საკმეველივით შეაყარა.

იწვა აივანზე დათიკო ბუბუნაური და მისი სული გაზაფხულის მოუსვენრობას ელოლიავებოდა.

აგერ უკვე მესამე გაზაფხული ილოდა თეთრად მას შემდეგ, რაც დათიკო

ამ უთქმელ და ნაშლილნიან წინ ტანტზე

ოწვა უმოძრაოდ, გაშეშებული.

ცოლის ხელით გათელილი თეთრი ნაბადი ეგო ქვეშაგად დათიკოს. ზემოდანაც ნაბადი ეხურა. ასე ამბობდნენ, ნაბადს სენი გამოაქვსო გაცივებული და დახუთვილი ძვლებიდან.

დათიკო კი მესამე წელია, ცხვარში გაცივდა და მას შემდეგ, რაც ქალაქიდან ექიმებმა უიმედოდ გამოწერეს, თანდათან ამ ნაბადივით ილეოდა და თელებოდა, ამის სნეულ ძვლებს რომ ეგო ძირს.

ილეოდა კაცი და დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა რა მიღრღნისო ასე ძვლებს. ხანდიხან ეჩვენებოდა, რომ საკუთარი ძვლების მტვრევის ხმა ესმოდა. გრძნობდა, როგორ დარბოდნენ ჭიანჭველები მის ძვლებში და უკვირდა კაცს — რა სენი შემეყარაო ასეთი, სულ მუდამ სხვის სიკეთეზე მოფიქრალს წუთისოფელში.

დრო კი მიდიოდა და დათიკოს ნაგლის სალეს ქვასავით ლევდა, აწვრილებდა.

დრო მიდიოდა და წუთისოფელი კერაზე მიბნედილ ნაღვერდალივით მინავლებულ და მიწევებულ დათიკოს მზერაში ხან თეთრად თოვდა, ხან ყვითლად. ხან კი — მწვანედ.

ამ ხნის განმავლობაში სამჯერ გამოზარდა მერცხალმა დათიკოს საწოლს ზემოთ გამართულ ბუდეში ბარტყები.

დათიკო კი იწვა და ვერაფრით ვერ გაერკვია, რა უღრღნიდა ძვლებს.

●

ჰოდა, იმ გაზაფხულზეც დაუბერამეთქი მოუსვენარმა მთების ნიავმა, ივანაზე მწოლარე ავადმყოფი მოინახულა და ტყემლის კვირტებიდან წამოღებული თეთრი ფანტელები შეაყარა სახეზე.

მიწყნარებული იყო იმ დღეს სოფელი. ხალხი მამულებში გაკრეფილიყო მიწის საზომად.

იწვა დათიკო გულიმა და იხსენებდა, მერამდენედ უზომავდნენ ნაკვეთი. დამო ნაკვეთებს მის სოფლელებს.

— მეექვსედ.

— არა, არა მეშვიდედ.

— მეექვსედ ოთხი წლის წინ დაზომეს. ჰო-ჰო, არა ვცდები, ოთხი წლის წინ, მაშინ არ გამოიცვალა თავმჯდომარე?

არ ტყუოდა დათიკო, უკვე მეშვიდედ ზომავდნენ მიწებს. აქაურ მთაზში ისე ღრმად ჰქონდა კერძომესაკუთრეობას ფესვები გადგმული, რომ საუკუნეების მანძილზე წინაპართა ოფლით გაპოხილ მიწებს ეგრე ადვილად ვერ ელეოდა ხალხი. ვერ ეგუებოდა იმას, რომ იმათ მამულს სხვისი რქმეოდა.

— რა აიჩემეთ ეგ სხვისი, სხვისი რატოლა არის, კაცო!

— თუ ჩემი არ იქნება სხვისი არ არის, აბა, მა ვისია!

— კოლექტივისაა, კაცო, განა შენც კოლექტივისა არა ხარ და ისევ შენი არ არის, შე კაი კაცო, შენა!

მაგრამ რაღაცას მაინც ვერ ელეოდა ხალხი. როგორც კი კოლმეურნეობის სათავეში ახალი თავმჯდომარე დადგებოდა, ჯერ მიწებს დაანაწილებდა. კანონით რამდენიც ერგებოდა, იმდენს მიუზომავდა ხალხს. დანარჩენი მიწა საერთოა, კოლექტივისაა, იტყოდა, მაგრამ დანაწილება დანაწილებად რჩებოდა და ასე ანუგეშებდნენ ერთმანეთს:

— როგორც ყოფილა, ისე იქნება.

— ახალი ცოცხი კარგა ჰგვისო.

— არ ემტყუვნება, მაგის საქმე ეგ არის, კანონს ხო ვერ გადავა.

და რჩებოდა ყველაფერი ისევ ძველებურად. ყველა თავის მამაპაპეულ მიწას ფარცხავდა.

●

ჰოდა, ამ გაზაფხულზეც გამოიცვალა თავმჯდომარე და დათიკოს გარდა, ყველა მამულებში გაიკრიფა მიწის საზომად.

გიორგი ჩიხელი
მოთხრობები

დათიკოს ოჯახიდან არავინ წასულა. ანკი ვინ წავიდოდა. ცოლი ექიმბაშის მოსაყვანად იყო წასული სხვა სოფელში, შვილი შარშან მოუკლეს და ღმერთმა იცის, სად დაეხეტებოდა დათიკოს ერთადერთი ძმა ბიბღია.

სოფლის მამულებიდან ყაყანი ისმოდა. მერე ორღობეებში ლუყმა მარტიან ამოიარა ბრძოლით:

— კი-კი შვი-შვიდი-კი, თა-თა-ჯდომარე კი გა-გამაიცვალა და ესეთობა ან გა-გა-ვინილა, და-დათიკო!

— რაო, როგორაო?

— კი-კი ხა-ხატისი მა-მა-მულებიც კი კო-კოლექტივსაო.

— კი-კი ნა-ნატომ-მეთქი!

— კი იმიტოო ნო, ხა-ხატი ან ანიო.

— სად არ არიო.

— სა-სა-საენოოდ ან ანიო. თქვენი ხატი თქვენი კანგა ყოფნა ანიო.

— კი, განცხადებას კი დაგწენ-მეთქი.

— და-დაწერეო.

— კი, კი, წენა ან ვიცი და შენ ძმა ბიბღიასთან კი წამოვე. კი-კი, ბიბღიავ, სა-სახში ხანა?

— რას გიგიებ ბიბღიასას. არ არის შინ.

— კი-კი წავალ და მოვძებნი.

მარტიამ თავისი ფაფახი დაიხურა და ბიბღიაის მოსაძებნად წავიდა.

დათიკო კი იწვა და გული მამულებისაკენ ეწეოდა. ვინ იცის, სად მოუზომავდნენ, როგორ მიწას მოუზომავდნენ.

გულმა ვეღარ გაუძლო და იქნებ ხმა როგორმე მივაწვდინოო, დაიღრიალა:

— ხალხოო! გვერდოში არცა მამიზომოთ, სათაო მამული რო მაქვს, ის მამიზომეთ, ხალხო!

მაგრამ მისმა კივილმა ჭერში თავისივე ძაფზე ჩამოკიდებული ობობა შეაშინა მხოლოდ.

ობობამ თოკი აიხვია და კუთხეში მიიმალა. კარგა ხანს იყო ასე, მერე სანდირო ბადე მოქსოვა და მსხვერპლს დაელოდა.

ისე გაერთო ობობას ცქერით დათიკო, რომ ცოტა ხნით მიწაც კი გადავიწყდა. მოუთმენლად ელოდა, რომ ბადეში ბიბღიას ბაბუა ბადეში ჩავარდა. ... ...

— წადი მამულებში და მიწის მზომველებს უთხარი, სათაო მიწა მოგვიზომეთ-თქო. უთხარი, ორასი კვადრატული მეტრა არ გვეყოფა და ორივე ძმას მოგვეცით-თქო.

ბიბღია მოაჯირიდან ჩამოხტა და მამულებისაკენ გაიქცა.

●

ალღოიანი კაცი იყო ბიბღია, რაღა არ იცოდა, სად არ ჰქონდა თავი ნაცადი. მოყოლებული მოჯამაგირეობიდან, მეწისქვილის სახელსაც ატარებდა, მეჩონგურის სახელსაც, სოფლის დეკანოზიც იყო, მღვდელიც, დიაკონიც. მღვდლის ანაფორა მეზობლის ყურებდაუჭრელ ძუნგ ძაღლს იმან ჩააცვა და სოფელშიც იმან გაუშვა. მერე სოფლის ეკლესიიდან ჯვრები და შეწირული თეთრი ნაჭრები გამოიტანა, დიაცთა სამოშიშეო ბოსლები ჩამოიარა და მოშიშე დედაკაცებს ახვევდა ტანზე ამ მიტკლებს. იყო ჩოჩქოლი და ერთი წვიელ-კივილი. ერთხელ საკუთარ სახლში სკოლა გახსნა და იქ ერთნაირად ასწავლიდა წერა-კითხვას ექვსი წლის ბალღებსა და იმათ უკვე ხავსმოკიდებულ პაპა-ბებიებს, მერე ეს ხელობაც შესწყვინდა და მაღაზიაში ნოქრად დაიწყო მუშაობა. მაღაზიაში ვაჭრობაში და ანგარიშში გაიწყფა და ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობის მოანგარიშე გახდა. იქ კი იმდენი ანხაკუნა საანგარიშო ჩოთქი, მანამ ბუღალტერთან და საწყობის გამგესთან ერთად ციხეში არ ამოყო თავი.

იმის შემდეგ დროც შეიცვალა და ცხოვრებაც. თხუთმეტი წელი ლესავდა ციხის კედლებს და როცა სოფელში სასჯელმოხდილი მობრუნდა, უკვე ალარ იყო სრულ ჭკუაზე.

ძალიან უკვირდა თავისი სოფლის ასე გამოცვლა. ადრე ასე არ იყოო, სულ იმას გაიძახოდა. ვეღარც ნაცნობ-მეზობლებს სცნობდა წესიერად. ვისაც შეხვდებოდა, გამარჯვების მაგიერ შეუძახებდა:

— არწიო!

და ეგ იყო მისი მისალმება.

მერე კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს შეუვარდა კაბინეტში და შეუძახა:

— არწიო! ჩემი ადგილი მინდა, არწიო!

— რა ადგილიო. — გაიკვირვა უცხო კაცმა.

— ჩემი სკამი და საანგარიშო ჩოთქი, არწიო!

უარი სტკიცა თავმჯდომარემ, ნაცნობს ვერ მოგანდობო სკამსა და ჩოთქს.

ძველი ხელობები გაიხსენა ბიბღიამ. ჯერ მეწისქვილედ უნდოდა ყოფნა, მაგრამ წყლის წისქვილები უკვე აღარსად იყო. აქა-იქ სახლის დერეფნებში ყოველშემთხვევისთვის შემონახული დოლაბებიღა ელაგა ხალხს.

მაშინ სკივრში გადანახულ ძველმანებში მღვდლის თუ დიაკონის ტანსაცმელი გამოქექა, ჩაიცვა და გაერია ხალხს. დადიოდა სოფელ-სოფელ და ხან ვის ეხვეწებოდა, ხან ვის:

— არწიო, ბალღი გეყოლება მოსანათლავი, არწიო!

ბალღები კი ისეთი სიცილ-ხარხარით დასდევდნენ უკან, რომ უკვირდა და თავისთვის დუგდუგებდა:

— ჩემ დროს ესე არ იყო არწიო, აბა!

ასე ხეტიალში გადაეწყდა ერთთ საფუტკრეს, რომელსაც აქა-იქ ირმის, ძაღლისა და ცხენის გადაცრეცილ-გადანაცრებული თავები ჰქონდა მიკრული. ისე მოეწონა ეს უცნაური საფუტკრე, რომ მთელი დღე თვალი ვეღარ მოსწყვიტა. იჯდა და შეჰყურებდა. საშინელი სანახავი იყო გამოხრულ თავებში დაკრეჭილი კბილები. ბიბღიას კი ისე მოსწონდა, საღამოხანს ყველაფერი კბილებად ეჩვენებოდა. ეჩვენებოდა რომ ფუტკრები კი არა, კბილები დფრინავენ, ყვავილებზე ხსდებიან და მერე ყვავილებიც კბილებს ემსგავსებიან.

გიდეონ ჩოხელი
მოთხრობები

ნოცრად მოუნდა დაეთვალა ეს კბილები, მაგრამ იმდენი იყო, რომ სათვალლავი აერია. წამოხტა და კოლმეურნეობის კანტორამდე თავბირისმტვრევით ჩაიარა დაღმართი.

აქოშინებულმა კანტორის კიბეზე აირბინა და კი არ შეაღო, შეანგრია თავმჯდომარის კაბინეტის კარი.

— არწიო! — დაიძახა და საანგარიშო ჩოთქს წამოავლო ხელი.

— სად მირბენინებ მაგ ჩოთქს შე გადარეულო!

— საანგარიშო გამიჩნდა, არწიო! — მიაძახა კარიდან თავმჯდომარეს და კი არ გაიქცა, გაფრინდა საფუტკრისკენ.

იმ დღის მერე დადის სოფელ-სოფელ, ყელზე ირმის რქებმომტვრეული თავი ჰკიდია, ზურგზე პატარა სამფეხა სკამი და იღლიაში საანგარიშო ჩოთქი აქვს ამოჩრილი.

დადის და ითვლის, რომელ სოფელში ვის რამდენი კბილი აქვს. სულ მისხალ-მისხალ ჩამოგიკაკლავს ამა და ამ დღეს ვის რამდენკბილიანი სტუმარი ესტუმრა.

თუ გზაში შეგხვდა, შემოგიძახებს:

— არწიო? — მოიცა, არწიო!

მეტი გზა არ არი, უნდა გაჩერდე. სკამს შემოგთავაზებს და უნდა დაჯდე. მერე შენ კბილებს დაითვლის, თავის ჩოთქზე და რაღაცას გადაინგარიშებს და თუ ოქროს ან ვერცხლის კბილი აღმოგაჩნდება, კმაყოფილი დაგრჩება. წავა და მეორე სოფელში შენ ქუბის იტყვის:

— ეს რა ვნახე, არწივებო, გაღმა სოფლებს ოქროსკბილებიანი სტუმარი მოუვიდა!

— ეს რა ვნახე, არწივებო!

ჰო, მაროლა, ძალიან სწყინს თავისი პირველი სახელი თუ დაუძახე.

— არა ვარ ბიბღიაი, არწიო, არა ირემია ვარ, ჩემო თავისავ, ირემია!

— ირემას ყველაზე კარგი კბილები აქვს, არწიო! ირემია ვარ, ირემია!

და იცის მისხალ-მისხალ ირემიამ, რომელ სოფელში რამდენი კბილია.

— მოიცა, ნითელაფი აბ ამბრეთ, ჩემო თავისავ!

— ჩემ სოფელში ... კბილებია, თავსწორებო! არწიო! მოიცა, არწიო!

●

შუადღისას დაბრუნდა შინ დათიკოს ცოლი, თან ის განთქმული ექიმბაში მოიყვანა რომელიც თურმე სასწაულებს ახდენდა და ახლა დათიკოს აიმედებდა, ხვალვე პეპელასავით მსუბუქად წამოფრინდებიო ლოგინიდან.

ბუბუნაურთ სახლის დერეფანში აუარება ხალხს მოეყარა თავი. მიწის მზომელებს მამულებისთვის თავი მიენებებინათ და სასწაულის საყურებლად შეკრებილიყვნენ დათიკოს ეზოში.

მარტო ბიბღიაი და ლოყი მარტია არ ეხწრებოდნენ ამ უცნაურ სანახაობას. სოფლის განაპირას, დანგრეული საყდრის კედელთან ისხდნენ და განცხადებას უწერდნენ მთავრობას.

ექიმბაშმა დერეფანში ღრმა ორმო ამოათხრევინა ხალხს და შიგ არყის ხის ცეცხლი დაანთებინა.

როცა მთელი შეშა ჩანაკვერცხლდა, რკინის ზედადგარი ჩადგა შიგ ექიმბაშმა, მერე იმ ზედადგარზე სკამი დადგა და ბრძანა, მთლად გაშიშვლებული დათიკო ჩაესვით ამ გავარვარებულ ორმოში, იმისი სიტყვებით რო ვთქვათ, გამოსაცხობ-გამოსაკვერავად.

დასვეს ორმოში ჩადგმულ სკამზე დათიკო და საგულდაგულოდ დაუფარა ზემოდან ექიმბაშმა. რაღა არ დააყარეს ზემოდან, რომ სიცხის ბუღი ორმოდან არ ამოსულიყო და კარგად გამომცხვარიყო დათიკო.

კარგა ხანს იყო ასე, რაღაცებს ულოცავდა ექიმბაში ზემოდან. ხალხი მოუთმენლად მოელოდა ორმოს გახსნას.

გავიდა რამდენიმე საათი და როგორც კი ექიმბაშმა ბრძანა, საბნები მოიმარჯვეთ და რომ ამოვიყვანთ დათიკოს, მოახვიეთ, რომ მეორედ არ გაგვიცივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღენო, ხელისკანკალით გადახადეს ორმოს.

სიცხის ალს გაეგუდა დათიკო ბუბუნაური. საშინელი ქვითინი მორთეს დიაცებმა. კაცებმა ფეხებმომწვარი კაცი ზემოთ ამოათრიეს და სარეცელზე დასაგენეს.

საღამომდე გაოგნებულ-გამტკნარებული იყო ხალხი. ხმის ამოღებას ვეღარავინ ახერხებდა. ჩუმად გაპარულიყო ექიმბაში. სიჩუმეს მხოლოდ ობობას ქსელში გაბმული კრაზანას ბზუილი არღვევდა.

საღამო ხანს კი მოირბინა ბიბღიამ და ხალხსშორის სარეცელზე გულაღმა გაწოლილი ძმა რომ დაინახა შეუძახა:

— არწიო! ადექი არწიო, გეყოფა ძილი. არწიო! არწიო!

მაგრამ ძმამ რომ ხმა არ გასცა, ისევ გარეთ გავარდა და გაღმა სოფელში მიმავალ სტუმარს აედევნა.

ასაფლავებდნენ დათიკო ბუბუნაურს. უცეტ სახლიდან განწირული ყვირილით გამოვარდა ირემია, ხელში თავისი სანანგარიშო ჩოთქი ეჭირა, საფლავებისაკენ მირბოდა, ჰაერში საანგარიშოს ატრიალებდა და განწირული ხმით ყვიროდა:

— ჰეი, ჰეი, არწივებო. მოიცათ, მოიცათ დამავიწყდა!

ისეთი შეშფოთებული სახე ჰქონდა ირემიას, რომ ხალხს შეეცოდა და გაშტერებულნი უყურებდნენ.

— დამავიწყდა, არწივებო, დამავიწყდა, მოიცათ, ჯერ არ დაეყაროთ.

— რა დაგავიწყდათ, ირემია.

— საათვალავი დამავიწყდა, არწივებო, საათვალავი.

ირემია საფლავში ჩახტა, ძმის კუბოს სარქველი გადახადა, ქვედა ტუჩი ჩამოიწია მკვდარს და საანგარიშო ჩოთქი მოიმარჯვა.

— **რას შვრება, შე ღვთისუბედურო!**

— **ამოდი, ნუ აცოდვილებ მკვდარს!**

— ამოდი-მეთქი, შე ბიბღია, შენ!

ირემია კი ამოსვლას არ აპირებდა, იჯდა და წყნარად ანგარიშობდა. მარტო ბიბღიას გაგონებაზე შეკრთა, ზემოთ ამოიხედა და თითქოს ხალხს შეეკითხა:

— ბიბღია არა ვარ თავსწორებო არა, ირემია ვარ, ირემია!

— ამოდი, ირემია, მიწას მოგიზომავთ.

— სად მომიზომავთ, არწივებო!

— სადაც შენ იტყვი, ირემია.

— რამდენს მომიზომავთ, გულისძმებო?

— ათას კვადრატულ მეტრს, ირემია.

— მაგდენი არ მერგება, არა, არწივებო!

— გერგება, როგორ არა.

— კანონით მერგება, თავსწორებო?

— კანონით, აბა რა.

— აღარ წამართმევთ მერე?

— არა.

ირემია საფლავიდან ამოხტა და გახარებულმა ცეკვა გააჩაღა.

— ეხლა კი ჩქარა, არწივებო, მიაყარეთ მიწა. მე არა მცალია, კაცი მყავს სანახავი. უჩემოდ მომიზომეთ, შორადაც არ გინდათ, გულისძმებო, აი. იმ თეთრ ტყემალთან მომიზომეთ.

ირემია ტყემლის დანახვაზე შეკრთა, კარგა ხანს უყურა და გულიანად ამოიოხრა:

— აფსუსს!

— რა იყო, ირემია!

— აფსუს, აი იმ ტყემლის ყვავილები როგორა ჰგავს კბილებს, ოჩხარიკვით არ არის სატიალე.

ერთხელ კიდევ გულიანად ამოიოხრა ირემიამ და თავპირისმტვრევით დაეშვა თავქვეთზე.

აფეთქებული გზაფეხული იყო. ქარში ცახცახებდნენ თეთრი ტყემლები.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ

ᲐᲜᲒᲔᲚᲣᲡ ᲡᲘᲚᲔᲖᲘᲣᲡᲘ

ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ

რა არის ღმერთი,
        არავინ იცის.
ის არც შუქია, არცა სული და არცა ნება,
არცა ის ერთი,
        რასაც კაცნი ღმრთეებას ვარქმევთ,
არც სიბრძნეა და არც სიყვარული,
არც რამ ნივთი და არც რამ უნივთო,
არც არსებაა, არც გრძნობაა და არც გონება.
იგი ისაა, რაც მე და შენ შეგვიცვნია,
როგორც ჩვენამდე ვერ შეიცნო ვერც ერთმა მოდგმამ.

ᲣᲡᲐᲮᲝ ᲘᲥᲛᲔᲜ

უსახო იქმენ, ბალღო ჩემო, ვითარცა ღმერთი
და სიწყნარეში თავად იქეც საკუთარ ზეცად.

ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ

სრული სიწმინდე უსახოა, უსიყვარულო,
ღვთის არსის დარად მოკლებული ყველა თვისებას.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ (ᲥᲜᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜᲘ)

არაფერია ღმერთი მართლაც და თუ რამეა,
ჩემშია მხოლოდ, რა სახითაც მან ამირჩია.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲢᲝᲗᲐᲑᲐᲜ ᲙᲧᲕᲐᲕᲘᲡ

რახან ღმერთმა გშვა, ღმერთივეა, შენში რომ ᲙᲧᲕᲐᲕᲘᲡ,
შენი ხიბლი და მშვენებაა მისი ღმერთობა.

ᲪᲐᲡ ᲜᲣ ᲨᲔᲙᲧᲣᲠᲔᲑ

ცას ნუ შეკყურებ, ადამის ძევ, ნუ გავიწყდება,
ღმერთი აქვეა, მიწაზეა, შენშია თავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასუფეველი შენშია

სად გარბი? შესდექ! შენშივეა სასუფეველი.
სხვაგან თუ ეძებ, საუკუნოდ დაკარგავ უფალს.

ზეცა იქცევა მიწად

ზეცა ეშვება, ახლოვდება, იქცევა მიწად.
მიწა როდისღა ამაღლდება, რომ ზეცად იქცეს?

ჰეშმარიტი ლოცვა

ლოცვა ისაა, როს მლოცველი მთელი არსებით
იმად იქცევა, რის წინაშეც მუხლმოყრილია.

ღვთის ხატი

მე ვარ ღვთის ხატი: თუკი ნებავს თავისი ხილვა,
მარტოდენ ჩემში და ჩემდაში შეიძლებს ამას.

ღმერთი არავის არიდებს თავს

აჰა, დალიე, რაც გნებავს და რამდენიც გნებავს,
მთელი ღმრთეება თავადაა შენი სალხინო.

სულიერი ზღვაოსნობა

ქვეყნიერება ზღვაა ჩემი, გვამი — ხომალდი,
გონი — მესაჭე, სული — მგზავრი შინ მიმავალი.

ასოს სხეულის არსი აქვს

თუკი ღვთის სწორი არ გაქვს გვამი, სული და გონი,
როგორღა გინდა იყო რტოი ქრისტეს ტანისა?

მშვენიერება

მშვენიერება სინათლეა; თუ ნათელს ჰკარგავ,
მახინჯი ხდები, შესაზარი სულით და ხორცით.

საუკეთესო მეგობარი და უსასტიკესი მტერი

სხეული ჩემი — მეგობარი და მტერი ჩემი—
მბოჭავს და მაბამს, რაგინდ კარგიც არ უნდა სწადდეს.
თან მძულს, თან მიყვარს და როს გაყრის დადგება ჟამი,
მას გავეცლები სიხარულით და მწუხარებით.

განწმენდა

ღმერთს აენთება ჩემი გვამი ვითარცა ლალი,
სიბიწე მისი თუკი ცეცხლში ჩაიფერფლება.

ქრისტეში ვმაღლდებით

რაკი ანგელოსთ მაცხოვარმა ჩემმა აჯობა,
მეც შემიძლია, თუ ვისურვე, მათ აღვემატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულაქო კაცი ანგელოზზე მეტია

ანგელოსობა ხომ ბევრს ნიშნავს? — უფრო მეტია,
იყო კაცი და ქვეყნის ჭუჭყი ვერ მოგეკაროს.

არწივი მაღლა ფრენს

ვინც არწივია, დიახ, ძალუძს მას ზეავარდნა,
სერაფიმთ მიღმა გადალახვა ათასი ცისა.

ერთი — მეორეში

მე რა ვარ უღმრთოდ, ან უჩემოდ რა არის ღმერთი?
მე ნათელს ვაფენ, იგი უცხო მშვენებით მმოსავს.

ღმერთი — ჩემით, მე — მისით

ჩემთვის ღმერთიც ხარ და კაციც ხარ, შენთვის კაციც ვარ
და ღმერთიცა ვარ, შენ მიფარავ, მე წყურვილს გიცხრობ.

ვრცელი ვარ ღვთისებრ

ვრცელი ვარ ღვთისებრ: ამა სოფლად რაა ისეთი,
რაიც მომიცავს თავის თავში და შემომფარგლავს?

წვიდათა წვიდა

არაა ქვეყნად უფრო წმინდა სასუფეველი,
ვიდრე გვამია, უცოდველი სული რომ უდგას.

ის უნდა იყოს, რაიც ღმერთია

დასასრულის და დასაბამის თუ მმართებს პოვნა,
ვით ღმერთი ჩემში, მეც ღმერთშივე უნდა დავფუძნდე
და იმად ვიქცე, რადაც თავად ის გვევლინება:
სიტყვაში სიტყვად, შუაში შუქად, ღმერთში ღმრთეებად.

სულიერი მთა

მთაი ვარ ღმერთში, ჩემსავ თავზე მიხდება ასვლა,
რათა იქ ღმერთმა სანატრელი მიჩვენოს სახე.

სულიერი სულამითი

ღმერთია ჩემი სოლომონი, მე — სულამითი,
ოდეს, ტყვექმნილი, მთელი გულით ვეტრფი და მეტრფის.

სიყვარული არ ელტვის საზღაურს

ღმერთი თუ გიყვარს და ამისთვის საზღაურს ელი,
ჯერ არ გცოდნია, საცოდავო, ტრფიალის გემო.

სიყვარული აიძულებს ღმერთს

თუ არ ინებებს ღმერთი ღმრთაზე ჩემს აღზევებას,
მე სიყვარულით ვაიძულებ, რომ აღმაზეოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის სიფართოვე

ვიწროა ჩემთვის ეს სოფელი, მცირეა ზეცა,
მაგრამ სად პოვოს სულმა ჩემმა სხვა სამყოფელი?

ღმერთი ყველაფერს ვერ სჩადის მარტო

ღმერთი სამყაროს, მან რომ შექმნა, დააქცევს კიდეც,
მაგრამ ვერასგზით ვერ აღადგენს ჩემს უნებურად.

ადამიანში ძვს ყოველივე

როგორ მოგთხოვო, ადამის ძევ, რამე ჰქნა კიდევ?
შენში გიპყრია ღმერთიცა და ნივთი ყოველი.

უბრძოლველად ვერ დაიდგამ გვირგვინს

ბრძოლის ველზე ხარ საწუთროში და ვერასოდეს
დაიდგამ გვირგვინს, ღირსეულად თუ არ იომე.

შენს თავზედ ამაღლდი

საკუთარ თავზედ თუკი შენს გონს ვერ აამაღლებ,
ღირსი არა ხარ ატარებდე კაცის წოდებას.

შემთხვევა და არსი

არსებითს მიჰყევ, ადამის ძევ! ყველა შემთხვევას
წარხოცს სოფელი, ხოლო არსი წარუვალია.

ბრალი შენია

თუკი მზის ცქერა, ბალღო ჩემო, შეგიშლის სახეს,
თვალს დაამრალე შენსას, არა სინათლის ძალას.

შინა ხარ პირველი ცოდვილი

ჩუმად, ცოდვილო, ბრალს ნუ დასდებ ადამს და ევას,
მათ რომ არ ექნათ, შენ იზამდი იმავე საქმეს.

სიცოცხლე და სიკვდილი

სიცოცხლეს რომ შობს, დიდებული ის სიკვდილია.
სიკვდილს რომ მოსდევს, ის სიცოცხლე — უზენაესი.

თავად უნდა იფხიზლო

გმართებს ღვთის წიაღ, ქრისტიანო, თავად იფხიზლო,
ძილს თუ მინებდი, ზმანებებში ჩაიკარგები.

სიყვარული

სიკვდილს ედრება სიყვარული: გვიმუსრავს გრძნობებს,
გულს გვინადგურებს და გონს აცლის ქვეყნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი

ვაგლახ, ამ კახპას კაცი მაინც რომ ეტანება!
ღმერთთან მივყავართ ღმერთს, ეშმაკთან გვაბამს სოფელი.

უდიდებულესი კაცი

უდიდებულესს, რაც კი ძალგიძს წარმოიდგინო,
წმინდად და ნაღდად წარმოგიჩენს ღატაკი კაცი.

თავისუფლება

თავისუფლებავ, ვინც არ გეყმო, კეთილშობილო,
იმან რა იცის, თუ რას ეტრფის შენი მიჯნური.

წუთისოფელი — სამწუხარო სანახაობა

თუმცა სოფელი — აღიარე, მოყვასო ჩემო, —
თავის საქმეებს, როგორც ნებავს, ისე აგვარებს,
მის ძალისხმევას ერთნაირად სხვა რაღა ეთქმის,
თუ არა ოდენ სამწუხარო სანახაობა?

ფარული ცადგამგზავრება

საკუთარ თავზედ თუ ამაღლდი და ღმერთს ემონე,
გამგზავრებულხარ შენი გონით ცის სავანეში.

ქრისტე

სასწაულია! ქრისტე არის კრავიც და მწყემსიც,
ოდეს ჩემს სულში კაცის სახით ღმერთი იშვება.

ყველაზე დიდი სასწაული

ყველაზე დიდი სასწაული კაცია მაინც:
სურს, ღმერთი ხდება თავის საქმით, სურს, ეშმა ხდება.

შენშია, რაც შენ გინდა

ორივ შენშია, ქვესკნელიც და სასუფეველიც;
რასაც აირჩევ და ინებებ, ჰპოვებ ყოველგან.

სულის თვალნი

ორი თვალი აქვს ჩემს სულს: ერთი ჟამიერს უმზერს,
ხოლო მეორე უსწორდება მარადისობას.

მრთი უფსკრული ჰკითხავს მეორეს

ყვირილით ჰკითხავს ხოლმე ჩემი გონის უფსკრული
მეუფის უფსკრულს: მარქვი, ვინ არს ჩვენგან უღრმესი?

გერმანულიდან თარგმნა **ოთარ ჯინორიამ**

ანგელუს სილეზიუსის სახე კარგი პორტრეტული გამოსახულებითაა მოღწეული. XVII საუკუნის სიღრმიდან დაძახული, ნაავადმყოფური და ეგზოტიკურებული სახის ადამიანი მოგვჩერებია. იგი შემკრთალია და ნაცივებია, როგორც პანი კარეგოს. იმავე ეპოქის ტალღაზე.

მის გულგატეხილობაზე სვედჩაბუდებული თვალები მეტყველებენ. მათ თითქოს ჯერაც არ მოუცია-ლებიათ მზრა ცხოვრების რაღაც შემზარავი სანანობისათვის.

ამგვარ სანანობათა მოსაძიებლად ანგელუს სილეზიუსს, ისევე როგორც XVII საუკუნის სხვა ევროპელს, შორს წასვლა არ ესაჭიროებოდა. მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები 30 წლიანი ომის უკვე „დანიური“, „შვედურ“ და „ფრანგულ“ პერიოდებზე მოდის.

ანგელუს სილეზიუსი, სილეზიელი ექიმის, იოჰან შუფლერის ფხვიდონინია. იგი 1624 წელს დაიბადა გერმანული პროტესტანტული ოჯახში. დაიბადა ისტორიული განსაცდელებით აღსავსე ეპოქასა და კატასტროფის წინაშე მდგარ ქვეყანაში.

დამპყრობლებად და მაწოლებლად აქ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: ესპანელები, შვედები, ფრანგები, დანიელები. ყოველივეს თან ერთოდად ლანდს-ენეტების აღვირახსნილი მძვინვარება. ამ დროის გერმანია დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც გურამიშვილის მიერ დახატული ქართველის სურათი:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლეკიები,
ფიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ ყველამ წაჰკრა
თითო ქიშტი!

ქართველი ისტორიკოსის სიტყვები, დაიწყო „მალიადი ცვლილებანი დამპყრობელთანა და განუგეთა“, ზუსტად შეესატყვისება ანგელუს სილეზიუსის ერის ანალოგიურ სურათს.

ქვეყანა მოუშუშებელი ჭრილობებისა და უთავბოლო ომების აგონიაში იხუთებოდა. მისი მიწაწყალი პატიჯაყრილობისა და უცხოელთა თავაშვებული კადნიერების ასპარეზად იქცა. კთოოლეკე სარდლის, ტილლის მიერ მარტო მაგდებურგის აღების დროს, (1631) უკლებლივ იქნა ამოხოცილი ქალაქის ყველა პროტესტანტი მცხოვრები. ირგვლივ საყოველთაო უსამართლოება და განუკითხობა მძვინვარებდა. ისმოდა გლოვის ზარი. განადგურდა მშვიდობიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ბავარიასა და ვიურტემბერგში ამ შეფარდებამ ცხრა მეათედს მიაღწია.

დაშლილი და დაქუცმაცებული გერმანია ამ ოცდან 1648 წლის ვესტფალიის ზავით გამოვიდა.

ქართველი მეცნიერისათვის ეს პარალელი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ისტორიული ანალოგია. მის მიღმა შესაბამისი სულიერი ნათესაობისა და კულტურის ტიპოლოგიაში გამოხატული ერთიანობის სურათი იკვეთება.

თეიმურაზ I, არჩილის, საბას, ვახტანგ VI, გურამიშვილის მოტივებსა და სტილის მაგალითზე დაკვირვებულმა მეცნიერემ არ შეიძლება „ეუფლებოდეს“ ეს ეპოქა. ეს ეპოქა, ეს ეპოქა, ეს ეპოქა,

ორი თვალი აქვს ჩემს სულს: ერთი ყამირს
უმზერს,
ხოლო მეორე უსწორდება მარადისობას. —

მას შეიძლება გაახსენდეს დ. გურამიშვილის —

ორი გიყის სატრფიალო, ორივ გამინჯეო,
რომელიც ჩნდეს უფრო მკვიდრად. მას
გპღიუჭეო.

ცხადია, ამგვარი პარალელები სხვა პოეტებთან და სხვა პოეზიაშიც უნდაა. მაგრამ საქმე პარალელები როდია. მოტივების, სტილისა და მსოფლმხედველობის ასეთი ნათესაობის მომენტი აქ იმ დიდ ისტორიულ, გლობალურ ტიპოლოგიაზე მეტყველებს, რომელმაც კულტურის სფეროში თავისი სიჩვ და არსებობა ბაროკალური ფორმებით დაადასტურა.

სამყაროს დუალისტური აღქმა, სიფლის მოძალების, ტანჯვის, ეროტიკისა და მისტიკის გამოსახვის სფეროში ემპლემატიკისკენ სწრაფვა და სხვა ის ნიშნები, რითაც მიროკის ტიპის კულტურა და ლიტერატურა ხასიათდება ჩვენშიც და სხვებშიც.

ასეთი იყო ამ ტიპის მწერლობისადმი, კერძოდ ანგელეს სილეზიუსისადმი, მთარგმნელის ინტერესის ერთი ასპექტი.

მეორე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი კი საკუთრივ ანგელეს სილეზიუსის პოეზიის ეკზისტენციალისტური პათოსისადმი თანამედროვეობის ინტერესია. და მართლაც, იმ საყოველთაო კრიზისისა და შეშფოთების ეპოქაში, როდესაც გაქარწყლდნენ რენესანსიდან ნაანდერძევი ფასეულობანი ადამიანის სიდიდისა და სხვა ღირებულებათა შესახებ, როდესაც ადამიანი დათრგუნა შუა საუკუნეების ფასეულობიდან გამოზიდულმა ეკლეზიასტურმა პესიმიზმმა, ანგელეს სილეზიუსის პოეზიის ემირი ინარჩენებს ღმერთთან მეტაფიზიკისა და თავისებური სწორფრობის იდეას.

ანგელეს სილეზიუსის პოეზიის ეს თვისება მისადმი თანამედროვეობის ინტერესის ერთ-ერთი მიზეზია.

გიორგი გაჩეჩილაძე

სპარტაკ რეხვიაშვილი

იაკუტი ხალხის მეგობარი

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას დრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი წარმოიშვა და გამოიწრთო მათი ერთობლივი ბრძოლით, რომელიც მიმართული იყო საერთო შინაური მტრის — მეფის, მემამულეების, ბურჟუაზიისა და აგრეთვე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

იაკუტიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლების ისტორიის მატიანეს შემოუნახავს მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და შედნერებისათვის მებრძოლ მრავალ ქართველ რევოლუციონერთა სახელი, რომელთა გმირულმა საქმიანობამ დაჩრდილა ყველა მათი და ლეგენდა, რაც კი მანამდე ხალხს სმენია.

ამ სახელოვან რევოლუციონერებს შორის გამოირჩევა გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე, რომლის მშვენიერი, მაღალი აზრით აღსავსე ცხოვრება უქრობ ჩირაღდნად ანთია, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეებისადმი თაობათა ერთგულების სიმბოლო. ახეთი გმირების ცხოვრებას ვერაფერს აკლებს დრო.

ს. ორჯონიკიძე თავისი უბრალოებითა და დაუცხრომელი რევოლუციური საქმიანობით დიდ გავლენას ახდენდა მშრომელ მასებზე. იგი განსაკუთრებული პრინციპულობით მოითხოვდა ხალხთა შორის ლენინური მეგობრობისა და საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას. საუკეთესო პირადი თვისებებით მაგალითს აძლევდა ყველას. ამიტომ იყო, რომ მას მუშათა წრეებში მრავალი პატივისმცემელი, დამფასებელი და ერთგული მეგობარი ჰყავდა. ს. ორჯონიკიძეს მეგობრობა და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ჩვენი პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებთან: ვ. ი. ლენინთან, ი. ბ. სტალინთან, ი. მ. სვერდლოვთან, ფ. ე. მერჟინსკთან, ს. მ. კიროვთან, მ. ი. კალინინთან და სხვებთან.

ს. ორჯონიკიძის საუკეთესო პირადი თვისებები და რევოლუციური შემართება მკაფიოდ გამოვლინდა შორეული იაკუტიის გადასახლებაში, სადაც გატარებული დღეები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება მისი რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიაში.

1916 წლის გაზაფხულზე ს. ორჯონიკიძეს იაკუტიაში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. იმ დროს უბრალო თეთრ ლაქად აჩნდა იაკუტიის მიწა რევოლუციამდელი რუსეთის რუკას. თითქმის შეიძლებოდა ჩამოგვთვალეთ დასახლებული პუნქტები.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, მეფის თვითმპყრობელობის დროს, როცა ციმბირი მუდმივი გადასახლების, დევნისა და კატორღის მხარედ ითვლებოდა.

1916 წლის 14 ივნისს ასე იძულებით მიჰყავდათ სერგო ამ „ყინულეთის შემოუღობავ ციხეში“, იგი რვა თვე იმყოფებოდა გზაში; მდინარე ლენაზე ბარჯთ მიჰყავდათ პატიმრები, ბარჯა ტივზე იყო მიმაგრებული და იგივე ციხეს წარმოადგენდა. ასე“ დიდი ხნის მტანჯველი და შეურაცხმყოფელი მოგზაურობის შემდეგ ს. ორჯონიკიძე და სხვა პოლიტგადასახლებულები ქ. იაკუტსკში ჩაიყვანეს.

რევოლუციური საქმიანობის ახალი ძალით გაჩაღებისა და მშრომელ მასებთან კავშირის დამყარებისათვის სასურველი იყო სერგოსათვის პროფესიის მიხედვით ქალაქის საავადმყოფოში შესაფერი სამუშაო გამოეკებინათ. ეს, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან იგი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საშიშ დანაშაულად იყო

მიჩნეული. გუბერნატორმა მოითხოვა სერგო გაეგზავნა შორს ვილუისის ოკრუგის სოფ. ნიერბში[1].

იაკუტსკის ახალგაორლმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გააჩაღა ბრძოლა გადასახლებიდან ს. ორჯონიკიძის დასახსნელად. იაკუტიის საოლქო სამემნი უბნის ინსპექტორის შემცველი ექვიმი ბიკი, ექიმი იუდანი და ქალაქის საავადმყოფოს გამგე ა. ობრახეოფი, რომლებიც ბოლშევიკებს თანაეგრძნობდნენ, სახელგანთქმულ რევოლუციონერს ე. იაროსლავსკის აცნობეს, რომ მეფის ხელისუფალთ გადაწყვეტილი აქვთ სერგოს შორეული ვილიუსის მხარის სოფელ ნიერბში სამუშაოდ გაგზავნა.

სოფელი ნიერბი მდებარეობდა იაკუტიის შორეულ ტუნდრაში, იაკუტსკიდან 700 კილომეტრის დაშორებით, სერგოს იქ გაგზავნა მისი გადასახლებიდან გადასახლებას ნიშნავდა. იაკუტსკელ რევოლუციონერებს კარგად ესმოდათ, რომ თუ მეფის ხელისუფლება სერგოს მიმართ ამ მკაცრ ღონისძიებას გაატარებდა, იგი მთლად მოწყდებოდა ამხანაგებსა და მეგობრებს და დიდი ნნთო ჩამოშორებდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას, ამასთან იგი განწირული იქნებოდა შემზარავი მარტოობისათვის.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მეფის მოხელეები სერგოს შორს გადასახლებას უმზადდებდნენ. თავის მხრივ, ბოლშევიკებიც გაექანურნენ ს. ორჯონიკიძის დასახსნელად. პოლიტგადასახლებულებმა შუამდგომლობით მიმართეს ქალაქის საავადმყოფოს გამგეს, რომელიც 1916 წლის 4 ივლისს ასეთივე შუამდგომლობით მიმართავს იაკუტსკის ვიცე-გუბერნატორს:

„იაკუტსკის საოლქო საავადმყოფოში ექიმებისა და ფერშლების ნაკლებობის გამო ვთხოვ თქვენს აღმასტებულებას დანიშნონ ნემდამი რწმუნებული საავადმყოფოში სამუდამოდ გადასახლებულთა წესებასთან ერთად ახლახან მოსული მედიცინის ფერშალი ორჯონიკიძე, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიგზავნოს ვილიუსის ოკრუგში“.

ბოლშევიკების მეცადინეობამ მიზანს მიაღწია, მათი ზეგავლენით გუბერნატორი დათანხმდა შეეცვალა გადაწყვეტილება სერგოს ნიერბში გაგზავნის შესახებ და დროებით დატოვა იგი ქ. იაკუტსკში.

1916 წლის 20 ივნისს ს. ორჯონიკიძე თხოვნით მიმართავს ქალაქის საავადმყოფოს მთავარ ექიმს ფერშლად დანიშვნის შესახებ. სერგოს თხოვნა დააკმაყოფილეს და იგი დანიშნეს საქალაქო საავადმყოფოს ფერშლად.

ქ. იაკუტსკში ამ დროს 400-ზე მეტი პოლიტგადასახლებული იმყოფებოდა. აქ იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები ე. იაროსლავსკი, გ. პეტროფსკი, კ. კირსანოვა და სხვ., რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთიერთდამხმარე სალარაში. სინამდვილეში, ეს იყო ადგილგარეული პოლიტიკური ორგანიზაცია.

ე. იაროსლავსკი იაკუტსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი იყო, იგი იქვე მუზეუმის ეზოში, ერთ პატარა ხის ძველურ სახლში ცხოვრობდა მეუღლე კლავდია კირსანოვასთან ერთად. მათთან თავს იყრიდნენ გადასახლებული ბოლშევიკები, რომლებიც აკეთებდნენ მოხსენებებს, საუბარი ჰქონდათ ომზე, მოახლოებულ რევოლუციაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ს. ორჯონიკიძეც ჩვეული ენერგიით გაიჩაღა რევოლუციური იდეების პროპაგანდა პოლიტგადასახლებულებს, მკირფრიცხოვან მუშებს, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის დემოკრატიულ ნაწილს შორის.

სერგომ თავისი უბრალოებით და მგზნებარე რევოლუციური შემართით იაკუტსკში ჩასვლისთანავე მიიპყრო პოლიტგადასახლებულთა და ადგილობრივი მკვიდრი მშრომელი მასების ყურადღება, რომლებმაც იგი მალე გაითვალისწინეს. ს. ორჯონიკიძე გამედოლად ამხელდა რევოლუციის მტრებს, მეფის მოხელეების ხრიკებს, ღრმა დასაბუთებული კრიტიკის ჭარცცხლში ატარებდა ესერებს, მენშევიკებს და მემარჯვენე ოპორტუნისტებს მცდარ დებულებებს.

„მე მახსოვს, — იგონებს ე. იაროსლავსკი, — თუ სერგო, როგორ ხარბად ეწაფებოდა ახალ პოლიტიკურ ამბებს. იაკუტსკში ცხარე ბრძოლები წარმოიდგა ესერებსა და ბოლშევიკებს შორის. სოციალისტური რევოლუციის მოწინააღმდეგეების დაეძინებელი მტერი იყო სერგო. მისი ასეთი პრინციპულობა და შეურიგებელი ხასიათი განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ახდენდა მერყევ ელემენტებზე, აფხიზლებდა და აწერ გზაზე აყენებდა მათ[4].

„სერგოს საუბარი — წერს კ. კირსანოვა, — გაფიცნილი იყო დიდი და გაბედული რევოლუციური აზრებით. მისი სიტყვის ძალა იმდენად ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მასებზე, რომ წინ წევდა და აჩქარებდა რევოლუციის შემდგომ მსვლელობას“ [5].

ს. ორჯონიკიძე პოლიტგადასახლებულთა კრებებზე ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით. იგი ლენინური, ბოლშევიკური მგზნებარებით, შთაგონებითა და დამაჯერებლობით განუმარტავდა მსმენელებს მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხასიათს. ყოველთვის უყოფმანოდ და უერყვნი პრინციპულობით იცავდა ლენინურ პოზიციას ომის, ზავის და რევოლუციის საკითხებში.

ე. პავლეკაის მოგონებაში ვკითხულობთ: „სერგო გულახდილად გვიყვებოდა თავის

ცხოვრებისა და მუშათა განთავისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლების ამბებს. ჩვენ პირველად მისგან გავიგეთ ვ. ი. ლენინის, პრაღის კონფერენციის, ცხლებსა და გადასახლებაში რევოლუციონერების ძმობე მდგომარეობის შესახებ. გვიამბობდა შლისელბურგის ციხის პატიმრობაში გატარებულ საშინელ დღეებზე. ჩვენ სერგოს საშუალებით გავეცანით მზიერ საქართველოს, რომელსაც ის ყოველთვის სიყვარულით იხსენიებდა[4].

„სერგო, — წერს ზ. ორჯონიკიძე, — მოგვითხრობდა შორეულ მოსკოეზე ბატერზე, კაკასიაზე, რუს მუშებსა და ბოლშევიკურ პარტიაზე. საქართველო მის სიუბარში ელავდა, როგორც მარადიული მზის ქვეყანა[5].

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ცნობილი გახდა ს. ორჯონიკიძის აქტიური რევოლუციური საქმიანობა, მოსალოდნელი იყო მის მიმართ მკაცრი ზომების გატარება, ამიტომ მეგობრების რჩევით, 1916 წლის 1 აგვისტოს ს. ორჯონიკიძე თხოვნით მიმართავს იაკუტსკის საქალმო ინსპექტორს სოფელ პოკროვსკის საავადმყოფოში ფერშლად მისი გადაყვანის შესახებ. ამით სერგო ცდილობდა თავდან აეცილები ახალი მკაცრი სასჯელი და თან ქალაქიდან დაშორებულ სოფლის ღარიბ მოსახლეობაში ფართო საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გაეშალა.

სერგოს თხოვნა ამჟერადაც დაკმაყოფილებული იქნა. იგი დაინიშნა იაკუტსკიდან 90 კილომეტრზე დაშორებულ სოფელ პოკროვსკის საავადმყოფოში ფერშლად. აქ ს. ორჯონიკიძე აღმოჩნდა ერთადერთი პოლიტგადასახლებული. მას მეთვალყურეობას უწევდა პოლიციის ზედამხედველი პრიტასოვი.

პოკროვსკის საავადმყოფო წარმოადგენდა სამედიცინო მომსახურების ცენტრს და ემსახურებოდა „ზარმაზარ ტერიტორიას, რომელშიც თითქმის მთლიანად შედიოდა დასავლეთ კანგალასის ულუსის რუსი და იაკუტი მოსახლეობა სოფელ სინსკამდე. ეს ადგილი პოკროვსკიდან დაშორებული იყო 150 კილომეტრით. სოფელ პოკროვსკში 10 თუ 11 ღარიბი რუსი და იაკუტი გლეხის ოჯახი ცხოვრობდა, რომლებთანაც სხვადასხვა დროს შეხიზნული იყვნენ პოლიტგადასახლებულები. სოფელში იყო სატელეფონო განყოფილება, საფოსტო სადგური, თემის სამმართველო, ეკჯარ ივანოვეკის დუქანი, საზეადმეფეველო ნაწილი, საყდარი, საავადმყოფო, დაწყებითი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა ზანაიდა პავლუკაია, რომელიც რუს და იაკუტ ბავშვებს ასწავლიდა დიდი სიყვარულით და მონდომებით, ამიტომ მას ყველა პატივისცემით მოიხსენიებდა სოფელში. ახალგაზრდა მასწავლებელს მხოლოდ მეფის მოხელეები ვერ უყურებდნენ კარგი თვალით.

„იაკუტსკიდან, — იგონებს ზ. ორჯონიკიძე, — პოკროვსკში ხშირად მდგიოდნენ რევოლუციონერები, ალბათ იყნოსავს, სამრევლო სკოლაში სწავლებელი ქალი ხშირად ხედავს გადმოსახლებულებსო. — ერთხელ, დასძენს იგი, — ჩემთან მოვიდა არქეელი. ის ძლიერ უკმაყოფილო დარჩა რომ ჩემი მოწაფეები ცუდად იძლეოდნენ სალამს და ცუდად იწერდნენ პიროგრამს. მან სასტიკი შენიშვნა მომცა და ეურნალშიც ჩამიწერა სათანადო გაფრთხილებაშ.

მამაცი მასწავლებელი უშიშრად მონაწილეობდა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობაში. 1915 წლის საპირველმისაო დემონსტრაციაში იგი წინა რიგებში იდგა და სხვა მოწოდავე ახალგაზრდებთან ერთად შშრომელ მოსახლეობას უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მას მეტად ახლო და გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა პოლიტგადასახლებულებთან. პოკროვსკში სერგოს ჩასვლამდე პავლუკაიების ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმრები ყოფილან სხვა გადასახლებული რევოლუციონერებიც. მათ ამ ოჯახში იზიდავდა ჯანსაღი პროგრესული სულისკვეთება, ისინი თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ხარაბად სარგებლობდნენ იმ წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით, რომლებიც პავლუკაიების საოჯახო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ბუნებრივია, რომ ასეთი ოჯახი სერგოს ყურადღებასაც მალე მიიქცევდა. ეს ასეც მოხდა. სოფელში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა პავლუკაიების ოჯახს.

ერთ დღეს სერგო სკოლაში მივიდა ბავშვების ასაკრეფად. აქ გაიცნო და დაუახლოვდა მასწავლებელ ზანაიდა პავლუკაიას, რომელიც შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე მისი ერთგული მეუღლე და თანამებრძოლი გახდა.

თუ როგორ მოხდა ს. ორჯონიკიძისა და ზ. პავლუკაიას პირველი გაცნობა, ამის შესახებ თვით ზ. პავლუკაია წერს: „მე ახალ ფერშალს ჩემი მოწაფეებმა ყვავიილის აკრის დროს გავეცანი. განმაცვიფრა იმან, თუ რა ყურადღებით და სიყვარულით ჩაატარა ეს პროცედურა. არც ერთ ბავშვს ოდნავადაც არ შეშინებია[6].

სერგოს თავმდაბლობა და კაიკაცობა მალე ცნობილი გახდა ღარიბი იაკუტი და რუსი მოსახლეობისათვის. ამიტომ ხშირად მიდიოდნენ მასთან, მთელ სალამოს სკა-ბაასში ატარებდნენ. სერგო ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობოდა შრომელი იაკუტების ყოფა-ცხოვრებას, ნადირობისა და მეურნეობის განვითა-

სპარტაკ რეხვიაშვილი
იაკუტი ხალხის მეგობარი

რების მომსახურეობის წევრ-ნევეულებმა. ს. ორჯონიკიძეს, როგორც ფერშალს, განსაკუთრებული ყურადღებიერი დამოკიდებულება ჰქონდა ავადმყოფად და დავრდომილ იაკუტებთან.

ს. ორჯონიკიძეს პაპელეკაციების ოჯახში გაცვლის იაკუტი მოსახლეობის ძმიმე მდგომარეობა. რომ იაკუტები მოკლებული იყვნენ სამედიცინო და სანიტარიულ მომსახურეობას, რაც მთავარი მიზეზი იყო მათი ავადმყოფობისა და ხშირი სიკვდილიანობისა. იმ დროედან იგი განსაკუთრებული ყურადღებიერებით შეუდგა ღარიბი იაკუტი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ზრუნვას.

ძმიმე და აუტანელი იყო იაკუტი და რუსი გლეხების ცხოვრება, თავისი პირველი საქმიანობის გარდა, პოკროსკელი გლეხი დასაქმებული იყო აგრეთვე ქრონი, ტეირთის გადატანით და სოფლიდან იაკუტსკამდე მგზავრების გადაყვანით. სიფოსტო გაწყოფილებასთან ხელშეკრულებით მეფის ჩინოვნიკებისათვის გლეხებს უმნიშვნელო გროშების ფასად ცხენებით გადაკვნილდათ ფოსტა, გადაჰყავდათ მგზავრები, იაკუტსკის გრძელ გზაზე განლაგებულ სადგურიდან სადგურამდე, რომელიც გაყოფილ მდინარე ლენაზე მიემართებოდა. ზამთრის პერიოდში წყლიწყდის ცხრა თვის მანძილზე ტრანსპორტის ასეთი სახეობა ერთადერთი საშუალება იყო მგზავრთა გადაყვანგადმოსაყვანად, თუ ტვირთის გადაზიდვა-გადმოსაზიდად. ხშირი იყო შემთხვევა, რომ კორესპონდენტიკა ეკარგებოდა გზაში, ან გზაზეთები დაგვიანებთან მოჰქონდათ სოფელში. ასეთ რიელ და ძმიმე პირობებში ხორციელდებოდა საფოსტო კავშირი იაკუტსკსა და პოკროვსკს შორის. მხოლოდ ზაფხულში ეოტანხინი ამოქმედდებოდა მდინარე ლენაზე ნიმოსადგომი, გემებს ჩამოჰქონდა ტურნალ-გაზეთები, ჩამოყავდა მგზავრები, რომლებსაც მოჰქონდათ ახალი ამბები, ამიტომ იყო, რომ ყოველი გემის მოსვლა მოსახლეობაში დიდ სიხარულს იწვევდა.

„ჩვენს მიყრუებულ სოფელში, — იგონებს ზ. ორჯონიკიძე, — გემის მოსვლა ერთადერთი გასართობი იყო. გემს მოჰქონდა ახალი ამბები რუსეთიდან, გემით მოდიოდნენ ახალი ადამიანები, ეს ჩვენთვის დღესასწაული იყო"[10].

პოკროვსკში არ იყო არც ერთი საწარმო, არ იყვნენ მუშები, არავინ იყო ს. ორჯონიკიძის იდეური თანამბრაზველი, სულიერი ქომაგი, რის გამოც პორეულ უცხო მხარეში მისი ცხოვრება და რეეოლუციური მოღვაწეობა უადრესად მოსაწყენი და უშინაარსო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა.

ე. შოროკოვა-დიკეევნა გადმოგვმოთ, მიეზხედავდ ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრებისა, ს. ორჯონიკიძე სოლრაფ მხიარული და თავაზიანი იყო ყველას მიმართ, მას უყვარდა ხუმრობა ავადმყოფებთან, მისი ცოცხალი სახე და ენერგიული ფეხვლები, მეფეთ მისი მდიდარი მიმიკა გადამეგზავნილნ ,ტალ ხრომელი რეეოლუციონერის უშრეტ ენერგიას[11].

ს. ორჯონიკიძეს უყვარდა შრომელი იაკუტი ხალხი და სწამდა მისი მომავალი: ის არასოდეს ეეემოდა სულით და მუდამ აღსავსე იყო იმედისა და გამარჯვების რწმენით; დინჯად ზედეზმოდა ყოველგვარ საშიშროვნის და სიძნელეს. იყო რა უადრესად ჰუმანური, თავაზიანი და კეთილი ხასიათის, ს. ორჯონიკიძე ყოველთვის სათუთად და გულისხმიერად ეპყრობოდა სხვის გრძნობებსა და საჭიროებებს. ის დადად ადასებდა ადამიანის სიცოცხლეს. იყო გულმართალი და პატიოსანი, თუ საქმე მოითხოვდა, ავადმყოფს ზოგჯერ ღამეს უთენდა; ადამიანი, რომ ეხსნა დაღუპვისაგან, ძალსა და ღონეს არ იშურებდა.

განსაკუთრებულ სიყვარულსა და მზრუნველობას სერგო ბავშვებისადმი იჩენდა. ხშირად გაიგონებდით მისგან საალერსო სიტყვებს: „ჩემი პატარა გოგონა", „შენ ხედავ, რა შესანანშავი ბავშვია", „ეს გოგონა მშობლების გამხარებელი იქნება", „ამ ბიჭუნას დიდი მომავალი აქვს" და სხვ.

კეთილმა მკურნალმა მალე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა ადამიანმა და მზრუნველმა ფერშალმა, ამიტომ ხშირად იწვევდნენ მას ავადმყოფის გასასინჯად და სამკურნალოდ, იმედი ჰქონდათ, რომ ახალი ფერშალი გაჭირვებაში არავის მიატოვებდა და ყველას შესაფერის დახმარებას გაუწევდა. პოკროსკელები ღღესაც კეთილად მოიგონებენ სერგოს. აქებენ მის ხელმარჯვე ოსტატობას საფერშლო საქმეში და მის ენატკბილობას, რომელიც წამალზე მეტად უხდებოდათ ავადმყოფებს.

ამ დროს სოფელში ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალი კატია პაპელეკაია, რომელსაც ოთხი შვილი ყავდა. ერთხელ მას ავად გაუხდა 10 წლის ბიჭუნა. მოიწვიეს ფერშალი. სერგო ოთახში შევიდა, ავადმყოფ ყმაწვილთან მივიდა, გულშოდგინედ გასინჯა და წამალი გამოუწერა. საშინი არაფერი იყო — ბავშვს სურდო ჰქონდა. ამ დროს სერგოს ყურადღება მიიპყრო გოგონამ, რომელიც ბავიდის ქვეშ შემძრალიყვნენ და შიშით ისმეგობოდნენ „ბოშასაკენ". სერგო მხიარული ხმამაღალი სიცილითა და საალერსო სიტყვებით მიეახლოვდა ცელქ გოგონებს და სათითაოდ გამოიყვანა ისინი ბიავიდის ქვეშიდან. ბავშვები ჯერ შიშით შეკრთნენ, მაგრამ ფერშლის ეულთბილოსმან და კეთილმა ღიმილმა დაამშვიდა, ვაამხნევა მატრაები. ისინი მალე დაუეეგობრდნენ კეთილ ფერშალს, მუსლებზე შეჰოფს-

კუმბენან და საუბარი გაიბეს სერგო მთა ასწავლიდა ქართულ ენის გასაცეს სტუდენტს: „ეკიეთ, ეკიეთ ეკანჩალო, ლდიდენი დამბარგალო“, ასე რამდენჯერმე იმეორებდა, ბავშვებსაც ამეორებინებდა და ეკო საერთო სიცილ-ეინესანი“12.

როცა მე — ივანეს ე. ბაკლეკაია, — ღღისით, ბნისით გარეკ ეზონი მომემეზოდა ბოიარეი ხმაპალი სიცილი და ჩოჩქენი, მიეხვდებოდი, რომ ფერშალი მდიდიდა სოფელში ავადმყოფთა სანახავად, ჩვენს სახლს რომ ჩაეკლიდა, ბელი აზ ეკმეზნა, ეოეკიდ მოინახულებდა ბავშვებს, ეოტახნიდ მაინც მათთან ეკითამამეზდა და მერე გასეეკედა სამეშოდ. ბავშვებსაც ძალიან ეუკვარდათ სერგო, ამიტომ რიკა ის ზნნ ეკვიდოდა, პატარეი დიდხანს ეძეძნდნენ „დიდიდე გრუზიეს“ („ძია საქართველოს“), როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ბავშვები“13.

როცა თავისუფალი დრო ჰქონდა სერგოს, ზნირად მდიდიდა პაკლეკაციების ოჯახში. მინი ხილეთ ბავშვები სიხარელით ცას ეეეოლნენ, ეხეკოდნენ და ეალერსებოდნენ საყვარელ ძაას. სერგო იმდენად გულთბილი და ეულსსმენი იყო ბავშვების მიმართ, რომ საღამო ხანს, ძილის დრო რომ მოეკოდა, ეხმარებოდა პატრეს ტანსაცმლის გახდაში, შემდეგ ჩაჩეკენდა მათ საწოლში, ზღაპრეს უკამბდა და ტკბილი ქართული იაკნანს სიმღერით ამინებდა.

ასეც ხდებოდა, რომ სერგო ზოგკერ ჩაეჩოჩქებდა დასაწოლად მომზადებული ბავშვის წინაშე და ქართული დამახასიათებელი აქცენტით ღიმილით ეეეხნებოდა ბავშვს:

—„ია ბენ თვითონ, ბენ, თვითონ გიიხადე“. ამით სურდა ბავშვი ეეეჩეკია დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ თუ ბავშვი თავის ხელით ვერ ეეძლებდა ფეხსაცმლის გაზდას, ეეთილი ძია ეეუემხეკელად დაეხმარებოდა და ისე მოაჩენენდა თითქოს მისი დახმარებით კი არა, თვითონ იხდიდა ბავშვი ფეხსაცმელს, ეს დიდ კმაყოფილებას ეა სიხარულს იეეკვნდა.

ხშირად სერგოს იაკუტის შორეული სოფლებიდან მოპყავდა ავადმყოფი ბავშვები და პოკროვსკის საავადმყოფოში მკურნალობდა. იმიტომ დიდი იყო მისი სიყვარული და მზრუნველობა ავადმყოფი იაკუტი ბავშვების მიმართ, რომ თვითონ ბბანდა მათ ტანს, თვითონ უხვევდა ჯარებს და თვითონვე კეეიბდეკ14.

ალსანიშნავია, რომ ს. ორკონიკიძის სიყვარულისა და სიყმოლეეს ბავშვებთან უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მიღალი კეთილშობილური მიზნები ჰქონდა. სერგო პირადი მაგალითით ასწავლიდა პატარებს კაცობრიეობისადმი, უსამართლობისა და მზიდველების წინააღმდეგ ბრძოლას, ამბრძოლელი ადამიანების ქომაგობას, დაერდომილთა და ავადმყოფთა მოკლა-პატრონობას, ეეე

შინაყვარული იაკუტი ბიჭუნას გამჭრიახობა და მისი ბრიანი ქცევა, დაუახლოვდა და გადაწყვეტა პარტიული დავალება მიეცა მისთვის. ამის შესახებ თვით ტიხონ ფომინი წერს:

„ერთხელ სერგომ მკითხა, — იცი თუ არა, სად არის იაკუტსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი? — ვიცი. ეუბასუხე მე. სერგომ ჯიბიდან ამოიღო კონვერტი, მომაწოდა და მითხრა, — მუზეუმის ეზოში განცალკევებით დგას ხის ერთი პატარა ძველური სახლი. დიუკკენეთ კარზე, გამოგხედავს მაღალი, გამხდარი წვერიანი კაცი და ეს წერილი მას გადაეცი»[15].

ტიხონმა იმ დღესვე წარმატებით შეასრულა სერგოს დავალება და ამაყოფილი დაბრუნდა. მაშაკი იაკუტი ბიჭუნა პარტიის ერთგული მეკავშირე გახდა.

რა იცოდა ყმაწვილმა, რომ დიდ, საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა, როცა საიდუმლო წერილს გადასცემდა მგზნებარე რევოლუციონერს ემილიან იაროსლავსკის, არც ის იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ამის შესახებ ყმაწვილმა მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაიგო.

პოკროსკში ს. ორჯონიკიძის მისვლამდე სოფლის საავდმყოფოს საკუთარი ექიმი არ ჰყავდა. ზოგჯერ იაკუტსკიდან ექიმი ვარვარა შიროკოკა თუ გიოელი პოკროსკში.

ს. ორჯონიკიძესთან ერთად პოკროსკის საავადმყოფოში ფერშლად შეშობდა იაკუტი სლუსკოკი.

სერგომ თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. დღე და ღამეზარებელად ემსახურებოდა იაკუტი ლეგენის ჯანმრთელობის საქმეს. სამედიცინო დაჩარაბის ამოსახეხად იგი გამოძახებისთანავე უყოყმანოდ მიდიოდა ასეულ კილომეტრზე. ეფერნიანწყვილეზენიანი ეტლით 60 გრადუსიან ყინვაში სიცოცხლის დიდი რისკით მიემგზავრებოდა იაკუტების შორეულ ულუსებში. ასე შეაყვარა ხალხს თავი. ამიტომაა, რომ იქ დღესაც ხშირად გაიგონებთ იაკუტი ლეგენბისაგან ჩვენთვის სერგოს გამოჩენა ნამდვილი ზეიმი იყოო[16].

ჩემს სოფელ ბესტიანში, — იგონებს ი. კოზლოვი, — 1916 წლის ნოემბერში იფეთქა მძიმე სენმა. განსაკუთრებით ბავშვები ავადმყოფობენენ. ერთ დღეს სოფლის მმასახლისის განკარგულებით პოკროსკში ექიმის მოსაყვანად გაგზავნეს კაცი, რომელმაც მალე მოიყვანა ფერშალი ს. ორჯონიკიძე.

სერგომ ინახეოდა რამდენიმე ავადმყოფი, გაეცნო ღარიბი იაკუტების გაჭირვებულ ყოფაცხოვრებას. მათმა საშინელმა ოჯახურმა პირობებმა, ანტისანიტარიამ და ჩამორჩენილობამ ბღაფფოთა სერგო, ადგილობრივი მეფის ხელისუფლების უსულგულობას თავისი უკეღმართი დაღი დაემჩნია სოფლისათვის.

— აი, ასეთი ანტისანიტარია „ერის მოყვარეს“ მიზეზი ყოველგვარი ავადმყოფობისა, ხელი უნდა ეპრძოლოთ უსუფთაოებას და ხალხის ჩამორჩენილობასაო, — ამბობდა სერგო.

სერგო, როცა ავადმყოფებს სინჯავდა, გულმოდგინედ გამოკითხავდა ცხოვრების პირობებს, განუმარტავდა მათი გაჭირვების მთავარ მიზეზებს, მოუწოდებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად, აძლევდა პროფილაქტიკურ რჩევა-დარიგებას[17]. ს. ორჯონიკიძე თავის პროფესიას მარჯვედ იყენებდა მასებში აქტიური ეროვნული პრაპაგანდის გასაწევად. რაც დრო გადიოდა, იგი თანდათან დიდ ავტორიტეტსა და სიყვარულს იმკიდა იაკუტ ხალხში[18]. მასზე ამბობდნენ: იშვიათი ფერშალია, კარგი კაციაო. სერგო ყოველთვის იაკუტი იერტების სასურველი სტუმარი იყო, ღვიძლი შვილივით უხარიდათ მისი მოსვლა. სერგოს იაკუტებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში, ხელს არ უშლიდა ენის არ ცოდნა. ის მათთან თავისუფლად გრძნობდა თავს. სტუმართმოყვარე და კეთილი იაკუტები ყველაფერს კარგად უგებდნენ სერგოს. თუ ვინმე ჰკითხავდა, როგორ ახერხებ იაკუტებთან ურთიერთობასო, იგი უპასუხებდა: „ცოტა რუსულად, ცოტა ქართულად, ცოტა იაკუტურად და გამოდის გასაგებიო[19].

ბ) რუსეთი უნივერსიტეტის დაარსებაში ვახუშტი ბაგრატიონის, როგორც მეცნიერ-დამფუძნებლის პრაქტიკული მონაწილეობა არც თუ ადვილად დასაშვებია, თუ მოსკოვის უნივერსიტეტის მაშინდელ პროფილს და ვახუშტის მომზადებას გავითვალისწინებთ. ცნობილია, რომ 1754 წლის 19 ივლისს სენატმა მოაწერა შეკალოვის მოახსენება და გეგმა, რომელსაც სიფაქიზედ ედო მ. ლომონოსოვის პროექტი. ეს გეგმა ითვალისწინებდა სამი ფაკულტეტის (იურიდიული, სამედიცინო და ფილოსოფიური) გახსნას; 1755 წლის 12 იანვარს იმპერატორიცამ ხელი მოაწერა ბრძანებას, ხოლო 26 აპრილს უნივერსიტეტი გაიხსნა ზემოხსენებული სამი ფაკულტეტით და დამტკიცდა პროფესორთა შტატი (10 ეროვნული).[7] ზემოხსენებულ დარგებთან, როგორც ცნობილია, ვახუშტი ბაგრატიონს საერთო არაფერი ჰქონდა. გარდა ამისა, კარგადაა ცნობილი მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი პროფესორების გვარებიც და ის სანეგნიც, რომლებიც იქ იყო წარმოდგენილი. ასე რომ არც ერთ სიტყვაში არ ჩანს ვახუშტის მუშაობა პროფესორთა „მეცირე რაზმში“ „მოსკოვის უნივერსიტეტის... რუსული განათლების უფეიქელი ლაბორის ფეზზე დაყენებისათვის“, როგორც ეს გაზ. „თემის“ კორესპონდენტს ეჩვენებოდა.

გ) რაც შეეხება ვახუშტის მიერ მატერიალურ დახმარებას — დიდი შეწირულობის შეტანას, რისთვისაც ის შეიძლებოდა შეეტანინ მემორიალურ დაფაზე, არც ესაა ადვილი დასაშვები, თუ ვახუშტის მატერიალურ პირობებს გავითვალისწინებთ. ცნობილია, რომ ვახუშტი რუსეთს სამსახურში არ შესულა, იგი თავს ირჩენდა პენსიითა, რომელიც არ ყოფნიდა, ვალებში ჩავარდნილი 1749 და 1753 წლებში ელისაბედ დედოფალს წყალობას თხოვდა.[8] ჩვენ საგანგებოდ გავსინჯეთ მოსკოვის არქივებში ვახუშტის სახელთან დაკავშირებული საქმეები, სადაც ინახება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ელისაბედ დედოფლისადმი 1753 წლის აშკისტოში რუსულ ენაზე „ლაბეისტ“ ივანე ლოსეევის ხელით დაწერილი თხოვნა, რომელ-

ნაც ქართულად აწერს ხელს „მეფის შვილი ვახუშტი“. თხოვნაში აღნაშნულია, რომ პენსია, რომელიც ვახუშტის მამის სიცოცხლეში ექალა (წელიწადში 2090 მან.), არ ყოფნიდა და მამა ეხმარებოდა, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ პენსიაც შეუწყვიტეს. 1739 წელს პენსია ისევ მომეცესო, მაგრამ შემცირებული (1500 მან.), არ მეყოფნის, ვალებში ჩავვარდი, სამუშაოს არა მაქვს შვილებს განათლება მოეცეს, წყალობა მიყავიო“. ძნელი დასაშვებია, რომ 1753 წლის აგვისტოში ვალებში ჩავარდნილი კაცის მდგომარეობა ისე გამოსწორებულიყო, რომ მის 1754-1755 წლებში (შემდეგ იგი ცოცხალი არ ჩანს) უნივერსიტეტისათვის დიდი შეწირულების გაკეთება მოეხერხებია.

ეი რატომ არ ჩანს ვახუშტის სახელი უნივერსიტეტის დაფებზე 1855 წელს.

მეორე, ხომ არ კაუკეთებიათ დაფები 1855 წლის შემდეგ? რა თქმა უნდა, ასეთი რამ მოსალოდნელი არაა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ XX საუკუნის დასაწყისის მოსკოველი ქართველი კორესპონდენტებისა და სტუდენტების შეცდომის საფუძველი მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი დაფებია. ამ ძველი დაფების აღწერილობა 1855 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავზე, პროფ. ს. შევირიოვმა დაბეჭდა თავის მონოგრაფიაში „მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია“; სადაც ვკითხულობთ:

«Университет, еще в 1822 году, украсил место своих публичных собраний портретами двух императриц, Елизаветы и Екатерины, и портретом первого куратора и учредителя Шувалова, и в исполнении правил, начертанных министром гр. Разумовским о наградах благотворителям училищ, начертал на двух досках золотыми буквами, для всегдайней памяти, имена благотворителей университета, как тех, которые жертвовали ему от избитков своих с начала его учреждения, так и тех, которые ему благотворили по его преобразовании.

Здесь, на одной доске, в числе первых записаны: Прокопий, Григорий и Никита Акинфиевичи Демидовы, Прокопий Акинфиевич, особено; далее колежский ассесор Яков Борисович Твердышев; Грузинский царевич генерал-аншеф Георгий Вахтангович; генерал-лейтенант Григорий Александрович Строганов; обер-егерместер Петр Спиридонович Сумароков, игумен Профирин Симонтовский, положивший в воспитательный дом 4.000 р.; сенатор Михаил Григорьевич Собакин; д. с. с. Матвей Никофорович Соколовский, внесший в дом 2.000 р.; надворный советник Борис Михайлович Салтыков. На другой доске записаны: П. Г. Демидов, князь А. А. Урусов, статс-дома княгиня Е. Р. Дашкова, ст. сов. А. С. Оленина, московский I-й гилдин купец Грачев, камергер всев. А. Всеволожский, Н. Н. Демидов, И. И. Крубер, Общество любителей российской словесности, неизвестный пожертвовавший 8000 р., и Хр. Хр. Стевен»[10].

თუმცა პირველ დაფაზე გიორგი ბატონიშვილის მიერ შეწირული თანხა მოხსენებული არაა, მაგრამ მას, როგორც პროფ. ს. შევირიოვის წიგნიდან ჩანს, მოსკოვის უნივერსიტეტის საკმაოდ სოლიდური თანხა (10.000 მანეთი) შეუწირავს:

«В 1785 году, марта 12-го, светлейший царевич Грузинский, Георгий Вахтангович, подарил университету для той же цели (სტუდენტთა სტიპენდიისათვის — ვ. მ.) 10.000 рублей. Университет публично вырозил царевичу свою благодарность, обещаясь поселить ее в сердцах питомцев, которые будут ему обязаны дарами образования»[11].

ეს თანხა ეი იმდენივეა, რამდენსაც უნივერსიტეტის ხარჯებისათვის სენატისაგან ითხოდა ეროვნი შეფალოვი და თითქმის იმდენივე, რამდენიც შეიტანა ცნობილა დემიდოვმა[12].

როგორც პროფ. ს. შევირიოვის ნაშრომიდან ჩანს, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვის უნივერსიტეტში ორი მემორიალური დაფა ყოფილა გაკრული, ვახუშტი ბატონიშვილის სახელი არც ერთ მათგანზე მოხსენებული არ ყოფილა. არა გვგონია პროფ. ს. შევირიოვს, რომელიც საკანგებოდ იკლვევდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიას, დაფაზე სახელების ამოკითხვა შეშლოდა, გიორგი და ვახუშტი ერთმანეთში არეოდა, (ითქმა უმეტეს გიორგი ხომ საკანგებოდ სამხედრო წოდებითაა მოხსენებული).

გიორგი ბატონიშვილი, როგორც პროფ. ა. ფირცხალაიშვილის ნარკვევიდან ჩანს, რუსეთში საკმაოდ ცნობილი და დაფასებული სამხედრო მოღვაწე ყოფილა, მას დაკრძალეს იმპერიიდელი რუსული პრესა საკმაოდ თბილად გამოხმაურებია[13]. მაგრამ მას ჩვენში ნაკლებად ინახავენენ, რადგან ქართული საქმეებისა[14] და ქართული კულტურის სარბიელზე არ ჩანდა. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ XX საუკუნის დასაწყისის ქართველმა კორესპონდენტებ-

ვალერიან მაჭარაძე
მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში
ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის

მა და მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დაფაზე მოხსენებული გიორგი პოპულარული ქართველი მეცნიერის ვახუშტის სახელის „რუსულ ვარიანტად“ მიიჩნიეს (ქართული სახელების რუსულზე გადაყვანის არა ერთი მაგალითია ცნობილი).

ამრიგად, ჩვენ, ერთი მხრით, ძნელად დასაჯერებლად მიგვაჩნია, რომ პროფ. შევირიოოვს მოსკოვის უნივერსიტეტის მემორიალური დაფების აღწერილობა გამოექვეყნებელი დატოვებინა, ან სახელი შეშლოდა; ხოლო მეორეს მხრივ არა გვგონია X IX საუკუნის მეორე ნახევარში ვინმეს მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი დაფები ეკეთებინა და იქ ადრე გამორჩენილი ვახუშტის სახელის შეტანაზე ან მისი ბიუსტის დამზადებაზე ეზრუნა[15]. გადმოცემის დაჯერება იქ შემთხვევაში შეიძლება, თუ მას სხვა მასალები უჭერენ მხარს. აქ უთუოდ ქართველ სტუდენტებს ვახუშტი და გიორგი ერთათ ერთმანეთში.

ვფიქრობ, არავითარი საეჭვოება არაა იმისა, რომ დიდ ქართველ მეცნიერს ვახუშტი ბაგრატიონს მივაწერათ ის, რისი სიბუთიც არ გაგვაჩნია.

პროფ. ვ. გაბაშვილი წერს: „მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი კურატორი იყო სიმონ ეგნატაშვილი“[16]. ეფრც ამ მოსაზრებას გავეზიარებთ. ჯერ ერთი, ზემოთ მოტანილი დაფების წარწერიდან ჩანდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი კურატორი იყო ჯრფი. ი. შუვალოვი[17]; მეორე, მაშინდელი კურატორი, როგორც წერა, დიდი და გავლენიანი პირი იყო, რომელიც უნივერსიტეტის საჭიროებაზე მიმართავდა იმპერატორს, იგი უფრო დიდი იყო ვიდრე უნივერსიტეტის დირექტორი, სიმონ ეგნატაშვილი ასეთ კაცად არ გამოდგებოდა; მესამე, კარგადაა ცნობილი მოსკოვის უნივერსიტეტის კურატორების რიგი: პირველი კურატორი გრაფი შუვალოვი თანამდებობით შეცვალეს ვესელოვსკიმ (1760-62 წ. წ.), ადადუროვმა (1762-71 წ. წ.), ადადუროვმა და მელისინომ (1771-1778), ადადუროვმა, მელისინომ და ხერასკოვმა (1778-1796 წ. წ.). თუმცა, გრაფი შუვალოვი, სხვა საქმეებით იყო დაკავებული (1762-77 წლებში საზღვარგარეთ იყო), მაგრამ იგი მაინც პირველ კურატორად რჩებოდა. ამ საკვდილამდე (1797 წლამდე) უნივერსიტეტის საქმეებზე ზრუნავდა. ასეთია საქმის ვითარება.

რა თქმა უნდა, რუსეთის კანცელარიის დაბალი ჩინის მოხელის, ქართველი საბუთების მთარგმნელის სიმონ ეგნატაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის პირველ კურატორად გამოცხადება უსაფუძვლოა.

ამრიგად, ჩვენ დაჯერებულად მიგვაჩნია ვახუშტის პატრონიშვილის მოსკოვის უნივერსიტეტის დამფუძნებლად, ხოლო სიმონ ეგნატაშვილის — პირველ კურატორად გამოცხადება. ჩვენ არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო, კიდევ მეტი, მივესალმებოდით კიდეც თუ ასეთი დოკუმენტები აღმოჩნდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საამისო დოკუმენტები არ არსებობს და თავის შეკავება გვმართებს.

საერთოდ, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველები დიდი და საყურადღებო თემაა. მოსკოვის უნივერსიტეტში, მისი დაარსების პირველი დღიდანვე, არა ერთი ქართველი სწავლობდა. ბეგრმა მათგანმა შემდეგ თავი გამოიჩინეს და საგრძნობი კვალიც დატოვეს, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის, ისე ქართული კულტურის ისტორიაში. მაგრამ ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს და ამ წერილში ჩვენ მასზე ვერ ვიჭრდებით. აქ მხოლოდ ლიტერატურაში არსებულ ზოგიერთ მცდარ თვალსაზრისზე შევჩერდით და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიას საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსები სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ, არ მინდა რომ ჩვენი მოღვაწეები ურთიერთობის ასეთი „ფაქტების“ მოშველიებით, რასაც მიმართავენ ხოლმე, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსი კოლეგების წინაშე.

შენიშვნები:

1. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წლის 17 მაისისა, № 600, გვ. 3.

2. გაზ. „თემი“, 1912 წლის 17 სექტემბერსა, № 89, გვ. 3.

3. ვ. გაბაშვილი, ქართველი მეცნიერები, საბლიტგაში, თბილისი, 1951, გვ. 5-6 (ხაზი ჩვენია).

4. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნაკადული, თბილისი, 1969, გვ. 85-86.

5. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნაკადული, თბილისი, 1969, გვ. 85-86.

6. ამ ბოლო დროს ეს მოსაზრება ისეთ ცნობილ ბუმბერაზებად მიიჩნიათ, რომ მასზე წაკრის მითითებასაც ზედმეტად თვლიან. შდრ. „ლიტერატურული საქართველო“, 1976 წლის 3 აპრილისა.

7 შდრ. С. Шевырев. История императорского Московского университета. М.,

1855, გვ. 9-35; История Московского университета, т. I, М., 1955, გვ. 21.

[8] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. X-XI.

[9] АВПР, ф. см. Россия с Грузии, 1753 г., д. 5, л (л) 1—3.

[10] Проф. С. Шевырев, История императорского Московского университета, М. ,1855, стр. 440—441.

[11] Проф. С. Шевырев. История императорского Московского университета, М., 1855, стр. 115.

[12] შუვალოვმა მოითხოვა 10.000 მანეთი, სენატმა გამოუყო — 15.000 მანეთი ხოლო დემიდოვმა შეატანა 13.000 (С. Шевырев, დას. ნაშრომი, გვ. 16).

[13] ა. ფირცხალაიშვილი, XVIII საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, ჟურნ. „მნათობი", 1959, № 6, გვ. 169-174.

[14] ქართლის ტახტისათვის წარმოებული ბრძოლაში იგი არ მონაწილეობდა.

[15] საერთო მოსკოვის უნივერსიტეტისათვის გაღებულ შეწირულებათა შორის არის პორტრეტებიც და ბიუსტებიც ისეთი პირებისაც, რომლებსაც უნივერსიტეტის დაარსებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ თვით ამ შემთხვევით ხასიათის შეწირულებათა შორისაც გამოსარიცხავია ვახუშტის ბიუსტი.

[16] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნაკადული, თბილისი, 1969, გვ. 85.

[17] С. Шевырев, დასახ. ნაშრ., გვ. 440-441.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი ალიმონაკი

მზე. მზე. მზე

„ნათელი გამოუბრწყინე მართალსა,
გულითა წრფელთა — სიხარული“.

მზე მედიდურად შემოაღლებს სამყაროს კარებს. მზე გიგი ძნელაძის პოეზიაში უმთავრესი სიმბოლოა. ყოველფერი მზეს ერთვის, ყოველფერი მზიდან გამოედინება. მზეს უკავშირდებიან დანარჩენი პოეტური სიმბოლოები. მზე იგი არ არის კოსმოსური, მისი ზოგადი მეტაფორაა, — პოეტის პიროვნების თვითგამოსახვაა. მზის მსჯავრულ წარმოსახვისას მთავარი პოეტის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც მარადი მზესილულობით არის ალბეჭდილი. მზე ყველგან და ყოველისფერში: სხეულებრივი ნივთებიდან დაწყებული დამთავრებული ადამიანის სულიერი ცხოვრებით. მზე და სიცოცხლე: „შეხედე! — თვრი მდინარის გაღმა ხეები მზეში ფეთქავენ როგორ“; მზე და სიხარული: „მოაკლა ერთი ლამაზი სხივი მაღალ მზეს — ჩემი სიხარულისას!“ მზე და სიყვარული: „ოდეს შენს უსაზო სახეს ვხედავ ირგვლივ, ერთის ნაცვლად ცაზე თითქოს ასი მზეა“; მზე და სამშობლო: „ნაუქრობელად სულში მინთია შენი ცხელი მზე და შენი მთავარე“; მზე და ადამიანი: „ჩვენნი შუქი ერთდება და მზედ ანთია ცაში;“ მზე და უკადავება: „მზემ ჩამავალმა შემოსხვია სხივები კუბოს, მერე... ასწია და ნელ-ნელა წაიღო საღიაც;“ მზე და წარმავლობა: „გათენდება და მზე კიდევ ერთხელ დროის წიგნიდან შავ ფურცელს მოხვევს;“ მზე და სილამაზე: „მზე აიტყორცნა ვეება ცაზე და უფსკრულები აანთო შუქით.“ მზე — ფერხა, ბგერისა; მზე — ბედისა, სიკეთისა. მზე — ღვთაებრივი სიმშვიდე, სამყაროს სიმშვენიერის სიმბოლო. გამყუდროება არა როგორც უძრაობა, — როგორც სამყაროს ერთიანობის დასაბამი. მზის სიმბოლო — როგორც ღვთაებრივი ძალთრწმენულობა, როგორც სიცოცხლე ყველა თავის გამოვლინებებით. სიკვდილიც მზეს უკავშირდება, როგორც სიცოცხლე — მზის ჩასვლა-ამოსვლას. მზის წრეში შემავალ პოეტურ სიმბოლოებს ბუნებრივად ერწყმის სიკვდილის სიმბოლო. გიგი ძნელაძის პოეზიაში სიცოცხლე და სიკვდილი ერთად იელნან, როგორც ერთი დედის შუტლედან ნაშობი დები.

ჩვენ შეჩვეულნი ისე ვართ ამ მზეს. ყოფიერების ნივთები და მოვლენები, ადამიანის სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებანი (მათ შორის პოეზია) ადამიანის ცნობიერებაზე ხანგრძლივი ზეგავლენით სტატიკურ, ერთფეროვან სახეს იღებენ; ეამივითარებაში კარგავენ პირველყოფილებას. საკმარისია ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნებაში მოხდეს ცვლილება (გარეგანი თუ შინაგანი ბიძგით), რომ ივივე ნივთები და მოვლენები (ბგერათა პოეზია), — ძველივე სახეობების შენარჩუნებით — ალსდგეს თავისი პირველადული სახით. ადამიანის სამყაროსადმი **დამოკიდებულება** იცვლება. მით უფრო, როცა ეს დამოკიდებულება პოეტური. გიგი ძნელაძის ერთი ასეთი სტრიქონი: „მზე მედიდურად შემოაღლებს სამყაროს კარებს“. ეს არ არის ბუნების ჩვეულებრივი პოეტური სურათი; არც „მზემ ფანჯრის სხივი სტყორცნა“: ეს მზე სხვა, სხვაა სამყაროს განცდაც. უფრო ზუსტად: ნამდვილი მზე და ნამდვილი განცდაა (ეს ინტუიციით მიიღწევა). აქ მთავარი ის კი არ არის — რა არის ნათქვამი, ან — როგორ არის ნათქვამი; არსებითია — **რა ფორმ არის ნათქვამი.** მათ შორის ძირეული განსხვავებაა. თუ ასე წაეკითხავთ გიგი ძნელაძის ლექსებს, იუხდება ფარდა გარეგნულ ხედს და დაეინახავთ მის სიღრმისეულ ფენებს. პოეტი ერთ ლექსში ამბობს: „ჩვენ შეჩვეული ისე ვართ ამ მზეს, ჩვენ შეჩვეული ისე ვართ ამ ცას, გინდა ამ მიწას, გინდა ამ ჰაერს, გინდა ამ ცეცხლს და, თუ გინდა ამ წყალს... თითქო ეგ არი და ყველაფერი დღის ნათელივით ცხადზე ცხადია“. მაგრამ ეცადეთ შეხედოთ ამ მოვლენებს მარადისობის თვალით და თქვენს წინაშე მაშინვე აღმოცენდება: ასეთი მარტივი და რთული კითხვები: „რა

არის მზე!“ „რა არის წყალი“, „რა არის ჰაერი!“ „რა არის სიცოცხლე!“ „რა არის დრო!“ ამ კითხვების მერე სხვანაირად შეხედავთ ბუნებას. ფსიქეო — ლონგინე თავის ტრაქტატში „ამაღლებულებისთვის“ წერს: „რაც უფრო მეტ გულწყლილობას იჩენენ კაცნი ყოველივე ჩვეულებრივის, ყოველდღიურისა და, ასე გასაჯე, თვით მათთვის აუცილებლის მიმართ, მით უფრო მეტად აღვიფრეს მათ ყოველივე უჩვეულო და მოულოდნელი“. ასე იბადება ჩვეულებრივი და უჩვეულებრივი ალქმა სიცოცხლის. პოეზიით გვეძლევა სამყაროს უჩვეულებრივი ალქმის უნარი. გვიი ძნელაძის პოეზიაც ამ უნარის მონაკვეთის ცდაა.

მხატვრული ნაწარმოების უკან დგას პიროვნება თავისი ზნეობით, მსოფლგაგებით, ფსიქიკით, ქცევით, საზოგადოებრივი და რელიგიური შეგნებით. დგას ადამიანი მთელი თავისი ცხოვრებით. გიგი ძნელაძე ზნესრული, შინაგანად თავისუფალი პიროვნებაა, რადგანაც თავისუფლება მისი პიროვნულობის ფესვებაა. იგი ირიდებს ცხოვრების დამთრგუნველობას, რაც აქუცმაცებს ადამიანის პიროვნულობას; აქუცმაცებს და ზედაპირში აქცევს. ცდილობს გაერიდოს დროის ჩარჩოებს, ვიწრო სოციალურ შეზღუდულობას. თუმცა მისი პოეზია, როგორც ყველა პოეზია, თავისი არსით — სოციალურია (ამ ცნების ფართო მნიშვნელობით). ეს მოჩვენებითი დაპირისპირებულობა უმაღ ერთიანობაა, ვინემ წინაალმდეგობა. მისი მეღლვარება სხვა თვისებისაა, ქალაქური ყოფით გამსჭვალული კაცის მეღლვარება — სხვა. პოეტური სიმშვიდით აღწევს დაუსაზღვრელ განზომილებებს. ნიეთიერი სინამდვილე პირდაპირ არ ანსახება ამ ლექსებში; ეს სინამდვილე მხოლოდ ფსიქოლოგიური ბიძგია საიმისოდ, რომ დაიძრეკეს ხილვადი გარემოს საზღვრები და არაჩვეულებრივ, ხელშეუხებ პოეტურ საზღვრებს დაეუახლოვდეთ.

გიგი ძნელაძის ყოველი ლექსი ცოცხალი არსებაა თავისი სულიერი და გარეგნული აღნაგობით. მათ ორი ბრი აქვთ: გარეთა და შიდა. გარეთა ბრს ეხედავთ და ვგეძნობთ, შიდა ბრს ვგრძნობთ და ვეწვდებით. გარეთა ბრი სამყაოლებაა შიდა ბრის წასაკითხად. შიდა ბრი შეიმეცნება სულიერი აღსავსეობით, არა გონებით. ეს არის პოეზიის შეთვისების ჩაიდეალებული მიმთრგაობა. ამიტომ არის მოხთოს მთავარი არა სტეფათმიჭრა, არამედ სამყაროსადმი პოეტური **დამოკიდებულება** (ისე შევეგეეთ ლექსში შინაარსის კორკტს, ხშირად ხელში გვიდნეს მთავარი: პოეტური სიხარული და მხოლოდ ბრის გადმაცემით ვკმაყოფილდებით). ეს პოეზია გამოირჩევა არა იმდენად მხატვრული სტილის დახვეწილობით, რამდენადაც სამყაროსადმი ასეთი დამოკიდებულებით. მისი ლექსებიც თვითმზანაწერიდან — არსებობის აუცილებლობაა, შემეცნების გზაზე მავალი კაცის დასკვნებია. ეროვნულ შეხედვით მარტივი ბრი ისეთ არეულობა-ბალანსია, რომ ეროვნიანდება მხატვრული ფორმა და შინაარსი. ლექსი ტაბილოდშეტყველი ხდება. რისი იმედი აქვს პოეტს, ასეთ მოცევთილ სტრიქონებს რომ წერს: „თუ ვინმეს შეენის ახალი დღენი, — შენ გეშინის, ჩემო სამშობლო მხარეკ; ჩაუქრობლად სულში მინთია შენი ცხელი მზე და შენი მთვარე!“ ნეთუ არ იცის, რომ თანამედროვე ლექსი ვერ ეგუება ყალბ — რომანტიულ სტილს. იცის, რაღა თქმა უნდა. ეს დაენნება არ არის, მხატვრული თვისებრობაა. პოეტი ენდობა მკითხველს, ენდობა შინაგან ხმას. ეს პოეტური სიხარულის წამებია („პოეზიას იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას“). ეს წამები არ ჰკავს მთაგონებითს, სიტყვისქმნადობით დაფერილს. ეს არის წამები, როცა ანაზდად მოიწეკვა გასხეოსნსება, როცა ადამიანური სიხარული გამოანათებს. იგი წამები ვერ თავსდება სიტყვიერ სამანებში. ვიმახსოვრებთ და აღიძრის მათი მხატვრულად გარდასახვის სურვილი, უკეთეს შემთხვევაში — მხატვრულად გარდასახვის ცდა. ამიტომ ყოველივე ნაგრძნობი და მოაზრებული წარსულში გადადის: „მეძინია წუთი — დდამეშა მხრეზზე შემიდგამს, მეძინია წამი — მე გავმქრალვარ მიწიდან ოვითონ, მომიწყვეტია მწუთე სიტყვა ლაჟვარდებიდან, მიწის ყელიდან მომხეედრია სახეში სითბოო“.

იშვიათი თვისებაა პოეზისა, როცა მსოფლგანცდა თუ პოეტური ბრი მისი კითხვისას კი არ შეიმეცნება, არამედ წაკითხვის მერე. პოეზია იწყება იქ, სადაც თავდება ლექსის საგნობრივი ზხარე. გიგი ძნელაძის ლექსები ქრებიან როგორც ზხეულებრიეზი და რჩება სიდრეცე, უნიეთო სიერეე, მაგრამ არა ცარიელი, — პოეტური ზხით გასხვიასნებული სიერეე. ამ სიერეეში რაიმეს ხელით შეხება ძნელია, რადგანაც საგანი როგორც მატერია ისე კი არ არსებობს, არამედ როგორც ფერებისა და ბგერების ნაზავი.

ვ ა ლ ე რ ი ს ი ც ო ც ხ ლ ი ს „უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ზ ე. მზე სიცოცხლის დამბადებელია. გვი ძნელაძის პოეზიაშიც ასეა: მზე სიცოცხლის მარადიული სიმბოლოა. მის ლექსებში მიმოიქცევის ზხის ენერგია, რომელსაც ხხოლოდ სიცოცხლე მოაქვს ადამიანისათვის. პოეტი მიაწერაფეს განსაზღვრული სულიერი და ხორცეული, ზნეობრივ — ეთიკური ერთიანობისაკენ და მის გასხეულებას სიცოცხლეში ხედავს. ერთადერთი გზა, რომელზედაც ადამიანმა შეუმდინად უნდა ვაიარის — სიცოცხლის გზაა. ცხოვრების უკეთურება სიცოცხლით უნდა და-

თრგუნო. მაგრამ სიცოცხლე შემოზღუდული როდია, მხოლოდ ზეადმტაცი განწყობილების გამოძახტაცელი, არაშენ კოსმოსური სიცოცხლეა, ზეგრანმინ რომ შეეღენება პოეტის სულში და ახალი სხეაშემოსილებით გამოდის გარეთ. ადამიანი კვდება, ჭირისუფალი იცინის. გასაოცარი არაფერია; სიცოცხლე დღესასწაულია, სიკოცხლე თავისას ითხოვს. ბიშმა ჩიტი მოკალა. ეროი სიკოცხლე მოაკლდა სამყაროს. მაგრამ დარჩა ათასი სხვა, და ეს ათასი მეეჩის სიცოცხლის საგალობელს. სიკოცხლე გრძელდება, სიკოცხლე უკვდავია („მე კალავ ეხედავდი: მდინარეებს, ვარსკვლავებს, ტყეებს. და ყურს ეუდგებოდი სხვა ჩიტების გალობას გულწრფელს!«").

გიგი ძნელაძის ლექსების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება ეექმნებათ, თითქოს უეცრად საშოთხესავით ფერდაფეკალ ქვეყანაში მოხვედით, სადაც ყოველივეს ნათელი დასდის. თუმცა ეს არ არის ცხადქმნილი ქვეყანა; ეს არის იქითა ქვეყანა, უნივთო სინამდვილე, ასხეიოსნებული ფხით განაკვეტილებული ღრუბლებითა და ზღაპრული ცხოვეებითა და ფრინველებით დასახლებული (ზღვიზე, დღის დაცვიბისას რომ სურათები წარმოიქმნება ხოლმე ცისკიდურზე, იმდაგვარი). გიგი ძნელაძეა თავისებური ფერის შეგრძნება აქვს: თეთრისა და ბზისფერის შეზავება, რომელიც აღსავსეა და მოიცავს დანარჩენ ფერებს. ფერი იგი, ანუ ფერი: „დაფდამებელი ნათელი" ამოდსახლეელია და გამომსახველია პოეტის სულიერი ცხოვრებისა.

სიცოცხლის რომელ გამოვლინებასაც უნდა ეხებოდეს პოეტი, მის დამოკიდებულებაში ერთი ფიდი ღიმსა ჭვიეის: მადლმოსილება და კეთილშობილება. პოეტური გულუბრყვილობით სამყაროს შემეენება, ბავშვური ძალსრულობით აღქმული ქვეყანა. ორივე ერთად ცხოვრობს მის სულში: სიცოცხლით სიხარული და სიცოცხლით სიმძიმილი. სიმძიმილი ბზისა გამო; სიმშობლოსა, აშკეკეყნერი სიმშვენიერისა გამო. სევდა სიცოცხლისა, სევდა სიკვდილისა. რომელი ბზეე ახარებს, ოგივე ბზე აწაალებს:

გათენდება და ბზე კიდევ ერთხელ
დროის წიგნიდან შავ ფურცელს მოხევს,
იელვებს ზუქი მწვანე ბალახზე,
დაემგზავნება მინდვრები ნოხებს...

სევდიანი ბუნებრივი გამოვლენაა სიცოცხლისა, მას სიცოცხლის გზით ვეზიარებით. სევდიანი სიკოცხლესთან წილნაყარია: „ამღერი სიკოცხლის უკვდავებაზე, მაგრამ ყოველთვის ვგულისხმობ სიკვდილს". თუმცა სიკვდილი უჩინოა თავისი ანისით. ნელვადია სიცოცხლე — სიკვდილის თვითმპაყრი. არის სიცოცხლე, არის სიკვდილიც. ამ ლექსებს ეს ეკუთვნის **სიმართლეს**. ეს სიმართლე ამ ძნელაძის პოეტური და პიროვნული არსებობის საფუძველთა-საფუძველია. მაგრამ საკითხავია: ამ პოეტურ წარმოსახვაში როგორ არის სიკვდილი გადებული — როგორც ეპოოლოგიური მოვლენა, შიში მის წინაშე, თუ როგორც სიცოცხლის გამოვლინების ერთ-ერთი სახეობა, ყოფიერების უმაღლესი კანონი?! პოეტმა დაძლია სიკვდილის შიში; დაძლია, რადგანაც არიფეია იცის მის შესახებ (ან — არ უნდა რომ იცოდეს). თითქოს დაემოძღვიროს „ქლატონისაგან სწავლა-თქმულსა": „ბრძოლა-ცდა, ვინ იცის, რა არის სიკვდილი? ღმერთ, ის უდიდესი სიკეთეა ადამიანისათვის, თუმცა ისე კი ეშინიათ მისი, თითქოს დაბეკითებთან იცოდნენ, რომ ის უდიდესი ბოროტებაა. მაგრამ მხოლოდ სრულიად ეეჩიკი და უმეცარი თუ დაიჩემებს იმის ცოდნას, რაც არ იცის" („სოკრატეს ამოლოგია"). ადამიანური სისუსტის დაძლევა, სიცოცხლის სიძლიერე, წარსული და მომავალი — ეს ხაზები ბუნებრივად ეიწყმენინ ლექსში „საწუთისოფელი". ივი გადმოსცემს პოეტის სულიერ ცხოვრებას, ის ცხოვრებას, რომლიც შემეენების გზაზე გაიარა პოეტმა: „ეროი მშვენიერ დღეს როცა მიხვდები, რომ ამ ქვეყნიდან წახვიდე უნდა, — მაშინ რას იზამ, გაა ვიეძლებს განმეორებით წვალებას სული? განა ჯობია განახლდეს დარდი — მიეიწყებული, მიეყრებეული?! რამდენჯერ უნდა გადამეტანა გულის ტკივილი და სულის კრთომა, — რომ შეეჩვეოდი (ბოლოსდაბოლოს) ბედის წინაშე უმაშრად დგომასს... სიკვდილი რა! — მონა შენი, თუ კარზე მომდგარს დახვდები მარჯვედ! კაცი მაშინ ხარ, თუ სიცოცხლეში სიკვდილს ებრძოლე და ვიიმარჯვე! არა! — მეორედ ვეღარ გიფეძლებ! — არ მინდა გაბვლა განცვლილი ბუბეის; კიდევ კარგი, რომ ღერანოდეს არ დაბრუნდება წარსული ჩემი!"...

პოეტმა სიკვდილი და სიცოცხლე გაიიგივა. სიკვდილიც უკვდავებასთან ახლოა („ზზემ ჩამავალმა შემოჰხვია სხივები კუბოს, მერე... ასწია და ნელ-ნელა წაიღო სადღაც!..."). რაღაა ასე დაბეკითებთან ცდილობს პოეტი საკუთარ არსებაში სიკვდილის დათრგუნვას, ცხადია მესთვის სიკვდილს გარდუვალობა არსებობს, ერთგვარი შინაგანი შფოთი მის წინაშე. მაგრამ ეს არ არის ქმედითი სახე. სიკვდილი არა როგორც ბოროტება, არაშენ როგორც გაფრთხილება („სასთვის და სეთვის, სიკვდილსა ვინ არ მოეთვის წამისაგ" —):

მოვა შუადღე, მერე — დაიხი, გუგუნ-გრიალით დღე გავა ერთიც!
და კიდევ ერთხელ დროის წიგნიდან ამოიხეკა ფურცელი თეთრი...
დღე კიდევ მოვა. მაგრამ ის კაცი? მაგრამ ის კაცი, ვინ იცის — მოვა?!
არ გამოუშვახ იქნებ ღამემ და... იქნება მერე დარდი და გლოვა!...

გვახსოვდეს რომ მოკვდავნი ვართ და ამ ხანმოკლე ჭეშმარიტებაში ნუ ჩავდებთ ბოროტებას. ჩვენნ სიცოცხლე მოყვასის ამაღლებას მოვანდომთოთ. ამის გამო ჰქვია გივი ძნელაძის ლექსებს წიგნს „სიყვარულის წიგნი“. სიყვარული როგორც უმაღლესი სიკეთე, როგორც ფუძე კაცობრობის არსებობისა.

შენ მზე ხარ დილის. გივი ძნელაძის პოეზიაში დაგზნებული სიყვარული გაცხადებულია, როგორც სიცოცხლის დანაბადი, სიცოცხლესთან ზიარსაყარი. სიყვარული სიცოცხლესა და სიკვდილს შორის აღმართული უზენაესი ხატია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური ყოფიერების ეშმარიტ არსებობას. სიყვარული აღზევების, რუსთაველური ამაღლებულობის სიმბოლოა:

მაშინ ყველაფერი თავის ადგილზეა,
ოდეს შენს უსაზო სახეს ვხედავ ირგვლივ,
ერთის ნაცვლად ცაზე თითქოს ახი მზეა, —
ვარ განათებული, ვით რუსთველის წიგნნ!..

სიყვარული არა როგორც მიჯნურობა, — სიყვარული ზოგადად, როგორც ნათელი სეტტი, როგორც კაცობრობის არსებობის კანონი. სიყვარული — სამყაროს ქაოსურობის მომშეყრილგებელი, ბოროტების დამთრგუნველი („ღამეც,მზეც მ ფამეც შეეხო აღესილია, ზეცის ცხრავე კარი ფართოდ გახსნილია“).

ზოგჯერ ადამიანში მთელემარეს სიყვარული. საკმარისია მის სულში შეეიღეს ცხოვრებისეული წინააღმდეგობანნი, რომ გიახსნას შინაგანი სამყარო და ქალის სიყვარეული საერთო სიყვარულის, სიკეთის გამომავლინებელად ძალად იქცეს. სიყვარული ძალაა, სიცოცხლის გამოვლინების უმაღლესი სახეობაა:

ო, ცისკარო, — სამყაროის მფეთქავო
სულო,
შემოამღერე ჩემს სარკმელში სხივები
დღლის.

ო, სიცოცხლეო! — გაზაფხულზე
ამღერებულო,
ნედლი ფოთლებით მომეგრილე
მხურვალე მკერდზე.

სიყვარული უხილავი და ზარადია („თვალი ვერ გხედავს, მაგრამ სულის სურვილი გიძებს“). პოეტისათვის ეს ვრძნობა არა მარტო სულიერი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელია, არამედ შემეცნების პირობაცაა. სიყვარული აგრეთვე პოეზიის საგალობელია: „ასე უეცრად სიყვარულით გამეკსო გული და ამ სიყვარულს ტკბილზმოვანი სიმღერა მოჰყვა“. სიყვარული — ტანჯვა და სიხარეია, შეუშუსერელობის ვრძნობის დამშადებელი, ბედნიერების დაუშრეტელი სალინარი; სიყვარული — მშვენიერების სიმბოლოა: „შენ მაინც მზე ხარ, შენ მაინც მზე ხარ დილის!“

ადამიანი სახეა დროისა. არსებობს სიმაღლის შიში, ცეცხლის შიში, წყლის შიში. არსებობს ცხოვრების შიში — ეს შიში ადამიანურად ოატაკებს იპყრობს ზშირად. ეს ეს ნაირ უნაირო საქმეო მიმართავენ თვითგადარჩენისათვის. ისე დაჰკანკალებენ საკუთარ სხეულს, თითქოს მთელი კაცობრიობის ბედს მათს ამშორებულ ხორცის ჭურჭელში დაებუდებინოს. ამ ადამიანთა ცხოვრებას ბრწყინვალედ განმარტავს ბრძენთაბრძენი პლატონი: „ბრძოლაშიც ზშირად აშკარაა, რომ შეგიძლია ცოცხალი დარჩე, თუ იარაღს დაყრი ან ფეხქვეშ ჩაუვარდები მდევარს; არსებობს საფრთხიდან დაცვრენისა და თავის გადარჩენის ბევრი სხვა ხერხიც. მხოლოდ ეგაა, კაცმა ხელი უნდა აიღოს სინდისზე“ („სოკრატეს აპოლოგია“). უბედურება ისაა, რომ ბოროტეულ ზრახვათა მიმადევარი ეს ხალხი ინიღებიან, პატიოსანი სახელით შერაცხულნი საზოგადოებაში. მათი „მოღვაწეობა“ მაცთუნებელია და საშინი. ამ ადამიანთა ხელობა „ეამთა მეკრეტელობაა“. მათ არასოდეს არ ძალუძთ იტვირთონ მოქალაქის ძმიმე ხვედრი. გივი ძნელაძეც შაშს შეეპყრია: არადამიანობის შიშს; როცა თვალსა და ხელს შუა ქრებიან პიროვნებანი და მათს ადგილ ღვთისმგმობანი და ბნელადტტყვეული იკვეთნენ. შეუპყრია შაშს ადამიანის ზნეობრივი დაქვეითვის, მისი სულიერი დაცემისა და გადაგვარების გამო. რაც უფრო ძლერია პოეტზე ცხოვრების შემეხულერი ძალა, მით უფრო ძლიერია სწრაფვა ადამიანობისაკენ. სული, რომელსაც ნიადგ წამლავდნენ და მაინც იერძნო ვაზაფხულის მოსვლა, დახსნილია ეკეროვანთა შებილწებისაგან.

გივი ძნელაძის ლექსებში სიცოცხლე, სიყვარული და ადამიანი განუფიშეული ცნებებია. სიცოცხლისა და სიყვარულის ძალა მხოლოდ გულთასარული ადამიანთან შეიმეცნება, ადამიანი სამყაროს გვიჩვენია: „ეგების რაზე სასწაული — დედამიწაზე უეხთი რომ დაგალთ!... ადამიანი! ადამიანი!... დავირქვეთ ჩვენ თუ დაგვარქვა ვინმეამ?!. ადამიანი კი გვქვია, მაგრამ იქნებ მეტი ვართ რაღაცით კიდევ!...“ ამ სტრიქონების უკან დგას პიროვნება, რომელსთვისაც სიცოცხლე და ადამიანი დაუნაწევრებადი დროსა და სივრცეში („მთლიანობა და საფესეობა ირგვლივ“). ზშირად გვავიწყდება, რომ ხილული ბუნება, რომელსაც მარადდეე ეუმზერთ, ჩვეულებრივი რამ იყოს. ყველაფერს ისე მივეჩვეთ, ალარც ომები გვაკვირვებს, ალარც კაცთაკენ, ალარც მ ო ნ ო ბ ა. პოეტმა დაადწია თავი ამ ჩვეულებრიობას (საგანთა და მოვლენათა ქაოტურობას); ბავშვური განცვიფრებით უმზერს ქვეყანას. ბუნების ყველა მა-

ლარი ალეგორიკაი
ეზეზ. ეზეზ ეზეზ

რტივ საგანში სასწაულს ხედავს. ეს აზრი ალაზევებს ხალხს, სულს, რაიც მოყვასისადმი ზეგრძნობიერ თანგრძნობაში გადადის: „ო, როგორ მინდა მუსტაფმოს ახლა მეგობარი და მოყვასი ჩემი, დავინთოთ ბეერ ბუნაზში ცეცხლი და გავიხსენოთ ამბები ძველი“. ყოფნაც და არყოფნაც, მარადისობაც და წარმავლობაც ადამიანთა კაეშირში გაიაზრება. სიცოცხლე და სიკვდილი — ამ დაპირისპირებულ ერთიანობაში პოეტი იმარჯვებს; იმარჯვებს, რადგანაც მათს არსებობას მთლიანობაში შეიცნობს. რაკი ადამიანის არსებობა სასწაულად მიიჩნევა, ამით ადამიანური ყოფიერების საზრისის გარდუვალობა მკვიდრდება. ამიტომ ამბობს: „და ვეიოცნებთომ მომავლის დღეზე... მომავლის დღეზე კარგია ფეერი, ცუდი ის არის, როდეს

— კაცი და ღმერთი!.. აქვს უდიდესი მომავალს ძალა, იგი ჩვენს აწმყოს წარსულად აქცევს; ასწია ხელი ღმერთმა და ბრძანა: — დრო არის ერთი, — მოლიანი, სავსე! და შენ რომ წარსულს ეძახი ეწყალ, ის იყო აწმყო — დღესავით თეთრი... პირობითია ყოველი ქვეყნად, გარდა კაცისა, კაცია ღმერთის არავითარი გაყოფა სამად: დრო არი ერთი და არა ახლ!... ვინც უყოყმანოდ იწამებს ამას — ის ერთად არის ღმერთიც და კაციც".

მე ვარ ქართველი შენ — საქართველო. სპარტის მეფე — ლეონიდე სპარსეთის იმპერიის მრავალთასიანი მხედრობის პირისპირ სამასი მეომრით იდგა. მას ერთი ბერძენი მწყემსი ეახლა და სამსახური შესთავაზა. ლეონიდემ ახლოშეული მიმართა: ქსერქესს მოლაშქრენი ჰყავს, ჩვენ — ბერძნებია. ამ ნათქვამში, დიდი აზრი დევს, ის ყველა თავისუფლებისმოყვარე ერის შეღმა ფიცივით უნდა მიიღოს. ვიდე ძნელაძის ლექსებში საქართველო და ქართველობა განუყოფელი საფიცარი სახელებია. მისთვის სამშობლო განყენებული ცნება რიდია, — სამშრომელია, შინაგანი დამოკიდებულებაა, როგორც სიცოცხლე, როგორც ადამიანური ყოფიერების საზრისი, როგორც სიკვდილი, როგორც უმაღლეს გრძნობათა შესაკრებელი. („ეჰა, სამშობლოვ, — სიცოცხლე ჩემი და სილამაზე შენა ხარ სრული"), სამშობლო არა გამოცალკევებული, — სამყაროსიყურ მოგლენებთან შეერთებული. სამშობლო და სიკვდილი — იშვიათი პოეტური შეხამება. მაგრამ ისინი კვეფენ ერთმანეთს:

სიკვდილზე ვდარდობ არა იმიტომ,
რომ წუალს ვერ დავლევ, ან თუნდაც
ლვინოს,

არც იმიტომ, რომ არ შემეძლება
გზაზე სიმღერა წავიღიღინო,
არც იმიტომ, რომ არ მომეხვევა
სათუთი მკლავი საყვარელ ქალის,
არც იმიტომ, რომ მატარებლიდან
ვერ დავინახო მცხეთასთან მტკვარი, —

მე იმას ვდარდობ, — შენს სადიდებლად
არ შემეძლება ლექსები ვწერო,
მე იმას ვწუხვარ, რომ მონატრებულს
შენ ვეღარ გნახავ, სამშობლოვ ჩემო!
მე ასე მესმის დარდი და სევდა,
მე საყვარული ამგვარად მესმის
და, გთხოვ ძალიან, არ დამიძრახო
ეს ჩემი გულის ალმინაკვნესი!

ზოგჯერ სამშობლოზე ლექსების წერა ჩვეულად იქცევა. ამ დროს არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. არ არსებობს, რადგანაც სამშობლო მხოლოდ გონებითა, ფანტაზიით გარემდებარე სინამდვილეად შეიმეცნება, შინაგანი გაცნობიერების გარეშე. სამშობლოს ნამდვილი გაგება იკარგება. გიგი ძნელაძისათვის საქართველო შინაგანი ცხოვრებაა, არსებობის კანონია, სიცოცხლის საფუძველია. სამშობლოზე ფიქრისას — „ამ დროს არ ვინდა დამძიმდეს გული, ამ დროს არ ვინდა სიკვდილზე ფიქრი... ოცნება ამ დროს ზზით განთვბულ თბილ ლაგვარდებში მსუბუქად მიჰქრის". საქართველო ხალულად და სახიერად განიცდება. ადამიანის მოკეთეობაცა და სამყაროს მარადისობაც სამშობლოსადმი მიმართებაში გაიაზრება. პოეტი მხოლოდ სიყვაროს კი არ აფლენს, — ამ სიყვარულს ყოველთვის უკვდავების ნთელად მოსავს:

მე ვარ მოკვდავი, შენ კი — უკვდავი! —
მე ეს მახარეს, სამშობლოვ ჩემო!..

ა ნ დ ა —

უკვდავი დედის მოკვდავი შვილი — —
სიკვდილის წინაც ვილოცებ შენთვის!...

თუ სამყარო მარადია და კაცობრიობა უკვდავი, სამშობლოც მარადია. მას არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული, როგორც დროს და სივრცეს. სამშობლო და სიცოცხლე ტოლფასოვანი სახელებია: „შენ ხარ სიცოცხლე ჩემი და სიხარულიც შენა ხარ სრული". პოეტისათვის საქართველო სულიერი ცხოვრების ვამოფლენისა და სამყაროს შემეცნების საფუძველთა — საფუძველია. იშვიათი სიფაქიზე ჩვენის ამ ნასათუთევ სტრიქონებში:

მშობელო მიწავ! მე, შვილს შენსას,
ძალიან ზზრიად,
ვით დედა ჩემი, საყვარელი მშობელი
ჩემი,
ამიყვანიხარ ხელში ფრთხილად, ძალიან
ფრთხილად,
მოგფერებიავარ სევდიანი სიამის
ცრემლით.

•

გიგი ძნელაძის პოეზია კიდევ ერი ი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული მოდგმის პოეტური ბუნება თავისი ზოგადი და კერძო გამოვლინებით ყველავე ინარჩენებს სილამაზეს და დიდსულოვნებას.

ნონა კუპრეიშვილი

მშვენიერი ხიდი

დალოცვილია წამი ლიტერატურისაგან მონიშვნული პირველხხრულისა! ბედნიერია ვითომ ის, ვისაც ამ დრის მოსული საოცარი განცდისთვის გაუჭირვებლად შეუძლია სახელის მოძებნა? სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის წვიმამ“, მადლობა ღმერთს, ყოველგვარი სახელდების მოთხოვნის ნაცვლად ჩვეულებრივი მანქანალა სოკოს განსაკეთფრებლად რეალური სურნელი მოიტანა. არავითარი ეპითეტები არ შეეფერება ამგვარ სინაღდეს. ერთბაშად დაზუსტებაა კი ძნელდება, სად, როელ სტრიქონში ამოვიდა პირველად მანქანალის სუნი და კიდევ ის სევდა, რომელიც მძაფრი და ნათელია, რადგან სევდაა ყველაფერზე ...

ნოდარ ჩხეიძე, რომლის ნაწერებსაც არასოდეს აკლდა ლიტერატურული კეთილსინდისიერება, კარგად გრძნობდა მარტოოდენ ემოციების საშიშროებას კრიტიკოსისათვის. ს. კლდიაშვილის პიროვნებით აღფრთოვანებულმა, იგი, რა თქმა უნდა, უარყოფდა პრინციპს: «Созерцать вещи — весьма приятно, но отнюдь не приятно их переживать». მაგრამ აქვე, თითქოს თავშესაკავებლად იხსენებდა: „გრძნობებზე ლაპარაკი მოსაბეზრებელიაო“. ეზიანინ სიტყვა კი მაინც შეაწყო ღირსეულ და ერთი ამგვარი ეშმაკობებაც გვითხრა: „ყველას, ვინც წუთით მაინც დაუფიქრდება, შეუძლია მიხვიდს, რა სიამოვნებაა ილაპარაკო ისეთ მოლიან, საინტერესო დ დახვეწილ პიროვნებაზე, როგორც სერგო კლდიაშვილია“!.

ლიმილისმომგვრელია ლიტერატურულ კრიტიკაში ახალფეხადგმულთა პრეტენზიული ტონი. გულწრფელობა, ალბათ, ამსაკე ერევა და ჩვენც ერთ ამგვარ მოსაზრებას გაგაგებინებს: ახსებობს მაკან მწერალთა შემოქმედების განხილვის გარკვეული, შტამპად ქცეული მოდელი. იწყება იგი ასე: „დღეს მწერალი ეკუმიუტანელ რეალისტადაა აღიარებული. მართლაც, შშობლიურ ლიტერატურას მან საკუთარი ხმა მიაწედინა, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა იგი. მაგრამ შორეული სიკაბუკენ ტამს, ჩვენი სულკუნის ათიან, ოციან წლებში იგი მოდერნისტული ხელოვნებით გასულიათ გატაცებული. ასე ვთქვათ, მისი ნიჭი შეუბრალებლად „ინანებოდა დეკადენტიზმის ემპაზში“. საბედნიეროდ, მალე გამოერკვა, უწონელ განწყობილებებს სამუდამოდ ზურგი შეაქცია და თავისი ნამდვილი დანიშნულების გზას მიაშურა“.

არ უარყოფთ, ამგვარ მოსაზრებაში არის სიმართლის გარკვეული მარცვლები. ლიტერატურისათვის რეალიზმის, როგორც ამოსავალი პრინციპის მნიშვნელობა დღეს ბრმათათვისაც ცხადზე უცხადესია. ჩვენი სინანული ამას არც ეხება, მაგრამ იქნება დფფიქრების ღირსია ის ფაქტი, რომ მწერალთა თავისთავად რთული, არც თუ გამუდმებულ დღესასწაულს დამსგავსებული შემოქმედებითი ცხოვრება ასეთი სიმარტივითაა წარმოჩენილი. ვგონებთ, ამგვარმა მიდგომამ მოიტანა თავის დროზე მრავალ, ჩვენთვის ძვირფას ავტორთან (მთ შორის გალაკტიონთანაც) რაღაც არარსებული პეროიოდების დადგენა. ნ. ლორთქფანიძე, ლ. ქიაჩელი, მ. ჯავახიშვილი, ს. კლდიაშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია ჩვენს მწერლობაში სწორედ ათიანი და ოციანი წლებიდან დაწყებული მშვენიერი გზებია. თითოეული მათგანის ხასიათი (რა თქმა უნდა, არა ბოლომდე) ამ ლიტერატურული (და არა მარტო ლიტერატურული) ძიებების ეშმაკობად რთულ ეწყვეშაც კარგად გამოვლინდა. წარმოიდგინეთ ერთხმად აღიარებული მოსაზრება, რომელიც ყოველივე ამას არა თუ გაათშავდა ერთმანეთისაგან, არამედ ერთ, თუმცა მტკიცენეულ, მაგრამ შეუღამაზებელ და სასინტერესო მთლიანობაში წარმოგვიდგენდა. მაშინ დღეკანდელი მაღალი რეალისტური პროზა ასე დაუჯერებლად არ დაუპირისპირდებოდა მწერლურ სიკაბუკეს. ობიექტურად დანაუი, მაგრამ ფრთხილად მოწოდებული სურათი თითოეული ჩვენგანის წარმოსახვაში არა რაღაც უსიცოცხლო კერ-

ბის, არამედ ფიქრიანი და ახლობელი კაცის წახეს დაამკვიდრებდა.

ს. კლდიაშვილი საუბარში საკუთარ თავს გაგრძნობინებს. თანაც, თითქოს პირველად. რამდენჯერ ვიფიქრეთ თვით ლიტერატურა, ორიოდე ფურცლის შემდეგ ამაშიც შეემეცადინა გაგარკვევინა. აშკარად თავბრეს გახვევს მისი სხვაგვარი უბრალოება და ამავითვე თქმა: „ერთხელაც კაცი წერას იწყებს. ჰოდა, რა ვიცი რატომ იწყებს"... ბუნებრივია ალბათ ნებისმიერი კარგი მწერალიც ამთავითვე გაგრძნობინებს ცივი თეორიების უვარგისობას, მხოლოდ ესაა, მათ გამოყენება-არგამოყენებაზე არაფერს ეტყვიან.

პირველი შთაბეჭდილება ასეთია. კითხულობ. ერთიმერთს მიპყვებიან ნოველები. უცვნ ჩაიკეტა რიდაც წრე. ეს არის თურმე მწერლის სამყარო, მისი სულისამოფფელი. არჩევ სხვაგვართან ამ სამყაროსა. თუმცაღა სახელს დარქმევეთ გიჭირს, მაგრამ შეუმცდარად გრძნობ სხვათაგან გამორჩეულ ხელწერას. ასე შემოდის თანდათან გარკვეული მცნება მხატვრული სტილისა.

ს. კლდიაშვილის 80 წლისთავზე ბ. ენგენტი წერდა: „ს. კლდიაშვილის მხატვრული სტილი საკანგებო შესწავლას და სპეციალურ ანალიზს საჭიროებს. ქართულ მხატვრულ პროზაში ამ ეთაობად მოიპოვება მწერალი, რომელსაც მეტყველების ასეთი ბუნებრივი, ნოველი და გამქვირველი ფერებით, ასეთი სადა, თითქოს ჩაერიგით უხილავი და მსუბუქი სიტყვიერი ქსოველით მიეღწიოს ესოდენ მძაფრი ზემოქმედების მხატვრული ეფექტისათვის..."

მაინც რა შეიძლება ჩაითვალოს ამ უაღრესად სერიოზულ ამოცანასთან მისასვლელ პირველ საფეხურად? ქრონოლოგიური პრინციპი, ანუ ე. წ. შავი სამეშო. იგი არც ისე შავია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მწერლის მთლიანი შემოქმედებისათვის თვალგადაღენების რეალურ შესაძლებლობას იძლევა. (ჯერ მოვიდა ისეთ ის მთლიანობა, რომლის დაცვასაც ჩვენი წერილის რამოდენიმე წინა სტრიქონი მიეძღვნება).

ბეკლეკარი მ. ბაულაძე ამის თაობაზე ამბობს, მთელი სამწერლო გზა, ამ პრინციპის დაბპარებით, საოცრად საღი თვალით, ერთბაშად თითქოს სიმაღლიდან დაინახეთო. მხატვრული სტილის და ყოველგვარი სხვა ცვლილებების დანახვაც გაციდებით ადვილდება და ყველაფერი უშუალოდ საკვლევი მასალით გაპირობებული დასკვნების გამოტანას ემსახურებაო. ს. კლდიაშვილის, როგორც მწერლის ერთმა თავისებურებამაც (თუ შეიძლება ამას ასე უბრალოდ ეწოდოს) ერთგვარად დაადასტურა არჩეული პრინციპის ეფექტიანობა. ნაწარმოებები იქნება ეს ნოველები, მოთხრობები, რომანები, ცალკეული თავები გამუდმებულად იმყოფებიან მწერლის კრიტიკულ და იქვიან თვალთახედვაში. სწორდება და იცვლება ბევრი რამ, ბევრამ როგორ? ს. კლდიაშვილის დარ. მწერალთან ამგვარი კითხვა სერიოზული ხასიათ და „მხატვრული სტილის შესწავლისას, რა თქმა უნდა, გვერდის ასაცილეო არ გახლავთ. რაც შეეხება ლიტერატურული ენაზის გამორჩევის საკითხს, იგი მკვეთრად გამოხატული და ამდენნაგ ადვილად მისაგნები ალმოჩნდა. ს. კლდიაშვილის ნოველები საკუთარ ავტორზე იმდენს ამბობენ, ომერთმა ქნას, ყოველივეს გაგონება შეგვაძლებოდეს. აკი გვეუბნება კიდეც დეშნა შენგელაია: „სერგო კლდიაშვილი ლიტერატურაში მთელი ხმით მოწიფულობის ხანს აღიარდა. თითქოს ულრან ტყეში იყო და გზას სინათლისაკენ, ნათელი სახეებისაკენ მიიკვლევდა. და აი, „შემოდგომის წვიმით", „ცხელი დღითა" და „ბინეკა ბიუკეთ" შემოაბიჯა..." დ. შენგელაიას მიერ დასახელებულ ნოველებს მართლაც გამორჩეულ დიფერენციაციის მშვენიერი სამოსი. ის კუთხეც, საიდანაც მას ს. კლდიაშვილის მთელი შემოქმედება დაუნახავს, ბევრის ამხსნელია და საუკეთესოც. ჩვენი არჩევანის გასამყარებლად კი ეს კმარა და უფრო ავტორიტეტული ბრალი ძებნა, ამჯერად, საჭიროებას მოკლებულად მიგვაჩნია.

...თავის მწერლურ სიპატეკეზე ს. კლდიაშვილი ყველას ერთნაირად ვერ მოუფეკნა ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელებს, რომელთაც ეგი ახსენებს, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ყოველთვის არ ეკიჭირთ ბოლომდე გარკვეული და კეთილნილი ადგილი. რადაც უცამედი, შინაგანი კონტაქტია მასთან საჭიროა მოგონებების სისავსისათვის. 1919 წელს ვალ. გაფრინდაშვილის მიერ რედაქტირებულ ეკრანულ „ეფოცნეგი ნიაბოიკი" ს. კლდიაშვილი წერდა: „დღეს ისევ მეგობრებში ვარ და როგორც ყოველთვის, თრობა ფერად საუბარით. ო, ეს სიტყვებით დათრობა, — ო, ეს საუბარი რჩეულ მეგობრებში. ის მაღლარის წვეწზე უტკბესია და ძლიერია... ჟე პატარა ოთახში კვამლით დამთვრალ ოთახში უცნო სამყარო და ყოველი საათი, ყოველი წუთი ქარაგანია ზღაპრთა და, ქიმერების. ოთახში თრთიან ოდუმალი კუთხეები და ცხოვრობენ ლანდები... ცოცხლდებიან ხავსიანნი ქვეყნები და ჰკივიან ჯერ არ ნახული... კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, ფეშმს შეუძლებლობა. დღეს ისევ მეგობრებში ვარ... უსაზღვროების მშვიდი თავადი ფერადებით მთვრალ ნაწამებ ოთახში."

„... ცოცხლდებიან ხავსიანი ქვეყნები და

ნონა კუპრეიშვილი
მწვანეთიერი ხიდი

ჭეშმარიტ ჯერ არ ნახულა...“ — ეს გახლდათ ახალგაზრდა კლდიაშვილის მიერ მის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურული ატმოსფეროს ოქმა, რომელსაც არ აკლია იტაცება და ნდობა. რეალისტური პროზის პოზიციებიდან ამ პატარა მინიატურას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ-ერთი პირველადის მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ მაინც არის საოცარ ზუსტად გადმოცემული განაწყობიერება სწორედ რომ ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც უკვე მოუსწრია უპირველესი რამ — საკუთარი სულის მსგავს ადამიანებთან შეხვედრა... „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ფეოქლის ქართული კრიტიკის ისტორიაში, თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც დაერქვა მეტ-ნაკლებად შესაფერისი სახელი. დღეს არავინ ენდობა ბოლომდე ოცდაათიანი წლების გაკვეთილად ბევრ რამეში გაუტკეცველ მავან კრიტიკოსებს. დროის მიერ შექმნილმა დისტანციამ ეს უკვე მერამდენედ მიუჩინა ყველას და ყოველივეს კუთვნილი ადგილი. საბოლოოდ გაგებული იქნა ერთი რამ (რომლის აქ თქმასაც ჩვენ საკითხიდან გადაწყვეტილებამდე): XIX საუკუნეში ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს შემდეგ ჩვენს მწერლობაში მხატვრული ახოვნების სეგრეგაციის კრიზისის ჟამი დგება. ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის ნაგვიანები გამოძახილი, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი უპირველესად გამართლებულია როგორც პროტესტი ილიასა და აკაკის ეპიგონების უკვნარ შემოქმედების მიმართ. ევროპეიზმის საკირეოება (რომლის შემოტანასაც ლოკალზირებული და პროვინციალიზმიდან დაყვანილი ჩვენი მწერლობის პირობებში ცისფერყანწელებიც არაერთხელ ცდილან) ქართულმა ლიტერატურამ სიმბოლისტური მიმდინარეობის დაშლის შემდეგაც არაერთხელ იგრძნო. ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალ. გაფრინდაშვილის, სანდრო ცირეკიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ზოგჯერ სრულიად მოეღებელ, ზედმეტად ახალგაზრდულ და აშკარად ფორმალისტურ „სიტყვთა ჯადოქრობის“ (რ. თვარაძე) მიღმა კარგად ნაწს ქართული ლიტერატურის სიკეკრაგეზე ჩაფიქრებულ ახალგაზრდა მწერალთა მართალი სახეები.

ქრონოლოგიური პრინციპი, რომელიც ს. კლდიაშვილის შემოქმედებისათვის თვალგასაღებებად ავიარჩიეთ, რამოდენიმე ამგვარი ფაქტის მოტანას მოითხოვს. ს. კლდიაშვილის, როგორც იტყვიან, სამწერლო ნათლობა 1911 წელს მოხდა (გაზეთი „სინათლე“). შემდეგ არაერთხელ იმეტდებოდა გაზეთი „თემის“ ფურცლებზე. მაგრამ ამჯერად შევჩერდებით 1913 წელზე, რომელიც ქუთაისში ჟურნალი „ოქროს ვერძის“ გამოსვლის თარიღს ემთხვევა. უპირველესად ყურადღების ღირსია სათაური, რომელიც ცხადია ვალ. პრიუსოვის „Золотое руно“-ს „გავლენას“ არ უნდა იყოს მოკლებული. გარდა ამისა, აქ თავმოყრილი ავტორები, „ცისფერი ყანწების“ გამოსვლამდე (ტიციან ტაბიძე, ნ. ლენა, ნ. ნინოშვილი) პირველნი ამეჩენებიან უკვე ნახსენებ ეპიგონთა „ლიტერატურას“ და ახალ გზებს სინჯავენ. გ. ტაბიძე, ლ. ქიარელი, ს. კლდიაშვილი, ს. აბაშელი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი — შექმნილ ლიტერატურულ სტეფაციაში მათი განდგომა არ შეიძლებოდა შეეთხვევოთ ხასიათის ყოფიერყოფ. ოროიდე სხეი სახელის მიმატებით (კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, დ. შენგელია) მომავალი ქართული პოეზიისა და პროზის განახლების სიმძიმეს ეინნე ამ ძირთად ბირთვზე გადაიარა.

...„ერთხელ შემხვედა მან, მხოლოდ ერთხელ ამ შეხვედვით, რომელსაც ნაპოლეონი ცეცხლიან მონათვლას უძახდა. პირველად ეკითხე მაშინ სამშობლოს ცას, სად წვიდა ჩემი ბავშვობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ უპასუხოდ ჩემი კითხვა...“ (ტიციანი), „...დაფიქრებულხართ როდისმე, რაზე მღერის ქარიშხალი შემოდგომის სუსხიან ღამეს, როცა დახუჭეთ დარაბები, რომ არ გიიგონოთ მისი ქვითინი...“ (ტიციანი), „... იყავეთ მარტო, თუ გსურთ ამაღლდეთ და გარეშოს მწიკლმა და ტალახმა არ გაგაბინძუროს თქვენი სიმშვენიერე...“ (ს. კლდიაშვილი), „... დიდი ხნიდან სიიღუმლოს მეც ღრმად გულში დავიტარე, არ ეუმეღლენენ ქვეყნად არვის, ნიისაკე კი არ ეაკარეს...“ (ვალაკტონი), „... ჩვენ სუფეველს დავციდნდებით ველის ვარდეს მივაშურებთ, ჩვენ ამ ნადიმს რას დავეეტეთ, ჩვენ ამ ლხენას რას ვუყურებთ...“ (ვ. იაშვილი). ქეშმარიტად დიდი ლიტერატურისაგან ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს იყო. მაგრამ მაშინდელი პრესის ფონზე უდაოდ გამოირჩია ახალგაზრდა ავტორთა სხვაგვარი თვალთახედვა, რომელიც, თუმცა სხვათაგან გამორჩევის სურვილისაკენ არ გახლდათ მოკლებული. კ. გამსახურდიამ მეორე ხნის შემდეგ აღნიშნულ პერიოდს ახალ დროსთან შეპაპალი შეხებაა უწოდა. მაშინდე კი, ნამდვილად არსებულ ფინიშნებათა დახვეწა გალაკტიონის 1913 დაწერილი ლექსის „სად?“ სტრიქონებშა დაიტიეს.

...სადა მიეკაკარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ ზვებს მიუსაფარი.
რას მომცემს ისეთ მე საქმოველი.
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი...

არის აქ ის აკვიატებული უმთავრესი კითხვა. განზოგადოებს საშუალებას იძლევა უაღრესად პირველნელი, — „გალაკტონისეული“ შინაგანი მოუსვენრობა და გვეუბნება, რომ ეს

არის მრავალთავის მოძალებულ ფიქრთა და ტკივილთა ზუსტი ფიქსაცია ...

ამ ნათქვამის ერთგვარი სისავსისთვის უნდა გავიხსენოთ 1922 წელს „მეოცნებე ნიამორგბში“ დაბეჭდილი მინიატურა „დაბრეწვა“. ს. კლდიაშვილი იგი სანდრო ცირეკიძისთვის უძღვნია. ადვილი მისახვედრია, რომ სიმბოლოლიტერ მიმდინარეობასაც სწორი პოზიციის უქონლობა ს. კლდიაშვილის ადრეულ შემოქმედებაზე გაუმპარულებელი და ტენდენციური (უკეთეს შემთხვევაში ბოლომდე გაუხსნელი) მსჯელობის თანაფარდია. (სხვათა შორის, ეს მოსაზრება კარგად დაადასტურა ნ. დუმბაძის ახლახან გამოსულმა წიგნმა „ქართული სიმბოლოზმი“). მით უფრო წრმოოდგენელია ს. ცირეკიძის სახელის უგულებელყოფაც.

კარგად მახსოვს ამ სხვადგარი უპირატესობის შეგრძნება, რომლითაც კ. გამსახურდია ამ ათეოიდე წლის წინათ ფართო აუდიტორიას კოტა აბაშიძის როლსა და მნიშვნელობას უმარტავდა. ს. ცირეკიძესთან გაცნობამდეც არიერთ ახალგაზრდა მკვლევარს აგრძნობინა იგივე უპირატესობა, არა მარტო იმის ვამო, რომ ლიტერატურის დავიწყებული ფურცლის წაკითხვა ყოველთვის სინტტერესოა და საჭიროც, ეს თავისთავად. ამ აქსიომატურ ჭეშმარიტებას ს. ცირეკიძე საკუთარი პიროვნების თვითმყოფობასაც უმატებს... ხშირად დაინახავთ. ერთი და იმავე ნიმერში ობეზენიანთ ასე: ს. ცირეკიძე, რომელიც მინიატურით იქვე ს. კლდიაშვილი, ბოლოს, კრიტიკულ წერილებს შორის, ისევ ს. ცირეკიძე, ამჯერად როგორც საქართველოში სიმბოლოლიტერ მიმდინარეობის თეორიულად დამფუძნებელი. თითქმის შეუძლებელია მის წერილებს, რომელებშიც უმთავრესად ქართული პროზის პრობლემატური საკითხები ირკვევა, ახალგაზრდა კლდიაშვილის ინტერესი არ გამოეწვია. თქმა: „ქართველ მკითხველს გადაავიწყდა ინესუის მეორე სახე“, რომლითაც ს. ცირეკიძემ ქართული პროზის უკანასკნელანაა ალიარა, ერთნაირად ეხებიდან ორივეს ... დასსვა ამგვარი საკითხი: „ორი ანტიტეზია პოეზია და პროზა... ბერეული ეგულისხმება, ფსიხოლოგიური მოძენები, მეორეში — სტილისტური, ეს ანტიტეზები ჯვარედინია და არ ფარავენ ერთმანეთს ...“ მიგრამ თანამედროვე ლიტერატურის პირობებში, როდესაც ფრანგმა სიმბოლისტებმა „პოეზიის ენასნიპაცია“ მოახდინეს, მხოლოდდა „ტრადიციულ ჭორად“ ჩაითვლება პოეზიისა და სტილისტური პროზის დაპირისპირება. — ...მრცელების ერთი ზომით გადამთვლელი არაა პოეტი. პოეტია ის, ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჯერილი მარადიულის. პოეტია, ვინც კოშკები აუგო ეამთა სიავეს და როსტომ მანველიძე პუშკინთან გაათბო. გამოთქმის სამზულება სტილის საკითხია მხოლოდ ...“ (მისაგე, „პარალელები“ „მეოცნებე ნიამორგბი“ 1921 წ. №5)“ — პოეზია ერთია და მისი სამყაროე რაგვარ ფიფერი და ყველა ძეიფფაანი. ვინ დაეეჭდება „მკვდარ ბრაგეგგის“, უკაილის ზოლპრეს, „ნეფრეა ბელს „პეტერბურგის“, დავით კლდიაშვილს „როსტომ მანველიძისა“ ან ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონს“ პოეტურ ლირეტერეულებაში“ ერთგვარად გამოიკვეთა თითქოს მომავალი პროზაიკოსისათვის ფურცასდებაბი მინიშნება. არც იმის გაცხადება გახლდათ საფუძველს მოკლეფთ, რომ განსხვავებით ევროპისაგან, სადაც „ლეკსმა და პროზამ ძეიერათ გაიარეს ყველა პოეტური შეოლის საშეეფერი“, საქართველოში იმთავითვე მეფეს სასახლეში დაბინავებულმა პოეზიამ ითქოლერა. რომ მიუხედავად XIX საუკუნის კარის მნიშვნელოვანი შენაძენისა, რვა საუკუნის კარის მწერლობის ინერციამ თავისი თავი XX საუკუნეთ წლებამდეც მოიტანა. მაგრამ ამ და მსგავს მოსაზრებებს გარკვეული მიზანსწრაფვა აქვთ და ერთი ადვილად ამოსაკითხი კრიტერიუმი: „... მოვლენებს იქით საგნები ეზმორებიან უცნობნ. სოფელ დიდი ხანია გაუნწვა ორეული და მოჩვენებებით დასახდდა ქვეყანა. გაიერიცა ფიზიუის ცა, ანგრა ხმელეთის ზურეუბერი და მოისმა სუნთქვა ქაოსის ...“ ბევრი რამ ს. ცირეკიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში (თვით სათაურის როლის გაზეიადება, სიმბოხეის ამოლოგია, ორეულებისა და ლანდების მოზმანება) ეს „სიმბოლოლიტერ აქსესუარი“ (რ. თვარაძე) გახლავთ, რომელიც: ერთნაირად ჭარბობს სხვა ცისფერყანწეულთა იგივე ხასიათის ნაწერებშიც...

ს. კლდიაშვილი ამ დროს შედარებით ცოტას ბეეზდეს: „ხალფი უზდანრთ“ (ზვიადოსანი, 1920 წ.), „მთვრალ საეკართან“ (მეოცნებე ნიამორგი 1919 წ. № 2), „ეკა ტაძარში“ (იქვე №3), „ „წმინდა ქალწულის ცისფერი გადმოხედეა ციდან ქვეყანაზე“ (იქვე, 1920 წ. № 4), „ზუნ ბალდახინზე“ (იქვე, 1921 წ. № 5), ადვილი მისახვედრია, ეს „ეკეთრთვანნი სათაურები“ (ტრ. მაჩაბელი) და რა თქმა უნდა, არა მარტო სათაურები, ს. ცირეკიძის თეორიული მოსაზრებების შემოქმედებით გამართლებას ესურეფიან. მაგრამ ერთი „უცნაურობა“ მაინც უნდა თქვამ. არც ისე საგანგაშოა ს. კლდიაშვილსა და ს. ცირეკიძის, ადრეული მინიატურები, რომელთა გზა თითქოს სათაურისაკენ მიდიოდა. სწორედ რომ თითქოს, რადგან არც ს. ცირეკიძის მხატვრული ხელწერა, მის წერილებში გამოვლენილი უთუოდ ნიჭიერი ლიტერატორის სახე და დაკეფრებული თვალი, ს. კლდიაშვილის ამთავითვე გამეფებული შინაგანი სინაზე და უცნაური თავშეკავება (რა-

ნონა კუკანეიშვილი
მუშვენიერი ხიდი

მელსაც ახლა მისი პროზის ლირიზმი და მხატვრული სტილის ლაკონურობა დაერქვა) მიგვანშნებენ ქართული პროზაში მოსასვლელი სანტიერესო შემოქმედებაზე. ს. ცირკალის კრიტიკულ და მხატვრულ აზროვნებას დახვეწა არ მოესწრო. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. ს. კლდიაშვილ კი, როგორც პიროვნებასა და მწერალს, ჯერ კიდევ წინ ედო „სიმძიმე გზისა“... რამდენად უფრო ნათლად ანერს ბატონ სერგოს შემდეგმდრინიდან შემოქმედებით ხეთყრბებას ეს უცნაური დაპირისპირება, რომელიც ასოციაციის მსგავსად თავისით გეძალება. წიგნში „ცხოვრება დავით კლდიაშვილისა“ დავითი (როგორც მას სათანაო სიფრთხილით უწოდებს ავტორი) პოლნნელ სიმპოლისტს პშუბაშიეულს მატეუასა და კუდაჰნეკა აზნაურს უწოდებს. ყოველგვარი ლიტერატურული სკოლების მიღმა „ჩემთვის მთავარია რას და როგორ წერ“ — ამბობს იგი. და უცებ ამგვარი ფრაზა, რომელშიც ყველა დროის ლიტერატურის უმარტივესი და უმთავრესი ახსნაა დატეული „... გადავვა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან ამ მხოლოდ ის დარჩა, რომელიც ადამიანის სიყვარულთან არის სავსე. გადაიხედე, თუ ასე არაა?...“,

რაევსკიმ კარგად იცოდა როგორც თავისი, ისე ა. პუშკინის პოლიტიკური მდგომარეობა და კონსპირაციის მიზნით თავისი „დიფეტანტის — ლევ პუშკინს მეშვეობით აწარმოებდა მასთან მიმოწერას — უქმებდა, უდიდებდა საქართველოს, განსაკუთრებით კახეთს, სთხოვდა ჩამოსულიყო მასთან სტუმრად და ყველფერი საკუთარი თვალით ენახა.

საქართველოს, ძმისა და მეგობრების ნახვის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი პოეტი მზად იყო ყოველგვარი მსხვეპლისათვის, მაგრამ 1827 წელს არ მოხერხდა სასურველი სტუმარ-მასპინძლობა.

1828 წელს ა. პუშკინმა და ა. ვიაზემსკიმ ერთხელ კიდევ ერთობლივად სოხოვეს მეფეს კავკასიის არმიაში გამწესებინის ნებართვა, მაგრამ აპკერადაც ბენკენდორფმა ნიკოლოს პი-

რეელის სახელი აცნობა მათ, რომ „ყველა ადგილი შეფსებულია“.

ა. პუშკინს მაინც კი აუღია ხელი განზრახვაზე. იმავე წელს მისი სიძე ნ. პაფლიშევი თავის დიდას სწერდა: „... მოხუცები ახლა სოფელში წავიდნენ, ცოლისმა ალექსანდრე კი ჯერ აქ არის. შემოველის ^ოლმე ჩვენთან, მაგრამ ან გატრუნული ზის, ანდა ცხოვრებას უჩივის; პეტერბურგს სწყინეს, ხან საზღვარგარეთ უნდა წასვლა, ხან კავკასიაში ძმასთან“.

მეორე წერილში იგი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს: „ოლოს ^ეთნა, რომ სიგიერემდეი მისული... მარტო მის ძმას ალექსანდრე სერგეის ძეს შეეძლია მისი დაშშეიდება, ხოლო როცა ის არ არის — საშინელებაა. ჩემი უბედურების დამატებით ცოლისმა მეუბნება, რომ გაზაფხულზე კავკასიაში უნდა წავიდეს სამკურნალოდ, იქიდან კი გაემგზავრება ევროპეეს, სადაც თურქების ტყვიები ზუზუნებენ — ანატოლიაში, პასკევიჩთან. ნეტავ რა უნდა იქ, დას ამაზე არაფერს ეუბნება, მეც სიტყვა ^ამომაგონა ერთად ერთადერი არაფერი ეუთხრა: ეს ამბავი მას მოკლავს“. ^ა. პუშკინს სწერს, რომ ^ა. პუშკინმა ავადმყოფ და ავარაკი დაეკერაცა ორანენბაუმში, მაგრამ“... ოლოი სერგის ასულს არ ეწერა ^ამ ავარაკზე ^ძმის მიღება, — იგი კავკასიაში გაემგზარა, სასიოც დიდი ^ანაა ისწრაფოდა“.

ეს ცნობები დასტურდება სხვა წყაროებითაც. 1829 წლის 3 აპრილს მამა სწერდა ნ. რაევსკისს: „ჩემი მეგობარო ნიკოლეშკა, მე პეტერბურგიდან ^ბრუენდები და უკვე მესამედ ვიწყებ შენეთვის ამ წერილის მოწერას. პუშკინს უნდოდა პეტერბურგიდან შენთან წამოსვლა, შემდეგ მოსკოვიდანაც, სადაც ავადმყოფობამ ერთხელ კიდევე დააყოვნა იგი. მე ვალოდები მისგან ^ამის გაგებას და ეს წერილი ხელით უნდა გადმოგეცეს შენ“.

გარდა ^ამისა, მწერალმა ვ. უშაკოვმა „მოსკოველი ტელეგრაფის“ 1830 წლის მე-12 ნომერში გამოაქვეყნა ცნობა: „გასულ წელს თეატრში შეეხდი ერთ ჩვენს პირველხარისხოვან პოეტს და მისი ნათქვამიდან გავიგე, რომ მას განზრახული ^ქონდა საქართველოში გამგზავრება“.

თბილისში კი უკვე იმედი გადაუწყვიდათ. 1829 წლის 26 აპრილს გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ რედაქტორი ^ა. სანკოვსკი წერდა: „ჩვენ მოველოდით, რომ აქ ^ჩამოვიდოდა ერთი ^ჩვენი სოუკეთესო პოეტთაგანი, მაგრამ კავკასიის მხარის მოტრფიალეთათვის ესოდენ სასიკეთელო იმედი უკვე გაქარწყლებულია ^ოუსოთდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით“.

სიდან შეიძლებოდა თბილისშა სანკოვსკისა და სხვებს სცოდნოდათ ^ა. პუშკინის საქართველოში ^ჩამოსვლის განზრახვა? მზოლოდ^ამოლოდ ლ. პუშკინისა და ნ. რაევსკისაგან, რომ^ ^ ^

ქნამსა და ცნობიერ ადარ გავიმეორებ. გამოვყოს მხოლოდ ერთ თანამგზავრს, სახელდობრ, თელავის მაზრის მაშინდელ უფროსს ბახმანს.

კავკასიაში მეფის მოხელეთა შორის ამ ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა კახეთის მდგომარეობა, ახლოს იცნობდა ა. ჭავჭავაძეს, ნ. რაევსკის, მის პოპულარულ ადიუტანტს ლ. პუშკინს და ყარაღაჯში მყოფი დრაგუნთა პოლკის სხვა ოფიცრებს, მათ შორის პოეტს მეგობრად დეკაბრისტებს, რომლებიც ჭავჭავაძის წინანდლის სახლსა და მამულში ხშირი სტუმრები იყვნენ. ცნობილია, რომ ეს „დიდ სიმღის პოეტობდენ გრიგორ ორბელიანი და ლევ პუშკინი“.

ბახმანი, უნდა ვიფიქროთ, იცნობდა გენიოს პოეტს და ბევრ ქებას ეტყოდა კახეთზე, რომელიც იმხანად საქართველოს ყველაზე კეთილმოწყობილ და ყაევებულ მხარედ ითვლებოდა და ვინც კი საქართველოში ჩამოდიოდა ცდილობდა ენახა იგი. ამასთან ბაპმანი იმდენ თავაზიანობას გამოიჩენდა, რომ ასეთი სასტუმრო სტუმარი თელავში მიეწვია.

კახეთის სიკეთისა და სილამაზის ხსენება აქ, ცხადია, მარტო მასპინძლის ზრდილობიანი სიტყვის მასალა არ იქნებოდა. თვით პუშკინსაც კარგად ეშახსოვრებოდა ვ. კიუხელბეკერის სიტყვები: „...ბეგინახავს ყირიმი, ადრიანოპოლი. საქართველოს ზეკა ოდნავადაა არ ჩამოუვარდება იტალიისს, ხოლო ბრწყეულს ტკბენი ბი ვერსის მანძილზე თბილისიდან სამზრეთისაკენ არ ჩამოუვარდება იქაური (იტალიური) ლიმონსა და ციტრონის ტყეებს“.

უფრო შეტად კი ა. ბესტუჟევ-მარლინსკის ალტაკეტული შეძახილი:“.. ბოლოს ეუეტ დაეინაეე ალაზნის ნაკადი, დაეინახე მოლოდინით და ანაზღეეულად. არასოდეს არ დამეეწყებინ შენ, ალაზნის ნეობის სანახაობაეე, არაოდეს არ მოგიგიენ ბეულეუჩეკებლად“!

1829 წლის 27 მაისს ა. პუშკინი თბილისში ჩამოვიდა. ზემით დავინახეთ, თუ რარიგ „ბომზადებული“ შეხვდა მას ადგილობრივი ადმინისტრაცია. ეს თვით პოეტმაც იცოდა წინასწარ და შემდგომ, როცა აზრთვმიდან მოეოდნელად ჩამოსულს ჭკოთხეს, ასე მალე რად დაბრუნდა, მან უპასუხა: „თავი მომაბეზრა ამ მეურვეებმა და ლაღების მეთვალყურეობამ; ძალზე მენანებოდა, რომ ჩემს მეგობრებს ვშორდებოდი, მაგრამ იძულებული გავხდი წამოსულეყავ...“ (ნ. პოტოოსკის მოგონებიდან).

სამაგიეროდ, საყვარელ პოეტს გულთბილი შეხვედრა მოეწყო თბილისის საზოგადოებრიობამ. ამ საქმის მოთავეები უთუოდ იქნებოდნენ „ტოფლისკეე ვედომოსტის“ რედაქტორი ბ. სანკოვსკი და ალ. ჭავჭავაძე, რომლის სახლი თბილისში სტუმართმოყვარეობის [illegible] მეული იყო და, როგორც ა. ბ. ფალავანდიშვილი [illegible] „პეტერბურგიდან ჩამოსულმა ყველაზე ბრნყინვალე ბაბუისაგან ადამიანი, ახალგაზრდა თუ მოხეცი, ამ საპლის უცილობელი სტუმარი იყო“. ამა, ა. პუშკინზე პატივისცემი ვინ იქნებოდა ალ. ჭავჭავაძისათვის!

რაკი ა. პუშკინი თბილისში ძირითადად ბ. სანკოვსკის სტუმარი იყო, პოეტი რედაქციაში და მის ბინაზე აუცილებლად ნახავდა თავის ძველ მეგობარს, გაზეთის ერთ-ერთ წამყვან მეშველს ვ. სუხორუკო

თის ფრონტზე იყვნენ. ამიტომ პასკევიჩს ფრონტზე წასვლის ნებართვის თხოვნა გაუგზავნა. ვიდრე მისგან პასუხს მიიღებდა იგი ეცნობოდა თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ლიტერატურულ ცხოვრებას და ქართული სტუმართმოყვარეობით სტკბებოდა.

ამასობაში ყარაღაჯში, ნიუგეროდის დრაგუნთა პოლკის შტაბ-ბინაში, სადაც დატოვებული იყო სათადარიგო ესკადრონი, რომელიც ახალ შეკვლებას ამზადებდა და საგუშაგოებს იცავდა, გაიგეს ა. პუშკინის ჩამოსვლა და მის წასაყვანად თბილისში ჩამოვიდნენ ახალგაზრდა ოფიცრები — პოეტის შორეული ნათესავი პაპკოვი და მის მეგობარი ნ. კარაიანი. ეს ნაბიჯი, ალბათ, ნაკარნახევი იყო ნ. რაევსკის დავალებით და ლ. პუშკინის თხოვნით, რომ პოეტს შეხვედროდნენ და დირსეული პატივი ეცათ.

თბილისში მყოფ ა. პუშკინთან დრაგუნთა პოლკის ოფიცრების ჩამოსვლა ყარაღაჯიდან მოხსენიებული აქვს შ. დადიანსაც დოკუმენტურ დრამაში „პუშკინი საქართველოში“, სადმელიც მან პოეტის გარდაცვალებიდან 100 წლის თავისთვის დაწერა და 1939 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე. საამისო მასალები მწერალს, ალბათ, ჯერ კიდევ „გიორგი რუსს“ მუშაობის დროს ექნებოდა მოპოვებული.

შორეული მგზავრობითა და თბილისური გულუხვი მასპინძლობით დაღლილმა ა. პუშკინმა გითვალისწინა, რომ ყარაღაჯსა და დედოფლის წყაროში სხვა ნაცნობებსაც ნახავდა, ცოლებს დაპყვა და პასკევიჩისაგან პასუხის მოლოდინში რამდენიმე დღით გაპყვა პაპკოვსა და კარაიანს.

ეს იყო 1829 წლის ივნისის პირველ რიცხვებში.

ამით მეც დავამთავრე დაძნეძილი ანალიების ფურცვლა და არქივის მტვრის ყლაპვა, გუდა-ნაპადი ავიკარი და გზას გავუდექი საგარაუდო მიმართულებით.

დასასრული იქნება

ბიბლიოგრაფია

ბურამ თევზაძე

„მსოფლმხედველობრივი პრობლემები ვეფხისტყაოსანში"

ელგუჯა გიორგის ძე ხინთიბიძეს თვალსაჩინო ადგილი უკავია ქველი ქართული კულტურის მკვლევართა შორის. მისი ორი წიგნი: „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის" ქართული რედაქციები" (1968 წ.) და „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი" (1969 წ.) მას ახასიათებენ, როგორც გამოდელ, უნარიან და ნაყოფიერ მკვლევარს, რომელსაც ძალა შესწევს მიაგნოს და სათანადოდ გააშუქოს ქართული კულტურის ისტორიის საპრობლემო საკითხები.

ე. გ. ხინთიბიძის კვლევა-ძიება თავიდანვე მიზნად ისახავდა კიდევ უფრო გაეღრმავებინა და გაემტკიცებინა ქართული კულტურის დიდ ამაგდართა (ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, შ. ნუციუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.) მიერ წამოყენებული დებულება: ქართველ მოღვაწეთა მიერ ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის თვისებებსა და ამ დიდ კულტურათა ფორმირება განვითარების საქმეში ქართული კულტურის შესაძლებელი წვლილის შესახებ. ვინც ძველი ქართული კულტურის თვითმყოფობის საკითხებს იკვლევს, ის ადრე თუ გვიან, უნდა მივიდეს ამ კულტურის თავისთავადობის უმაღლეს გამოვლენასთან, რუსთველის შემოქმედებასთან. „ვეფხისტყაოსანის" ქართული და უცხოური წყაროების ანალიზი, მასში გამოხატული მსოფლმხედველობის არსი და მნიშვნელობა, როგორც ნაციონალური, ისე სიერთოდ, დასავლეთის კულტურისა და მსოფლმხედველობის განვითარების თვალსაზრისით, ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება, ქართული კულტურის მკვლევართა ძალისა და შესაძლებლობების უმაღლესი და უკეთესი საზომი. ე. გ. ხინთიბიძის ეხლახან გამოცემული ნაშრომი — „მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში" (ოსუ გამომცემლობა 1975 წ.)— მკვლევარის გაბატდული განიცხადა, მაგრამ ნაშრომის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას ამის სრული საფუძველი ქონდა.

უდავოა, რომ რუსთველის შესახებ ძნელია ახლის თქმა და ამავე დროს ისიც უდავოა, რომ ახლის თქმა საჭირო და აუცილებელია. ამ დარგში წარმატება და მონაპოვარი მისსლობით უნდა გაიზრდოს. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე აუცილებელია კვლევის დაკონკრეტება, მეცნიერული კვლევის შედეგის მრავალი განზრომილებით შემოწმება, დაზუსტება და დაფფქნება. დღეს დაგროვილია უამრავი ემპირიული მასალა, არსებობს მრავალი ურთიერთსაპირისპირო შეხედულებანი ერთსა და იმავე საკითხებზე. ერთი შეხედვით, რუსთველის კვლევის თითქმის ყველა შესაძლებელი გზა გამოცდილია. ცნობილია მათი ძლიერი მხარეებიც და ნაკლიც. სარეცენზიო შრომის ავტორს ეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვს. იგი ახერხებს ახლებური გზით წაიყვანოს კვლევა.

რასაკვირველია, ყველა მკვლევარს აქვს გარკვეული სახელმძღვანელო იდეა, რომელიც წარმართავს მის კვლევას. ზოგიერთი მკვლევარისათვის ეს იდეა იმთავითვე გაბატონებული ხდება, მისთვის თვით კონკრეტული კვლევის შედეგთა იგნორირებასაც აქვს ადგილი, რისი შედეგიც საეჭლოა ხოლმე; ზოგიერთი კი ამ იდეას იყენებს, როგორც თავისებურ სამუშაო ჰიპოთეზას, რომელიც კვლევის შედეგების მიხედვით შესწორდება და შეიძლება მოიხსნეს კიდეც. ჩვენის დაკვირვებით ე. ხინთიბიძე არსებითად ამ უკანასკნელი ტიპის მკვლევართ მიეკუთვნება. იგი ძალიან ფრთხილად ეკიდება საქმეს. თავიდანვე მოხაზავს კვლევის საკუთარ მეთოდს და აზუსტებს კვლევის ობიექტს. იგი არ ლაპარაკობს რუსთველის ფილოსოფიაზე საერთოდ, არა-

მეედ მჩოლოდ მსოფლმხედველობით პრობლემებზე „ვეფხისტყაოსანში“, „ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილ მსოფლმხედველობით იდეებზე, ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებებზე. ასევე შეიძლება ემთხვეოდნენ პოეტის მსოფლმხედველობას და პირად ღმერთმრწმენელობას და შეიძლება არა. ავტორი თვლის, რომ მან ჯერჯერობით ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საკმარისი მასალა არ გააჩნია“. ეს საკითხი სპეციალურ კვლევას და თანაც რუსთველის პიროვნებაზე დამატებით მასალას მოითხოვს“ (გვ. 9).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი თავის სამუშაო ჰიპოთეზას მრავალმხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოემის შინაარსის სხვადასხვა ფენის ანალიზით ამოშრეტს. საკითხის გადაწყვეტას უველგან წინ უძღვის სკრუპულოზური ფილოლოგიური კვლევა. მიუკერძოებელი „თვალსაზრისამდელი“ ფილოლოგიური ანალიზი ძირითადი წინასწარი საშუალებაა ტექსტში გამოხატული ფილოსოფიური და საერთოდ მსოფლმხედველობითი სისტემის გამოსავლენად. სიტყვიერი ფენის ანალიზის გარეშე შეუძლებელია ავტორის აზრობრივ განფენილობებს ეწვდეთ. როცა საქმე პოეტთან გვაქვს საჭირო არა მარტო ენის ანალიზი, არამედ ამ ენაზე იმ სპეციფიკური მხატვრული სიახლის გავლენისაც, რომელიც პოეტმა შესძინა თავის კულტურას. თავის მხრივ, მსოფლმხედველობითი კონტურების გარკვევა, თუ მოხაზვა ნაყოფიერ გავლენას ახდენს თავად ტექსტის ფილოლოგიურ კვლევაზე. ეს სარეცენზიო წიგნშიც ნათლად გამოჩნდა, რუსთველის პოემის ტექსტის დაკვირვებულმა ანალიზმა მიუთითა ავტორს არისტოტელეს ფილოსოფიაზე, ხოლო თავის მხრივ, არისტოტელეს ფილოსოფიის შესწავლა დაეხმარა მას რუსთველის მსოფლმხედველობისათვის რიგი უმნიშვნელოვანესი ცნებების შინაარსის ამოხსნისა და ტექსტის დადგენაში. მაგ. „მოცალეობა“, „ერთარსება“ და სხვ.

სარეცენზიო წიგნი შედგება შესავლისა, ოთხი ნაწილისა (I. „ასტროლოგიური ნაკადი ვეფხისტყაოსანში“, II. ვეფხისტყაოსნის უზენაესი არსება“, III. ეთიკის ძირითადი ცნებები ვეფხისტყაოსანში, IV. რუსთველის ადგილის დადგენისათვის შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში“) და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს კარგად დამუშავებული ამარტერი: მითითებული ლიტერატურის სია (ქართული, რუსული, ძირითადი ევროპელ ენებზე, ლათინურზე, ბერძნულზე, სულ 516 დასახელება), საგანთა და სახელთა საძიებელი. წიგნს რეზიუმეს სახით, რუსულ და გერმანულ ენებზე დართული აქვს IV თავის შინაარსი. სულ წიგნი შეიცავს 478 გვ.

როგორც დასათაურებიდან ჩანს, ავტორის მიზანია, კონკრეტული საკითხების კვლევით, თანდათან მოამზადოს შუასაუკუნეების ისტორიაში რუსთველის წიგნში გატარებული მსოფლმხედველობის როლისა და მნიშვნელობის საკუთარი კონცეფცია. იგი წინასწარ არ იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენი წყარო შეიძლება ქონდეს რუსთველს და სად შეიძლება ვეძიოთ ისინი, შეიძლება თუ არა მაგ., ნეოპლატონიზმის, ორეოპაგიტიკის, ქრისტეანობის და არისტოტელიზმის შეერთება და სხვა. ამგვარ საკითხებს იგი ტექსტის დაწერილებით ანალიზს ანდობს. ამ ანალიზს კი იგი ატარებს განსაცვიფრებელი ერუდიციით, და დიდი სიზუსტით. რაც მის დსაკვნაზე ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად სოლიდური საბრისპპირო შეხედულებების არსებობისა, სრულ დამაჯერებლობას აძლევს. კვლევის პირველი ფენა რუსთველის პოემაში ასახულ ასტროლოგიურ შეხედულებათა ანალიზს წარმოადგენს. ავტორის მიერ ასტროლოგიური ტერმინების ტექსტში ამოკითხვა, მათი წყაროების და, რაც მთავარია, რუსთველის პოემაში, მათი მსოფლმხედველობითი და ესთეტიკური ფუნქციების ანალიზი ე. ნინთბიძის მიერ ჩვენ სამაგალითოდ მოგვაჩვენა. აქ, ხშირად, სამეცნიერო საკითხის არამარტო დამაჯერებელი ახსნაა მოცემული, არამედ ავრცელე სხვა ინტერპრეტაციათა, შეცდომების ისეთი ანალიზიც, რომელიც გასაგებს ხდის მათ წარმოშობას და რამდენადმე ისტორიულად ამარტოლებს კიდეც.

ჩვენის აზრით, ავტორმა დამაჯერებლად ახსნა „მთვარის მოვანების“ მხატვრული სახე. (მნათობია სავარეგის ცნობილი ასტროლოგიური თეორიის საფუძველზე); დაასაბუთა, რომ რუსთველის „ძალნი ზეცერნი“ წინაადმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, გულისხმობს არა ანგელოსებს, არამედ კონკრეტულ ასტროლოგიურ მნათობებს, და სხვ. შუასაუკუნეების ასტროლოგია ეიფილებელია რუსთველის ტექსტის გასაგებად, ასევე მისი პოეტური სახეების აღსაქმელად, მაგრამ სარეცენზიო წიგნის ავტორი არ ფიქრობს, რომ რუსთველი ასტროლოგია, ან რომ ვეფხისტყაოსანში გატარებული რელიგია ასტროლური იყოს. პოემის ასტროლოგიური შინაარსის ანალიზით ავტორმა დაადგინა, რომ: რუსთველის კოსმოლოგიური სისტემის ცენტრში დგას ერთი ღმერთი, რომელიც უშუალოდ არ ეჩვენა, არც კოსმოურ მოვლენებში, არც ადამიანთა საქმეებში. ღმერთსა და ადამიანებს შორის დგანან ზეციური ძალები, ასტროლოგიური მნათობები, რომლებიც ღვთაებრივი ნების თანაბმად განაგებენ სამყაროს სამყაროს ასეთი მოდელი ავტორს XII-XIII სს ქრისტიან მოაზროვნეთა შორის გავრცელებულად

მიაჩნია რუსთველის სპეციფიკის დასადგენად საჭიროა ეფრო ღრმა ფენის კვლევა — იმის დადგენა თუ როგორ ესმოდა მი. ჯიოლის ღმერთი, უზენაესი არსება

არაკვეეს რა ვეფხისტყაოსანში უზენაესი არსების ქრისტიანულ ღვთაებრივსან "მიბრძანების საკითხს, ავტორი ცდილობს დასაბუთოს, რომ ეს უზენაესი არსება ვენეტიკად უთუოდ ქრისტიანული რელიგიიდან ამოდის, მაგრამ მისი შინაარსი ვერ ეტეკვა ამ რელიგიის ისტორიულად დაკანონებულ ჩარჩოებში. ავტორი ძალას არ ატანს ტექსტს. სხვა მკვლევრთა მიერ ამგვარი, ნებსითი თუ უნებლიე მცდელობის უმართებულობასაც კარგად აჩვენებს. ცხადია, სავსებით ბუნებრივია, რომ XII ს. პოეტმა ქრისტეს ახსენოს, მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მან ეგი აუცილებლად უნდა ახსენოს და ამიტომ, რადაც არ უნდა დაგეკოდეს, ამოვეკითხოთ ტექსტში ეს სახელი. ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ხელთ არსებულ მეცნიერულად დადგენილ ტექსტში "ეგფხისტყაოსნისა" არ ჩანს **ღვთისშვილი, ჰალელუია დიდი, წმინდა მარიამი, დიდი ღვთისა,** რომელიც ესოდენ პოპულარული იყო ქრისტიანულ საქართველოში. პოემაში არ ჩანს არც ერთი ანგელოსი, არც ერთი წმინდანი. პოემაში არ ახსენიება სახარება, არ ახსენებენა ჯვარი. თუ სათანადოდ შეეფასებენ ამ ფაქტს არ შეიძლება საეჭვო გახდეს დასკვნა: ვეფხისტყაოსნის ღმერთი არ არის ქრისტიანული ორთოდოქსიის ღვთაება". (112 გვ.). მოეკიჭრიოგეთი მეთხეული დაეთანხმება ამ დასკვნას. რუსთველი თავისუფალია უმაღლესი თავისუფლებით, რომელსაც შემოქმედების თავისუფლება ქვია. იგი ისეგე როგორც გოეთე, არ ეტეკვა არც ერთი ოფიციალური მსოფლმხედველობის, მეტიც არც ერთი სისტემის ფარგლებში. სამეგ მის პოემაში მხოლოდ მისთვის დამახასათებელი სისტემის ამოკითხვას ეხება. ახალმა ინტერპრეტაციამ სხვებზე უკეთ უნდა ახსნას ტექსტის საკვანძო პრობლემები და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს საერთოდ ტექსტის მონაცემებთან.

სარეცენზიო წიგნის ავტორმა დამაჯერებლად ჩაატარა "უეამო ქამის", "მზიანი ღამის", "ერთარსება ერთის", "ბუნება ზიარის", "სახე ყოველსა ტანისას" და სხვ. ტერმინთა ანალიზი. პირველი სამი ტერმინი ეხება ღმერთს. "ისინი ერთი და იგივე პოზიტიურ-ნეგატიური დიალექტიკით შექმნილი ცნებებია" (გვ. 150). ღმერთში გაერთიანებულია ის, რაც ადამიანური გონებისათვის ურთიერთგამომრიცხველია. ამითაა განპირობებული ღმერთის "უოქმელობა", "უცნაურობა" ყოველად ბრძნული დუმილი მის წინაშე. ასე იყო არეოპაგელიდან კუზანელამდე.

უზენაესი არსების შესახებ წიგნში გატარებული თვალსაზრისისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ახსნიდა ავტორი ალეგორიულ მიერ ღვთაების დახასიათებას: "იგი გახდის —წამის ყოფთი ერთსა ასად ასსა ერთად" ეს ადგილი ღმერთის თავისუფალი ნების და სამყაროში მისი ჩარევის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ასეთივე ახსნას მოითხოვს, ჩვენის აზრით, აქეკეკუნაური სინამდვილის ("სოფლის") და ღმერთის დაპირისპირება ("მაგრა ღმერთი არ გასწრავს კაცსა, შენგან განაწირსა").

მხატვრულ ნაწარმოებში ასახული მსოფლმხედველობის, მისი ძირითადი წყაროების, მისი წარმმშობი ეპოქის ძირითადი ამოცანების და მდგომარეობის დადგენა ემსახურება ნაწარმოების გმირთა მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპების დადგენას. სარეცენზიო ნაშრომის მესამე ნაწილის მიზანია, ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედების ამხსნელი ეთიკური პრინციპების დადგენა. ე. ხინთიბიძე თვლის, რომ ამისათვის არაა საკმარისი ქრისტიანული ეთიკა, თუმცა უმისოდ ვეფხისტყაოსნის გაგება არ შეიძლება. „რუსთველმა პოემაში ჩააქსოვა ეთიკის ახლებური სისტემა, რომელიც მართალია ალმოცენებულია ქრისტიანულ ეთიკაზე, მაგრამ პრინციპულად და თვისობრივად განსხვავდება მისგან" (გვ. 193). ე. ხინთიბიძე თვლის, რომ ეს განსხვავება ისტორიულად არისტოტელეს ეთიკით შეიძლება იქნეს ახსნილი. ამაში იგი ეპოქის პროგრესული აზრის სული ტენდენციას ხედავს, რამდენადაც „შუა საუკუნეებში რელიგიური დოგმატიზმისადმი დაპირისპირება საზოგადოდ ფილოსოფიის ფილოსოფიაზე დაყრდნობით ხდებოდა. სწორედ ამგვარი ეთიპრდებოდა ფილოსოფიური აზრი XI-XIII საუკუნეების არაბულ, ბიზანტიურ და ევროპულ აზროვნებაში" (გვ. 194). იგივე შეიძლებოდა გვეთქვა არეოპაგიტაკაზე, რომლის გავლენას ვეფხისტყაოსანზე სარეცენზიო წიგნის ავტორი არ უარყოფს.

ე. ხინთიბიძე კარგად ალაგებს ქრისტიანული ეთიკის ძირითად პრინციპებს, რათა გვიჩვენოს, რომ მთ საფუძველზე არ აიხსნება ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს, ისე ეთქვათ, სამოქმედო ეთიკას ქრისტიანულ კვეყნებში, რომლის მიხედვითაც ეწყობოდა ჯვაროსნული ომები, იკურთხეოდა პოლტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა სხვადასხვა აქციები. მაგრამ მთავარი მაინც ჩვენის აზრით, არის ამ ორი ფაქტის ახსნა, რომელიც ყოველთვის უხერხულობას ქმნიან რუსთველის ზნეობის მკვლევართათვის. მხედველობაში გვაქვს სასიძოსა და ჭაშნაგირის მკვლელობა. მოეხდებოდ ავტორის მიერ ირგვმენტაციისა, ეს ორი ფაქტი, ვინაკუთრებით სასიძოს მკვლელობა, ვერაა დამაჯერებლად ახსნილი. ე. ხინთიბიძის მიერ შემოტანილი პრინციპი—მიზანი ამართლებს საშუალებას — თავის-

თავად ძალიან საეჭვო პრინციპია ეთიკაში. იგი გულისხმობს დამატებას —თუ კი ნამდვილად ამართლებს. არც კეთილი შედეგი გამოდგება მოქმედების ზნეობრივობის საზომად. ავტორის მითითება იმაზე, რომ მართალია ტარიელი და ნესტანი, არავითარი სამართლებრივი კოდექსისა არ არიან მართალი, მაგრამ „მათი სიმართლე მათ ადამიანობაში, ადამიანური გრძნობიერებაში, ადამიანური აზროვნების პატეტიკემაში მდგომარეობს“ (გვ. 290), ან რომ ჭაბუკიანის მკვლელობა მიზნის თვალსაზრისით, „ქველმოქმედებაა (გვ. 208), მეტ დასაბუთებას საჭიროებს. მართალია რუსთველის ზნეობა, ისევე როგორც არისტოტელესი, არისტოკრატიული ზნეობაა, მიზანი აქმკვეთნეური ბედნიერებაა და „მისი საზომი ადამიანია“ (გვ. 211), წამოიჭრება საკითხი — რომელი ადამიანი? ცხადია არა სასიძო. როგორი ადამიანი? აქ კვლავ დგება დანაშაულის და დირსების საკითხი და მუშტის სამართლამდე მისვლის სახიფათო პერსპექტივა. ამ კონკრეტულ საკითხში არისტოტელის ფილოსოფია, რომელსაც ავტორი ასე ნაყოფიერად იყენებს, საქმეს ვერ შველის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წყაროთა შორის არისტოტელის ადგილი ასე საფუძვლიანად, ასე ფართედ და ასე ზუსტად არავის უკვლევია. ე. ხინთიბიძეს სანქაქო გულმოდგინეობით შეუსწავლია ეს, ერთ-ერთი ურთულესი ფილოსოფიური სისტემა და სამედო ტექსტუალური ცოდნით შეიარაღებული არა ერთ საყურადღებო დასკვნას, რომელთაგან ზოგი თავისი დასრულებულობით ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს მკითხველს (მაგ. „მოცალეობის“ გაგება).

მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც სარეცენზიო წიგნში არისტოტელეს ფილოსოფიას განეკუთვნება, როგორც რუსთველის წყაროს, ე. ხინთიბიძეს იგი მაინც მხოლოდ ერთ-ერთ განსმაზღვრელ წყაროდ მიაჩნია რუსთველის შეხედულებებისა. რუსთველის ეთიკური სისტემის ცენტრში დგას, არა არისტოტელესეული შემეცნებითი მოღვაწეობა და იმდენად, პასიური შემეცნება, არამედ სიყვარული. **„სიყვარული რუსთველის ეთიკური კონცეფციის ცენტრია.** იგი ვეფხისტყაოსნის ეთიკური შეხედულებებით უმაღლესი სიკეთეა. ამ დებულებით კი რუსთველის ეთიკური შეხედულებები უკვე მკვეთრად განსხვავებულია არისტოტელესეული სისტემისაგან“. (გვ. 254). რუსთველის შეხედულებათა სპეციფიკის ასახსნელად ქრისტიანული რელიგიის გარდა ე. ხინთიბიძე მიუთითებს „ქართულ ნაციონალურ ზნეობაზე“, ასევე „XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ სინამდვილეში ჩამოყალიბებულ რიანდელი ინსტიტუტის ზნეობაზე“, მის მთარალო კოდექსზე (გვ. 255).

რა ადგილს მიუჭერს ვეფხისტყაოსანში გამოხატულ მსოფლმხედველობით შეხედულებებს შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში სარეცენზიო წიგნში გარკვეული წყაროები, დადგენილი ძირითადი ცნებები, ინტერპრეტირებული საკვანძო ადგილები? ამ საკითხს წიგნის მეოთხე ნაწილი ეხება. განიხილავს რა ქართული კულტურის განვითარების ისტორიულ გზას, ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბიზანტიურ ორიენტაციას ქართველი მოაზროვნეებში არასოდეს არ მიუჯავნია ამ კულტურისადმი მონურ მორჩილებამდე ქართული კულტურა ჩამოყალიბებული, როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურათა რეალური სინთეზი თავს ახალი სიტყვის სათქმელად გრძნობდა მოწოდებულად. ამ სიახლის გამომხატველია „ვეფხისტყაოსანი“. რუსთველის შეხედულებები ბიზანტიური აზროვნების გაგრძელება და მისი შერწყმა აღმოსავლურ აზროვნებასთან — არაბული ფილოსოფიისა და სპარსული ლიტერატურასთან, მაგრამ რუსთველი ე. ხინთიბიძის აზრით, არ არის დასავლეთისაგან განსხვავებული აღმოსავლური რენესანსის წარმომადგენელი. რუსთველი იმავე საკითხებს ახალებს რასაც გაგვითარებული სკოლასტიკა და არაბული არისტოტელიზმი. ამ საკითხების გადაჭრის იგი სწორედ იმ მიმართულებით ცდილობს რა გზითაც შემდეგ XII-XIII საუკუნების პროგრესული აზროვნების, „ამ პრობლემების რუსთველისეული გადაწყვეტა მიღლდება რენესანსული ეპოქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რუსთველის მსოფლმხედველობის პრობლემების ახსნისას იოანე პეტრიწის შეხედულებათა გათვალისწინება. ძველი ქართული კულტურის ამ ორი დამამანტერი ფიგურის შეხედულებათა სისტემური შეპირისპირებითი ანალიზი, ჯერჯერობით, მაინც მომავლის საქმეა. რუსთველის წყაროების ძიებაში, საერთოდ, მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ გარეშე სინამდვილეს, როცა ნაციონალური კულტურა საკმარისი აღარაა. ჩვენ გვეჩვენება, რომ არისტოტელეს იმ გაგებისათვის, რომელსაც სარეცენზიო წიგნის ავტორი რუსთველთან ხედავს, არაა ოუცილებელი ავერროესის გავლენის დაშვება. ამისათვის საკმარისია ი. პეტრიწი, რომელშიც ნათლად გადმოსცა, თუმცა არ მიღო, არისტოტელის მატერიალისტური ინტერპრეტაცია ალექსანდრე აფროდისიელის მიერ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეტრიწი გარკვეული მიმართებით არაბულ არისტოტელიზმზე მაღლა იდგა. მის მიერ გადმოცემული არისტოტელეს უფრო ნამდვილი იყო. თუნდაც ის ფაქტი, რომ პეტრიწი არსად არ ახსენებს არაბულ არისტოტელიზმში აღიარებულ ნაყაბუნე შრომას—

„არისტოტელ! თეოლოგიას“ რომელიც, როგორც ფიქრობენ პლატონის „ენციკლოპედიისაგან“ იყო შედგენილი პოოფირი მიერ. დიდი ქართველი ფილოსოფოსი თითქოს აფრთხილებს, თანამემამულეებს ამ წიგნის გაკეთნისაგან, რაცა წერს, რომ არისტოტელეს თეოლოგია „ბისა ბეტა-ფიზიკაა“ და სხვა არაფერი. თუ რუსთველი არისტოტელეს ნეოპლატონიზმად „შეტრაქულ“-იცნობს ეს პატრიწის დამსახურება შეიძლება იყოს.

სასურველი იქნებოდა სარეცენზიო ნაშრომში რუსთველის მსოფლმხედველობაზე და საერთოდ, რენესანსის კულტურის ფორმირებაზე პლატონის ფილოსოფიის გავლენა ისევე დაწვრილებით და საფუძვლიანად ყოფილიყო განხილული, როგორც არისტოტელესი. ფაქტია, რომ პლატონ-არისტოტელეს შერიგების ცდები შეა საუკუნეებში უკვე მეცხრე საუკუნეში იწყება (ალ-ფარაბი), ჯერ არისტოტელეს პრიმატით, ხოლო შემდეგ რაც უფრო ვუახლოვდებით რენესანს, პლატონის უპირატესობით. საყურადღებოა, რომ საქართველოში პეტრიწი მთელი პატვისცემის მიუხედავად, არისტოტელეს არსად არ უწოდებს „დიდს“ და „ღვთაებრივს“, პლატონს კი მრავალგზის, მეორე მხრივ, ჩახრუხაძესთან, როგორც ეს სარეცენზიო წიგნშიც ნაჩვენებია, არისტოტელეს უპირატესობაა აშკარა, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ საქართველოში რენესანსისაკენ მიმავალ გზაზე არისტოტელესა და პლატონის მომხრეთა შორის რაღაც ამის მსგავსი დამოკიდებულება იყო, რაც იტალიაში ადრეულ არისტოტელიკოსთა და ფლორენციელ პლატონელთა ბრძოლის სახითაა ცნობილი? სარეცენზიო წიგნის ავტორი უარყოფს ამ შესაძლებლობას, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსთველი არსად არ ახსენებს არისტოტელეს. პლატონზე და ანეოპაგიტიკაზე კი ნათლად მიუთითებს.

რეცენზიაში არათუ დაწვრილებით გარჩევა, ჩამოთვლაც კი ძნელია იმ საყურადღებო დებულებებისა, რომელნიც სადისერტაციო ნაშრომშია მოცემული. რაკიდან განსხვავებულიც არ უნდა იყოს საქმით დაინტერესებული მკითხველის საკუთარი პოზიცია, იგი იძულებული იქნება აღიაროს, რომ ნაშრომში მოცემული არგუმენტაციის ხელოვნებით უარყოფა შეუძლებელია, რომ ისინი სოლიდურ ლოგიკურ და ფაქტიურ საფუძველს ემყარებიან. წიგნი წარმოადგენს დიალოგს თანამედროვე რუსთველოლოგიასთან და ავტორი ახერხებს ეს დიალოგი უბრალო ფორმად არ იქცეს მონოლოგის, ე. ი. სხვათა შეხედულებები მხოლოდ ფონად არ გამოიყენოს საკუთარი მოსაზრებებისათვის. ავტორი ყოველთვის ვარკვევით მიუთითებს იმ მკვლევარებზე, რომელთაც ემყარება, რომელთაგანაც დავალებულია და მათ აზრებს ანვითარებს, მაგრამ არც წინააღმდეგობებს ჩქმალავს. უდავოა, როგორც ყოველი სასარგებლო და სიახლის შემცველი წიგნი ეს ნაშრომიც აზრთა ახალ დაპირისპირებას გამოიწვევს, მაგრამ დარწმუნებული ვართ ეს დაპირისპირება აქამდელთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე მოხდება, კერძოდ იმ დონეზე, რომელიც სარეცენზიო ნაშრომის გამოცემით შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ფეთეკაური

დალაცათუ არ იქმნა ძლეულ

საქართველოს სისხლიანი წარსულის სტრატეგიულ ქორონიკონში ბევრი ისეთი საბედისწერო თარიღი არის შეტანილი, რომელთაგან თვითეულს მართლაც შეეძლო მთელი ქართველი ერის ფიზიკური არსებობისათვის უკანასკნელი ტრაგიკული წერტილის როლი შეესრულებინა!... შეიძლებოდა ეროვნული ქრონიმატრის მიწყვიტ ხხეცადი ისარი თავის რომელიმე გრადუირებულ შკალაზე ერთსულ და სამედგმოდ გაქვავებულიყო და... მაგრამ მადლობა ჩვენს ბედად, სახელოვან წინაპრებს, რომ ამ ისტორიულ ქარიშხლიან საუკუნეებში არც ჩვენი ხალხის გულისცემა და მაჯისცემა შეჩერებულა და არც ჩვენი ხალხის მუოვარმფეთქავი არტერიული ძარღვი გაწყვეტილა! დიახ, ასეზრის და ათასეზრის ვუმადლოდეთ ჩვენს გაუტეხელ, ბრძოლის ცეცხლში გაალმასებულ წინამორბედ თაობებს, რომ ჩვენი არსებობის ეროვნული მდინარე სადმე შუაგზაზე ისლამთა დაბიცხული უდაბნოს გავარვარებულ ქვიშრობში კი არ ჩაიკარგა, არამედ სათავედან საკუთარი სადნანართი იარა და კვალად და კვალად ქართული ტალღების ცინმორეული ამპრიხეთი ეამთა ოკეანეს დაეუკეტელი შემართებით ერთოდ...

ალმოსავლეთის ვეებერთელა მუსულმანური სამყაროს პირისპირ ჩვენი ქვეყნის თავგანწირულ ბრძოლათა მრავლისმომქმელი მატიანის ბოლო დრამატულ ფურცელს 1795 წლის სექტემბერში ალა-მაჰმად-ხანის საქართველოში შემოსევა წარმოადგენს.

...იარაწმი ნახევარსუკუნოვანი სამოკალაქო ბრძოლები XVIII საუკუნის ბოლო ოცწლეულში ჭაყართა ტომების წინამძღოლის ალა-მაჰმად-ხანის გამარჯვებით დამთავრდა და სულ მალე მან თავზე ირანის შაჰის გვირგვინი დიადვა. უძველესი სპარსეთის სახელმწიფოს ახალმა დესპოტმა „გაჟრისტანის“ მეფე ერეკლე მეორეს რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმება და ქართლ-კახეთში ირანის გავლენის აღდგენა მოსთხოვა. როდესაც ერეკლემ ამ წინადადებაზე მტკიცე უარი ვანუცხადა, ალა-მაჰმად-ხანი 35000 მეომრიანი ლაშქრით 1795 წლის 10 სექტემბერს თბილისს მოადგა. ერეკლეს მხოლოდ დაახლოებით 5000 მეომარი ჰყავდა, მაგრამ ამ თავისი მცირერიცხოვანი ჯარით მოამტდეს მაინც უყოყმანოდ შეერკინა. პირველ დღეს ქართველებმა მტრის მოწინავეე ნაწილებს სძლიეს და იგი სასტიკად დამარცხებული უკუაქციეს. მეორე დღეს, 11 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანის ჯარებმა ერეკლეს მეგბრძოლებს თბილისის კარებთან კრწანისის ველზე შემოუტიეს და თუმცა ქართველებმა მტრის ჯარბ ძალებთან (ირანის ჯარი ქართველთა ჯარს ხუმ შეიდჯერ აღემატებოდა!) გმირობისა და თავდადების სასწაულებრივი მაგალითები აჩვენეს, ისინი ამ აშკარა უთანასწორო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბატალიაში ბოლოს მაინც დამარცხდნენ. თვით ერეკლე მეფეც ამ ომში მოწინაღმდეგის სახეფთო გარემოცვაში მოხვდა, მაგრამ უახლოესმა თანმხლეგრეებმა დიდი რისკისა და მოხერხების ფასად იგი ურჯეკი დუშნის ტყეეობის ფაფრაკეთაგან იხსნეს. მოხუცმა მეფემ მთიულეთისა�აიღო გეზი, ხოლო გამარჯვებულმა ალა-მაჰმად-ხანმა ქალაქი ერთიანად გაძარცვა, გადადუგა, მიმოარბია, დაანგრევინა მეფის სასახლე, ზარაბზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი და ა. შ. მთელ ქვეყანას მოთარეშე რაზმები გაუსია, რომლებიც უმოწყალოდ ყლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ზოგს თავიანთ ყმებად ერეკებოდნენ, ორთქეედნენ ქონებას, სპობდნენ ჭირნახულს, კაფავდნენ ენანბესა და ხეხილებს, ერთი სიტყვით“ ყველგან ს

ველი ერის ამაღორძინებელი დიდგორის გამარჯვების უბრწყინვალეს თარიღს — 1121 წელს რამდენიმე ხნის შემდეგ ამავე ერისთვის ყაბალტროფული უშვგნელესი თარიღი 1795 წელი მოკაოლოდა! რომ ერის ფიზიკური და სულიერი ბიოგრაფია კიდეკი (სწუნის და დამამთავრებელ) თარიღებად ქცეულიყო X — 1795 წ. წ. ღმერთმა ნუ ქნას, თუ სპარსეთის მომძლავრებულ აგრესორ ტირანებთან ქართველი ხალხის მრავალწლიანი უღმობელი შეტაკებანი თვით ქართველი ხალხის ეროვნული მეხტის სიჯიუტეს, შეუპოვრობას, უძლეველობასა და სიცოცხლისუნარიანობას მოასწავებდა, ამ მეხტის მუდამ მბეკტეი ნაპერწკალი რადა ახლა ჩაქრებოდა!

და აკი არც ამჯერად ჩაქრა!

და ყაჯართა დინასტიის ფუძემდებლის, სპარსეთის მრისხანე ტირანის— აღა-მაჰმად-ხანის მზაკვარ სურვილს ასრულება არ ეწერა, მისი მახვილი ისე ჩაჯანგდა საკუთარ ქარქაშში, რომ შლეგმა, ეზაფთებულმა დამპყრობელმა დაჩოქებული, მეხტოფარილი საქართველო ვერ იხილა... იგი ამ ვერაგელშიხანსაფდელი თავმიკეკვე იარაღით მიწამ ნაცარქმედრად მიიქცა, ხოლო სპარსეთელმ მომავალ სოუკუნეთა ეელეტეხნელებზე ამაყი, ქედმოუხრელი წინსვლა განაგრძო...

კრწანისის ბრძოლის თემაზე მრავალი მხატვრული ნაწარმოება შექმნილი, ამ მწვავე და მწარე ეროვნული ტკივილების ალმძერელ ფაქტთან ხალტური სიტყვიერების ბევრი ნიმუშია დაკავშირებული; ეს იარაღოეშეშეებელი ყველი ერი ეაეშნით გამსქვალული ეპიზოდი სხვადასხვა ისტორიკოსების შრომებში ნარეგაზოოვნი პოზიციებადან არის მიმოხილული.

ე. წ. „კრწანისის სევდის" ამსახელ ერთ-ერთ უკანასკნელ მხატვრულ თხზულებას წარმოადგენს მწერალ ირაკლი ეგლოვის ეროეკი მოთხრობა „ეერკელს ზვიეტნა", რომელიც უფროსი სასკოლო ასაკის ბავშეებისთვის, სავრთოდ ჩვენი მოსწავლეთ ახალგაზრდობისათვისაა გაგაკეთებული. ეს პროზაული ნაწარმოები ახლახან „ნაკადულმა" გამოსცა (რედაქტორი ლ. ეროსთავი, მხატვარი ზ. კაპანაძე) და იგი ეეეშეველად საინტერესო ცდაა საქართველოს ისტორიის ცალეკეული მონაკვეთების კონკრეტული შეეწყალის მიმართებით, როდესაც ამ ზესაბამის მხატვრული მასალა განსაზღვრული პედაგოგიური მეთოდოლოგიური პრინციპებით არის მოხმობილი და განეტოებილი. ეს კი მიზნად ისახავს დასახელებული ფეენიერული დისკუსიანის სფეროში მოწაფეთა მიერ გარკვეული საკოხების გარშემო ცოდნის უფრო სიფუძვლიან ათვისებასა და განმტკიეებას. აღნიშნული მომეტი, ცხადია, უშუალოდ სასკოლო სახელმძღვანელოს ფარგლებს სცილდება, მაგრამ აქ იგი კერძოდ ისტორიის სწავლების თეორიული წანამძღვრების მიხედვით სავსებით მიზანშეწონილი ელემეტად გვესახება. აქ ერთმანეთთან ორეული კავშირშია სათანადო ისტორიული ფაქტების და მასთან მჭიდროდ გადაპლეთილი ძირითადი ქრონოლოგიური თარიღის ეურიეერთობის პრობლემაც, რაც სწავლების პროცესში გამსაკუთრებული აქცენტირებით არის გასათვალისწინებელი.

სარეკენზიო წიგნში რეალისტური და ფანტასტიკური მოტივები ჯერეოვანი თანაფარდობით არის მოცემული, რაც ისტორიული ხასიათის კაზმეულსტყვიერი ტექსტის ერთ-ერთ კომპოზიციურ ნიმანდოლიე მხრეს შეადგენს. ასასახავ ობიექტურ სინამდვილეს ავტორის სუბიექტური გამონაფინიე ემატება და ნაწარმოების ფაბეული თავის მთლიანობაში ერთ საერთო იდეას ემსახურება. ეს იდეა კი აქ სატირიტოული სულისკეეთებითაა დაეელექტროებული და თავის დანშნულებას საკმაოდ მკაფიო ფორმით ასრულებს.

აღნიშნული პათოსი, — მოზარდი თაობისადმი საკუთარი-საშობლოს უსაზღეოდ და უანგარო სიყვარულის შთაგონება ავტორის მიერ სარეკენზიო წიგნის ანოტაციაშიც არის ხაზგასმული. „ჩემი სურვილი იყო, — მიუთითებს მწერალი ამ ანოტაციაში, — დამეხატა ისეთი თამამი ბიჭები, რომლებსაც... თავისი ეერა, თავისი ქეეეანა, ხალხი თავდავიწყებით უყვართ და ყოველთვის მზად არიან მსხვერპლად შეეწიონონ მის აწყმოსა და მომავალს"...

ავტორს „თამაში ბიჭების" სახით ნაწარმოებში გამოპყავს ერეკელ მეფის ყოფილი მეაბერის მცხეთელ ბერდია კოზმანაშვილის ორი ტუკვი შვილიშვილი, „სასეკეშეზე ახლადღინღლამოწვერილი" ობოლი ეკეკენი — დედისა და მამისა.

მცხეთელი ბერდია კოზმანაშვილის სვეკუკედმართი სოფლიო თავგადასავალი ამა თუ იმ ინტენსიობით თითქმის თვითეეული მამანდელი ქართველი უბრალო რიგითი მოსახლის ტიპიერ შეგეხეს; გამოხატავს, მოსხდურთა თავდასხმების განეწყვეტელ მოგერიებაში მამეული შვილთა მოდგმის თანდათანობიეე შეცოტავებას და ბევრი მათგანის კერის სრულიად დაშრეტას გადმოსცემს. ი ი რა ჭეშმარიტების არის ნაჩვენები ერთი ქართველი მიწისმეშის შთამომავლობითი გადაეეა — გადაშენება, რაც გარეშე მტრის ულმობელი მსხვრევილი ხელით იყო გამიზეზებელი:

„ეს ორი ბიჭი შერჩა მცეხთელ ბერდიას. ოთხი შვილი და სამი შვილიშვილი მტერს შეაკვდა — ორი ბელეკანში, ორი ასპინძაში, ერთი განჯასთან, ორიც ლეკების დევნისას დაიღუპა. შემდეგ რაღაო ჯავრს გადაყვა და დარჩა ობლები მეფის მეაბერეს და ერთგულ გეშგაზს".

ერთი ოჯახის ამონაყარი ყლორტების თან-

დანიშნული მოშთობის მაგალითზე მინიატურულად მთელი ამერთინდელი საქართველოს სულ უფრო მძაფრი და სწრაფი გაჩანაგება-მოოხრებაის ქოიტური, შემზარავი ისპარეზია დალანდული.

და ინ, ერთ დროს უშიშარ, შეუდრეკელ რაინდს, ბერდავი კოსმანანშვილის ღრმა სიბერეში კიდევე ეოლს მსხვეპრალს გაღეცა, — ისიც კვლავ ამთელსანის ბრძოლის წმინდათაშეინდა საკუთთხეველზე. როდესაც ალა-მამმადხანის შემოსეეგს ამპავმა მცხეთამდე მიაღწია, ბრძეწეაცმა ბერდიან საკუთარი ოდინდეკი მრავალრიცხოვანი, მაგრამ შემდეგ თითქმის დედდ-ფეძანიან ამოძირკეული ოჯახთან უკანასკნელ ნაშთად შემორჩენილი ორად-ორი შვილშეილიე მეფე ერეკლეს დასახმარებლად სათბილოსა გზას გაუყენნა. თან ისინი დიდი გულითადობით დაიკვალეს:

„— ბაბა ბიეები, მეფე ლაშქარს აგროვებს, ქუდზე კაცია ნაბრძანები, თქვენ უკვე დიდები ხართ. თქვენი ხნისა რომ ვიყავი, სამჯერ ვახლდი მეფე თეიმურაზს სალაშქროდ. ჩაჯალთ თბილისში, ეახლეთნი მეფეს და ეტყვეთ, რომ მისა მეაპრეს — ბერდია კოზნანაშვილებმ შვილშეიელი ხართ, რომ ბაბა დაეძლეოდა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის, ვერ ეახლა, ვერ დაეშვენა მხარი ქეელებეოდა. ეთხარით, რომ თქვენ მტლად დაედგით მის სახელს!

— იარაღი? — შებედა დედისამ.

— კომბლები წაიღეთ. იარაღს კი იქ ეშოვით. ამ ერთი ხანელის მეტი არაფერი შემრჩენია, რომელ ერთს მოგეცეთ.

იმ დღეს არაგველებმა ჩამოიარეს, სეეტიცხოველნი სანლოვნი ანთეს და გზა განაგრძეს. დღისა და მამისაც მათ გაპყენენ. მართალია იარაღასხეულ მოლაშქრეებში, კომბლიანი ბიეები სასაკეოდ გამოიყურებოდნენ, ერთიორად გაკალს კიდეე არაგველებმა, მაგრამ ტყუეებმა ანიუნშიაე არ ჩააგდეს მათი დაკინვა. ბერდია ბაპამ ბრძანა და გთოადა: ეს კომბლები წაიღეთ, ხელართული ბრძოლაზე შუბის მაგიერობას გაგიწევთო".

მოთხრობის ეს ბასაი მრავალმხრივ საგულისხმოა და დამაფიქრებელი. მასში კვლავ და კვლავ მაშინდელი გავეერანებული ქვეყანის უმძიმესი ვითარება ირეკლება. ამ დროს ეს ქვეყანა ისე იყო დაძაბულებული, რომ მის ზოგიერთ ოჯახს ყოველი მხრიდან ღუარცოფად მოგარდნილი მოძალდისათვის შესაბრისპირებელი პრიმიტიული ცივი იარაღიც კი არ მოეპოვებოდა, ნამდვილი სამარი საქუჩელი ხომ ალბათ, თავისი კეთილ დამცველთათვის მართალც რომ იმ აშლილობას ეკმს სანლაბეკი „ფუფუნებაზ" იქნებოდა. ჰოდა ინ, კოზნანაშვილის ტყუეებსაც მეფის ყოფილი მეაბჯრის ოჯახიდან თან „რკინის გული და... ხის აბჯარი (კომბლები)" მიაქეთ... ინ ბედის ირონია!

ტყუები ძმები ხაპის არაგველთან ერთად ქალაქში შესვლის მოახრეხეზენ (ეს სეენა ამ საინტერესოდ არის აღწერილი), აქეე ეეეი გეშაკად მდგარი, ვიეერად გადაგმული ჯეგეანი თანია დახვედნთ. ისინი სეიდამდის კარმა თბილისიდან გამავალ ერეკლე მეფეს დაინახავენ. კრწანისში თეთრჩალიან თურქმანებთან გავეშეპული ბრძოლა ჩაედგმა. სამოდდათხუთმეტი წლის პატარა კახი მტრის ალყას გამოაღწეეს და „საქართველოს გულს" — თბილისს მოაშორებს. შემდეგ დამარცხებული ქართველთა ხელშწიფე სატახტო ქალაქსაც ტოეეს.

„დიდმა კარი გაიარა დამარცხებულმა ერეკლე მეფემ. „ოდეს განეედა ტფილისით მეფეი, ანაეეეს მხიერდ კაცნი ასორმოდენათნი და უმრავლეს მთვანი იყვნეს დაკოდილნი". ასორმოდენათი მეომარნი ეს იყო და ეს, რაც შერჩა. დანარჩენნი კრწანისის ველზე იწვნენ და სხვიჩამეარია თვალებით ზეკან შესცქეროდნენ.

წყვდიადი ჩამოწვა ქალაქზე".

ასეთი ქეფრი, გულნაღლმობარი სიტყვებით ამთავრებს მწერალი კრწანისის საბრძოლო სპექტაკლის ავბედით ფინალს და შემდეგ ასევე შავი სტრიქონებით აღწერს თბილის-ქალაქის განადგურება-გატიალებას, თბილისის ბინადართა გაეუეეკ-ამოხოცვასა და დატყვევეეა-დასახიჩრებას ყაზოლაბეთის მიერ გამძვინვარებული სისხლისმეფლელებს — ალა-ბაბამად-ხანის, ჯავად-ხანის, ბაბა-ხანის და სხვ. უშუალო წინამძღოლობითა და მონაწილეობით.

...როცა მტერი ქალაქს აწოიკებს, მამისა სიონის შესასვლელს იცავდა, კომბალს მარკვედ უზაპენებდა, და უზაპენებდა ყაზოლაბეშებს. ბოლოს მას ჯავად-ხანის ბრძანებით ბადე ესროლეს და შებორკეს. შემდეგ ის ელჩი ჯაფარ ყული-ხანის მოიტანეს ერეკლე მეფის სადგომისაკენ გაეაოლეს. ალა-მამმად-ხანი ერეკლესთან ფარისევლური ზაეის ჩამოგდებას აპირებდა, ოღონდ გარკვეულ წინაპირობებს აყენებდა. შამმა აქაც ცბიერება გამოიჩინა, „თავფლს კვერისა და მათრახის" ფლდღერეს ბოზეიას დადგა. ელჩ ჯაფარ ყული-ხანს „თავფლ კვერის" როლი დაკისრა, ხოლო მას უკან სათანადო მანძილის დაშორებით ქალაქ ალა-ხანის ოთხი ათასი კაცით „ადეეენ". ჯაფარსა და ერეკლეს შორის მოლაპარაკეზა რომ გაჩაღდებოდა, იგი უჩერჩდა თავის ოთხიათასიანი ლაშქრით ერეკლეს ბანაკში შეიჭრებოდა და „ბეკრეკტანის" მეფეს ეოცსლად ხელში ჩაიგდებდა.

ყაზოლბაშთა მეთაეეტის შორის რომ ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა, მამისამ გადაწყეეტა, რადაც არ უნდა დასჭდომოდა, ალა-მამმად-ხანის

გიორგი შეთეკაური

დალაცა თუ არ იქმნა კლეელ

ეს მუხანათური განაზრახი ერეკლე მეფისათვის ეცნობებინა. მან გარეგნული მოჩვენებითი ერთგულებით ჯავთართან ნდობა მოიპოვა, არაგვის ჯალაბში თავი აუშენებინა, იქ ძმას დედისას გადაეყარა, საკუთარი მოვალეობა მას გადაუბარა (ჟამ ტყუპები ერთმანეთს, საოცრად ჰგავდნენ!) თვითონ კი ფასანურში სარკაროდ მეფესთან გაჩნდა და დეშმნის ზზაკვარი დანაბიერი ქართველთა ხელმწიფეს შეატყობინა. მეფემ შესაბამისი თადარიგი დაიჭირა.

ერეკლე მეფისა და ჯაფარის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, ქალაქ ალი-ხანის რაზმებს არაგვის პირას ხელფურებმა მუსრი გაუვლეს, ხოლო გაკოქილი ქალაქ ალი-ხანი მეფე ერეკლეს მიჰგვარეს.

ერეკლე მეფემ ჯაფარიცა და ქალაქიც უენებლად უკან გაგზავნა, თან დედისა და მამისა მოს განადგურებულ ვაი-მეორმრეს არ ჩამოაშორა, წადით, შაპის კარზე სასიგნალო სიტყვები გადაეცით, ოგი ყველფერს მიხვდება და საჭირო სიმეს გაკეთებს. სამბოლოდ კი აჯობებს წინასწარ ჯავდ-ხანის მეკინიბეებად მოეწყოთო.

ტყუპი ძმები ისე მოიქცნენ, როგორც ისინი მეფემ დაარიგა. 1795 წლის 20 სექტემბერს ალი მაჰმად-ხანი საქართველოს ეიეკლა, მაგრამ 1797 წლის გაზაფხულზე თავისი დიდანლილ ლაშქარი კვლავ საქართველოს ასაოხრებლად დაძრა. გზად იგი ქ. შუშაში დაბანაკდა. ის აქ თბილისიდან რუსის ჯარის გასელას ელოდა, რომ ოვერთი ქვეყანას ხელახლა ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა. სულ მალე „ირანსნა და ირაირანის მბრძანებელს“ თბილისიდან ჯაშუში ისევ მოვალენა, რათა „ცოთა სწორი“ გაეხარებინა, რომ რუსის ჯარმა საქართველოს დედაქალაქი დატოვაო.

მოთხრობის ამ ადგილას მოვლენებს მეტისმეტად ჩქარი, ეეცალო, წინააღმდეგობრივი დინამიზმი ახასიათებს. სიუჟეტური მოქმედების კულმინაციაც აქ არის და კვანძის გახსნაც. აქ ერთი მეორის მომდევნო ეპიზოდები კომპოზიციურ ფონზე ცოცხალი, ნაირწუახნაგოვანი მოტივებით არიან შეკრულ-შეფერადებული.

თბილისიდან ჩამოსული ისე პრიველად მამისას შეხვდება, ჯავდ-ხანის სამყოფელს გამოკითხავს, ეტყვის რაღაც გადაუდებელი ცნობა მაქვს გადასაცემო, მასთან ერთად ღვინოსაც დალეკავ, გუდას ფორნის ქიშზე ჩამოაკიდებს. ისაცს თვალს რომ იეცდნს, დედისა მისი გულიდან სპარსულად დაწერილ ბრიათს ამოიღებს, მას მამისას გადასცემს, რომ სადიხას ბარათთან ერთად ისეც ერეკლეს ერთგულ მუსტაფას შემწეობით თბილისში დაუყოვნებლივ ადრინონ (ეფრო ადრე ძმებმა ამ სადიხა უკვე ინახეოს და მას ერეკლეს დანაბარებიც გაანდეს).

ისაც ჯავდ-ხანთან გუდას რომ გახსნის, სა-

ELIBRARY.GEORGIAN.GE

განგებო ასარსული ბარათი გუდაში ადარ აღმოჩნდება. ის წამსვე მიხვდება, და ჯავდ-ხანს მამისას მიერ გუდადან, ბარათის ამოღებას შესჩივლებს. იგი მას პირადად ალი მაჰმად-ხანისათვის უნდა წარედგინა. ჯავდ-ხანისა და მამისას შეტაკება ამით თავდება, რომ მამისა ჯავდ-ხანს შუბით დასაკლავებს. ამასობაში დედისაგ ეკ ბრაქსის ტალღები გადაკეფა და ისაეს ჯაშუშური სპარსული ბარათი დანიშნულებისამებრ მალემსრბოლ პირს მოუტანა.

შაპის ბრძანებით მამისას თავი მოაკვეთეს. შაპმა არ დაინდო და სიკვდილით დასჯვენა ჯაშუში ისეც, რომელმაც მას ბარათის შინაარსი ზეპირად მოახსენა.

დავალება რომ შეასრულა და უკან დაბრუნდა, დედისა მოკლული ძმისათვის (და მთელი საქართველოსათვის) შურს იძიებს და მისი სამშობლოს ამაოხრებელ და გამაწამებელს, ირანის „მეფეთ-მეფეს“, ჯუკა მიზანთროპს სიცოცხლეს გამოასალმებს.

ალი მაჰმად-ხანის მოკვლისთანავე ირანის ჯარში დიდი არეულ-დარეულობა დაიწყო. ყიზილბაშებში წერილ-წერილ რაზმებად დაიქსქსნენ და ისინი კუდამოქუდაენენ ისეე თავისი მხარისაკენ განივლნენ.

ხოლო დედისა, სადიხა და თინანა კვალად საქართველოსაკენ გამოემართნენ.

ოღონდ მათ შორის იმ ამბის მგმირი და სრულიად ახალგაზრდა მამეულიელი — მამისა არ ჩანდა.

ეს მომენტი ნაწარმოებში დაძაბულად, შთამბეჭდავად არის ფიწერილი:

„... იარეს, იარეს, იარეს..

და ტირილი წასცდათ, როდესაც ნაბდისქედანნი კაცი გზაზე შემოეყარათ.

მხოლოდ ისა ეთქა მოიხდეს უკან...

— მამისავ! — გასძახა დედისამ, — ჩვენ უკვე მოვედით, ჩემო ტუპუსიცალო, ჩემო საყვარელო ძმაო, თინოიც აქ არის, სადიხაც, მხოლოდ შენ ვეკალიხარ, მა-ა-მი-ს-ა-ვ! ჩემო სამედამოდ დაკარგულო ძმაო, ბერდია პაპამ რა ვეუთხრა, ბიეო! მა-ა-მი-ს-ა-ვ!“

ცხადია, აქ ძირითადი რეალური ფაქტები მწერლის მიერ გარკვეული მიზანდასახულებით არის შეცვლილი და ნაწარმოების ატმოსფეროს ისე ეს სტრუქტურულ გამართულებასაც ჰპოვებს. რა თქმა უნდა, ჯავდ-ხანისა და ალი მაჰმად-ხანის მკვლელობა ისტორიული ფაკტებსაც საფუძველზე ტყუპ ძმებს არ მიეწერება, მაგრამ მწერალი ადრევე თავს იზღვევს, რიდესაც მოთხრობის დასაწყისშივე აცხადებს, რომ „მცხეთელი ტყუპი ძმების — დედისას თავვადასავალნი ბევრი რამ ზღაპარს მოგვაცხო“.

ჩვენთვის აქ მთავარია ლოგიკურ სიბრტყეზე განლაგებული ფაბულური განზომილებანი, ანტურაჟი, ტიპების ინდივიდუალური თვისებები,

მოქმედების განვითარების ნაირსახეობანი. აქვე ჩვენთვის განსაკუთრებით მთავარია ის იდეალები, რასაც პერსონაჟები თავიანთ საპრიგრამო დევიზად აქცევენ და მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ღალატობენ.

დედისა და მამისას ფსიქიკურ სამყაროში ერთმანეთთანაა შეზავებული ოჯახიდან მიღებული მამულის სიყვარულის მზერვალება, სოფლური გულკეთილობა, მოხერხებულობა, სულგრძელობა, გამბედაობა, მტრისადმი დაუოკებელი სიძულვილი. ისინი თავიანთი დაკვირვებით, გამჭრიახი გონებით, გამოცდილებით და მოსაზრებულობით საკუთარ ასაზე ბევრად უფროსებად გამოიყურებიან, თითქოს თვითეულ მათგანს უკვე ორი ცხოვრება ჰქონდეს გავლილი.

მართალია, ერეკლე მეფე ნაწარმოების ცენტრალური ფიგურაა, მაგრამ ტუუბი ძმების სამოქმედო სარბიელი ამით სულაც არ იზღუდება, პირიქით, საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფის მაღალი საერო და სამხედრო სიბრძნის ფონზე დედისას და მამისას პატრიოტულ მოღვაწეობას უფრო მეტი შინარსი და ელვარება ენიჭება. დედისა და მამისა სამშობლოს შიგნითაც და სამშობლოს გარეთაც თავისი ქვეყნის უერთგულეს შვილებად, „ერეკლეს შვილებად“ რჩებიან.

ნაწარმოების დასასრულში ერეკლე მეორეს გარდაცვალების სამგლოვიარო ეპიზოდი, ეპოლეური ტონალობით არის ნაჩვენები: ერეკლე მეფის ყოფილი მეპატრე სიბერისაგან დაუძლურებული ბერდია კოზმანაშვილი აწ უკვე თავისი ერთად-ერთი ტუუბის ცალით — დედისას თანხლებით მიემგზავრება თელავში და იქ დასტირის პატარა კახის გაცივებულ ცხედარს.. ხოლო დედის კი იქვე გუშაგებს ეუბნება, მიმიშვით ერეკლესთან, მე ერეკლეს შვილი ვარო.

თავის ქვეყანაზე გამუდმებულ ზრუნვაში დაიფერფლა დიდი ივერიელი — ერეკლე მეფე.

მან საფლავში ჩაიყოლა ასპინძის გამარჯვების დიდი სიხარულიც და კრწანისის დამარცხების დიდი სინანულიც.

მთელი ქართველი ხალხის ბედ-იღბალზე დაუყენებელი გულისტკივილი...

სარეცენზიო წიგნი საქართველოს ისტორიის ერთ მღელვარე პერიოდს გადმოსცემს და მას საკუთარი წვლილი შეაქვს კერძოდ, ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის მეორე გვერდი — პლაკატი ჯ. ლოლუასი,

ნახატები ა. თოდრიასი.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციცეშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდივანი-მემანქანე — 93-53-35. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 93-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გადაეცა ასაწყობად 16/V-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VII-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15,35. შეკვეთა № 1701. უე 00745. ტირაჟი 30.000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

41204

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236